ალა იასტრებეწიცკაია

*

XI-XIII საუკუნეების ფასავლეთი ევროპა

ეპოქა. ყოფა. ჩაცმულობა

„ნაკადული", თბილისი. 1981

ББК 63.5(3)
902.7(4/6)
ი 284

პირველი მკითხველი!

ამ წიგნიდან თქვენ შეიტყობთ შუა საუკუნეების ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას, გაეცნობით მის საცხოვრებელს, ავეჯს, ტანსაცმელს; როგორ მოიპოვებდა იგი საარსებო საშუალებებს; როგორ ამზადებდა საკვებელს; როგორი იყო მისი წარმოდგენა საკუთარი ორგანიზმის აგებულებაზე, ეპიდემიებსა და სხვადასხვა დაავადებებზე; რა ურთიერთობა არსებობდა საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის. ყოველივე ამის ანალიზი კი დაგეხმარებათ, უფრო ღრმად შეიცნოთ ევროპული შუა საუკუნეების კულტურა და სასეითი სელოვნება.

თარგმნა ზაზა ქილაძემ

პირველი გამოცემა

© ქართული თარგმანი, „ნაკადული“, 1981

Я $\frac{70803-3}{М-603(08)-81}$ 140—81

ეს წიგნი ევროპული შუა საუკუნეების კლასიკურ პერიოდზე ძოგვითხრობს.

თავისთავად, ტერმინი „შუა საუკუნეები", ცოტა არ იყოს, აუდებულად ჟღერს. ისე გამოდის, ვითომ ევროპის ისტორიაში მხოლოდ და მხოლოდ ორი „ნათელი" ხანაა — ანტიკურობა და ახალი დრო, მათ შორის კი „არანამდვილი" დროის ბნელი უფსკრული — შუა საუკუნეები — ძევს. ძველთაგანვე დამკვიდრებული წარმოდგენით, შუა საუკუნეებში ცხოვრება თითქოს ერთ ადგილზე გაიყინა. სწორედ ამიტომ იქცა ტერმინი „შუა საუკუნეები" სიბნელისა და რეაქციულობის სინონიმად. მაგრამ რამდენად მართებულია ამგვარი შეხედულება?

თანამედროვე მეცნიერება შუა საუკუნეებში დიდ ისტორიულ ეპოქას გულისხმობს. ეს ეპოქა არც ერთბაშად შექმნილა და არც ერთბაშად დამთავრებულა. ამდენად, აღარც ისაა გასაკვირი, თუ მისი ქრონოლოგიური საზღვრები ბუნდოვნად და გაურკვეველად გვესახება. ჩვეულებრივ, შუა საუკუნეების სათავედ მეტად პირობით თარიღს — 476 წელს — ასახელებენ, რაც დასავლეთ რომის იმპერიის დაცემას ემთხვევა. ეს მოვლენა, რომელსაც შედეგად დასავლეთ რომის უკანასკნელი იმპერატორის რომულუს-ავგუსტულუსის დამხობა და მისი საიმპერატორო ინსიგნიების აღმოსავლეთის იმპერიის დედაქალაქში, კონსტანტინოპოლში გადაადგილება მოჰყვა, თანამედროვეებს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტად არ ჩაუთვლიათ და სავსებით მართებულადაც. შეიძლება, უფრო სწორი ყოფილიყო, თუ საზღვარს ანტიკურობასა და შუა საუკუნეებს შორის სადღაც, მეექვსე საუკუნის ბოლოსა და მეშვიდე საუკუნის დასაწყისში გავავლებდით, იტალიაში ლანგობარდების შეჭრისა და რომის ქალაქური

ცხოვრების უკანასკნელი კერების საბოლოო დაცემის შემდეგ. შუა საუკუნეების დასასრულად კი მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციას მიიჩნევენ, მაგრამ უკვე ის უკანასკნელი ასწლეულები, წინ რომ უძღოდნენ ამ რევოლუციას, აღორძინებისა და უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენების ბეჭდით აღნიშნულნი, სრულიად განსხვავებული, არა შუასაუკუნეობრივი ნიშან-თვისებების მატარებელნი იყვნენ.

შუა საუკუნეებში წარმოების ფეოდალური წესი ბატონობდა. ანტიკური ქალაქი დაეცა და, ამიტომ შუა საუკუნეების ცხოვრების საათავეს სოფელი წარმოადგენდა. ადრეულ შუა საუკუნეებში განუკითხავად ბობოქრობს აგრარული სტიქია და მხოლოდ აქა-იქ თუღა არსებობენ ნახევრად დანგრეული, ღატაკი დასახლებანი, ოდნავ რომ ჩამოჰგვანან საქალაქო ცენტრებს. ამ დროისათვის არსებობის ძირითადი ფორმებია: მამული, სადაც მებატონე მასზე დამოკიდებული ხალხის შრომით იკმაყოფილებს მატერიალურ მოთხოვნილებათა უდიდეს ნაწილს; მონასტერი, რომელსაც ჩვეულებრივი მამულისაგან მარტოოდენ ის თუ განასხვავებს, მისი მფლობელი „კოლექტიური სენიორი“ რომაა და მის კედლებში; ხანგამოშვებით, წიგნიერი ადამიანები ცხოვრობენ, წიგნის გადასაწერად საჭირო დროც რომ აქვთ და უნარიც; და ბოლოს, სამეფო კარი — ერთი ადგილიდან მეორეზე რომ გადადის და თავის ცხოვრებასა თუ მართვა-კამგეობას ჩვეულებრივი მამულის მსგავსად წარმართავს. — ასეთია ადრეული შუა საუკუნეების საზოგადოების არსებობის ძირითადი საზოგადოებრივი ფორმები. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებიდან ამ აგრარულ სამყაროში ახალი ელემენტი — ქალაქი — შემოიჭრება. პირველ ხანებში ქალაქი ადმინისტრაციულად და პოლიტიკურად სოფელს, მამულს ემორჩილება, ხოლო იდეოლოგიურად — მონასტერს. ადრეული შუა საუკუნეების დროინდელი ქალაქის სამეურნეო და სოციალური ცხოვრება ფეოდალური პრინციპებითაა გამსჭვალული. ქალაქის მმართველთა ნრეც ცდილობს, სენიორთა ცხოვრების ყაიდას მიჰბაძოს. და მაინც, ნელ-ნელა, თანდათანობით, ქალაქი არყევს შუა საუკუნეების საფუძველს; თვითონაც იცვლება და თავის „მტრებსაც“ — ფეოდალურ სენიორებსაც უცვლის იერს. გლეხებსა და ფეოდალებს, ქალაქებსა და სენიორებს, ფეოდალურ არისტოკრატიაში არსებულ სხვადასხვა დაჯგუფებებს, ცენტრალიზაციისა თუ სეპარატიზმის მომხრეთა შო-

რის გამართულ სასტიკ ბრძოლებს შუა საუკუნეების აღსასრული მოსდევდა.

ეს ეპოქა თავისი განსაკუთრებული სოციალური ურთიერთობებითა და განსაკუთრებული კულტურით ხასიათდებოდა. მან უდიდესი პოლიტიკური თუ კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა: სწორედ შუა საუკუნეებში გაფართოვდა ევროპის საზღვრები და საფუძველი ჩაეყარა გეოგრაფიულ აღმოჩენებს; შეიქმნა წოდებრივი ღირსებისა თუ ქალისადმი რაინდული სამსახურის ცნებები; გაჩნდა დიდი დაწესებულებანი.

სამამულო მედიევისტიკის წარმატებათა წყალობით, ჩვენ უკვე კარგადა გვაქვს წარმოდგენილი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სოციალური და სამეურნეო ისტორია. ვიცით, თუ როგორ იყო ორგანიზებული მეურნეობა ფეოდალურ მამულში; ვიცით ქალაქის ხელოსნური გაერთიანების შესახებაც; ჩვენთვის გლეხობის ექსპლუატაციისა თუ მისი კლასობრივი ბრძოლის ფორმებიც ცნობილია. მრავალრიცხოვანი სპეციალური გამოკვლევები აღადგენენ უდიდესი საზოგადოებრივი და სოციალური ძვრების სურათს, შუა საუკუნეების პოლიტიკური ისტორიის მოვლენებს.

ამავე დროს, ჩვენმა მკითხველმა ძალიან ცოტა რამ იცის იმ ეპოქის ადამიანთა ყოფის, მათი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ. არადა, „ბნელ“ შუა საუკუნეებს არანაკლებ გამოგონებებს უნდა ვუმადლოდეთ, ვიდრე „ნათელ“ ანტიკურობას. სწორედ შუა საუკუნეების კლასიკურ პერიოდში გაჩნდა სათვალე თუ ღილი, თანამედროვე ჩაცმულობის ძირითადი ელემენტები (შარვალი, ქვედაკაბა); სწორედ მაშინ შეძლეს პირველად იალქნიანი გემით ქარის წინააღმდეგ ცურვა, დაადგეს ხარს ცალული (რამაც მთლიანად შეცვალა აკაზმულობის სისტემა); ბაგაში შედენეს საქონელი, მინდორში შეზიდეს სასუქი. იმ ეპოქაში ისწავლა ადამიანმა ფეხბურთის თამაში თუ სპირტის გამოხდა.

ამ წიგნში სწორედ შუა საუკუნეების დროინდელი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, მის გარემომცველ სინამდვილეზე ვილაპარაკებთ: სოფლური თუ ქალაქური ყაიდის სახლზე, ავეჯზე, სამკაულზე, საკვებზე, სამოსზე; მოგითხრობთ, თუ რა საშუალებებით იქმნებოდა ყოველივე ეს, როგორ მზადდებოდა, როგორ გადაჰქონდათ ერთი ადგილიდან მეორეზე; გიამბობთ სახმელეთო თუ საზღვაო ტრანსპორტზე; სოფლის მეურნეობისა თუ ხელოსნური ტექნიკის შესახებ;

ვილაპარაკებთ სანიტარიასა და ჰიგიენაზე; ავადმყოფობებსა თუ ეპიდემიებზე; ადამიანის სხეულის აგებულების მაშინდელ წარმოდგენებსა და სამედიცინო დახმარების სახეობებზე.

გარუმომცველი საზოგადოებრივი ცხოვრება გარკვეულ დაღს ასვამდა საყოფაცხოვრებო საგნებს და მათ სპეციფიკასაც განაპირობებდა. საზოგადოებისა და მისი ყოფა-ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულება გამოხატულებას პოულობდა გლეხთა, მოქალაქეთა, ფეოდალთა თუ სასულიერო პირთა ცხოვრების განსაკუთრებულ წესში. წიგნშიც სწორედ სოციალური კუთხითაა დანახული შუა საუკუნეების ქალაქის, ფეოდალური ციხე-კოშკის, ფეოდალური სოფლისა თუ იმდროინდელი მონასტრის სახე.

საყოფაცხოვრებო საგნები — საცხოვრებელი სახლით დაწყებული და სამოსით დამთავრებული — არა მარტო სოციალურ კუთვნილებას ვამოხატავდნენ, არამედ, ეპოქის იდეოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებების მატარებელნიც იყვნენ. ყოველდღიური არსებობის დეტალებში, ხანდახან, ის ამაღლებული იდეები თუ სახეები აირეკლებოდნენ ხოლმე, დროისა და სივრცის, კოსმოგონიისა და ისტორიული აზრის, სახვითი ხელოვნებისა და პოეზიის სფეროს რომ განეკუთვნებიან. აი, რატომ არ იქნება არც უცნაური და არც საკამათო, თუ ჩვენს თხრობას დავიწყებთ განყენებული იდეების, დროისა და სივრცის სიმაღლიდან და შემდეგ, თანდათანობით, დავეშვებით ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე უფრო ჩვეულებრივ ფენომენებამდე.

საგნობრივი სამყაროს ანალიზი დაგვეხმარება უფრო ღრმად გაეიგოთ ევროპული შუა საუკუნეების კულტურა და სახვითი ხელოვნება.

თავი პირველი

სამყარო, რომელშიც ცხოვრობდნენ

ადამიანთა საზოგადოება განუწყვეტლივ მოძრაობს, — იცვლება და ვითარდება; მსოფლიო ისტორიის ყოველ ეპოქასაც ისტორიულად განპირობებული, სამყაროს თავისებური სურათი გააჩნია. საინტერესოა, როგორ ხედავდა და აღიქვამდა სამყაროს შუა საუკუნეების ადამიანი. ერთ-ერთი არსებითი თვისება, ყველაზე უფრო სრულად რომ გამოხატავს ეპოქის მსოფლშეგრძნებას, დროისადმი დამოკიდებულებაა. ერთი შეხედვით, თითქოს რა უნდა იყოს ამ ცნებაზე მარტივი და უცვლელი; დღევანდელი გაგებით, დრო უსასრულოა, მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია, აბსტრაქციაა, აპრიორული ცნებაა, რომლის მიღმა, ობიექტური სინამდვილე იმალება. დრო თავისთავად არსებობს ბუნებაში: ის არც ადამიანს ექვემდებარება და არც მის საქმიანობას. ჩვენთვის წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთისაგან მკვეთრადაა გამიჯნული. უკვე სირთულეს აღარ წარმოადგენს დროის აღრიცხვა ზუსტი ტექნიკური ხელსაწყოებით. და ბოლოს, თანამედროვე საზოგადოებრივი აზროვნებისათვის აღარც დროის სწრაფწარმავლობაა საიდუმლო. სწორედ ამიტომაა დრო ასე ძვირფასი დღევანდელი ადამიანისათვის. თუმცა, ამგვარი წარმოდგენა დროზე მხოლოდ ტექნიკურად მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი და ესეც მკვეთრად განასხვავებს მას. სხვა ისტორიული ეპოქებისაგან, კერძოდ, ე. წ. აგრარული საზოგადოებების ეპოქებისაგან, რომელთაც არა მარტო შუა საუკუნეები განეკუთვნება, არამედ პირველყოფილი სამყაროცა და ანტიკურობაც.

თანამედროვე ადამიანისათვის, განუწყვეტლივ საათზე რომ იყურება, ძნელი წარმოსადგენია ის შორეული წარსული, როცა საათი (მზის, წყლის, სილისა თუ მექანიკური) იშვიათობა იყო და როცა დღე-ღამის მონაცვლეობას ადამიანს ტოროლა თუ ბულბული, ვარსკვლავი თუ მთის ნიავი, ნამი თუ ყვავილი ატყობინებდა. დროის ამგვარი „აღრიცხვა", რაღა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა ზუსტი ყოფილიყო.

ადრეულ შუა საუკუნეებში მზისა და წყლის საათების (კლეპსიდრების) დამზადების ანტიკურ წესს მხოლოდ ბიზანტიასა და არაბულ სამყაროში თუღა ფლობდნენ, დასავლეთში კი დიდი იშვიათობა იყო. ქრონიკებში სპეციალურადაც კია აღნიშნული — არაბთა ხალიფამ ჰარუნ-ალ-რაშიდმა იმპერატორ კარ-

ლოს დიდს (728—814) ააჰენში წყლის საათი გაუგზავნა, რომლის მოწყობილობა მეტად რთული იყო. ძნელი სათქმელია, ზუსტად როდის გაჩნდა მექანიკური საათები; ყოველ შემთხვევაში, მეცამეტე საუკუნეში ისინი უკვე არსებობენ და დანტეც იხსენიებს ბორბლიან საათს, რომელიც თურმე რეკდა კიდეც. ასევე ცნობილია, რომ ვესტმინსტერის კოშკზე 1288 წლიდან დგას საათი. პირველი მექანიკური საათები კოშკებზე დასადგმელად იყო გამიზნული; ეს ერთისრიანი მექანიზმები მხოლოდ საათს უჩვენებდნენ (წუთებს არ აღრიცხავდნენ); მათ არც ქანქარა ჰქონდათ (ქანქარა გალილეომ გამოიგონა და საათის მექანიზმში მისი გამოყენება შუა საუკუნეების ბოლოს დაიწყეს) და არც დიდი სიზუსტით გამოირჩეოდნენ. კოშკის ბორბლიანი საათები, მათი წინამორბედი მზის საათებისა და კლეპსიდრების მსგავსად, არა მარტო დროის აღმრიცხველი ხელსაწყოები იყო, არამედ, ზოგჯერ, ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშებად, ნამდვილ მექანიკურ თეატრებად გვევლინებიან. ასე, მაგალითად — სტრასბურგის საათი, შექმნილი დაახლოებით 1354 წელს, აჩვენებდა მზეს, მთვარეს, საათებსა და დღე-ღამის მონაკვეთებს; აღნიშნავდა საეკლესიო კალენდრის დღესასწაულებს, აღდგომასა და მასთან დაკავშირებულ დღეებს; შუადღისას ღვთისმშობლის ფიგურის წინაშე მუხლს იდრეკდა სამი მოგვი, მამალი კი ფრთებს იქნევდა და ყიოდა. სპეციალური მექანიზმი ამოძრავებდა პატარა წინწილებს, რომლებიც ყოველ საათში ერთხელ რეკდნენ. დღესდღეობით, სტრასბურგის საათიდან მხოლოდ მამალია შემორჩენილი.

დღე-ღამე რომ ოცდაოთხ საათს მოიცავდა, ეს უფრო ადრეც იცოდნენ, მაგრამ, რადგანაც თორმეტ საათს დღის საკუთრებად თვლიდნენ, თორმეტს კი ღამისად, ამ საათების ხანგრძლივობა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა და წელიწადის დროებზე იყო დამოკიდებული. დროის გაზომვის სირთულე და სიმცირე ხელსაწყოებისა, რომლებიც ხშირად საზოგადოებრივ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლადაც კი გამოიყენებოდა, ფაქტიურად შეუძლებელს ხდიდა შუა საუკუნეებში. დროის ზუსტ განსაზღვრას. დღე იყოფოდა საორიენტაციო მონაკვეთებად: დილად, შუადღედ, საღამოდ, თუმცა მათ შორის მტკიცედ დადგენილი საზღვრები არ არსებობდა. ნიშანდობლივია ისიც. რომ საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეცხრე (1214—1270) ღამღამობით დროის დინებას სანთლის სიმაღლით განსაზღვრავდა.

შუა საუკუნეებში არა მარტო დროის ზუსტი გამოთვლა უძნელდებოდათ, არამედ, საერთოდ, მაშინდელი ადამიანის წარმოდგენა დროზე მთლიანად განსხვავდებოდა ჩვენი წარმოდგენისაგან. იმ ეპოქაში „ბუნებრივი", მზის წრებრუნვისა და მასზე დამოკიდებული მოვლენებისაგან ჯერ კიდევ გაუთიშავი დრო ბატონობდა.

შუა საუკუნეების ადამიანი, ფრანგი ისტორიკოსის მ. ბლოკის თქმით,

„საერთოდ და მთლიანად ინდიფერენტულია დროის მიმართ". მაშინდელი ცხოვრების რუტინა, წინა დღის გამოცდილების განუწყვეტელი გამეორება, თითოეული ადამიანის მჭიდრო კავშირი ბუნების რიტმთან — ყველაფერი ეს იქითკენ მიდიოდა, რომ დროს არ აღიქვამდნენ, არ შეიგრძნობდნენ, როგორც გარკვეული ფასეულობის მქონე ფენომენს (იმდენად, რამდენადაც ეს დღევანდელი საზოგადოებრივი შეგნებისთვისაა დამახასიათებელი); პრინციპი „დრო—ფულიაო" შუა საუკუნეებში, უბრალოდ, გაუგებარი იქნებოდა. დრო არაფერს არ წარმოადგენდა და მას, ბუნებრივია, არც უფრთხილდებოდნენ. დროს არაფრად „არ თვლიდნენ" ამ სიტყვის ნებისმიერი გაგებით: არ თვლიდნენ ხელსაწყოთა სიმცირისა და იშვიათობის გამო და იმიტომაც, რომ საქონლის წარმოება, რაც დროის რაციონალურად განსაზღვრულ დახარჯვას მოითხოვს, ჯერ კიდევ არ ქცეულიყო ცხოვრების აზრად, განსხვავებით გვიანდელი, კაპიტალიზმის ეპოქისაგან. მეჩვიდმეტე საუკუნის პურიტანელის თვალსაზრისით, შუა საუკუნეების ადრეულ პერიოდში დრო უმოწყალოდ იფლანგებოდა ცერემონიებსა თუ დღესასწაულებზე, შორეულ ქვეყნებში აუჩქარებელ მოგზაურობასა თუ დამქანცველ ლოცვებში. დრო, ხშირად, ადამიანის საზარალოდ გადიოდა, მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სხვა ეპოქაა, რომელიც იმდენად დროს კი არ ზომავდა, რამდენადაც ცხოვრობდა ამ „ბუნებრივ" დროში, დილის, შუადღისა და საღამოს მონაცვლეობის ორგანული შეგრძნებით. რა თქმა უნდა, აბსოლუტიზირება საჭირო არ არის; ფეოდალი გლეხის საბეგარო დროს აღნუსხავდა, ოღონდ არა საათობით, არამედ, ეთქვათ, განთიადიდან განთიადამდე.

ერთადერთი დაწესებულება ადრეულ შუა საუკუნეებში, დროის ორგანიზებას რომ ცდილობდა, ეკლესია იყო. ეკლესიის დრო თითქოს განსხვავედებოდა „ბუნებრივი" დროისაგან, თითქოს უპირისპირდებოდა კიდეც მას. ეკლესია დღე-ღამეს ბუნებრივი მოვლენების მიხედვით კი არ ყოფდა, არამედ, ღვთისმსახურების ამოცანათა შესაბამისად, ყოველდღიურად თანამიმდევრულად რომ მეორდებოდა. ეკლესია დროის აღრიცხვას იწყებდა ცისკრის ლოცვიდან (ღამის გატყდომისას). შემდეგ, განთიადისას აღნიშნავდნენ პირველ საათს და ასე თანმიმდევრულად: მესამე საათს — დილით, მეექვსეს — შუადღისას, მეცხრეს — ნაშუადღევს, ბოლოს კი საღამოს ლოცვას ე. წ. „Kumpleta hora", „დამამთავრებელ საათს", რაც სადღეღამისო ღვთისმსახურების დასასრულს მოასწავებდა. ღვთისმსახურებათა სახელწოდებებმა (პირველი, მესამე, მეექვსე, მეცხრე საათი) შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ეს სახელწოდებები აღნიშნავდნენ არა ზუსტ ინტერვალებს, დღე-ღამის თანაბარ მონაკვეთებს, არამედ სადღეღამისო ღვთისმსახურების გარკვეული ეტაპის დაწყებას. ეს ეტაპები, იმისდა მიხედვით, ზამთარი იდგა, გაზაფხული თუ ზაფხული — სხვადასხვა

დროს იწყებოდა. ეკლესიამ მაინც მოახერხა დროის თავისებური გამოთვლის მატერიალიზაცია; დროის დინება ადამიანთა შეგნებაში ეკლესიის სამრეკლოთა საათების რეკვას დაუკავშირდა და ამ კანონიკურმა საათებმა, მათი შინაგანი სიმარტივისა და გაუმართაობის მიუხედავად, მაინც მოახერხეს ქცეულიყვნენ იმ ვარეგნულ ჩარჩოდ, რომელმაც თავის ტყვეობაში მოაქცია ბუნებრივი დრო. სამრეკლოს საათებმა თანდათანობით ობიექტურობის ილუზია მოიპოვეს და მოახერხეს ცალკეული ადამიანის სუბიექტურ გამოცდილებაზე ამაღლებულიყვნენ. სამრეკლოს სიმაღლიდან გამოცხადებული დრო უკვე ორგანულად აღარ ეკუთვნოდა გლეხსა და ხელოსანს; ეს გაბატონებული კლასის მიერ თავსმოხვეული დრო გახლდათ.

მექანიკურმა საათებმა, უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის მიერ ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი დროის დასაზუსტებლად და დასაკანონებლად რომ გამოიყენებოდა, თანდათანობით, ეკლესიისავე წინააღმდეგ მიმართული იარაღის თვისებები შეიძინეს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, უცბად არ მომხდარა; მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში მოეღო ბოლო ეკლესიის მონოპოლიას დროზე, როცა მექანიკური საათი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და მას უკვე არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ საერო შენობებზეც დგამდნენ ევროპის მრავალ ქალაქში. ახალი ტენდენციისათვის მეტად დამახასიათებელია ის ფაქტიც, რომ 1355 წელს არტუაში (საფრანგეთი) მეფისნაცვალმა ნება დართო ქალაქ ერ-სიურ-ლა-ლისის მცხოვრებლებს, აეგოთ ქალაქის სამრეკლო, რომელიც არა საეკლესიო, არამედ სავაჭრო გარიგებებისა და მემაუდეთა სამუშაო საათების მაუწყებელი იქნებოდა. ბიურგერები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ დროის საეკლესიო აღრიცხვის ფორმას, მაგრამ დროის შინაარსი უკვე სხვაა: ეს ახლა არა ღმერთთან ურთიერთობისათვის, არამედ ვაჭრობისა და წარმოებისათვის განკუთვნილი დროა. დროის შუა საუკუნეობრივ გაგებას თანდათანობით ბზარი უჩნდება.

მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული, დროს უკვე დიდი მონდომებით აღნუსხავენ. მექანიკური საათების გავრცელებასთან ერთად, ადამიანთა შეგნებაში იცვლება მანამდე აბსტრაქტული და ბუნდოვანი წარმოდგენა დღე-ღამეზე, რომელიც ახლა უკვე ოცდაოთხ თანაბარ საათად დაიყო. მოგვიანებით, ეტყობა, მეთხუთმეტე საუკუნიდან გაჩნდა წუთის ცნებაც.

შუა საუკუნეებში გავრცელებული პრინციპი დროს ღმერთის საკუთრებად მიიჩნევდა და ამიტომ არც მისი გაყიდვა შეიძლებოდა, რაც ეკლესიას საფუძველს უქმნიდა აეკრძალა კრედიტორთათვის პროცენტების მოთხოვნა; კრედიტორი (როგორც საეკლესიო მწერლები ამტკიცებდნენ) პროცენტებს იმის საფასურად მოითხოვდა, რაც მას არ ეკუთვნოდა. მაგრამ, მეთოთხმეტე საუკუ-

ნეში, ვაჭრებიცა და ხელოსნებიც დროს უკვე თავიანთ კუთვნილ ფასეულობად თვლიდნენ; საკრედიტო ოპერაციები ძალიან გავრცელდა და „დროის გაყიდვაც", საეკლესიო დადგენილებათა მიუხედავად, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ამასთანავე, წარმოიშვა სამუშაო დღის გაგრძელების ტენდენციაც. ძველი ამქრული წესდებებით, სამუშაო დღე დილიდან საღამომდე გრძელდებოდა; სანთლის შუქზე მუშაობა, გარდა ზამთრის ყველაზე ბნელი თვეებისა, სასტიკად იკრძალებოდა. მსგავს შეზღუდვებს, ერთი მხრივ, პროდუქციის ხარისხზე ზრუნვა განაპირობებდა, მეორე მხრივ კი, ადგილობრივი ბაზრის შენარჩუნება და კონკურენციის თავიდან აცილება. მეთოთხმეტე საუკუნეში პირველად გაისმა მოთხოვნა გაეთავისუფლებინათ საშუაო დღე ბუნებრივი ჩარჩოებიდან; მოითხოვდნენ ემუშავათ მზის ჩასვლის შემდეგაც, ხელოვნური განათების შუქზე. ნიშანდობლივია, რომ ამ მოთხოვნებს აყენებდნენ არა ოსტატები, არამედ ქარგლები, რომლებიც სამუშაო დღის შესაბამისად, ანაზღაურების გაზრდასაც იმედოვნებდნენ. დრო თანდათან სოციალურ ელფერს იძენს. ბიურეკრობის განმტკიცებამ მეთოთხმეტე საუკუნეში მთლიანად შეცვალა წარმოდგენა დროზე, დაამსხვრია მისი გამოთვლის საეკლესიო პრინციპები, ერთმანეთს დაუპირისპირა ეკლესიის სამრეკლო და ქალაქის კოშკი, როგორც სხვადასხვა სოციალური სისტემის ფენომენები.



წყლის საათის მოწყობილობა (ცლეპსიდრა)

მაგრამ, მიდით, ისევ დროის შუა საუკუნეობრივ გამოთვლას დაეუბრუნდეთ. საინტერესოა, როგორ ითვლიდა მაშინდელი ადამიანი დროის უფრო დიდ მონაკვეთებს, ვიდრე საათი, ანდა თუნდაც დღე-ღამეა.

როგორც დღე-ღამის, ისე წელიწადის მონაკვეთებად დაყოფისას შუა საუკუნეებში სარგებლობდნენ ორი, ერთმანეთზე დამოკიდებული და, ამავე დროს, ერთმანეთის საპირისპირო სისტემით — ჩვენთვის უკვე საცნობი ბუნებრივი და საეკლესიო დროით. ბუნებრივ დროს საფუძვლად ედო წელიწადის თორმეტ თვედ დაყოფის ანტიკური ტრადიცია. თავის მხრივ, თითოეული ამ თორმეტი თვიდან უკავშირდებოდა ადამიანის საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობას. ასეთი დაყოფა გაიაზრებოდა არა როგორც ასტრონომიული აბსტრაქცია, არამედ როგორც ორგანული მოვლენა, ადამიანისა და მისი გარემომცველი სინამდვილის ერთიანობა, თანაარსებობა, ურთიერთშეთანხმება.

თორმეტი თვის სიმბოლიკა შუა საუკუნეების მხატვრებისა და მოქანდაკეების უსაყვარლესი თემაა. ხელნაწერი წიგნების ილუსტრაციებსა თუ ტაძართა ორნამენტურ სამკაულებში მრავლადაა დაცული ადამიანის შრომის სურათები (მთელი ციკლები), ამა თუ იმ თვის სპეციფიკას რომ გამოხატავენ. ვერონაში, წმინდა ზენონის ეკლესიის (XII საუკუნეში) პორტალზე გამოსახულია ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში ამგვარი ციკლებისა; გამოსახულებანი მკაფიოდაა შემონახული და თან ყოველ მათგანს მისი შესაბამისი თვის სახელი აქვს მიწერილი. იანვარი, როგორც მოგეხსენებათ, ყველაზე ცივი თვეა და სრულებითაც არაა გასაკვირი შუა საუკუნეების ადამიანს, სანახევროდ მშიერ-მწყურვალს, სანახევროდ შიშველს, სანახევროდ გამთბარ სახლში მცხოვრებს, ძალზე რომ უჭირდა ზამთრის გადატანა, იანვარი გათოშილი, ცეცხლზე მიფიცხებული კაცის სახით წარმოედგინა; თებერვალი იტალიაში ბუნების გამოღვიძების დროა, ამიტომ, სიმბოლურად, მას ვენახში სასხლავით მომუშავე ცლები გამოხატავდა; მარტი ცოტა უცნაურადაა წარმოდგენილი: მოსასხამიანი კაცი, ერთდროულად ორ ბუკზე რომ უკრავს, ეტყობა, ქარებს უნდა განასახიერებდეს; აპრილი — ყვავილებით ხელდამშვენებული კაცი — გაზაფხულის ალეგორიაა; მაისი საომრად აღჭურვილი მხედარია, რადგან მაისი სწორედ სამხედრო ექსპედიციებისა და ლაშქრობებისათვის შესაფერის დროდ ითვლებოდა; ივნისი კვლავ შრომას უბრუნდება: მისი სიმბოლო მსხმოიარე ხეზე ნაყოფის დასაკრეფად გასული კაცია; ივლისი — წოწოლაქუდიანი გლეხი — ნამგლით პურსა მკის; აგვისტო — მეკასრეა; რთველი კარზე მომდგარა და იგივე წოწოლაქუდიანი გლეხი ახლა კასრის დამზადებას შესდგომია; სექტემბრის გამოსახულება საკმაოდ რთული, მაგრამ, ამასთანავე, ზუსტიცაა: გლეხი ერთდროულად ყურძენსაც კრეფს, ყურძნით სავსე გოდორსაც ეზიდება და ღვინოსაც წურავს; ეს უაღრესად ტევადი სურათი ნათლად გამოხატავს იტალიელი გლეხის გაწამაწიას რთველში; ოქტომბერი ღორების მოსუქების დროა: გლეხი ჭოკით ბერტყავს რკოს, რომელსაც მადიანად ახრამუნებს მუხის ძირას მოფუსფუსე წყვილი ღორი; თუმცა მათი ტრაპეზი დიდხანს არ გრძელდება: ნოემბერში ერთი უკვე დანის ქვეშ წევს, ხოლო მეორის შებოლილი ბარკალი ჭერში კიდია; და ბოლოს, დეკემბერი ისევ სიცივის თემას უბრუნდება: გლეხი ტყეში ფიჩხს აგროვებს.

ბუნებრივ კალენდარს უპირისპირდებოდა საეკლესიო კალენდარი. მის შედგენილობას ორგვარი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი — მოძრავი და უძრავი საეკლესიო დღესასწაულების არსებობა განაპირობებდა. უძრავი დღესასწაულები ზუსტად იყვნენ ფიქსირებულნი ბუნებრივ (მზის) კალენდარში; ასეთი დღესასწაულებია, მაგალითად, შობა, რომელსაც ოცდახუთ დეკემბერს

ზეიმობენ და რომლის დაკავშირებაც მზის წრებრუნვასთან, ღღის მატების დასაწყისთან (რაც, თავისთავად, ბუნების არსებითი მოვლენაა), თავისუფლად შეიძლება, არ ატარებდეს შემთხვევით ხასიათს. სხვა უძრავი დღესასწაულები უკავშირდებოდნენ ქრისტესა და მისი მახლობლების (ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლისა თუ მოციქულთა) მიწიერი ცხოვრების სხვადასხვა მომენტსა თუ ქრისტიანული ეკლესიის წმინდანთა ხსოვნას.

უძრავი დღესასწაულებიდან აშკარად განსხვავდებოდა მეორე რიგის, მოძრავი დღესასწაულები, რომელთა საფუძველსაც აღდგომა წარმოადგენდა. აქ არ შეეუდგებით აღდგომის დღესასწაულის რთულ გენეზისზე ლაპარაკს, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად მას ძველებრაული მთვარის (და არა მზის) კალენდრით ზეიმობდნენ და ეს ტრადიცია არც მერე დარღვეულა, როცა ქრისტიანობამ უარი თქვა თავის ებრაულ წარსულზე. სპეციალური პრინციპების შესაბამისად გამოთვლილი აღდგომის დღესასწაული წელიწადის სხვადასხვა დღეს უწევს და ამიტომ მოძრავი, ცვალებადი ხასიათი აქვს. რამდენადაც საეკლესიო კალენდრის ბევრი მოვლენა (დიდი მარხვა, სული წმინდის გარდამოსვლა მოციქულებზე და სხვ.) აღინიშნებოდა აღდგომასთან მიმართებით, შეიქმნა მოძრავი დღესასწაულების განსაკუთრებული რიგი, რომელთაც ყოველწლიურად სხვადასხვა დღეს აღნიშნავდნენ.

რაც არ უნდა წინააღმდეგობრივი ყოფილიყო საეკლესიო კალენდრის სისტემა, მან გაურკვეველი და მერყევი ბუნებრივი ჟამთაღრიცხვებისაგან განსხვავებით შექმნა მკაცრი სისტემა წელიწადის დანაწევრებისა, განმტკიცებული ღვთისმსახურების განსაკუთრებული ფორმებით, ამა თუ იმ დღესასწაულისათვის დამახასიათებელი ცერემონიებითა და წეს-ჩვეულებებით. შობას, აღდგომას თუ ჩვეულებრივ უქმე დღეს თავისებური რიტუალი ახლდა, რაც ღრმად აღიბეჭდებოდა და ფესვს იდგამდა საზოგადოებრივ მახსოვრობაში. ამგვარად, ეკლესია არა მარტო დღე-ღამეზე ბატონობდა, ანაწევრებდა რა მას თავისი სამრეკლოების ზარების რეკვით, არამედ მის მიერ ორგანიზებული და სისტემატიზირებული წელიწადის დროებზედაც.

დროის, როგორც ბუნებრივი, ისე საეკლესიო გამოთვლა, ერთი თავისებურებით — ციკლურობით გამოირჩეოდა. ფენომენთა გამეორება ორივესთვის ბუნებრივი და აუცილებელი პირობა იყო, ისევე, როგორც ზამთარს აუცილებლად გაზაფხული უნდა მოჰყოლოდა, როგორც მეზვრე-სექტემბერს მეკასრეაგვისტო უნდა შეეცვალა, ასევე, ლიტურგიით განმტკიცებული წმინდა ისტორიის, ქრისტიანული მითის უმთავრესი მოვლენებიც ყოველწლიურად მკაცრი აუცილებლობით იმეორებდნენ საკუთარ თავს: ქრისტეს შობა იყო ეს, ნათლის ღება, იერუსალიმს შესვლა, ლაზარეს გაცოცხლება, ჯვარცმა, აღდგომა თუ გა-

მოცხადება ქრისტესი. შუა საუკუნეობრივი დრო განუწყვეტლივ მეორდებოდა. წელსაც იგივე იყო, რაც შარშან, ყოველ შემთხვევაში, თავისი მითოლოგიურ-ლიტურგიული არსით მაინც.

თავისი თავის განუწყვეტლივ განმეორებადი დროის ამგვარ კონცეფციას „დროისა და მარადისობის" დაპირისპირება განამტკიცებდა, რაც მეტად ტიპიური გახლდათ შუა საუკუნეებისათვის. შუასაუკუნეობრივი რწმენის მიხედვით, მარადისობა ცხოვრების თავსა და ბოლოში არსებობდა, უფრო სწორად, ცხოვრების დაწყებამდე და მისი დამთავრების შემდეგ. დრო წარმოისახებოდა შუალედად (ეთიკური გაგებით, მეტად მცირე და უმნიშვნელო შუალედად) სამყაროს შექმნასა და აღსასრულს შორის, განკითხვის დღემდე, როდესაც ყოველ ადამიანს მისი საქმეებისა და დამსახურებისამებრ მიეზღებოდა.

შუა საუკუნეების ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის თომა აქვინელის (1225—1274) მოძღვრების მიხედვით, ყოველი სუბსტანცია, შექმნის მერე, დროშიაც არსებობდა და დროის ფარგლებს გარეთაც.

ნებისმიერი მოძრავი (არამარადიული) ობიექტი ერთდროულად შეიძლება განხილული იქნას როგორც სუბსტანციაც და როგორც მოძრავი სხეულიც; როგორც სუბსტანცია, ის მარადისობას განეკუთვნება და დროს არ ექვემდებარება, მაგრამ, როგორც მოძრავი სხეული — დროით განიზომება. მარადისობისაგან განსხვავებით, დროს ობიექტური რეალობა არ გააჩნია: წარსული აღარ არსებობს, მომავალი ჯერ არ დამდგარა, აწმყო კი ხანმოკლეა. დრო ფსიქოლოგიურ კატეგორიადღა რჩება: ის არსებობს ჩვენს სულში, ჩვენს ხსოვნაში. შუა საუკუნეების ადამიანის წარმოდგენებზე დროისა და მარადისობის ამგვარი დაპირისპირება ბატონობდა, რაც აიძულებდა მას, დაენახა მიწიერი ყოფის წარმავლობა და ზონების თვალი უხრწნელი მარადისობისაკენ მიეპყრო, უგულვებელეყო მიწიერი დრო და განუწყვეტლივ საიქიო კეთილდღეობაზე ეზრუნა. რა თქმა უნდა, ეს ცხოვრების ყაიდის იდეალი იყო, რომელიც, მართალია, პრაქტიკას შორდებოდა, მაგრამ არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა პრაქტიკაზე.

ამასთანავე, ციკლური დროის კონცეფცია თავად ქრისტიანულ მოძღვრებაშიც აწყდებოდა წინააღმდეგობას. საეკლესიო სწავლების მიხედვით, დრო თავის თავს იმეორებდა, აწმყო იგივე წარსული იყო, მაგრამ, ამასთანავე, დროს თურმე ხაზობრიობაც ახასიათებდა, წინ მიისწრაფვოდა, რამეთუ, ქრისტიანობა ისტორიას თეოლოგიურად გაიაზრებდა. კაცობრიობის გზა ადამის ცოდვით იწყებოდა და, გაიელიდა რა ღვთის შვილის ქრისტეს განკაცებას, განკითხვის დღისკენ მიემართებოდა.

ციკლური და ხაზოვანი — აი როგორია ბუნებრივ დროზე ამაღლებული

შუა საუკუნეების საეკლესიო დრო, რომელიც ემთხვეოდა და არც ემთხვეოდა ბუნებრივ დროს, მაგრამ მაინც დროის აღრიცხვის ერთადერთი ორგანიზებული ფორმა იყო მეთოთხმეტე საუკუნემდე, ვიდრე, მექანიკურ საათებთან ერთად, დროის გააზრების ახალი სისტემაც გაჩნდებოდა, არსებითად, ბიურგერობის მიერ დანერგილი. ამ ახალ სისტემას, ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი სახით, მაგრამ უკვე ახლავს დროის თანამედროვე გაგებისათვის სპეციფიკური კომპონენტები: დრო მისთვის უკვე ბუნებრივი მოვლენებისაგან დამოუკიდებელი სუბსტანციაა, მას უკვე ესმის დროის მნიშვნელობა, უკვე წვდება მის უწყვეტსა და წარმავალ ბუნებას.



ბოის ანთროპომორფული გამოსახულება: წარმოშობა და ზრდა. მინიატურა. XI ს.

შუა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანი, ისევე, როგორც დროს, გარემომცველ სამყაროსაც რაღაც ორბუნებოვან, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ მთლიანობაში აღიქვამდა. ერთი მხრივ, ეს იყო ადამიანთან მჭიდროდ დაკავშირებული, მისთვის ახლობელი და გასაგები ორგანული სამყარო; მეორე მხრივ, კი ღვთის მიერ შექმნილი და მოწესრიგებული კოსმოსი, ადამიანისათვის პრინციპულად გაუგებარ ნებას დაქვემდებარებული. მუდმივად სოფელში მცხოვრები გლეხი იშვიათად თუ გადიოდა მის ფარგლებს გარეთ, ის აღიქვამდა მიწას, როგორც სისხლისმიერ საკუთრებას. მისთვის მიწა უბრალოდ სახნავის, საძოვრის, ვენახის ან ბაღის გარკვეული ფართობი კი არ იყო, არამედ ოჯახის და, საერთოდ, ადამიანის ცხოვრების თანაზიარი. მაშინდელი თქმულებები და გადმოცემები მოგვითხრობენ მთელ თაობებზე, მიწის ერთსა და იმავე ნაკვეთს რომ ფლობდნენ და ერთსა და იმავე ნაკვეთზე შრომობდნენ. მიწა ადამიანით იზომებოდა: ნაბიჯების რაოდენობით, ან ნაკვეთის დამუშავებაზე დახარჯული დროის მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რამდენის მოხვნა შეიძლებოდა ერთი





ღვთისმეტყველთა წარმოდგენები სამყაროს შესახებ. მინიატურები. XII ს.

დღის განმავლობაში. შუა საუკუნეებისდროინდელ აღწერებში ზოგჯერ დეტალურადაა მითითებული ნადელის ზომები და დასახელებულია მისი ბუნებრივი საზღვრები (ქვა, ნაკადული, ხე, გზა, ბილიკი თუ ბუჩქი), მაგრამ, მიწის ამგვარი საზომები, დროის მაშინდელი საზომების მსგავსად, არც სიზუსტით გამოირჩეოდა და არც საყოველთაო მნიშვნელობით.

ადამიანის მჭიდრო კავშირი მიწის ნაკვეთთან, მისი მეშვეობით კი საერთოდ ბუნებასთან, ადამიანისა და ბუნების ორგანული ერთიანობის შეგრძნება (რაც ჯერ კიდევ პირველყოფილი შეგნებისთვისაა დამახასიათებელი), გამოხატულებას პოულობდა „გროტესკული სხეულის“ ფანტასტიკურ ხატებაში, როცა ადამიანები ბუნებისაგან გაუთიშავად იყვნენ წარმოდგენილნი: ხან როგორც ადამიანი-ძხეცის, ხან როგორც ადამიანი-მცენარისა და ხანაც, ანთროპომორფული მთის სახით. ადამიანისა და ბუნების ორგანული კავშირის ამ პირველყოფილ კონცეფციას უპირისპირდებოდა ეკლესიის მოძღვრება, რომლის თანახმადაც,

მიწიერი სამყარო ცის უარყოფაა და ის მხოლოდ დროებითი სატანჯველია კაცობრიობისათვის. ცაც და მიწაც ისევე უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, როგორც დრო და მარადისობა და ამიტომაც ადამიანის ამოცანას (ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით) მიწისაგან მოწყვეტა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებასთან ორგანული კავშირის დაძლევა შეადგენდა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ეკლესიის მოძღვრება მიწიერი სამყაროს შესახებ არათანამიმდევრული და წინააღმდეგობრივია: მიწიერი უპირისპირდება ციურს (ღვთაებრივს), მაგრამ, ამავე დროს, მიწიერი სამყარო ღმერთის შექმნილია; ამდენად, ყოველივე ღვთის მიერ შექმნილი. თავისებურად ღვთაებრივი და სრულქმნილიცაა. და, თითქოს უბრუნდება რა (სხვა განზომილებაში) მის მიერ უარყოფილ ადამიანისა და ბუნების ერთიანობას, ქრისტიანული ღვთისმეტყველება სამყაროს მაკროკოსმოსის ანალოგიით ქმნის ადამიანის, როგორც მიკროკოსმოსის კონცეფციას. ღვთისმეტყველება თვლიდა, რომ ადამიანი, ისევე როგორც სამყარო, ოთხი ელემენტისაგან შედგებოდა: სხეული — მიწისგან, სისხლი — წყლისგან, სუნთქვა — ჰაერისგან, ხოლო სითბო — ცეცხლისაგან. მეთორმეტე საუკუნის ღვთისმეტყველი ჰონორიუს ავგუსტოდუნელი ქმნილებათა ერთობლიობას ხუთ კატეგორიად ყოფდა. ესენი იყვნენ: სხეულის, ფორმის მქონენი (მაგალითად, ქვები), სიცოცხლით დაჯილდოებულნი (მცენარეები), მგრძნობიარენი (ცხოველები), გონიერნი (ადამიანები) და ბოლოს, ინტელექტუალურნი, ანუ ციურნი (ანგელოსები). მართალია, ადამიანს გარკვეული ადგილი უჭირავს ამ იერარქიაში, მაგრამ, ჰონორიუსის მოძღვრების თანახმად, ხუთივე ნიშან-თვისების მატარებელია; მას სხეულიც გააჩნია და სულისა და მეხსიერების წყალობით ციურ არსებებთანაც ამყარებს კავშირს.

ადამიანი ღვთის ხატია და მხოლოდ ღმერთი დგას მასზე მაღლა; ადამიანი უფრო მეტის მფლობელია, ვიდრე ანგელოსი, რამეთუ, ანგელოსს არც შეგრძნება მოეპოვება და არც სხეული.

მინიატურა, რომელიც ჰონორიუსის „ბუნების გასაღების“ ხელნაწერშია შემონახული, მეთორმეტე საუკუნის მეცნიერულ-ღვთისმეტყველურ წარმოდგენას გვაცნობს სამყაროს სურათის შესახებ. მინიატურა ოთხი იარუსისაგან შედგება. ზედა იარუსის თაღი, სიმბოლურად, საეკლესიო გუმბათს გამოხატავს; ჩვენ, თითქოს კოსმიურ ღვთისმსახურებას, მსოფლიო ლიტურგიას ვესწრებით. თაღში რვა ფიგურაა განლაგებული: შუაში გამოსახულია სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი პირტიტველი მამაკაცი, შვიდი ქალწულით გარემოცული. გუმბათზე არსებული წარწერები ამ გამოსახულების სიმბოლიკას ხსნიან: სამეფო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი იგივე ღმერთია, შეუცნობელი, ადამიანის თვალისათვის უხილავი, მაგრამ, მისივე თვისებების გამო,

თეოფანიის ჟამს, უმაღლეს სიკეთედ (Bonitas) წარმოდგენილი; ხოლო შეიდი ქალწული, „შვიდი ღვთაებრივი სახელია", ჯერ კიდევ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მიერ (დაახლოებით 500 წელს) ჩამოთვლილი: სამართლიანობა, სიქველე, გონიერება, ჭეშმარიტება, არსობა, ცხოვრება, სიბრძნე, რომელთა ერთობლიობასაც პირველმიზეზთა სახელი ეწოდა. მეორე იარუსის შუაგულში, მედალიონზე, უცნაური ურჩხული, „materia informis" — „უფორმო მატერია" — დაცურავს. ეს ჯერ კიდევ შეუქმნელი მიწაა, ქაოსი, რომელსაც არც გრძნობა გააჩნია, არც სახე; მან უნდა მოიპოვოს სახეცა და ფერიც. შეუქმნელი მატერიის ორსავე მხარეს, ასევე მედალიონებზე, კეთილშობილი გარეგნობის მოხუცი და ახალგაზრდა ქალიშვილია გამოსახული. ეს სინამდვილის მომწესრიგებელი ორი კატეგორიაა — დრო და ადგილი (სივრცე). ჰონორიუსი დროს „მოძრავი" საგნების ზუსტ საზომად მიიჩნევს, ადგილს კი ნებისმიერი საგნის ბუნებრივ საზღვრად, საგნის არსობის საზომად, განსაზღვრული ბუნების ზღუდედ. დროსა და სივრცეს სხეული არ გააჩნიათ, მაგრამ იქამდე არსებობენ ღმერთთან, ვიდრე კონკრეტულ დროდ ან კონკრატულ სივრცედ იქცევიან. მესამე იარუსი — ეს უკვე ორგანიზებული მატერიაა, როგორც წარწერა გვაუწყებს — „შექმნილი და შექმნის უნარს მოკლებული ბუნება". მხატვარს პლატონური (და არა ბიბლიური) წარმოდგენების შესაბამისად დემიურგის მიერ შექმნილ არსებათა ოთხი ჯგუფი დაუხატავს: ზეცის ბინადარნი (პლატონისეული ვარსკვლავები აქ ანგელოსებად ქცეულან), ფრთოსნები, წყლის ცხოველები და ხმელეთის მოსახლეობა. ქვედა იარუსის აზრი ერთადერთი სიტყვითაა გადმოცემული: Finis (დასასრული). აქ მთელი კოსმოსი გაიგივებულია სამების მეორე წევრის, ღვთის ძის, იესო ქრისტეს გამოსახულებასთან, ვისაც ბიბლია ალფას და ომეგას, ყველაფრის თავსა და ბოლოს უწოდებს. ჰონორიუსის ტრაქტატის შინაარსსაც და მინიატურისტის მიერ შექმნილ სახეებსაც სამყაროს სურათის საეკლესიო კონცეფცია განაპირობებს: ეს სამყარო ძირითადი საღვთისმეტყველო ცნებების ჩარჩოებშია მოქცეული — სამყაროს შექმნიდან ქრისტეს განკაცებამდე. მაგრამ ეს მოდელი მითოლოგიის სფეროს 'განეკუთვნება. სინამდვილეში შუა საუკუნეების დროინდელი ადამიანი ჰონორიუსისეულ კოსმოსში კი არ ცხოვრობს, არამედ თავის ჰატარა სამყაროშია ჩაკეტილი და სწორედ ამ სამყაროსთანაა უშუალოდ, ყოველდღიურად დაკავშირებული.

შუა საუკუნეების ადამიანის რეალური სამყარო გაორებულია: „საკუთარს" „უცხო", „შორეული" უპირისპირდება. სწორედ ამ გაორების გამოხატულებაა დამუშავებული მიწისა და ტყის დაპირისპირება. შუა საუკუნეების დროინდელი ადამიანის სამყარო, ყოველი მხრიდან ტყის თვალუწვდენელი — დამუშავებული

მიწის ვიწრო ზოლებით მხოლოდ აქა-იქ გადაკვეთილი — მასივებით იყო შემოსაზღვრული და საკმაოდ დიდხანს სამეურნეო პროგრესი, ლამის, ხეების ამოძირკვისა და ტყისათვის გამოგლეჯილი მიწის დამუშავებამდე დადიოდა. სოფლებს ერთმანეთისაგან უღრანი ტყეები ჰყოფდა; გლეხის ეზო ხშირად კარსმომდგარ ტყეში იყო ჩაკარგული, „საარვისო მიწა“ ჯიუტად იჭრებოდა გლეხთა თემისა თუ სენიორის სამფლობელოში. ტყე იყო ყველა იმ საფრთხის და შიშის ბუდე, კარჩაკეტილად მცხოვრებ ადამიანს რომ ემუქრებოდა. ტყე სავსეა ათასნაირი ნადირით, რომლებიც შინაურ ცხოველებსა და ნათესებს აჩანაგებენ. ტყეში იმალებიან ყაჩაღები, შიშის ზარს რომ სცემენ მგზავრებს; უსიერ ტევრებში ასახლებდა მაშინდელი ადამიანის წარმოდგენა ჯადოქრებს, ურჩხულებსა თუ ალქაჯებს. ტყე ცივილიზაციისა და, საერთოდ, ცხოერების უარყოფას განასახიერებდა, ამიტომ ისინიც, ვინც ცივილიზაციას გაურბოდნენ, ტყეს აფარებდნენ თავს. წმინდანის მგელთან ბრძოლა, ანდა განდეგილის მიერ გარეული ცხოველის მოთვინიერება იმ დროისათვის ის ტიპიური ჰაგიოგრაფიული სიუჟეტებია, რომელთაც ადამიანის შეგნებაში ზებუნებრივ სამხეცეზე ზებუნებრივი სიწმინდის აღზევება უნდა გამოეხატათ. მაგრამ, ამასთანავე, ტყე ის ადგილი იყო, სადაც ნადირობდნენ, თაფლს აროვებდნენ, ნახშირს წვავდნენ თუ საქონელს აძოვებდნენ.

ერთი შეხედვით, შუა საუკუნეებში მცხოვრებ ადამიანს სახლში ჯდომას არაფერი ურჩევნია. Stabilitas loci (უცვლელობა სივრცეში) — ბერების ეს იდეალი სამონასტრო ეთიკის ფარგლებს გასცდა. მაწანწალები და მომთაბარენი ანტისოციალურ ელემენტებად ითვლებოდნენ. ადამიანს უნდა ეცხოვრა იქ, სადაც დაიბადა. თუმცა, სინამდვილეში, შუა საუკუნეები „მოძრავიც“ იყო და „უძრავიც“. დაქირავებული ჯარისკაცები და ვაჭრები, ხელოსნები და პილიგრიმები, ბერები, შიმშილსა თუ სენიორის სისასტიკეს გამოქცეული გლეხები — მთელი ეს ჭრელი საზოგადოება განუწყვეტლივ არღვევდა Stabilitas loci-ს და ძლევდა სივრცესაც და საკუთარ შიშსაც მის წინაშე. ამ მხრივ, მაშინდელი ინტელექტუალებისათვის ნიშანდობლივია შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერის, ანსელმის (1033—1109) ცხოვრების გზა. ის ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ აოსტაში დაიბადა და გაიზარდა, შემდეგ, გადალახა რა ალპები, ნორმანდიაში ჩავიდა სასწავლებლად, ხოლო სიცოცხლე ინგლისში დაასრულა, როგორც კენტერბერის არქიეპისკოპოსმა. შუა საუკუნეების ღვთისმსახურებისა და მეცნიერების საერთო ენა — ლათინური — აადვილებდა ღვთისმეტყველთა და სასულიერო პირთა ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლას, ისევე, როგორც გაბატონებული კლასის წეს-ჩვეულებათა ერთიანობა ხელს უწყობდა რაინდს, ერთი ფეოდალის კარიდან მეორე ფეოდალის კარზე გადასულიყო.

იმხანად, რაღა თქმა უნდა, ამგვარ გადაადგილებას ძალიან დიდხანს უნდებოდნენ. დღე-ღამეში მხოლოდ რამდენიმე ათეული კილომეტრის გავლას ახერხებდნენ. მაგალითად, ნეაპოლიდან ფლორენციაში ჩასვლას თერთმეტი-თორმეტი დღე სჭირდებოდა. ნელა მგზავრობდნენ, არა მარტო იმიტომ, შუასაუკუნეობრიობა დროს რომ არ უფრთხილდებოდა მაინცდამაინც, არამედ იმიტომაც, რომ სატრანსპორტო საშუალებანი არ უვარგოდათ.



მგზავრობის სიძნელენი. მინიატურა. XIII ს.

აქა-იქ კიდევ არსებობდა რომაელთა მიერ გაყვანილი მოკირწყლული და, უპირველესად ყოვლისა, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი გზები, მაგრამ იმის თქმა, თუ როგორ გამოიყურებოდა ეს გზები შუა საუკუნეებში, ძნელია. ხშირად, ახლომახლო მცხოვრები მიწათმოქმედები ამ გზების ქვაფენილს საკუთარი სახლების მშენებლობისათვის იყენებდნენ. ჯერ კიდევ კარლოს დიდი, შემთხვევიდან-შემთხვევამდე ბრძანებდა, დაესუფთავებინათ და მოეკირწყლათ გზები, მაგრამ, ეტყობა, ეს ბრძანებები მაშინ გაიცემოდა ხოლმე, როცა იმპერატორი სადმე გამგზავრებას დააპირებდა. ჩვეულებრივი გზები იმდენად ვიწრო იყო, ორი ურემი ვერ აუქცევდა ერთმანეთს გვერდს. მეცამეტე საუკუნეში კანონიც კი არსებობდა იმის შესახებ, რომ ცარიელ ურემს სავსესათვის გზა უნდა დაეთმო. ორ ურემს ერთმანეთისათვის თავისუფლად გვერდის ავლა მხოლოდ საფრანგეთში, ე. წ. „სამეფო გზებზე“ შეეძლო. იდეალურად ითვლებოდა ის გზა, სამი ცხენი გვერდიგვერდ თუ გაივლიდა ერთდროულად, ან, როგორც მაშინ ამბობდნენ, „პატარძალს ისე ჩაატარებდნენ, კაბის კალთით მიცვალებულის კუბოს არ გამოსდებოდა“. კაცმა რომ თქვას, ეს გზები სხვა

საგზაო სამუშაოები, ხიდის შეკეთება.
XV ს-ის მინიატურიდან.
ქვის ხიდის მშენებლობა. XV ს-ის მინიატურიდან.

არაფერი იყო, თუ არა მინდორსა და ტყეში გაკვალული ბილიკები. თანაც, ამ ბილიკებით სარგებლობა მხოლოდ კარგ ამინდში შეიძლებოდა; ზამთარში, ან თუნდაც წვიმის დროს, ისინი სრულიად გაუვალნი ხდებოდნენ. შედარებით უკეთესი გზებით საფრანგეთი გამოირჩეოდა, რადგან აქ მეფეცა და მონასტრებიც მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს მათ მშენებლობასაც და მოვლა-პატრონობასაც. ამ გზების ნაწილი უკვე მეთერთმეტე საუკუნის დასასრულისათვის ყოფილა მოკირწყლული.

ამ დროისათვის დიდ მდინარეებზე გადებული რომაული ხიდები უკვე დანგრეული იყო, ახლების მშენებლობას კი ჯერ მხოლოდ იწყებდნენ. კარლოს დიდის დროს დუნაიზე ააგეს პონტონებიანი ხიდი, თუმცა, პრაქტიკულად, ამ ხიდით არც სარგებლობდნენ. მაინცის მახლობლად დღესაცაა შემორჩენილი ქვის ხარები, ნაშთი რომაელთა მიერ აგებული ხიდისა, რომლებიც შემდეგაც გამოუყენებიათ ხის ხიდის მშენებლობისას; 813 წელს ეს ხიდიც დაუწვავთ. საინტერესოა ხიდის დაწვის მიზეზები, რომლებიც შუა საუკუნეების ჟამთააღმწერლებს მოჰყავთ. ერთ-ერთი ცნობით, ხიდი ქალაქის მცხოვრებლებს დაუწვავთ. თავდაცვის მიზნით, რათა მძარცველებს გასჭირვებოდათ მდინარის გადალახვა. სხვა ვერსია ხიდის დაწვას მებორნეებს აბრალებს: თითქოს ხიდი მათ მდინარეზე გადასაყვანი ქირის გასაზრდელად დაუწვავთ. ასეა თუ ისე, ხი-

დი დიდხანს აღარ აღუდგენიათ. მეთორმეტე საუკუნიდან გარკვეული მნიშვნელობა ეძლევა ხიდების მშენებლობას. 1135—1146 წლებში დუნაიზე, რეგენსბურგის მახლობლად ქვის ხიდი აუგიათ, რომელიც თექვსმეტი მალისაგან შედგებოდა. ხოლო 1225 წელს რაინზე, ბაზელის მახლობლად აგებული ხიდი ჯერ ისევ ხისა ყოფილა. უფრო ხშირად ხიდებს პატარა მდინარეებზე აგებდნენ, თანაც ძირითადად ხისგან; მაგრამ ამგვარი ხიდები იმდენად არასაიმედო იყო, მათზე ურმები ვერ გადიოდნენ. შედარებით მაღალ დონეზე იდგა ქვის ხიდების მშენებლობა ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც, ეტყობა, კიდევ შემორჩენილიყო რომაული ტრადიცია.

პირუტყვის შებმის რომაული სისტემა მეტად პრიმიტიული იყო; ხარებს პირდაპირ რქებზე, ხოლო ცხენებს კისერზე აბამდნენ ღვედს. გამოთვლილია, რომ ასეთ დროს პირუტყვს შეეძლო გაეწია არა უმეტეს სამოცდაორი კილოგრამისა (ე. ი. ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე დღეს). ამგვარად შებმულ პირუტყვს მძიმე გუთნის გატანაც უჭირდა და დატვირთული ურმის დაძვრაც. სწორედ ადრეულ შუა საუკუნეებს ემთხვევა მუშა საქონლის აღკაზმულობის მთელი რიგი გაუმჯობესებანი, უპირველეს ყოვლისა, გავრცელდა რკინის ნალი: რომაელები ცხენებისა და აქლემებისათვის ხმარობდნენ ლითონის ნალებს, ან ტყავისა და ჩალის ამოსაკრავებს, ისიც განსაკუთრებულ შემთხვევაში. ხოლო იმ ნალმა, რომლითაც დღეს ჭედავენ ცხენს და რომელიც ჯერ კიდევ რომის იმპერიის ჩრდილოეთ პროვინციებში გაჩნდა, საყოველთაო გავრცელება, ეტყობა, მხოლოდ მეათე საუკუნეში ჰპოვა. ნალი არა მარტო დაზიანებისა და გაცვეთისაგან იცავდა ფლოქვებს, არამედ ცხენს მძიმე ტვირთის გადატანასაც უადვილებდა; დაჭედილი ცხენი უფრო მყარად იდგა მიწაზე.

დეზი ანტიკური გამოგონებაა, მაგრამ, აი, უზანგი კი მხოლოდ მერვე საუკუნის გარიჟრაჟზე ჩნდება დასავლეთ ევროპაში, ალბათ, აღმოსავლელი მომთაბარე ტომების გავლენით. უზანგების გამოყენებამ მცირე როლი როდი ითამაშა სამხედრო საქმის გადახალისებისა და მძიმედ შეიარაღებული რაინდების კავალერიის შექმნაში, მაგრამ, ამასთან ერთად, დიდად შეუწყო ხელი სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებასაც.

მეცხრე საუკუნის დასაწყისში გამოიგონეს ცალული; ამ დროსვე იწყება ხელნას გავრცელებაც, რომელსაც, მართალია, რომაელებიც იცნობდნენ, მაგრამ, მაინცდამაინც არ იყენებდნენ. ამ სიახლეთა დანერგვამ (განსაკუთრებით მეთორმეტე საუკუნიდან) შესაძლებელი გახადა უფრო დიდი ტვირთის გადატანა და სათავე დაუდო, სწორედ მეთორმეტე საუკუნეში, გზების გაცხოველებულ მოკირწყვლასაც.

შუა საუკუნეებში ორთვლიანი ან ოთხთვლიანი ურმებით სარგებლობდნენ.

საქონლის შებმის ძველებური ხერხი. XI ს-ის მინიატურიდან.

ურმის ბორბლებს მანები ჰქონდა, ბორბლის რკალი რამდენიმე პატარ-პატარა ნაწილისაგან შედგებოდა და თითოეული ეს ნაწილი ერთ მანას უკავშირდებოდა. ზოგჯერ ბორბალს ზემოდან რკინის სალტესაც აკრავდნენ, თუმცა ზოგიერთ ქალაქში ეს იკრძალებოდა, რადგან რკინის სალტე ქვაფენილს აფუჭებდა. ურმის ძირითად ნაწილს ორი გრძელი ღერძი შეადგენდა, რომლებზედაც გარდიგარდმო ფიცრებს დებღნენ. ღერძებზე მჭიდროდ ამაგრებდნენ ხელნას, მისი თავი კი ცალუღს უერთდებოდა. მჭიდროდ დამაგრებული ხელნა ურმის მობრუნებას ართულებდა. ცხენებს ურემში რამდენიმე რიგად აბამდნენ, რასაც გზების სივიწროვე განაპირობებდა; მეწინავე ცხენები მოქნილი ჭაპანით — ღვედით ან თოკით იყვნენ გადაბმულნი. ურმის გვერდებს ან ტირიფის წნელისგან წნავდნენ, ანდა ფიცრავდნენ. შორეული მგზავრობისათვის ჩარდახიან ურმებსაც იყენებდნენ.

სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას არა მარტო ცუდი გზები და ხიდების სიმცირე აფერხებდა, რაც, თავის მხრივ, შუა საუკუნეობრივი კომუნიკაციების სისუსტის მაჩვენებელი იყო, არამედ, თავად შუა საუკუნეების სოციალური პირობები, რომლებსაც შემოღებული გაცვლა-გამოცვლა აჩენდა, თავის მხრივ ხელს უშლიდნენ ამ ურთიერთობების მოგვარებას. საქმე მარტო ის არაა, რომ ვთქვათ, ტყეები ყაჩაღებით იყო საესე, ხშირად მისვლა-მოსვლას თვით ფეოდალთა მიერ მოუწესრიგებელი კანონები აღუდგებოდნენ ხოლმე წინ. უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვანი საბაჟოები საქონლის გადატანასაც აძვირებდნენ და, საერთოდ, მიმოსვლასაც ამუხრუჭებდნენ. საბაჟოების სიმრავლით განსაკუთრებით გერმანია გამოირჩეოდა. მდინარე რაინზე, ბაზელსა

და როტერდამს შორის, ყოველ ათ კილომეტრში საბაჟო იყო განლაგებული; ელბაზე, პრაღასა და ჰამბურგს შორის — ყოველ თოთხმეტ კილომეტრში, ხოლო დუნაიზე, ულმსა და პასაუს შორის — ყოველი თხუთმეტი კილომეტრის შემდეგ. ვაჭრები ბაზრობებზე სენიორთა მიერ წინასწარ დადგენილი გზით უნდა გამგზავრებულიყვნენ. ეს, რა თქმა უნდა, იმიტომ კი არ ხდებოდა, სენიორთა დადგენილი გზები უფრო მოსახერხებელი ან იოლად სავალი რომ იყო, უბრალოდ, ფეოდალები და ბაჟის ამკრეფნი ასე უფრო მეტ გამორჩენას ნახულობდნენ. სავალდებულო გზა ხშირად ორჯერ და სამჯერ გრძელიც აღმოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ უფრო მოკლე და კეთილმოწყობილი გზით მგზავრობას კანონი კრძალავდა. ფეოდალის ციხე-დარბაზის კოშკებიდან, მთელ ოლქს რომ გადასცქეროდნენ, ადვილი სათვალთვალო იყო ვაჭართა ქარავნები. სენიორები გამცილებლების, მგზავრების დასაცავად გამოყოფილი მხედრების სასყიდელსაც იღებდნენ, თუმცა, ხშირად, ამგვარი „დაცვა" მხოლოდ სასყიდელის მიღებითა და ხელშეუხებლობის სიგელის გაცემით ამოიწურებოდა, რადგან ამგვარი სიგელები ყოველთვის როდი იცავდნენ მგზავრებს ხიფათისაგან (ყოველ შემთხვევაში, მძარცველებისა და ომში მიმავალი ჯარის ნაწილებისაგან მაინც).

ფეოდალური კანონმდებლობა კარნახობდა მგზავრს, რა გზით ევლო, სად ჩამომხდარიყო გზადაგზა: რომელ ფუნდუკში, რომელ სამჭედლოში, რომელ მეუნაგირესთან. ხშირად ასეთი ჩამოხდომები სავალდებულოდაც ცხადდებოდა ხოლმე; ჩვეულება განსაზღვრავდა, რა რაოდენობით მოემარაგებინათ მგზავრებს ესა თუ ის საჭირო ნივთი ყოველი შეჩერების დროს. განსაკუთრებული კანონის საფუძველზე, ურმის გადაბრუნებისა თუ პირუტყვის დავარდნისას, რაც კი მიწაზე დაიყრებოდა, ამ მიწის მფლობელის საკუთრება ხდებოდა.

მოდით, ახლა შუა საუკუნეების დროინდელ მოგზაურთან, ბერ რიშერთან ერთად გავუდგეთ გზას; რიშერმა 991 წელს რეიმსიდან შარტრამდე იმოგზაურა და საინტერესო მოგონებანი დაგვიტოვა ამ მოგზაურობის შესახებ. ის საეჭვო მიზნით არ მოგზაურობდა; რიშერს შარტრში დაცული ჰიპოკრატეს ხელნაწერი აინტერესებდა და მის მგზავრობასაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამეცნიერო ხასიათი ჰქონდა. რიშერი ძალიან მსუბუქად გასდგომია გზას; მისივე სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, არც ფული წაულია თან და არც მეორე ხელი ტანისამოსი. ორად ორი თანამგზავრი ახლდა. გზად სტუმართმოყვარეობით განთქმულ ორბეს მონასტერში შეჩერებულა. იმ ეპოქაში, როცა მეფუნდუკესა და ყაჩაღს შორის თითქმის წაშლილი იყო ზღვარი, მონასტერი ყველაზე საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულეს ალპებში არსებულმა მონასტრებმა, რომლებიც იტალიისა და ცენტრალური ევროპის დამაკავშირებელ უღელტეხილებზე გადასვლას უზრუნველყოფდნენ. რიშერმა და

მისმა თანამგზავრებმა ღამე ორბეში გაათიეს და დილით მოსაკენ გაემართნენ, მაგრამ ტყეში გზა დაებნათ და იძულებულნი გახდნენ, ზედმეტი ექვსი ლიე გაევლოთ. ეს იმ დროისათვის საკმაოდ ჩვეულებრივი ამბავი იყო. გზააბნეულებს გაუწვიმდათ და, სხვა სიკეთესთან ერთად, მათი მებარგული ცხენი, თავიდან ბუცეფალივით გამძლე რომ ჩანდა, მოულოდნელად ვირივით გაოჩნდა და, ბოლოს, საერთოდ დავარდა კიდეც. გასავათებული, მგზავრობის სიძნელეებს მიუჩეველი მსახური პირდაპირ შიშველ მიწაზე მიეგდო დასაძინებლად. რიშერმა დაასწავლა მსახურს, რა ეპასუხა გამვლელ-გამომვლელთა შეკითხვებზე და გამოსაძინებლად დატოვა, თვითონ კი მეორე თანამგზავრის, შარტრელი რაინდის თანხლებით, როგორც იქნა, მოს მიაღწია. მაგრამ იქამდე, მდინარეზე, ხიდი თითქმის აყრილი დაუხვდა; რაკი ნავი ვერსად იშოვა, იძულებული გახდა ისევ ხიდით ესარგებლა. რის ვაივაგლახით გავიდნენ მეორე ნაპირზე ცხენებიანად. ცხენებს ფეხქვეშ ხან ფიცარს უნაცვლებდნენ, ხან — რაინდის ფარს. მხოლოდ შებინდებისას მიადგნენ წმინდა ფარონის ეკლესიას და იქ შეაფარეს თავი („ძმასავით მიმიღესო", — წერს რიშერი). შემდეგ შარტრელი რაინდი მსახურის მოსაძებნად გაბრუნდა. რაინდმა და მსახურმა სადღაც, ქოხში გაათიეს ღამე და, მთელი დღის მშიერები, ქალაქში დაეწივნენ რიშერს. რიშერმა უცხენოდ დარჩენილი მსახური ერთ აბატს ჩააბარა მოში, თავად კი შარტრისაკენ გასწია.

ასე ხატოვნად აღიქვამდა მეათე საუკუნის ადამიანი იმ სირთულეებს, რომლებიც მოკლე და შედარებით იოლი მგზავრობისას შეიძლება შეხვედროდა. რიშერმა და მისმა თანამგზავრებმა მხოლოდ ორი ღამე გაათიეს გზაში, ისიც, სტუმართმოყვარე სავანეებში, არც რაიმე განსაკუთრებული გადახდენიათ თავს — ეგ იყო, რომ გზა დაებნათ, ცხენი დაკარგეს, წვიმაში გაილუმპნენ და ხიდზე გადასვლა გაუჭირდათ. მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც რიშერის ნაამბობში იპყრობს ყურადღებას, ის სიცარიელეა, გზებზე რომ სუფევს: ორი დღის განმავლობაში მგზავრებს არავინ შეხვედრიათ, მდინარესთან ნავი ვერ ნახეს, თითქმის დანგრეული ხიდიც, ეტყობა, დიდი ხანია ბედის ანაბარა იყო მიტოვებული.

სახმელეთო მიმოსვლის სირთულე და ხანგრძლივობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა წყლის არტერიებს. ისეთი მდინარეები, როგორებიცაა ღუნაი და რაინი, შუა საუკუნეებში მიმოსვლის საუკეთესო გზებად იქცნენ. ზღვითაც გაცილებით სწრაფად, იაფად და საიმედოდ გადაჰქონდათ ტვირთი თუ ინფორმაცია, ვიდრე სახმელეთო გზებით.

რა თქმა უნდა, უხიფათო არც საზღვაო მოგზაურობა იყო. თუ ტყეები ყაჩაღთა ბუნაგებად იყო გადაქცეული, ზღვებზე მეკობრეთა ხომალდები დათა-



კიჩოზე დაკიდული საჭის პირველი გამოსახულება. ქალაქ ელბინგის ბეჭედი. 1242 წ.

რეშობდნენ; ის კი არა, ზოგჯერ სავაჭრო თუ სამხედრო გემებიც არ თაკილობდნენ ძარცვა-გლეჯას. სანავსადგურო ბაჟიც საკმაოდ დიდი იყო. სანაპირო კანონმდებლობის თანახმად, გემის დაღუპვის შემდეგ გამორიყული ნივთები იმის საკუთრება ხდებოდა, ვის სამფლობელოშიც ნაპირი შედიოდა (თუმცა, მეთორმეტე საუკუნეში იტალიელები, ხოლო მეცამეტეში ჰანზელები, საკმაოდ წარმატებით ებრძვიან სანაპირო კანონმდებლობას, ანუ „სანაპიროს მძარცველობას", როგორც ის ვაჭრებმა მონათლეს). ზღვაოსნობა ამინდზეც იყო დამოკიდებული — ქარიშხლის შიშით ზამთრობით საერთოდ არც გადიოდნენ ზღვაში.

იმდროინდელ ხომალდებზე არა მარტო იმ იშვიათი და არაზუსტი გამოსახულებების მეშვეობით შეგვიძლია წარმოდგენის შექმნა, მინიატურებსა თუ ბეჭდებზე რომ არის შემორჩენილი, არამედ ჭაობებში ჩაფლული ვიკინგების გემებითაც. მათ გადარჩენას ნორვეგიელთა წესს უნდა ეუმადლოდეთ, რომლის მიხედვითაც ვიკინგები თავიანთ ბელადს მის საბრძოლო ხომალდთან ერთად ასაფლავებდნენ. ჰოკსტადთან და უსებერგთან ნაპოვნი, შედარებით უკეთ შემო-

ნახული ხომალდები, მეცხრე-მეათე საუკუნეებით თარიღდება, ეს ხომალდები ფაქტიურად, დიდი უგემბანო ნავებია (21—24 მ სიგრძისა); გემბანის ნაცვლად ფიცრებს ალაგებდნენ, საჭიროების შემთხვევაში იოლად რომ აეყარათ. მთლიანი, ერთი ხისგან გამოთლილი ფსკერის გამო, ეს ნავები მყარად ისხდნენ წყალში. მუხის ფიცრებისაგან შეკრულნი, სიმტკიცითაც გამოირჩეოდნენ, ხოლო ფიცრებზე გადაკრული ტყავები მათ სიმსუბუქეს სძენდა. ნავები ძირითადად ნიჩბების მეშვეობით დაცურავდნენ (ჰოკსტადთან ნაპოვნ ხომალდზე ცხრამეტი წყვილი ნიჩაბია), თუმცა, ხომალდის შუაგულში მაინც დაატანდნენ ხოლმე ღრუს დროებითი ანძისათვის. სამართავ ნიჩაბს ნავის ბოლოში, კიჩოს უკან კი არ ათავსებდნენ, არამედ კიჩოს გვერდით. ვიკინგები, ჩვეულებრივ, ნავის ცხვირსა და კიჩოს ხისგან გამოთლილი ცხოველებით ამკობდნენ. ნორმანები ასეთი ფუტურო ნავებით თამამად გადიოდნენ ატლანტის ოკეანეში და გრენლანდიისა თუ ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირებსაც აღწევდნენ. ამ ხომალდებით ვიკინგები არა მარტო საფრანგეთზე აწყობდნენ თავდასხმებს, არამედ ხმელთაშუა ზღვაშიც იჭრებოდნენ.

შუა საუკუნეების კლასიკური პერიოდის გემთმშენებლები ერთნაირად იყენებდნენ ნორმანულ და ანტიკურ ტრადიციებს. დროთა განმავლობაში, ხომალდის კორპუსი თანდათანობით მომრგვალდა, გაჩნდა გემბანი და მუდმივი ანძა, გემის ცხვირსა და კიჩოზე დაიწყეს კოშკურების აგება, რომლებზეც ჯარს განალაგებდნენ ხოლმე მტრის ხომალდთან შეტაკების დროს. ასეთი კოშკურები მეცამეტე საუკუნეში აუცილებლობადაც იქცა. ძალზე მნიშვნელოვანი სიახლე იყო სამართავი ნიჩბის საჭით შეცვლა. და, ბოლოს, ეტყობა, ბიზანტიიდან, ირიბმა იალქანმაც შემოაღწია დასავლეთში, იქამდე გავრცელებული ტილოს ოთხკუთხა ნაჭრის შესაცვლელად. ახლებური იალქანი გემს უფრო მოქნილს ხდიდა და ქარის საწინააღმდეგოდაც აადვილებდა ცურვას.

შუა საუკუნეების დროინდელი ზღვაოსნები ძირითადად ხმელეთის გასწვრივ დაცურავდნენ, თუკი, რა თქმა უნდა, საიდუმლოებით მოცულ იმ ნაოსნობებს არ ჩავთვლით, გრენლანდიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ნაპირებისაკენ რომ ეწყობოდა. რუკები არ არსებობდა, ხოლო ე. წ. პეიტინგერის ტაბულები საგზაო ნომენკლატურა იყო მხოლოდ, დასახლებულ ადგილთა უბრალო ჩამოთვლა. საზღვაო რუკა პირველად 1270 წელს, საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეცხრეს (1226—1270) საზღვაო ლაშქრობასთან დაკავშირებით იხსენიება. მეთოთხმეტე საუკუნეში მეზღვაურები უკვე რეგულარულად სარგებლობდნენ რუკებით, უფრო სწორად, სანაოსნოდ გამოსადეგი სივრცეების მაჩვენებლებით. ასტროლაბს ადრეულ შუა საუკუნეებშიც იცნობდნენ, მაგრამ მხოლოდ ასტრონომიული დაკვირვებებისათვის იყენებდნენ; ნაოვიგაციაში მისი გამოყენება გა-

ცილებით გვიან, მეთექვსმეტე საუკუნეში.დაიწყეს. რაც შეეხება კომპასს, ევროპაში ის აღმოსავლეთიდან შემოვიდა, ალბათ, არაბების წყალობით. მისი არსებობის ამბავი მეთორმეტე საუკუნეშიც იცოდნენ, მაგრამ ფართო გავრცელება კომპასმა მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნიდან ჰპოვა. შუქურები შუა საუკუნეებმა რომაული ეპოქისაგან მიიღო მემკვიდრეობად, თუმცა, ადრეულ შუა საუკუნეებში მათ ნირი იცვალეს და სხვა მნიშვნელობა შეიძინეს. ასე მაგალითად, დუვრის რომაული შუქურა სამრეკლოდ გადააკეთეს. მაგრამ ნაოსნობის განვითარებამ თავის მხრივ განაპირობა სწორედ შუქურების ინტენსიური მშენებლობა: მეთორმეტე, განსაკუთრებით კი მეცამეტე საუკუნეში შუქურა ევროპის მრავალ პორტში დაიდგა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინდელი შუქურების დანიშნულება შეზღუდულია: ისინი არა ნავსადგურში შესასვლელ გზებს უჩვენებდნენ გემებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნავსადგურის ადგილმდებარეობას. მეზღვაურებსაც ერჩივნათ, გათენებას დალოდებოდნენ და მერეღა შესულიყვნენ ნავსადგურში.

შუა საუკუნეები ტრანსპორტის მხრივ ძალიან მოიკოჭლებდნენ და, შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდებაც ნელა და არაზუსტად ხდებოდა. რომაული იმპერიის მიერ მოწესრიგებული საფოსტო სისტემა იმპერიასთან ერთად გაქრა. რაღა თქმა უნდა, ადრეული შუა საუკუნეების მეფეები დროდადრო მაინც უგზავნიდნენ წერილებს თავიანთ ქვეშევრდომებსა თუ მეზობლებს, ამიტომაც არსებობდნენ კანცელარიები ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში. მთლიანად არც პირადი მიმოწერა შემწყდარა: ცნობილია, მაგალითად, რომ კარლოს დიდმა გამოსცა სპეციალური კანონი, რის საფუძველზედაც მონაზვნებს სასიყვარულო წერილების გაგზავნა ეკრძალებოდათ.

მაგრამ, რეგულარული ფოსტა მაინც არ არსებობდა — წერილები და ახალი ამბები ერთი ადგილიდან მეორეზე ელჩებს, შიკრიკებს, უფრო ხშირად კი, შემთხვევით ხალხს გადაჰქონდა. 960 წელს ვენეციის დოჟმა პიეტრო მეოთხე კანდიანომ ყველა ვენეციელს აუკრძალა ლომბარდიიდან, ბავარიიდან, საქსონიიდან და სხვა ოლქებიდან წერილების წაღება კონსტანტინოპოლში; გამონაკლისს მხოლოდ ის ოფიციალური პირები შეადგენდნენ, რომლებიც კონსტანტინოპოლში დიპლომატიური მისიით მიემგზავრებოდნენ. პიეტრო მეოთხე კანდიანოს დადგენილებიდან ჩანს, რომ კორესპონდენციის გატანა, ჩვეულებრივ, კერძო პირთა მეშვეობით ხდებოდა და არა ოფიციალური გზებით.

ინფორმაციის მიწოდებას (ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებაც კი) თვეები სჭირდებოდა. 1189 წლის ივნისში, მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში გამგზავრებულმა იმპერატორმა ფრიდრიხ ბარბაროსამ პირველი წერილი 19 ნოემბერს გამოგზავნა ადრიანოპოლიდან; ეს წერილი მისმა ვაჟიშვილ-

შა და მემკვიდრემ, ჰენრიხმა, მხოლოდ მომდევნო წლის მარტში მიიღო. ხოლო 1190 წლის 10 ივნისს, კილიკიაში, მთის მდინარე სალეფაში ფრიდრიხის დაბრჩობის ამბავმა გერმანიაში ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ ჩააღწია.

საფოსტო კავშირის განვითარებას საყოველთაო უწიგნურობაც უშლიდა ხელს. როგორც კარლოს დიდის ბიოგრაფი ეინგარდი მოგვითხრობს, იმპერატორს მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში დაუწყია წერა-კითხვის შესწავლა, უძილობის ჟამს ჯიუტად და მონდომებით გამოჰყავდა თურმე ასოები, მაგრამ მაინც წერა-კითხვის უცოდინარი მომკვდარა. ხოლო გერმანიის იმპერატორის ჰენრიხ მეოთხის ისტორიკოსი უკვე მეთერთმეტე საუკუნეში სიამაყით წერს — იმპერატორი იმდენად წიგნიერი იყო, შეეძლო თვითონვე წაეკითხა და გაეგო მისდამი მოწერილი წერილებიო. კიდევ უფრო გასაოცარია ის ამბავი, რომ შუა საუკუნეების ეპოსის „პარსიფალის“ ავტორი, ვოლფრამ ფონ ეშენბახი უწიგნური ყოფილა, ჰარტმან ფონ აუეს პოემა „საბრალო ჰენრიხი“ ამ სიტყვებით იწყება: „ერთ დროს ცხოვრობდა რაინდი, იმდენად განათლებული, წიგნის კითხვაც კი შეეძლო“.

რომაელები წერილებს უმთავრესად ცვილით დაფარულ პატარა ფირფიტებზე წერდნენ, რომლებსაც ცერებს ეძახდნენ. ამ ფირფიტებს ორ-ორად (დიპტიქი) ან სამ-სამად (ტრიპტიქი) კინძავდნენ. ცვილის ფირფიტებს შუა საუკუნეებშიც ხმარობდნენ, ძირითადად, საქმიანი ჩანაწერებისათვის. დღესაც დაცულია დედნები საფრანგეთის მეფეთა ხელით ნაწერი ამგვარი ფირფიტებისა. ცერაზე უმთავრესად ჩანაწერებს აკეთებდნენ, რაც ნათლად ჩანს იმ მინიატურაზე, მეთორმეტე საუკუნის მწერალ ქალს, ჰილდეგარდ ბინგენელს რომ გამოუსახავს: მწერალი ქალი თავის ხილვებს ცვილის ფირფიტაზე იწერს, ხოლო შორიახლო, სამფეხა სკამზე ჩამომჯდარ ბერს უკვე პერგამენტზე გადააქვს ფირფიტაზე ნაწერი. წმიდა ანსელმის ცხოვრების ავტორს მოთხრობილი აქვს ეშმაკის ამბავი, რომელიც, ეპისკოპოსის გაპამპულების მიზნით, მასთან ღამით შეპარულა, მიუფანტ-მოუფანტავს ფირფიტები, ჩარჩოებიდან ცვილი წამოუყრია, მაგრამ, ბოლოს, კოვზი მაინც ნაცარში ჩავარდნია, რადგან, ღვთის ნებით, ცვილი თავისით ჩაბრუნებულა ხის ჩარჩოებში. მეცამეტე საუკუნეში პარიზში საამქროც კი არსებულა, სადაც ამგვარ ფირფიტებს ამზადებდნენ.

ცერაზე წერილებსაც წერდნენ. „ცვილის“ წერილები მოხსენიებულია, მაგალითად, „ფლორასა და ბლანშფლიორის რომანში“. თუმცა წერილებისათვის სხვა მასალასაც იყენებდნენ, ძირითადად პერგამენტს. პერგამენტი, ისევე როგორც ცვილი, ძვირად ფასობდა და ეს გარემოებაც, რა თქმა უნდა, თუ არ აფერხებდა, ხელს არ უწყობდა მიწერ-მოწერის გაცხოველებას.

მეთორმეტე საუკუნიდან წერილების წერამ შედარებით ინტენსიური ხასია-

თი მიიღო. წერილებს, მთელ ევროპაში, ლათინურად წერდნენ (პირველი ჩვენთვის ცნობილი წერილი, რომელიც გერმანულადაა დაწერილი, 1305 წლით თარიღდება). ღვთისმსახურებისა და კულტურული ურთიერთობების საერთო ენაზე წარმართვა ხელს უწყობდა, თუ მთელი დასავლეთ ევროპის არა, ყოველ



რომაული შუქურა დუერში.
რეკონსტრუქცია.

შემთხვევაში, მისი გაბატონებული კლასის შეკავშირებას მაინც. ეკონომიკურად დაქუცმაცებული შუა საუკუნეების ევროპა, მიუხედავად განუვითარებელი კომუნიკაციისა და ადამიანთა კარჩაკეტილობისა, მაინც ინარჩუნებდა მთლიანობის ილუზიას.

მეთორმეტე საუკუნეში უმთავრესად სასიყვარულო ან რელიგიური ხასიათის წერილები იწერებოდა. განსაკუთრებით ბევრს წერდნენ მისტიკოსები იმ ხილვათა და გამოცხადებათა შესახებ, რომელთა მოწმენიც, თითქოს, თვითონ გამხდარიყვნენ. შეგნებულად ხდებოდა ეს თუ შეუგნებლად, მისტიკა თამამად, თავისუფლად სარგებლობდა ეროტიკული ენით და სასიყვარულო მიმართვების ხატოვანი სახეებით, ქრისტესა და მასთან შერწყმაზე მეოცნებე ვიზიონერის (უფრო ხშირად ქალის) ურთიერთობის წარმოდგენას ცდილობდა.

მეცამეტე საუკუნიდან საქმიანი, სავაჭრო მიწერ-მოწერაც ვრცელდება. პირადი წერილი (ეროტიკული თუ რელიგიური) თუკი ადრე თვითგამოხატვის საშუალება იყო, ახლა საქმიანი ინფორმაციის წყაროდ იქცა.

შუა საუკუნეების დროინდელი წერილი მკაცრი ნორმების მიხედვით იწერებოდა. ლუდოლფ გილდესჰაიმელის (მეცამეტე საუკუნის დასაწყისი) სახელ-



ფოსტა.
მინიატურა. XII ს.

მძღვანელოს თანახმად, წერილი ხუთი ნაწილისაგან — მისალმების, შესავლის, შინაარსის, თხოვნისა და დასკვნისაგან უნდა შემდგარიყო. შუა საუკუნეობრივი სამყაროს იერარქიულობის შესაბამისად, ლუდოლფი მკაცრად განსაზღვრავდა სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის პირთა მისალმების ხასიათს. ყოფდა რა ქვეყანას ერად და ბერად, ლუდოლფი თითოეულ ჯგუფს სამ ფენად აცალკევებდა: უმაღლესად, საშუალოდ და უმდაბლესად. ასე, მაგალითად, სამღვდელოების უმაღლეს ფენას ეპისკოპოსები წარმოადგენდნენ, საშუალოს — აბატები, ხოლო უმდაბლესს — უბრალო კანონიკები და მღვდლები. საერო პირთა უმაღლეს ფენას, ლუდოლფის მიხედვით, მეფეები, ჰერცოგები და მარკგრაფები განეკუთვნებოდნენ, საშუალოს — გრაფები და ბარონები, უმდაბლესს — რაინდები, ქალაქის მოსახლეობა და ვაჭრები. თუ მარკგრაფი „თავის ერთგულ რაინდს ჯანმრთელობასა და სიკეთეს“ უსურვებდა ხოლმე მისალმებისას, რაინდს რაინდისათვის, „ძლევამოსილი და ერთგული მეგობრისთვის“ კეთილგანწყობა და სრული მხარდაჭერა უნდა ვამოეხატა.

წერილი, ძირითადად, ყოველდღიურ ინფორმაციას მოიცავდა, ხოლო წიგ-

წიგნის გადაწერის ანტიკური ხერხი. გადამწერის ხელსაწყოები: ორმაგი სამელნე წითელი და შავი მელნისათვის, კალმები, ჯაჟვა, პირმოკაუჭებული დანა. XII ს-ის მინიატურიდან.



წიგნის გადაწერის ეპოლუცია. XIII ს. დასასრულის მინიატურა.

ნი საზოგადოებრივი, კოლექტიური მახსოვრობის როლს ასრულებდა და კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნას უყრიდა თავს. შუა საუკუნეების წიგნი ხელნაწერია; ბეჭდვა მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნეში დაიწყეს. შუა საუკუნეების დროინდელი წიგნი, გარეგნული სახითა და მასალით, მკვეთრად განსხვავდება ანტიკურისაგან: თუ ძველად წიგნი პაპირუსის გრაგნილს წარმოადგენდა, შუა საუკუნეებში ხელნაწერის ყველაზე გავრცელებულ სახედ პერგამენტის კოდექსი იქცა. ანტიკური საზოგადოების დაცემამ „საზოგადოებრივი მახსოვრობის" ფორმის შეცვლაც გამოიწვია. თუმცა პაპირუსის დამზადება და გამოყენება რომის იმპერიის დაცემისთანავე არ შეწყვეტილა — გარკვეული დროის განმავლობაში პაპირუსის შემოტანას არაბეთის ეგვიპტიდან განაგრძობდნენ, ხოლო არა უგვიანეს მეათე საუკუნისა, მისი წარმოება სიცილიაშიც დაიწყეს. მაგრამ ადრეულ შუა საუკუნეებში პაპირუსს დოკუმენტების დასამზადებლად უფრო ხმარობდნენ, ვიდრე წიგნებისა: ფრანკთა მეფეების კანცელარია პაპირუსით მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრამდე სარგებლობდა, პაპის კურია კი, ლამის მეთორმეტე საუკუნის დამდეგამდე. მერვე საუკუნიდან ალპების ჩრდილოეთით მდებარე ოლქებში პერგამენტი საგრძნობლად ავიწროებს პაპირუსს, როგორც წიგნის დამზადების საქმეში, ისე კანცელარიებშიც და მეცამეტე საუ-

კუნემდე ევროპაში ყველაზე გავრცელებულ საწერ მასალად რჩება. ქაღალდის გამოყენება მხოლოდ მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ინერგება. ისიც, ძირითადად, სამხრეთ ევროპაში (ქრისტიანულ ესპანეთში, იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში).

პერგამენტს თხის, ცხვრის, ღორის, ხოლო მეცხრე საუკუნიდან ხბოს ტყავისაგან ამზადებდნენ. ხბოს ტყავის პერგამენტი განსაკუთრებით ჩრდილოეთის ოლქებში იყო გავრცელებული. პერგამენტის დამზადება რამდენიმე საფეხურს მოიცავდა: ტყავს ჯერ რეცხავდნენ, შემდეგ ნაცარში გამოყავდათ, აშრობდნენ, ცარცით წმენდდნენ (ცხიმი რომ შეეწოვა), მერე ბასრი დანით ჩერჩლავდნენ და, ბოლოს, პემზით აუთოებდნენ. საპერგამენტე ტყავს, სამხრეთსა და ჩრდილოეთში, სხვადასხვაგვარად ამუშავებდნენ. სამხრეთში საფუძვლიანად ტყავის მხოლოდ შიგნითა (ე. წ. ხორცის) პირს ამუშავებდნენ, გარეთა პირზე კი ბალნის კვალი მაინც რჩებოდა. ამიტომაც იყო, რომ ფრანგულ და გერმანულ სახელოსნოებში დამზადებული საწერი მასალის გარეთა პირი ტოლს არ უდებდა შიგნითას, არც სითეთრითა და არც სიგლუვით, ხოლო იტალიური და ესპანური პერგამენტების გარეთა პირი თეთრი კი არ იყო, მოყვითალო-მონაცრისფრო ელფერი დაჰკრავდა. პერგამენტს პაპირუსთან შედარებით ბევრი ღირსება გააჩნდა: გამძლეობისა და სიმტკიცის გარდა, თავისუფლადაც იგრაგნებოდა და ნაკეცებს არ იკეთებდა; პაპირუსისაგან განსხვავებით, გაუმჭვირვალეც იყო და მისი ორივე გვერდი ვარგოდა საწერად. სამაგიეროდ, ფასიც დიდი ედო, რასაც თანაბრად განაპირობებდა როგორც ნედლეულის სიძვირე, ისე დამზადების სირთულე. თავდაპირველად, პერგამენტს ბერები ამზადებდნენ მონასტრებში თავიანთი წიგნებისათვის, მეთოთხმეტე საუკუნიდან კი პერგამენტის წარმოებას ქალაქებშიც მიჰყვეს ხელი.

პაპირუსის გრაგნილიდან პერგამენტის კოდექსზე გადასელას ქრონოლოგიურად თან სდევდა წიგნის გადაწერის მეთოდის შეცვლაც. ძველად წიგნების გადამწერნი მაგიდებთან კი არ ისხდნენ, პირდაპირ მუხლებზე ედოთ პაპირუსი და ისე წერდნენ; უფრო მოხერხებულად რომ ეგრძნოთ თავი, ფეხებს პატარა სკამზე აწყობდნენ ხოლმე. მაგიდასთან მჯდომი კალიგრაფის პირველი გამოსახულება ჩნდება არა უგვიანეს მეხუთე საუკუნისა, მერვე-მეცხრე საუკუნეებში კი ასეთი გამოსახულებანი უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმცა, შემდეგაც, წიგნების გადამწერებს ზოგჯერ ისევ ძველებურად ხატავდნენ — მუხლებზე გადაშლილი ხელნაწერით. ადრე გადამწერს გადასაწერ წიგნს კარნახობდნენ ხოლმე და, შეიძლება, სწორედ ამანაც განაპირობა გადაწერის მეთოდის შეცვლა: შუა საუკუნეებში გადამწერი უკვე მარტო მუშაობდა და ამიტომ მაგიდა, რომელზედაც სუფთა პერგამენტსაც დადებდა და ორიგინალსაც, მისთვის აუცილე-

ბელი ხდება. ასე და ამგვარად, ანტიკური წიგნის თვით დამზადების პროცესიც კი გარკვეულ საზოგადოებრივ ხასიათს ატარებდა, მაშინ, როცა შუა საუკუნეებში, მონასტრის სენაკში განმარტოებული ბერის მუშაობა ღვთის მსახურებად ითვლებოდა. შესაბამისად, წიგნის კითხვის მანერაც იცვლება: ძველად წიგნებს მხოლოდ ხმამაღლა კითხულობდნენ, ბიბლიოთეკაშიც კი, თანაც, ჩვეულებრივ, მეგობართა ან მოწაფეთა გარემოცვაში. შუა საუკუნეებში წიგნის ინდივიდუალურად, მარტო თავისთვის კითხვის მანერა დამკვიდრდა, თუმცა, ხმამაღლა მაშინაც ხშირად კითხულობდნენ: ღვთისმსახურების დროს, მონასტერთა სატრაპეზოებსა თუ სამეფო კარზე.

შუა საუკუნეების დროინდელ გადამწერს არავინ აძლევდა „ტყავის ქაღალდის" მზა ფურცლებს; ის იძულებული იყო, დამუშავებული ტყავი საჭირო ზომის ფურცლებად დაეყო და დაეჭრა ბასრი, გრძელი და მოკაუჭებული დანით. გადამწერსვე უხდებოდა პერგამენტზე დარჩენილი ნახვრეტების დაკერება და გაგლეჯილი ადგილების დაწებება. ბევრ ნახატზე გადამწერს ხელში პატარა დანა უჭირავს. ეს მისი აუცილებელი „ხელსაწყოა": დაბლაგვებული ფრთა რომ წამახოს, შეცდომით დაწერილი ამოფხიკოს და პერგამენტის არასაკმარისად სწორი და გლუვი ზედაპირიც „გააშალაშინოს".

შუა საუკუნეებში ფარგლისა და წვეტიანი ჯოხის დახმარებით, ფურცელზე უფერულ ხაზებს ავლებდნენ და იმ ხაზების გასწვრივ წერდნენ. მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებში, ხანდახან, ფერადი ხაზებიც ჩნდება (ტყვიის ფირფიტის კვალი), მეცამეტე საუკუნიდან კი ხაზებს უკვე მელნითაც ავლებენ. ფურცლებს შუაზე კეცავდნენ და რვეულებად კინძავდნენ; რვეული, ჩვეულებრივ, შუაზე გადაკეცილი ოთხი ფურცლისაგან შედგებოდა, რასაც კვატერნიონს ეძახდნენ (ლათინური quattuor — ოთხი — მიხედვით). შემდეგ ასე უწოდებდნენ უკვე ყველანაირ რვეულს, მიუხედავად ფურცლების რაოდენობისა. ხელნაწერის რვეულები ინომრებოდა, მაგრამ თავად ფურცლებისა და გვერდების დანომვრის ჩვევა დასავლეთში შედარებით გვიან გაჩნდა, არა უწინარეს მეცამეტე საუკუნისა, და მაშინაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ფურცლების თანამიმდევრული დანომვრა გადამწერებმა, ბიბლიოთეკარებმა თუ წიგნის მფლობელებმა მხოლოდ 1300 წლიდან დაიწყეს.

წერდნენ მელნით, მაგრამ შუა საუკუნეების მელანი ანტიკურისაგან განსხვავდებოდა. ანტიკური მელნის ამოშლა ადვილად შეიძლებოდა ღრუბელით, მაშინ, როცა შუა საუკუნეების მელანი, რკოს წვენისაგან დამზადებული, დიდი გაძლეობით გამოირჩეოდა. ამ მელნის ამორეცხვა შეუძლებელი იყო: ის ან დანით, ან პემზით უნდა ამოეფხიკათ, ანდა სპეციალური ხსნარით ამოეყვანათ.



სამყაროს რუკა. მინიატურა. XIII ს.

ვინაიდან პერგამენტი ძვირი ღირდა, ხშირად ძველ ტექსტს შლიდნენ ხოლმე, ახალი რომ დაეწერათ. ასე გაჩნდა პალიმფსესტები, წიგნები, რომლებშიც წაშლილ ტექსტზე სრულიად სხვა, განსხვავებული ტექსტი წერია. ტექსტების წაშლა შუა საუკუნეებში ჩვეულებრივი ამბავი იყო და არა ერთმა ბერმა გაიოქვა სასელი ამ საქმით. ამბობენ, ფრანკთა მეფეს ჰილპერიკს (561—584) ოთხი ახალი ასო მოუგონია და ძველი ტექსტების წაშლა უბრძანებია, რათა ყველა-

ფერი თავიდან გადაეწერათ ახალი ორთოგრაფიით. ხანდახან ფერად, უპირველეს ყოვლისა, წითელ მელანსაც ხმარობდნენ. ამ მელნით წერდნენ ყოველი თავის პირველ და ბოლო სიტყვას. ინიციალებისთვის კი საღებავს იყენებდნენ. მეთორმეტე საუკუნეში უპირატესობას წითელ, მწვანე და ცისფერ საღებავს ანიჭებდნენ. მელანს სამელნეში ინახავდნენ, რომელიც, ჩვეულებრივ, რქისგან მზადდებოდა და მაგიდაში დატანებულ სპეციალურ ბუდეში იდგა. თუმცა, ლითონის სამელნეებიც არსებობდა.

ძველად ლერწმის კალმით წერდნენ და ეს ჩვეულება არაბულ და ბიზანტიურ სამყაროებს შემორჩა. სავარაუდოა, რომ ფრთის გამოყენება უკვე მეხუთე საუკუნიდან დაიწყეს. დასავლეთის იკონოგრაფიაში ფრთა მერვე-მეცხრე საუკუნეებში ჩნდება, მეთორმეტე საუკუნიდან კი ლერწმის კალამი ქრება. როგორც ჩანს, ლერწმის კალამი ფრთამ უკვე მეთერთმეტე საუკუნეში შეცვალა; ყოველ შემთხვევაში, მეთორმეტე საუკუნის დასავლეთის წერილობითი ძეგლები მხოლოდ ბატის, გედისა თუ ფარშევანგის ფრთითაა ნაწერი. პაპირუსს, ეტყობა, ლერწმის კალამი უფრო შეესაბამებოდა და მასთან ერთად გამოვიდა კიდეც ხმარებიდან; ბატის ფრთა კი, პირიქით, სწორედ პერგამენტისათვის იყო ზედგამოჭრილი. ფრთის წამახვა ათასნაირად შეიძლებოდა, ის უფრო ელასტიურიც იყო და სრულიად განსხვავებული შრიფტების გამოყენების საშუალებას იძლეოდა. ამასთანავე, ბატის ფრთის, ისევე, როგორც პერგამენტის დამზადება, ადგილზევე ხერხდებოდა, პაპირუსისა და ლერწმის შემოტანა კი შორიდან უხდებოდათ.

წიგნს გადაწერისთანავე ყდაში სვამდნენ, რათა პერგამენტი არ დაბრეცილიყო. ფიცრის ყდის შესაკრავად მეცამეტე საუკუნიდან რკინის ბალთები და ტყავის თასმები გაჩნდა. ყდას, ზოგჯერ, კუთხეებსა და შუაგულში, ლითონის ფირფიტებსაც დაატანდნენ ხოლმე: ფირფიტებზე კი რაიმე გამოსახულებას ან სიმბოლოს ტვიფრავდნენ. ძვირფასი და ლამაზი წიგნი იშვიათობას წარმოადგენდა. წიგნი, როგორც წესი, ან მონასტერში ინახებოდა (სადაც გადამწერთა სახელოსნოები, სკრიპტორიუმები ჰქონდათ გამართული), ან მეფის კარზე. უწიგნური და ღატაკი მოსახლეობისათვის წიგნი მიუწვდომელ ფუფუნებად რჩებოდა; წიგნს ის მხოლოდ ღვთისმსახურებისა და საზეიმო ცერემონიების დროს თუ ხედავდა და, ამიტომაც, მისდამი ღვთაებრივი მოწიწებითა და ცრუმორწმუნეობრივი შიშით იმსჭვალებოდა. წიგნზე (სახარებაზე) ´ იფიცებდნენ. მხოლოდ უნივერსიტეტთა განვითარებამ შეუწყო ხელი წიგნის საეკლესიო-სამონასტრო ფარგლებიდან ვამოსვლას და მის გადაქცევას, თუ პირადი არა, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი საქალაქო ყოფა-ცხოვრების საგნად მაინც. როგორც ჩანს, მეცამეტე საუკუნიდან ხალხი უფრო მეტს კითხულობს. ამიტომაცაა, ალბათ, სათვალე სწორედ ამ საუკუნეში რომ ჩნდება. გათლილი ლინზის

სამყაროს რუკა. დეტალი, რომელზედაც გამოსახულია ნილოსი, წითელი ზღვა და მათ ნაპირებზე მცხოვრები ეგზოტიკური ადამიანები თუ ცხოველები. მინიატურა. XIII ს.

გამოყენება მხედველობის გასაუმჯობესებლად, ანტიკურობისათვის, მიუხედავად ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებისა, უცნობი იყო. შესაძლებელია, სათვალე შუა საუკუნეების ჩინეთსა ან ინდოეთში შეიქმნა. ევროპაში მას პირველად 1299 წლით დათარიღებული ერთი იტალიური ქრონიკა იხსენიებს, რომელიც სათვალის გამოგონებას ახალ ამბად იუწყება. მეთოთხმეტე საუკუნიდან სათვალეზე არა მარტო ექიმები, არაპროფესიონალებიც მსჯელობენ, მათ შორის პეტრარკაც. ეტყობა, ბერილსა (აქედან გერმანული Brille — სათვალე) და მთის ბროლს, თავდაპირველად, რელიკვარიუმებში, წმინდა ნაწილების შესანახ სპეციალურ სკივრებში, ჩასატანებლად თლიდნენ, მათში დაცული საუნჯის უკეთ დასათვა-



სამყაროს ნაწილები: ევროპა (შარცხნივ), აფრიკა, აზია (ზემოთ); შიშველი ფიგურები გამოსახავენ ადამსა და ევას ედემის ბაღში. მინიატურა. XII ს.

ლიერებლად. შემდეგ კი, ქვის (და შუშის) ამ თვისებამ სათვალის შექმნაც განაპირობა.

დაგვიანებული, არაზუსტი ინფორმაცია, წიგნების სიმცირე და სიძვირე— ყველაფერი ეს ოიკუმენას, დასახლებული სამყაროს ფარგლებს ავიწროებდა. მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრები ფრანგისა თუ ინგლისელისათვის არა მარტო ბაღდადი, კონსტანტინოპოლიც ზღაპრული ქალაქი იყო, ხოლო ინდოეთი და აფრიკა საერთოდ მითიურ ქვეყნებად ითვლებოდა. წარმოდგენები კოსმოსისა და დედამიწის შორეული საზღვრების შესახებ არა დაკვირვების, არამედ წიგნებისა და ზეპირი გადმოცემების საფუძველზე იქმნებოდა, საყოველთაო, ეკლე-

სიის მიერ ნაკარნახევი და სახელმწიფოს მიერ დაცული ნორმების მკაცრი დაცვით.

შუა საუკუნეების კოსმოგრაფიულ შეხედულებებში დედამიწა სამყაროს ცენტრადაა მიჩნეული. ბერი გოსუინის წიგნის „სამყაროს სურათის“ (მეცამეტე საუკუნე) მიხედვით, დედამიწა წარმოადგენს ბურთს, რომელიც ყოველი მხრიდან ცითაა გარემოცული, როგორც კვერცხი ნაჭუჭით. ცა „სულიერი ჰაერით“, სინათლის გამტარი ეთერითაა სავსე; ანგელოზები მსუბუქად დასრიალებენ ეთერში, მაგრამ მოკვდავთათვის ის ისევე დამლუპველია, როგორც ხმელეთი — თევზისათვის. ცა სფეროების რთული სისტემისაგან შედგება, რასაც ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა. სფეროების რიცხვის დადგენა დაუსრულებელი კამათის საგნად იყო ქცეული: ზოგი მბოლოდ სამ სფეროს ითვლიდა, ზოგი — ორმოცდაათზე მეტს. მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით ინერგება პტოლემეოსის კონცეფცია; პლანეტების მოძრაობის მისეული ახსნა შედარებით ახლოსაა სინამდვილესთან.

შუა საუკუნეების ადამიანის წარმოსახვაში სამყარო ოთხი ელემენტისაგან შედგება: ცეცხლისაგან, ჰაერისაგან, წყლისა და მიწისაგან. ისინი ცალ-ცალკე არსებობენ ისევე, როგორც კვერცხის გული და ცილა კვერცხში. მიწა ამ ელემენტებს შორის ყველაზე მძიმეა და ამიტომაც სამყაროს ცენტრშია მოთავსებული.

თაეად დედამიწის ცენტრად („ჭიპად“) იერუსალიმი ითვლებოდა. მისგან აღმოსავლეთით (შუა საუკუნეების დროინდელ რუკებზე აღმოსავლეთი ახლანდელი ჩრდილოეთის ადგილას იყო) მაღალი მთა იდგა. ამ მთიდან იღებდა სათავეს ოთხი უდიდესი მდინარე: ტიგროსი, ევფრატი, ტისონი და გეონი, რომლებიც ედემის ბაღს, მიწიერ სამოთხეს რწყავდნენ. ამასთანავე, ტისონს განგთან (ზოგჯერ ინდთანაც) აიგივებდნენ, ხოლო გეონს — ნილოსთან. მეცამეტე საუკუნის დასასრულისა და მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისის ფრანგი ისტორიკოსის, ლუდოვიკო მეცხრეს ეგვიპტეში ლაშქრობის აღმწერის, ჟუანვილის გადმოცემით, ამ ქვეყნის მცხოვრებლები მთელი ღამით ტოვებდნენ თურმე ნილოსში ბადეებს, დილით კი ალოეთი, დარიჩინით, კოჭათი და რევანდით სავსე ამოჰქონდათ. ეს სურნელოვანი სანელებლები სამოთხის ხეებს სცვიოდა და იქიდან, ედემიდან ნილოსს გამოჰქონდა, ხმელი მორებივით. ჟუანვილის თქმით, სულთანის ქვეშევრდომებს არაერთხელ უცდიათ ნილოსის სათავემდე მიღწევა, მაგრამ ყოველთვის გადაულახავ წინააღმდეგობებს გადაწყდომიან.

ინდოეთის ოკეანე გაუმდინარე ზღვად ჰქონდათ წარმოდგენილი, ხოლო მის კუნძულებს ხალხის ფანტაზია ოქროთი, სანელებლებით, კეთილსურნელოვანი ხეებით ავსებდა და ათასნაირი უცნაური არსებებით ასახლებდა. ჩინეთი-



კიბე ხსნისა. კედლის მხატვრობა. XIII ს-ის დასაწყისი.
ჩელდონის ეკლესია. ინგლისი.

სა და ინდოეთის აღმწერი, ვენეციელი მარკო პოლოც (1254—1324) კი იხსენიებს ძაღლის კუდიან ხალხს; ლეგენდების მიხედვით, ოიკუმენის საზღვარზე კინოკეფალები — ძაღლის თავიანი ადამიანები სახლობდნენ, ანდა, საერთოდ უთავონი, რომლებსაც თვალები მკერდზე ესხდათ. ოიკუმენის უკიდურესი საზღვრები ხალხს არა მარტო სიმდიდრისა და საოცრებათა მხარედ ესახებოდა, არამედ სოციალური და მორალური შეზღუდვებისაგან (რასაც ეკლესია და სახელმწიფო ისახავდნენ მიზნად) თავისუფალ ქვეყნებადაც, სადაც არც სქესობრივი ტაბუ არსებობდა, არც წოდებრივი იერარქია, არც მარხვა და არც შიმშილი. ლეგენდები ჰყვებოდნენ კანიბალიზმსა და ნუდიზმზე (რაც შიშველი სხეულისადმი შიშით გამსჭვალულ შუა საუკუნეების საზოგადოებას კიდევ უფრო აფრთხობდა და თრგუნავდა), პოლიგამიასა და სექსუალურ თავისუფლებაზე, რაც, თურმე, ქვეყნის განაპირა მიწების აბორიგენებში სუფევდა.

ზღაპრულად აღიქვამდა ხალხი ოიკუმენის მიჯნებს მიღმა არსებულ ცხოველთა სამყაროსაც. გოსუინის რწმუნებით, ვეფხვი ლურჯი ან ჭრელი

ცხოველია, რომლისგანაც თავის დაღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, სარკეს თუ მიუგდებ: ვეფხვს სარკეში დანახული საკუთარი გამოსახულება თურმე ლეკვი ჰგონია და მაშინვე ჩერდება, რათა ლეკვს მიუალერსოს. ავაზის ამონასუნთქი იმდენად ტკბილსურნელოვანია, ნებისმიერ მხეცს მიიტყუებს ხოლმე. სხვა ცხოველები კი საერთოდ მითოლოგიური წარმოშობისა ყოფილან: რქოსანი ცხენიც, ფენიქსიც და კიდევ რაღაც უცნაური ურჩხული, ერთდროულად ცხენიც რომაა, სპილოც და ტახიც, და ყველა სიკეთესთან ერთად, მოძრავი რქებითაა აღჭურვილი.

შუა საუკუნეების გეოგრაფია ოიკუმენას სამ ნაწილად ჰყოფდა: ევროპად, აზიად და აფრიკად, რასაც რელიგიური დაყოფაც უწყობდა ხელს. ევროპა ქრისტიანულ კონტინენტად ითვლებოდა, აზია და აფრიკა კი წარმართობის, მუსულმანობის, ურწმუნოებისა და მკრეხელობის ბუდედ. შუა საუკუნეობრივი სივრცე იერარქიზირებული იყო და „სივრცითი ფენების" ეს იერარქია ეთიკური ნიშნითაც ხასიათდებოდა. სივრცე შეიძლებოდა ყოფილიყო „ავიცა" და „კეთილიც". სამოთხე და იერუსალიმი, რა თქმა უნდა, სხვაგვარ ადგილსა და შეფასებას იმსახურებდა სივრცეთა შკალაზე, ვიდრე მომთაბარე ტომების სათარეშოდ გამხდარი ტრამალები, ანდა მგლებითა თუ ყაჩაღებით სავსე ტყეები. კოსმოსის იერარქია ღვთის მიერ შექმნილ არსებათა იერარქიას შეესაბამება და შუა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანის შეგნებაში მჭიდროდ უკავშირდება სენიორალურ-ვასალური ურთიერთობების სოციალურ-პოლიტიკურ იერარქიას. ყველა სივრცითი ურთიერთობა ახლებურად, ვერტიკალურად ლაგდება და „იაკობის კიბე" მიწიდან ცამდე აღმართული, ადამიანის არსებობის უმნიშვნელოვანესი სიმბოლო ხდება.

ცისა (სამოთხის) და ქვესკნელის (ჯოჯოხეთის) დაპირისპირება იგივე სივრცის იერარქიის გამოხატულებაა. „ღვთაებრივ კომედიაში" დანტე ჯოჯოხეთის წრეებს სივრცის სხვადასხვა საფეხურზე ათავსებს; სატანისკენ სვლა სხვა არაფერია, თუ არა ძირს დაშვება, მაშინ, როცა „იაკობის კიბეს" ზემოთ მივყავართ. მაგრამ „ქვედა სივრცის" მპყრობელნი მოწყვეტილნი კი არ არიან მიწიერ (ადამიანთა) სამყაროს — იქაც აღწევენ, იქაც იჭრებიან, განუწყვეტლივ მოქმედებენ მის ცოდვილ ბინადრებზე, რათა გადააცდინონ სწორი, ზემოთ მიმავალი გზიდან და ქვემოთ წაიყვანონ თავიანთი გაკვალული ბილიკებით. სატანა, იგივე ეშმაკი, აღრეული შუა საუკუნეების წარმოდგენებში დიდ როლს არ ასრულებდა. ფრანგი ისტორიკოსის ჟ. ლე გოფის სიტყვით, „ეშმაკი ფეოდალური საზოგადოების ნაყოფია" — ყოველ შემთხვევაში, ეს მითოლოგიური სახე (შექმნილი, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადრე, მაგრამ საყოველთაოდ გავრცელებული მეთერთმეტე საუკუნიდან) კარგად მოერგო ფეოდალუ-

რი ცნებების სისტემას; მოღალატის, ორგული ვასალის სიმბოლოდ იქცა და, ამდენად, — ყოველივე ბოროტის საწყისად და პირველშემქმნელადაც. ხოლო მისი და მისი მხედრიონის შავი ფერი — დამღუპველისა და დასაღუპავად განწირულის ფერად.

კესარიუს გეისტერბახელი, მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები ბერი, ყველგან და ყველაფერში სატანის ხრიკებს ხედავს. ერთხელ, გვაუწყებს იგი, სატანამ ვიღაც რაინდი ფეხით დაითრია ქუჩაში და მთელი ქვაფენილი სისხლით მოარწყვევინაო. მეორე კი სახლის სახურავში გაუძვრენია და უბედურისათვის შიგანი გამოუყრევინებია. სატანა წამლავს, ათასნაირი სენით აუძლურებს ხალხს; მისი მხედრიონი, ეშმაკები და ეშმაკუნები, მორწმუნეებს აფრთხობს, ლოცვაში ხელს უშლის, სანთლებს უქრობს და ზურგზე ახტება ღვთისმსახურების დროს. ეშმაკები და ეშმაკუნები ღორის, გველის, ძაღლის, კატისა თუ მაიმუნის სახეს იღებენ და თანდათანობით აცდუნებენ ადამიანს; თუმცა, თავი სიკეთის მთესველებადაც მოაქვთ და სასწაულებსაც ახდენენ — შუა საუკუნეობრივ შეგნებაში ჯადოქრობა და სასწაული ხომ უცნაურად არიან გადახლართულნი ერთმანეთში. აი, რატომ უნდა ყოფილიყო ადამიანი განუწყვეტლივ ფხიზლად: მას ყოველ ნაბიჯზე გაცილებით დიდი საფრთხე ელოდა, ვიდრე მტერი ან მძარცველი იყო, საფრთხე, რომლისგანაც ვერც ცხრაკლიტული დაიცავდა და ვერც მახვილი.

შუა საუკუნეების ადამიანს, მაინცდამაინც, არც საკუთარი სიქველის იმედი ჰქონდა და არც ღვთის მოწყალებისა, ამიტომაც, მაგიას აფარებდა თავს, რომელსაც უნდა დაეცვა იგი როგორც რეალური, ისე ზებუნებრივი განსაცდელისაგან. შუა საუკუნეების შეგნებამ, ბნელი ძალების მოსაგერიებლად, მაგიურ საშუალებათა მთელი სისტემა გამოიმუშავა. ამ თავდაცვითი მაგიის ცენტრში აღმართული იყო ჯვარი — უწმინდურ სულთა დამაფრთხობელი ძალით აღჭურვილი ნიშანი ქრისტეს მოწამებრივი აღსასრულისა. ჯვარი ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი სიმბოლოა; ჯვარს ათავსებდნენ ეკლესიათა გუმბათებზე, ჯვარი ეკიდათ გულზე ეკლესიის თავადებს, ჯვარი გამოჰქონდათ ლიტურგიის დროს, ჯვრის გამოსახულებას სვამდნენ საქმიან დოკუმენტებზე, სუფრასაც ჯვარის გადაწერით აკურთხებდნენ ხოლმე. მაგიურ ძალას წმინდანთა ნაწილებსაც მიაწერდნენ; ეკლესიები ამაყობდნენ ქრისტიან მარტვილთა და გმირთა წმინდა ნაშთებით, მაგრამ დაკვირვებულმა ხალხმა (მათ შორის, მეთორმეტე საუკუნის დასაწყისის მწერალმა გეიბერტ ნოჟანელმაც) შუა საუკუნეებშივე შეამჩნია, რომ ზოგიერთ წმინდანს გაცილებით მეტი ნეკნი, ფეხი ან ხელი უგროვდებოდა, ვიდრე ერთ ადამიანს შეიძლებოდა ჰქონოდა. მეცამეტე საუკუნის დასაწყისში ერთი მეტად სკანდალური ამბავი მოხდა: ფრანგული მონასტე-



წმ. ფრანცისკოს რელიკვარიუმი. ლუვრი.

რი სენ-დენი დიდი ხანია ამაყობდა მისი მფარველის, თვით მოციქულ პავლეს მოწაფის, დიონისე არეოპაგელის თავმოკვეთილი ნეშტით; მაგრამ სენ-დენის ბერების მტკიცებას თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდნენ — მეთორმეტე საუკუნის გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი აბელარი ამაოდ მოითხოვდა, ეჩვენებინათ მისთვის ეს რელიქვია. ხოლო როცა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ (1199—1204) საბერძნეთში დიონისეს აკლდამა აღმოაჩინეს, ბერებს, ალბათ, სირცხვილისაგან თავი აღარ გამოეყოფოდათ გარეთ. მაგრამ პაპმა ინოკენტი მესამემ, რომელსაც ურთიერთობის გამწვავება არ უნდოდა არც ძლიერ მონასტერთან და არც მის მფარველ მეფესთან, ორჭოფულად განაცხადა: ამ ორი ნეშტიდან ერთ-ერთი ნამდვილად წმინდანისაა.

ასევე ძალიან გავრცელებული იყო რწმენა სხვადასხვაგვარი ავგაროზების (რომელთაც, ხშირად, არაფერი ჰქონდათ საერთო ქრისტიანულ რწმენასთან) მაგიური ძალისა, ვითომ ადამიანის ჯანმრთელობას ან უხიფათო მგზავრობას რომ უზრუნველყოფდნენ.

იერარქიზირებული სიერცე მკვეთრად იყო დაყოფილი „საკუთარ“ და „სხვის“ მიწებად. რელიგიური, ტომობრივი თუ ენობრივი ერთიანობა ყოფდა, აქუცმაცებდა სამყაროს, ჯგუფებად იდგა ხალხებს შორის და ამ ჯგუფების გადალახვა გაცილებით ძნელი ხდებოდა, ვიდრე უღრანი ტყის მასიეებისა. წვეროსანი ბერძნები, წერა რომ უყვარდათ და ეხერხებოდათ კიდეც, მშობლიურ ენას რომ ინარჩუნებდნენ და სქიზმატიკოსები — პაპისაგან განმდგარი ეკლესიის მიმდევარნი იყვნენ, რადგან სხვაგვარად ჰყავდათ წარმოდგენილი ღვთაება, — მხოლოდ საყოველთაო ზიზღს იმსახურებდნენ. მაჰმადიანებს ურწმუნოთა ეოდგმად თვლიდნენ, ხოლო მათ წინასწარმეტყველ მუჰამედს ქრისტეს

მტერთა რიგებში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი ეკავა. „მან ისევე მოამზადა ნიადაგი ანტიქრისტესათვის, როგორც მოსემ ქრისტესთვისო", — წერდა მეთორმეტე საუკუნის ბოლოს იოახიმ ფლორელი, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე გაბედული მოაზროვნე, რომელიც, ამ შემთხვევაში, მაინც საკმაოდ გაცვეთილ ცრუ რწმენას უხდის ხარკს. მტრულად უყურებდნენ ებრაელებსაც, ძველი აღთქმის ხალხს, ვინც არ ისურვა ქრისტეს მოძღვრების მიღება. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ასევე მტრობას იმსახურებდნენ წარმართული წეს-ჩვეულებების ერთგული სლავებიც. თუმცა ეთნიკური მტრობა არც თავად კათოლიკური სამყაროს შიგნით გამქრალა: ინგლისელები და ფრანგები, ფრანგები და პროვანსელები, გერმანელები და იტალიელები განუწყვეტლივ აქილიკებდნენ ერთმანეთს, დასცინოდნენ ერთმანეთის ადათ-წესებს, რადგან არც უნდოდათ და არც შეეძლოთ მათი არსის გაგება. შუასაუკუნეობრივი სივრცე „ჰორიზონტალურად" მრავალ მტრულ სამყაროდ იყო დაქუცმაცებული.

კოსმოსის იერარქიზაცია და მისი სიმბოლური აღქმა მჭიდროდაა გადახლართული შუა საუკუნეების ადამიანის შეგნებაში. ხილული სამყაროს საგნებს მიღმა მათი მარადიული პირველსახეები არსებობენ, და როგორც მეთორმეტე საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგ ღვთისმეტყველს ჰუგო ვიქტორინელს მიაჩნია, საგანთა განხილვა სრულებითაც არ იქნება მკრეხელობა: ეს საგნები ძარღვებს ჰგვანან, რომლებშიც უხილავი სილამაზე მოედინება ჩვენამდე და საკუთარ თავს ავლენსო — ამბობს ჰუგო, რომელიც ბუნებას ალეგორიულად აღიქვამს: მისთვის ცა რაღაც უხილავს წარმოადგენს, მიწა — ხილული სამყაროა, მზე — ქრისტე და ა. შ. კანონიკური საათების ჰიმნებში აბელარიც ბუნების მოვლენებს ასევე ღვთაებრივი ფენომენების სიმბოლოებად იაზრებს: პირველი საათი განთიადის დასაწყისია, ცისკრის ვარსკვლავი მოუძღვის მზეს, ხოლო თავად განთიადი რწმენის სინათლეა; მესამე საათისათვის მზე დედამიწას ათბობს — სითბო ხომ ისევე მოსდევს სინათლეს, როგორც სიყვარული რწმენას. მეექვსე საათის დადგომისთანავე მზე უკვე შუბის ტარზე დგას, ახლა უკვე მთელ სამყაროს გასჯდომია სითბო — ეს კი სრული ნეტარებაა, უფლის ხილვით გამოწვეული.

პეიზაჟი, როგორც ასეთი, ნაკლებად აინტერესებდა შუა საუკუნეების ადამიანს; ტყის, მთისა თუ ზღვის სილამაზე არ იწვევდა აღტაცებას — ისინი ხომ ასეთი საშიშნი, შეუცნობელნი იყვნენ. შუა საუკუნეების ფერწერაში ბუნებას მხოლოდ ფონად იყენებდნენ ადამიანთა ფიგურებისათვის, ის პირობითი და სტერეოტიპული სახეების სერია იყო და მეტი არაფერი. მაგრამ, ამასთანავე, მეთერთმეტე და მომდევნო საუკუნეების მწერლებს მხატვრული ალღო კარნაობდა, გარემომცველ სინამდვილეში არა მარტო ბნელი ძალების ერთობლიობა

ან ალეგორიული სისტემები დაენახათ, არამედ, ამ სინამდვილის სიმშვენიერეც, სიმშვენიერე ბუნებისა. თავდაპირველად ბუნების ამგვარი შეგრძნება გამოხატულებას პოულობს სტერეოტიპულ სერიებში, რომლებიც ანტიკური წარსულისაკენ იყურებიან, მაგრამ ლიტერატურაში აქა-იქ მაინც გაისმის უკვე ხოტბა ბუნებისა, ესთეტიკური აღტაცება ბუნების სუნთქვით. განსაკუთრებულ აღტაცებას გაზაფხული ბადებს, რადგან გაზაფხულს „ყვავილები და სიმწვანე მოაქვს, ზამთრის გალიიდან ათავისუფლებს ჩიტებს, ათასი ხმით ავსებს ტყეებს; ბუნების ხმა ორღანის ხმაზე ძლიერია, მისი სურნელი კი — ბალზამზე უფრო ტკბილი", — წერს ინგლისელი პოეტი და მემატიანე ნიგელ ვირეკერი (დაახლ. 1130—1200). გაზაფხულისაგან განსხვავებით, თაკარა ზაფხული და ციცი ზამთარი შიშს გვრის ადამიანს. ზაფხულობით ჰაერს ცეცხლის სურნელი დაჰკრავს, მიწას გამხმარი ტალახი ფარავს, ტბორები შრება და წყალი მყაყდება, ხოლო ჭაობების თავზე შავი ჯანღი იგრაგნება. გერმანელი პოეტი და მემატიანე გიუნტერ ლიგურინი (გარდ. დაახლ. 1220) ზაფხულის ცხელ, ოხშივრიან ამონასუნთქში შავი ჭირის მოახლოების ნიშანს ხედავს.

ზღვაზე ამოვარდნილი ქარიშხალი, ყალყზე შემდგარი ტალღები, ქარისაგან დაბერილი იალქანი განუწყვეტლივ იზიდავენ შუა საუკუნეების მხატვრებს და ესეც ბუნებრივია, რადგან ქარიშხალიც, ისევე, როგორც ჰაპანაქება ანდა ყინვა, დაღუპვით ემუქრება ადამიანს. მაგრამ იდილიური, სამოთხის ბაღს მიმსგავსებული პეიზაჟიც იქცევს ყურადღებას. თუმცა ეს სახეები აბსტრაქციები უფროა, ვიდრე მხატვრულად გააზრებული სინამდვილე. და მაინც, მეთორმეტე საუკუნის მწერლები ხანდახან ახერხებენ შეამჩნიონ და აღწერონ კონკრეტული ლანდშაფტები. ასე მაგალითად, გოტფრიდ ვიტერბოელი (1120—1191) ნიმეგენის რაიონს გვიხატავს: მდინარეს, რომლის გადალახვა ფონის მეშვეობითაც კი შეუძლებელია; კლდოვან ნაპირებსა თუ სვეტებიან სასახლეს. მჭიდროდ დასახლებული ქალაქები, ღვედებივით გაბმული, ნაპირთა შემაერთებელი ხიდები და ვენახებით გადალურჯებული გორაკები თანდათანობით შემოდის ადამიანის თვალსაწიერში.

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში ბუნების სურათების აღწერა არა მარტო ლიტერატურაში, არამედ პირად წერილებშიც გვხვდება, რაც წინა ეპოქისათვის ყოველად წარმოუდგენელი რამაა. მაგრამ „სივრცის", ისევე, როგორც „დროის" დამორჩილება მაინც ქალაქების აღმავლობის პერიოდისა და მოქალაქეთა სამეურნეო აქტივობის ზრდას უკავშირდება. ბიურგერობა, რომელიც ფეოდალური სამყაროს ძირითად წოდებებს უპირისპირდებოდა და თავისი განსაკუთრებული ეკონომიური ინტერესები გააჩნდა, ცდილობდა გასცდენოდა დადგენილი სამყაროს ვიწრო ჩარჩოებს. მეთოთხმეტე საუკუნე, „საავჭრო დროის" საუკუნე, ამასთანავე, ვაჭრული მეწარმეობის საუკუნეც იყო და საქონლისა და ინფორმაციის მოზღვავებითაც გამოირჩეოდა.

თავი მეორე

საკუთარ ჭერქვეშ

შუა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანი ერცელი, ათასგვარი, არსებული თუ წარმოსახული, ფათერაკით სავსე სამყაროთი გარემოცული, ცდილობდა საკუთარ სახლში გამოკეტილიყო და ასე აერიდებინა თავი საფრთხისათვის. საჯარო ხასიათი ანტიკური ყოფისა, ეპოქისა, როცა მოქალაქე (ყოველ შემთხვევაში, მამაკაცი მაინც) დროის უმეტეს ნაწილს ქუჩაში ატარებდა და, აქედან გამომდინარე, ქუსის კეთილმოწყობასაც ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემათა შორის უმთავრესი აღგილი ეკავა, ქალაქების დიდ მოედნებთან, ღია თეატრებთან, სალაყბოებთან, სათათბიროებთან, პორტიკებთან და ხეივნებთან ერთად, სადაც ფილოსოფოსები სეირნობის ჟამს მოძღვრავდნენ მოწაფეებს, წარსულს ჩაბარდა. შუა საუკუნეებში ყოფა-ცხოვრება, ძირითადად, სახლის ირგვლივ იყო თავმოყრილი და თუმცა სახლები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდნენ — ჭუჭყიანი, ჩალით გადახურული გლეხის ქოხი არაფრით არ ჰგავდა ბარონის ციხე-დარბაზს — ერთი თვალსაზრისით ყველა სახლი მაინც მსგავსი იყო: მას უნდა დაეფარა, დაემალა, დაეცვა ამ სახლის პატრონი გარეშე (და, უკვე ამიტომაც მტრული) ძალებისაგან. ეს განაპირობებდა სწორედ სახლის ხელშეუხებლობის კანონსაც, აგრერიგად დამახასიათებელს შუა საუკუნეებისათვის. ერთი და იგივე დანაშაული, ჩადენილი სხვის მინდორსა თუ სხვის სახლში, სხვადასხვაგვარად ისჯებოდა. სახლ-კარის ხელშეუხებლობა შუა საუკუნეების დროინდელი სამართლის პრინციპია, თუმცა, რასაკვირველია, ეს პრინციპი არაერთხელ დარღვეულა ომებისა თუ პოლიტიკური შეტაკებების დროს, როგორც, სხვათა შორის, არაერთხელ დარღვეულა ანტიკური პრინციპიც, ტაძარში თავშეფარებული კაცის ხელშეუხებლობას რომ გულისხმობდა.

რომაული სახლი, გარკვეული თვალსაზრისით, „ღია სახლი“ იყო, ზემოდან ცისთვის გახსნილი; იმპლუვიუმი თავისუფლად ატარებდა ჰაერსაც და წვიმის წყალსაც, ხოლო ატრიუმი, შადრევნიანი ბაღით, ბუნებრივი სივრცის იმიტაციას წარმოადგენდა. ამასთანავე, ერთსართულიანი რომაული სახლი სწორკუთხა, განსაკუთრებული დანიშნულების მქონე სათავსოების მკაცრ სისტემას წარმოადგენდა, შუა საუკუნეების სახლი კი თავიდანვე გარე სამყაროსგან ვასამიჯნად შენდებოდა და არა სამყაროსთან დასაკავშირებლად, სითბო უნდა

შეენახა და არა წვიმის წყალი. შუა საუკუნეების დროინდელი კარ-მიდამო მესერით, ანდა ყრუ კედლით იყო შემოღობილი; თუ მომიჯნავე კარმიდამოებს საზიარო ჭა ჰქონდათ, ჭაზე ვერტიკალურ ტიხარს დგამდნენ, რათა თავიანთი წყალი ისე ამოელოთ, მეზობელს არ დაენახა; „დანახული, — როგორც ე. ფარალი ამბობს, — თავისუფლებასაც კარგავდა". ამიტომაც იყო, სარკმლის გაჭრისას, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ზრუნავდნენ, რაც შეიძლება ნაკლებად მისაწვდომი ყოფილიყო იგი ცნობისმოყვარე თვალისათვის. კარი რკინით ჰქონდათ შეჭედილი, სარკმელი მჭიდრო დარაბით იგმანებოდა; ხოლო თუ სახლს დუქნადაც იყენებდნენ, სახსრიანი დარაბის ქვედა ნახევარი დახლის მაგივრობას სწევდა, ზედა კი საჩრდილობლისას. თუ სარკმელი ღია იყო — დუქანი ვაჭრობდა. „ღია სარკმლიდან ყიდისო", — ამბობდნენ კაცზე, რომელსაც კანონი აძლევდა ვაჭრობის ნებას.

შუა საუკუნეების სახლს ძელის, კრამიტის, ანდა ჩალის სახურავი იცავდა ცისგან, თუმცა მაინც ცისკენ მიისწრაფოდა, რამდენიმე სართულისაგან შედგებოდა და მაღალსა (10—12 მ) და მყარ (ინგლისში განსაკუთრებით მუხა ფასობდა) ბოძებზე იყო დაფუძნებული; ამ ბოძებზევე მაგრდებოდა ზედა სართულის იატაკის კოჭებიც. ორმხრივ დაქანებული სახურავი კიდევ უფრო წარმოაჩენდა ამგვარი სახლის ვერტიკალურ ორიენტაციას. სიმაღლისკენ მისწრაფება შუა საუკუნეების საცხოვრებელი სახლისა არა მარტო იმდროინდელი ქალაქების სივიწროვით აიხსნებოდა, არამედ, ეტყობა, საერთოდ შუა საუკუნეობრივი შეგნების „ვერტიკალური ორიენტაციითაც". შემთხვევითი არც სოფლური კარ-მიდამოს მრავალიარუსიანობა ყოფილა. სახლი ზემოთკენ მიიწევდა და, ამის გამო, რომაული გეგმის მკაცრ სიზუსტეს კარგავდა: დიდი და პატარა ოთახები უწესრიგოდ იყვნენ ერთმანეთზე გადაბმულნი, ერკერები ლამის მთელ ქუჩაზე გადმოშვერილიყვნენ, კიბის ქვეშ სათავსო ჩნდებოდა, სხვენში — საკუჭნაო.

სახლების მრავალფეროვნებასა და საშენი მასალის სხვადასხვაობას განაპირობებდა როგორც ადგილობრივი ტრადიციები, ისე სახლის მფლობელის სოციალური თუ ქონებრივი მდგომარეობა. გლეხთა და ხელოსანთა სახლების უდიდესი ნაწილი, თითქმის შუა საუკუნეების დასასრულამდე, ტირიფის წნელებისაგან (რომლებსაც მერე შელესავდნენ ხოლმე), მორებისგან, ანდა ცუდად გათლილი ქვისგან შენდებოდა; აქა-იქ ჩალით დახურული მიწურებიც გვხვდებოდა.

საფრანგეთში, ლუარის სამხრეთით, შეძლებული გლეხის სახლი გრანიტის დიდი ბლოკებით შეკრულ შენობას წარმოადგენდა, რომელსაც კედლებში სასარკმელე ჭრილები ჰქონდა დატანებული. ძირის სახლს მარნად და საქათმედ

იყენებდნენ; საცხოვრებელ ნაწილში ერთი-ორი მეტრი სიმაღლის ქვის კიბით ადიოდნენ. სახლის გადასახურად ფიქალს, ანდა ქვის ფილებს ხმარობდნენ, ზოგან — კრამიტსაც.

ლუარის ჩრდილოეთით, აგრეთვე გერმანიასა და ინგლისში, თავდაპირველად ძელურ სახლებში ცხოვრობდნენ; შემდეგ, მეთერთმეტე საუკუნიდან, ქვის საძირკვლიანი, ორი ან სამსართულიანი სახლებიც ჩნდება, რომელთა ხის კარკასებს ჩალაშერეული თიხითა და ქვით ამოაშენებდნენ ხოლმე. მეთორმეტე საუკუნეში ხეს ჯერ კიდევ ფართოდ იყენებდნენ არათუ ჩვეულებრივი სახლების, არამედ ტაძრების ასაგებადაც, ხოლო თავდაცვითი ნაგებობებისათვის — მეცამეტე საუკუნეშიც.

მეთორმეტე საუკუნის ქალაქური სახლი, როგორც წესი, არ განსხვავდებოდა სოფლურისაგან, მაგრამ ქვით მშენებლობა ქალაქებში უფრო ინტენსიურად ვითარდებოდა. თავდაპირველად ქვისგან ისეთ სახელოსნოებს აგებდნენ, სადაც ღუმელი, ანდ ქურა ჰქონდათ გამართული — სახაბაზო იყო, სამჭედლო თუ სხვ. შემდეგ კი, მეცამეტე საუკუნიდან, გერმანიის შეძლებულმა ბიურგერებმაც მოჰკიდეს ხელი ქვით მშენებლობას — ქვას ჯერ ერთსართულიანი, განსაკუთრებული, მაღალი ნაგებობებისათვის (ე. წ. kemenate) იყენებდნენ, სადაც ხანძრისაგან დასაცავად ყველაზე უფრო ძვირფას ნივთებს ინახავდნენ.

შუა საუკუნეების დროინდელი სახლი ღია კერიით თბებოდა. კერიას კედლებისგან მოშორებით მართავდნენ; მისთვის გამოყოფილ ადგილს წინასწარ ქვით მოკირწყლავდნენ და თიხით გალესავდნენ ხოლმე. ცივ ინგლისში, ძირის სახლს ქვის კამარას უკეთებდნენ და არა ხის ჩალანგარს, რათა ოთახში დანთებულ ღია ცეცხლს ხანძარი არ გაეჩინა. შეშა მცირე ზომის ცხაურზე იწვოდა, როგორც რეიმსის ტაძრის სკულპტურულ გამოსახულებებზეა ნაჩვენები.

სარკმლის ჭრილებს ხშირად ღიად სტოვებდნენ, განსაკუთრებით სამხრეთში, რომაული ტრადიციის გავლენით. მინა იშვიათობას წარმოადგენდა და ძირითადად ეკლესიებში იხმარებოდა. კერძო სახლებში სარკმელს პერგამენტს ან გაქონილ ქაღალდს აკრავდნენ ყინვისა და ქარის შესაკავებლად, ფიცრავდნენ კიდეც, ანდა დარაბებით გმანავდნენ. ზაფხულობით ასეთი სახლი მეტ-ნაკლებად ნათელი იყო, მაგრამ ზამთრობით შუქი აშკარად არ ჰყოფნიდა. შუქსაც კერია იძლეოდა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, ჩალასაც დააყრიდნენ ხოლმე. შედარებით უფრო შეძლებულ ოჯახებში თიხის, შუშის ან ლითონისგან დამზადებული, კედელზე დასაკიდი ზეთის ჭრაქებითაც სარგებლობდნენ, მაგრამ ასეთი ჭრაქებისაგან მთელი სახლი ყარდა და ყველაფერი იჭვარტლებოდა. ამიტომ, ვისაც შეძლება ჰქონდა, ისევ ოსტატ-მესანთლეთა მიერ ქონისაგან დამ-

ზადებულ სანთლებს ამჯობინებდა. ცვილის სანთელი კი იმდენად ძვირი ღირდა, მხოლოდ ფეოდალებსა და ეკლესიას თუ მიუწვდებოდათ ხელი.

წყლის მომარაგებაც არა ნაკლებ პრიმიტიული ხერხებით ხდებოდა: ზოგან ეზოში ჭას თხრიდნენ. სამხრეთში (იტალიაში) არცთუ იშვიათად წვიმის წყალს სხვენში დადგმულ სპეციალურ ცისტერნებში აგროვებდნენ, უფრო ხშირად კი წყალს ქალაქის შადრევნებიდან ეზიდებოდნენ.

სერიოზული პრობლემა იყო კანალიზაციაც. ყველა სახლს როდი ჰქონდა ფეხსადგილი; ჭუჭყიან წყალსა და მონარჩენებს სპეციალურ ორმოებში ღვრიდნენ, რომლებიც დროდადრო იცლებოდა. ქალაქის ხელისუფლება სასტიკად კრძალავდა სიბინძურის ქუჩაში გადმოღვრას, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, ამგვარ აკრძალვებს ჯეროვანი ყურადღება რომ ექცეოდა.

აბანო, ბერძნულ-რომაული სამყაროსათვის ესოდენ დამახასიათებელი მოვლენა, შუა საუკუნეებში უკვე იშვიათობას წარმოადგენდა. დასავლეთ ევროპაში რომაული თერმების მსგავსი საზოგადოებრივი აბანოებით პრაქტიკულად აღარ სარგებლობდნენ, ყოველ შემთხვევაში, მეცამეტე საუკუნემდე მაინც, და ესეც, რა თქმა უნდა, საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების მკვეთრი დაცემით იყო განპირობებული. აბანოები არც კერძო სახლებში ჰქონდათ; მხოლოდ ზოგიერთ მონასტერში თუ შემოღობავდნენ ხოლმე ადგილს დასაბანად: ასე მაგალითად, კლიუნის სააბატოში, მეთერთმეტე საუკუნეში, თორმეტი ასეთი ხუხულა ჰქონდათ. მაგრამ უკვე მეცამეტე საუკუნიდან აბანო მოდად იქცა. 1292 წელს პარიზში ოცდაექვსი საზოგადოებრივი აბანო ყოფილა; კერძო სახლებშიც სიამოვნებით ჭყუმპალაობდნენ როფებში, განსაკუთრებით, ნასადილევს. პარიზის საზოგადოებრივ აბანოებში ორთქლის აბაზანის მიღებაც შეიძლებოდა, თავის დაბანაცა და პირის გაპარსვაც. გერმანელ პოეტს, ნიკოლაი დე ბიბერს აღწერილი აქვს მეცამეტე საუკუნის ერფურტის აბანო, სადაც მისი ყურადღება განსაკუთრებით ნორჩ ლამაზმანს მიუპყრია, რომელსაც „თავისი ნაზი ხელებით“ დაუზილავს კიდეც. დალაქი ისეთი ოსტატობით პარსავდა ხალხს თურმე, „წვეთი ოფლიც არ გამოსდიოდათ სახეზე“. თუკი ვინმეს ბანაობა გადაღლიდა, მას რბილ საწოლზე მოასვენებდნენ, ხოლო „უმანკო სახის“ ქალი, ამასობაში, თმას დავარცხნიდა. ამასთან ერთად, ყველა ხალისით აკეთებდა თავის საქმეს და მთელი ეს სიამოვნება მხოლოდ ერთი დენარიუმი ღირდა! ძნელი საოქმეო-ლია, როდის ენაცვლება ამ პოეტურ აღწერაში სიმართლეს ირონია, რადგანაც სხვა ცნობების თანახმად, შუა საუკუნეების აბანოები, სადაც ზოგჯერ ქალები და კაცები ერთად ბანაობდნენ, საკმაოდ მოიკოჭლებდნენ როგორც ზნეობის, ისე ჰიგიენის თვალსაზრისითაც.

შუა საუკუნეების რიგითი, კერძო საცხოვრებელი სახლისათვის უცხოა

სპეციალური სამზარეულოს არსებობა. სამზარეულოდ იმ ოთახს იყენებდნენ, სადაც კერია ჰქონდათ გამართული; იქვე იყო სასადილოც. მხოლოდ ციხე-ხიმაგრეებსა და მონასტრებში მზადდებოდა საჭმელი განსაკუთრებულად საამისოდ გამოყოფილ შენობებში. სამონასტრო სამზარეულოებს თავისებური, პირამიდისმაგვარი თაღებით ხურავდნენ, შენობიდან უკეთ რომ გასულიყო ბოლი.

კერიის თავზე თუჯის კარდალა ეკიდა. იქვე, მაგიდაზე, მთელი სამზარეულო მოწყობილობა ელაგა: ცეცხლის საჩხრეკი გელა და ნაკვერჩხლის გამოსაღები მაშა, ქაფქირი თუ საცერი, დიდი, ორკბილა ჩანგალი, მაყალი თუ შამფურები, მარცვლეულის სახეხი თუ სუნელების საფქვავი; იატაკზე, რკინის სამფეხებზე ქოთნები ეწყო; ამავე სამფეხებით შედგამდნენ ხოლმე ქოთნებს ცეცხლშიც (შუა საუკუნეებში ხორცს უფრო ხშირად ქოთნებში და მაყალზე ამზადებდნენ და არა ბრინჯაოს ქვაბებში, როგორც ადრე). კერიის თავზე ჰკიდებდნენ ხორცსაც, გამოსაშრობად და ბოლში გამოსაყეანად. საჭმელს ცეცხლის ალზე, ან ნაღვერდალში ამზადებდნენ. ქურები მხოლოდ XV საუკუნიდან ჩნდება. სამზარეულო მოწყობილობისათვის განკუთვნილი მაგიდა, წესი-სამებრ, კედელთან იყო მიდგმული; მეორე, სწორკუთხა მაგიდაზე, სადილობდნენ; გრძელ, უზურგო სკამზე, ანდა ტაბურეტებზე სხდებოდნენ. აქვე იდგა ჭურჭლის კარადაც.

შუა საუკუნეებში ლითონი არ ჰყოფნიდათ, კერამიკულმა წარმოებამ კი დასავლეთ ევროპაში ფეხი ვერ მოიკიდა. ამიტომ საოჯახო ნივთებში ხის ნაკეთობანი სჭარბობდნენ. ანტიკური თიხის პითოსები (მარცვლეულის ან სითხის შესანახი დიდი ჭურჭლები) ადგილს უთმობენ ხის კასრებს; მეკასრის ხელობა ძალიან გავრცელებული იყო. ხისგანვე ამზადებდნენ თეფშებს, კოვზებს და სხვა სამაგიდო ჭურჭელს. სოფლად ხისა და ნაწილობრივ კალის ჭურჭელი მეთოთხმეტე საუკუნეშიც კი გაცილებით სჭარბობდა თიხისას; კიდევ უფრო იშვიათი იყო მინა. თუმცა აქა-იქ ევროპაში (კერძოდ, რეინის ოლქში) ბოლომდე შემორჩა მინის დამზადების რომაული ტრადიცია, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ახლა მეშუშეთა სახელოსნოებმა ქალაქის ცენტრებიდან ტყეთა წიაღში გადაინაცვლეს. ფაიფურს შუა საუკუნეების ევროპა ჯერ კიდევ არ იცნობდა და შეძლებულ სახლებში ბროლის, ოქროსა და ვერცხლის თასებით სვამდნენ. მინის ჭურჭლისა და სხვა საოჯახო ნივთების (ჭიქების, სანელსაცხებლო და წამლის შუშების, გამჭვირვალე თუ ფერადი ლამპების) მასიური წარმოება მხოლოდ მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებიდან იწყება.

შუა საუკუნეების ავეჯი, ჩვეულებრივ, მუხისა ან კაკლისა, საცხოვრებელი სახლის კარკასის მსგავსად, სიმძიმითა და მასიურობით გამოირჩეოდა.

მყარი საყრდენები და სქელი ფიცრები კილო-ჭრილების საშუალებით ერთმანეთში ჯდებოდა და ილურსმებოდა. ავეჯი იმის გამოც ჩანდა მასიური, ხშირად რკინითაც რომ შეჭედავდნენ ხოლმე გარედან. მაგიდას, ჩვეულებრივ, გრძელი და გამძლე ფიცარი წარმოადგენდა, საბჯენებზე რომ იყო გადებული. სკამებიცა და ტაბურეტებიც მეტად მარტივი კონსტრუქციისა ჰქონდათ: სკამისა თუ ტაბურეტის ფეხები მჭიდროდ მაგრდებოდა სოლებით დასაჯდომ ფიცარზე. ჭურჭელს სამზარეულო მაგიდებსა და თაროებზე ალაგებდნენ; სანოვაგის შესანახად დაბალ კარადა-განჯინებს იყენებდნენ; ტანსაცმელი და საცვალი ზანდუკებში ეწყოთ; მოსასხამსა თუ ლაბადას ირმის რქაზე ჩამოჰკიდებდნენ ხოლმე. შარვალსა და პერანგს უკვე საწოლში იხდიდნენ და ბალიშის ქვეშ ინახავდნენ. ძნელად გადასაადგილებელი ავეჯის სიტლანქესა და მასიურობას ნაზი ქსოვილებით ნიღბავდნენ: მაგიდაზე სუფრას აფარებდნენ, სკამებზე ბალიშებს აწყობდნენ, ხოლო რისი „შენიღბვაც" არ ხერხდებოდა (კარებისა თუ კედლის პანელების) — ღებავდნენ. ავეჯი შეძლებულ ოჯახებშიც კი ცოტა ჰქონდათ და მას, ჩვეულებრივ, იგივე ხურო ამზადებდა, ვინც აშენებდა და აპირკეთებდა სახლს. ხუროს ხელსაწყოს ჩაქუჩი და გრძელტარიანი ცული, ხერხი და ხელეჩო, ურო და ბურღი შეადგენდა. შალაშინი მეცამეტე საუკუნეზე აღრე არსად არ არის მოხსენიებული.

თანდათანობით (უპირველეს ყოვლისა, ეტყობა, იტალიაში) ხუროობის გვერდით დურგლის ხელობაც ჩნდება. იწყება გამოსაწევუჯრებიანი ავეჯის დამზადება (იტალიაში ჯერ კიდევ მერე საუკუნიდან გეხვდება ამგვარი ავეჯი) და კარადებისა თუ ზანდუკების ოსტატურად მოპირკეთებაც. ხოლო როცა დაფანერებაც ისწავლეს, შესაძლებელი გახდა ავეჯისათვის ხის უფრო იაფი და მსუბუქი ჯიშების გამოყენება, რომლებსაც გარედან საუკეთესო ჯიშის ხის თხელი ფიცრებით ფარავდნენ. დაფანერების ხერხს სამხრეთ ევროპაში ჯერ კიდევ რომაული ეპოქიდან იცნობდნენ, ჩრდილოეთში, ალპებს გადაღმა კი მხოლოდ მეცამეტე საუკუნიდან მიჰყვეს ხელი. დურგალთა საამქრო ხის მოჩუქურთმებასაც მისდევდა, რაც, უფრო მოგვიანებით, მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეებში, ძალზე ფართოდ გავრცელდა.

შუა საუკუნეებისათვის არც საბარატო ჩარხია უცხო ხილი; დროდადრო ხელნაწერებში ავეჯის გამოჩარხული დეტალების გამოსახულებებსაც ვხვდებით, ძირითადად, საწოლის, სკამის, მაგიდისა თუ კარადის ფეხებს.

ხის ავეჯთან ერთად დაწნულ ნივთებსაც მრავალად ხმარობდნენ; ტირიფის აკვნები, კალათები, გალიები თუ სკები — საყოველთაოდ იყო ცნობილი და ფართოდაც გამოიყენებოდა.

სახლის გაწყობასა და მორთულობას, რასაკვირველია, მფლობელის ქო-

ნებრივი და იურიდიული სტატუსი განაპირობებდა. მაგრამ არსებითი შუა საუკუნეების დროინდელი სახლისათვის მაინც ანტიკურობისათვის დამახასიათებელი საქალებო ნაწილის (გიუნეკეიას) გაქრობაა. შუა საუკუნეებში ოჯახი დუღაბდება, საერთო კერა და საძინებელი გარეგნული ერთიანობის იერს აძლევს. შეძლებული ოჯახის საძინებელ ოთახში, შემაღლებულზე, ვეებერთელა, ოთხ მეტრამდე სიგანის საწოლი იდგა, ზედ ასასვლელი ორსაფეხურიანი კიბითა და სკეტებზე დაყრდნობილი ბალდახინით, საწოლზე ჩალით ან თივით გატენილი ნაალი ეგო, ნაალს ზემოდან კი — მატყლის ან ბამბის ლეიბი. ზეწარსა და ბალიშის პირს მდიდრულ სახლებში თეთრი ტილოსას ხმარობდნენ; ღარიბები ფერადი ტილოთიც გადიოდნენ იოლას. შეძლებული მოქალაქეები ბეწვით გაწყობილ მაუდის საბნებს იფარებდნენ, რომლებსაც ბუმბულისა თუ ბამბის დოშაკიც ჰქონდათ ამოკრული საწოლის სიგრძე-სიგანის შესაბამისად. ბალიშიც ბამბით ან ბუმბულით იტენებოდა. საწოლის სიდიდე არა მარტო თვალნათელი გამოხატულება იყო მატერიალური კეთილდღეობისა, არამედ სტუმარ-მასპინძლობის მიზნებსაც ემსახურებოდა; მასპინძელს შეეძლო სასურველი სტუმარი ლოგინში გვერდით მოეწვინა.

ღარიბ სახლში, განსაკუთრებით სოფლად, საძინებელი ოთახი არ იყო გამოცალკევებული სამზარეულო-სასადილო ოთახიდან. ასეთი სახლი, ჩვეულებრივ, ერთი საცხოვრებელი ოთახისგან შედგებოდა, თავისი კერიათი, რომელსაც საჭმლის მოსამზადებლადაც ხმარობდნენ და გასათბობადაც. სხვა, დამხმარე სათავსოები — ფარდული, საქონლის ბაკი თუ საბძელი — ამ ოთახს უერთდებოდა, ხოლო მაგიდა, საწოლი, აკვანი, ბავშვის გასაბანი როფი, ხორბლით სავსე ტომრები თუ სხვადასხვა ხელსაწყოები თავად ოთახში იყო თავმოყრილი.

ინგლისური სოფლური სახლის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს საცხოვრებელი კორპუსისა და ჰოლის განცალკევება წარმოადგენდა. პირველი მათგანი ინტიმური ცხოვრებისათვის იყო განკუთვნილი, მეორე კი, გარკვეული თვალსაზრისით, საზოგადოებისათვის. აქ, ჰოლში, ერთად უსხდნენ ხოლმე მაგიდას სახლის პატრონიცა და მასზე დამოკიდებული ხალხიც; ღამღამობით აქვე იძინებდნენ მსახურები, კედლის გასწვრივ სპეციალურად მათთვის გამართულ საწოლზე. შუა საუკუნეების სახლს პირველი სართულის იატაკი მიწისა ჰქონდა, ფილაქანს მხოლოდ მდიდრები აგებდნენ. ზედა სართულის ხის იატაკი, მართალია, სიცივეს არ ატარებდა, მაგრამ, ისევე, როგორც საწოლის ბალდახინი, აუარებელი მწერის ბუდედ იქცეოდა ხოლმე. შეძლებულ სახლში საკმაოდ ბევრი ნოხი ჰქონდათ; ნოხებს კედლებზე ჰკიდებდნენ, ანდა სკამზე აფენდნენ, მაგრამ არასოდეს აგებდნენ იატაკზე. იატაკს, წელიწადის დროების

მიხედვით, ან თივით, ან მწვანე ბალახით ფარავდნენ. ერთ ეგრეთ წოდებულ „კემბრიჯულ სიმღერაში“ ქალიშვილი ასე ეპატიჟება დობილს:

„ხალიჩები დაეფინეთ,
გავამზადეთ სკამები,
ბალახი და ყვავილი
ირგვლივ მიმოვაბნიეთ“.



აბანო. მინიატურა. XIII ს.

სწორედ ასე გამოიყურებოდა მორთული ოთახი: ნოხდაფენილი სკამები და სურნელოვანი ყვავილებითა და ბალახით მოფენილი იატაკი.

გი დე ბაზოში (ფრანგი პოეტი — ვაგანტი, მდიდარი კანონიკი) დედისადმი მიწერილ წერილში ასე აღწერს თავის სახლს: ის არც დიდია და არც მდიდრული, მაგრამ საცხოვრებლად მოსახერხებელიაო. ზედა სართული „თვალებივით გახელილი“ სარკმლებით ზემოდან დასცქერის ქალაქს და იქიდან, არათუ მთელი ქალაქი, მისი მომიჯნავე მინდვრები და ვენახებიც ხელისგუგულივით მოჩანსო. ქვევით კი სამუშაო და მოსასვენებელი ოთახიაო; თეთრად შეღებილი კედლები პაროსის მარმარილოსაც არ უდებენ ტოლსო; პანელი ათასფრად ბრწყინავსო. მერე გი დე ბაზოში ისევ სარკმლებს უბრუნდება და ამბობს: მათი მინები ამწვანებული ბაღის სიმშვენიერესა და აყვავებული ბუჩქების სურნელს ისრუტავენო, მავნე ქარებს გზას ულობავენ და მხოლოდ სანახევროდ ატარებენ დღის სინათლესო; ნოხები და კერია კიდევ უფრო ამძაფრებენ სიმყუდროვის შეგრძნებას, ხოლო გალიაში მსხდომი ჩიტები, წლის ნებისმიერ დროს, გაზაფხულის ჭალების ჰანგებს აცოცხლებენო.

მაგრამ სახლი მხოლოდ და მხოლოდ საცხოვრებელი როდი იყო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ანუ, მარტოოდენ ის ადგილი, სადაც ეძინათ, ჭამდნენ, სტუმრებს იღებდნენ და ბავშვებს ზრდიდნენ. იქ, სადაც ცხოვრობდნენ, მუ-

შაობდნენ კიდეც (განსაკუთრებით ქალაქებში). ქალაქური სახლის ქვედა სართულში, ჩვეულებრივ, სახელოსნოს ან დუქანს მართავდნენ, იქვე ინახავდნენ ნედლეულსა და ხელსაწყო-იარაღებსაც. ინტიმური ცხოვრება შეუმჩნეველად გადადიოდა საქმიან ცხოვრებაში. შუა საუკუნეებისათვის უცნობია შრომისა და ყოფის იმგვარი თანამიმდევრული გამოცალკევება, რაც ინდუსტრიული ეპოქისთვისაა დამახასიათებელი.

როგორც შუა საუკუნეების სახლმა უარყო რომაული სახლის ზუსტი გეგმა, ისევე ამბობს უარს შუა საუკუნეების დროინდელი ქალაქიც ანტიკური მუნიციპიუმისათვის დამახასიათებელ მკაცრ დაგეგმარებაზე. შუა საუკუნეების ქალაქში აღარც ფორუმია, თავისი საზოგადოებრივი შენობებით, და აღარც განიერი, მოკირწყლული ქუჩები, რომლებსაც, ორსავე მხრიდან, ხეივნები გასდევდა. ზოგან ძველი ანტიკური შენობები ახალი დანიშნულებისამებრ გამოიყენეს: ცირკის სარბიელზე, მაგალითად, საცხოვრებელი სახლები ააგეს, გიმნასიუმები ეკლესიებად აქციეს, ტაძრები — ციხე-დარბაზებად (ზემოთ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ შუქურების სამრეკლოებად გადაკეთების თაობაზე). სახლები ახლა ერთმანეთზეა მიტყუპებული ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში და უთაებოლოდ გადმოკიდებული ერკერები ქუჩებს კიდევ უფრო ვიწროსა და დაკლაკნილს აჩენენ. შუა საუკუნეებში ქუჩის სიგანე ძალიან მერყეობდა. ყველაზე ტიპიურია შვიდი-რვა მეტრის სიგანის ქუჩა (მაგალითად, ამ სიგანისა იყო პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი მაგისტრალი). პატარა ქუჩები და შესახვევები კიდევ უფრო ვიწრო იყო — ორი მეტრის სიგანისა, ხოლო ბევრ ძველ ქალაქში ერთი მეტრი სიგანის ქუჩასაც შეხვდებოდით. ძველი ბრიუსელის ერთ-ერთ ქუჩას „ერთი კაცის ქუჩა" ერქვა, რითაც იმის თქმა უნდოდათ, ალბათ, ორი ადამიანი ამ ქუჩაზე გვერდს ვერ აუქცევსო. ქუჩა ხალხით, ცხოველებითა და ურმებით იყო სავსე. შუა საუკუნეების ქალაქთა ქუჩებში ხშირად ნახირსაც მიერეკებოდნენ ხოლმე. მაგრამ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქუჩების სილამაზეზე არ ზრუნავდნენ. ქუჩების სილამაზეზე, განსაკუთრებით, იტალიის ქალაქებში ზრუნავდნენ. ტოსკანაში მაგისტრატურის იმ მოხელეებს, ვისაც ქუჩების ინსპექცია ევალებოდათ, „სილამაზის მოხელეებს ეძახდნენ. თუ სასახლის გვერდით უშნო ან ღარიბული შენობა იდგა, მის მფლობელს გარკვეულ თანხას უხდიდნენ სახლის გასაკოხტავებლად. 1325 წელს ფლორენციაში დადგენილებაც კი მიიღეს, ქვის ყველა სახლი ერთი სიმაღლისა აეშენებინათ. შუა საუკუნეებში სახლებს არ ნომრავდნენ, ნომრის მაგივრობას განმასხვავებელი ნიშანი სწევდა — რელიგიურ სიუჟეტზე შექმნილი ბარელიეფი ან სახლის მფლობელის სკულპტურული პორტრეტი, რაც, თავისთავად, სამკაულის დანიშნულებასაც ასრულებდა. გზაჯვარედინებზე, ამავე მიზნით, ჯვრებს

დგამდნენ ხოლმე. იტალიისა და საფრანგეთის მრავალ ქალაქში გაფორმების მნიშვნელოვან დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენდა მოედნებზე განლაგებული შადრევნებიც.

ქუჩებში წესრიგისა და სისუფთავის დამყარება ქალაქის მესვეურთა განუწყვეტელი ზრუნვის საგნად იყო ქცეული. სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ნაგვის და სიბინძურის გაზიდვა. ნაგავს მდინარეში ან უახლოეს ხევში ყრიდნენ, ზოგჯერ ამ მიზნით ძველ რომაულ ნაგებობებსაც იყენებდნენ. სანაგვე ფურგონები პარიზში მხოლოდ მეთოთხმეტე, ამიენში კი მეთხუთმეტე საუკუნეში გაჩნდა. ზოგიერთ ქალაქში ამა თუ იმ ქუჩის მცხოვრებლები საკუთარ ხარჯზეც ქირაობდნენ მენაგვეებს. პირველი ქვაფენილი პარიზში მეთორმეტე საუკუნის დასასრულს დაუგიათ. ყოველ მოქალაქეს ევალებოდა საკუთარი სახლის წინ მოეკირწყლა ქუჩა. მეფის ინიციატივით, ეს წესი შემდეგ სხვა ქალაქებშიც შემოიღეს და უკვე მეთოთხმეტე საუკუნისათვის საფრანგეთის ყველა მნიშვნელოვან ქალაქში ქვაფენილი ეგო. ქუჩების მოკირწყვლის დადგენილება პრაღაშიც მიიღეს 1331 წელს. ეს დადგენილება ქუჩის გასუფთავებას ავალდებულებდა, მოქალაქეებს ორმოების ამოვსებასა და რათა მოძრაობა არ შეფერხებულიყო.

სამზარეულო მოწყობილობა, სუფრაზე გასატანი ხორცის დაკრა, გაწყობილი სუფრა. XIV ს-ის დასაწყისი. მინიატურა.

მაგრამ სისუფთავისადმი ამგვარი მიდრეკილება როდი იყო დამახასიათებელი ევროპის ყველა ქალაქისათვის. გერმანიის მდიდარ ქალაქ აუგსბურგში ქუჩა პირველად მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში, მოუკირწყლავთ. ამავე საუკუნის ბოლოს ქალაქ რეიტლინგენის მცხოვრებნი დიდხანს აფრთხი-

ლებდნენ იმპერატორ ფრიდრიხ მესამეს (1140—1493), არ ჩასულიყო მათთან, მაგრამ იმპერატორმა ყური არ ათხოვა გაფრთხილებას და კინაღამ ცხენიანად ტალახში ჩაიხრჩო. წყალსადენი თხრილებიც მხოლოდ მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში ჩნდება და ისიც მარტოოდენ დიდ ქალაქებში.

რეიმსის აღწერის მიხედვით, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეს განეკუთვნება, ქალაქი სამ ნაწილად ყოფილა დაყოფილი: საეკლესიოდ, სამეფოდ და სავაჭროდ. პარიზის გეგმაზე (მეთექვსმეტე საუკუნე) ქალაქის ოფიციალური ნაწილის გვერდით საუნივერსიტეტო და კომერციული უბნებიცაა აღნიშნული. სავაჭრო კვარტალები, როგორც წესი, განლაგებული იყო ქალაქის კარიბჭესთან ან ხიდებთან, ზოგჯერ თავად ხიდებზეც კი. ქალაქის ასეთი დაყოფა, უმთავრესად, სტიქიურად ხდებოდა, მაგრამ, ხშირად, ამ დაყოფაში ქალაქის მმართველობის ხელიც ერია. ცნობილია მრავალი დადგენილება, სანიტარიის თვალსაზრისით, სასაკლაოებისა და სადაბაღოების ქალაქის გარეთ გატანას რომ მოითხოვდნენ. მთელ რიგ ქალაქებში ასეთივე ბედი ეწიათ მეთუნუქეებსაც, მათი ხმაურიანი ხელობის გამო. სიენაში, მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულს, წამოაყენეს წინადადება, ერთი ხელობის ხალხი სპეციალურად მათთვის განკუთვნილ ადგილას დაესახლებინათ. სპეციალური უბნები არსებობდა ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფისთვისაც. ყველაზე უფრო ცნობილია გეტო, მაგრამ ეს ერთადერთი მაგალითი როდია ამგვარი დასახლებისა: გერმანიის ქალაქებში სლავები, როგორც წესი, ცალკე სახლდებოდნენ; განსაკუთრებულ უბნებში ცხოვრობდნენ ლომბარდიელებიც.

თავდაპირველად ქალაქში ერთადერთ საზოგადოებრივ ნაგებობას ეკლესია წარმოადგენდა. ეკლესია ქალაქის არქიტექტურული, იდეოლოგიური და გარკვეული თვალსაზრისით, სამეურნეო ცენტრიც კი იყო. ეკლესიის გარშემო იყრიდნენ თავს ხელოსანთა და ვაჭართა დუქნები; ეკლესიის კარიბჭესთან იმართებოდა სამეცნიერო თუ პოლიტიკური დისკუსიები; იქვე, საღღესასწაულო დღეებში, თეატრალური სანახაობებიც ეწყობოდა, ზოგჯერ სამღვდელოების ხელმძღვანელობითაც. ეკლესიის სამრეკლო აღნიშნავდა ქალაქის დროის დინებას, ხოლო უდროო დროს შემოკრული ზარი — ხანძრის, მტრის შემოსევის ან მოულოდნელად გაჩენილი ეპიდემიის მაუწყებელი იყო.

დასავლეთ ევროპის ძველი ეკლესიები რომაული ნაგებობებია, ცილინდრის ფორმის ხოკერული თაღით გადახურული; თაღის განმბრჯენა მთელ სიგრძეზე გადაეცემოდა კედლებს, რაც კედლის მასიურობას განაპირობებდა; ხშირად კედლებს კონტრფორსებს — გვერდსამაგრებსაც — მიაშენებდნენ ხოლმე. ადრექრისტიანული ტაძრის სივრცე, მისი წინამორბედის, ადრექრისტიანული ბაზილიკის მსგავსად, ჰორიზონტალურად იყო განფენილი და მისი მთავარი ღერძი

დასავლეთის კარიბჭიდან (მთავარი შემოსასელელიდან) საკურთხევლის აფსიდისაკენ გადიოდა, სადაც სამსხვერპლო იდგა და სადაც მღვდელი ღვთისმსახურების უმთავრეს ნაწილს ასრულებდა. რომანულმა ტაძარმა ადრექრისტიანული ბაზილიკისაგან მემკვიდრეობით დეკორის ელემენტებიც მიიღო: უპირველეს ყოელისა, მოზაიკა (იტალიაში) და კედლის მხატვრობა (გერმანიაში, საფრანგეთში).

დაახლოებით მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებიდან რომანულ ხუროთმოძღვრებას გოთიკური ავიწროებს და მეცამეტე საუკუნეში გოთიკური არქიტექტურა უკვე აყვავებას იწყებს. სახელწოდება „გოთიკური" პირობითიცაა და უცნაურიც. გოთიკურ ტაძრებს არაფერი სცხია საკუთრივ „გოთიკური", ბარბაროსული; ფრანგებმა უფრო მოსწრებულად შეარქვეს გოთიკურ სტილს „ისრისებური". ერთი შეხედვით, გოთიკური ტაძარი ბევრით არ განსხვავდებოდა რომანულისაგან: მათი გეგმები მსგავსია, ორივეს საფუძვლად გრძელი ნავი — ნეფი უდევს, რომელსაც ორივე მხრიდან გვერდითი ნავები გასდევს; ნავს სწორი კუთხით ჰკვეთს განივი ნავი — ტრანსეპტი; შენობა აღმოსავლეთის მხრიდან მთავრდება საკურთხევლის აფსიდით, იგივე „ეკვდერთა გვირგვინით", ანუ აფსიდათა სერიით (ოთხი-ხუთი აფსიდა); დასავლეთით მთავარი შესასვლელია, ორ კოშკს შორის მოქცეული. მაგრამ ისრული კამარის გამოყენებამ სულ სხვა ხასიათი და სულ სხვა ესთეტიკური დანიშნულება შესძინა გოთიკურ ტაძარს. ისრული კამარა შესანიშნავი საინჟინრო აღმოჩენა იყო, რომელმაც თაღის დაწოლა შეამცირა და შესაძლებელი გახადა კედლების მასიურობის დაძლევაც. გოთიკური ტაძარი განტვირთულია იმ ზედმეტი ელემენტებისაგან, რომელთაც არავითარი მექანიკური დატვირთვა არ გააჩნიათ. ის შიშველ კარკასს ჰგავს და მნახველს მისი „ნეკნების" დათვლაც კი შეუძლია. ამავე დროს, ისრული კამარების გამოყენებამ ტაძრის ძირითადი ღერძის გადაადგილებაც გამოიწვია: ჰორიზონტალური ღერძი ვერტიკალურად იქცა: გოთიკური ხუროთმოძღვრების ვერტიკალურ ორიენტაციას ხაზს უსვამდა შედარებით მსუბუქი კედლების სიმაღლე, ისრისებური კამარის საბჯენი პილასტრების მოხდენილობა, კოშკურები, შპილები და ვეებერთელა სარკმლები. თაღის განმბრჯენას უკვე გვერდით ნავებზე გადადებული ნატიფი არკბუტანები ანელებდნენ და არა მძიმე კონტრფორსები. მაღალი ისრისებური ჭრილები მთავარსა და გვერდით ნავებს შორის თავისუფლად ატარებდნენ ჰაერს შენობის ერთი ნაწილიდან მეორეში, რაც სივრცის ორგანული ერთიანობის შთაბეჭდილებას ქმნიდა.

ფერწერული და მოზაიკური დეკორი ადგილს უთმობს ვიტრაჟს, რელიეფსა და ქანდაკებას. ქვის შთამბეჭდავი ფიგურები ამშვენებდნენ როგორც ინტერიერს, ისე ეკლესიის პორტალებსაც (ქანდაკებებით, განსაკუთრებით, დასავ-

ლეთის პორტალი იყო გადატვირთული) და სკულპტურული ჯვარცმაც ტაძრის შიდა სივრცის ლოგიკურ ცენტრად იქცა. ვიტრაჟის ფერადი მინები ათასნაირ ელფერს აძლევდნენ მზის სინათლეს და ისეთ ილუზიას ქმნიდნენ, თითქოს შენს ვვერდით ბიბლიური თუ „ცხოვრებათა“ პერსონაჟები გაცოცხლებულანო. მაგრამ ტაძრის დეკორში ადგილს იმკვიდრებდნენ არა მარტო ქრისტიანული ლეგენდების გმირები, არამედ საერო მმართველებიც, ზღაპრული ცხოველებიცა და შრომის ამსახველი სხვადასხვა სურათებიც. შუა საუკუნეების მცხოვრებთათვის ტაძარი ის მიკროკოსმოსი იყო, რომელიც მთელ სამყაროს იტევდა.

თანდათანობით, ქალაქების დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და ვაჭართა სიმდიდრის ზრდასთან ერთად, ქალაქებში ახალი საზოგადოებრივი ნაგებობანიც შენდება: სათათბიროები (რატუშები) თუ დახურული ბაზრები (ბრიუგეში საკაჭრო ცენტრი მეტად რთულ ნაგებობას წარმოადგენდა, სადაც ხომალდები სპეციალური, გადახურული არხით შედიოდნენ), საავადმყოფოები თუ კოლეჯები, საერთო საცხოვრებლები ქალაქში გადმოსახლებული სტუდენტებისათვის თუ საწყობები და საამქროები.

რატუშა ქალაქის დამოუკიდებლობის სიმბოლოს განასახიერებდა. მისი ქვედა სართული, რომლის ფასადიც სვეტებზე დაყრდნობილი თაღების რიგით იყო შემკული, ჩვეულებრივ, საწყობს, ანდა არსენალს ეთმობოდა; ზემოთ სადღესასწაულო დარბაზი და რამდენიმე უფრო მომცრო სათათბირო ოთახი იყო განლაგებული. ფეოდალური ციხე-დარბაზის მიბაძვით, რატუშას თავისი ბეფრუაც ჰქონდა, ანუ მაღალი კოშკი, სადაც განგაშის მაუწყებელი ზარი ეკიდა, ქალაქის ციხე იყო გამართული და ქალაქის ქარტიები და ხაზინა ინახებოდა.

ქალაქს მტკიცე გალავანი ერტყა გარს; უიმისოდ ვერც იარსებებდა. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი შთაბეჭდილება სწორედ იმით მოახდინა ბერძნულმა ქალაქმა ანდრავიდამ, ამგვარი თავდაცვითი ნაგებობები რომ არ გააჩნდა; მსგავსიც არაფერი ენახათ სამშობლოში. ქალაქის სიმაგრე ნაგებობათა რთულ სისტემას წარმოადგენდა. ქონგურებიანი კედლები ბორცვებზე, ანდა მდინარეთა ნაპირებზე ამოჰყავდათ — თითქოს თავად ბუნებისგან შექმნილი დაბრკოლებების გასაძლიერებლად — ხშირად რამდენიმე რიგადაც, რადგან მათ კონფიგურაციას არა მარტო ძველი, არამედ მომიჯნავე, ახალი უბნების დაცვის აუცილებლობაც განაპირობებდა. კედლებს ბურჯებით ამაგრებდნენ, რომლებიც კედლებს შორის მოწყვდეულ სივრცეს გადმოჰყურებდნენ. კარიბჭესთან მისასვლელი ვიწრო, შემოზღუდული და აუცილებლად მრუდი უნდა ყოფილიყო; სიმაგრის თხრილზე ასაწევი ხიდი ჰქონდათ გამართული, რომელსაც ქალაქიდან ადევნებდნენ თვალყურს. ქალაქი, მიუხედავად გარემომცველ სივრცესთან მჭიდრო ეკონომიური კავშირისა,

ურომლისოდაც მას არსებობა არ შეუძლია და რომლისგანაც, ამავე დროს, განუწყვეტლივ ელოდება ხიფათს, კიდევ უფრო დაძაბული, კიდევ უფრო ჩაკეტილია საკუთარ თავში, ვიდრე ნებისმიერი მისი სახლი.

ხალხის თავმოყრას ქალაქებში, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა. თუმცა, იმდროინდელი ქალაქები, მაინცდამაინც, არ გამოირჩეოდნენ მოსახლეობის სიმრავლით: მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებშიც კი გერმანიის უდიდესი ქალაქების — ლუბეკისა და ნიურნბერგის მოსახლეობა ოცი ათასს არ აღემატებოდა, ათი ათასიანი ქალაქი უკვე დიდ ქალაქად ითვლებოდა. ბევრ ქალაქში მხოლოდ ორი ან სამი ათასი კაცი ცხოვრობდა. ქალაქი სოფელზე ძლიერიც იყო და მდიდარიც, უფრო საიმედოდ იყო დაცული, ქალაქური ცხოვრება უფრო ინტენსიური და მრავალფეროვანი გახლდათ. სამაგიეროდ, სოფლისაგან განსხვავებით, ჭუჭყში იხრჩობოდა. ქალაქის მესვეურთა ის უამრავი დადგენილება, სანიტარიის თვალსაზრისით სახიფათო საწარმოების ქალაქგარეთ გატანას რომ მოითხოვენ, ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ მძაფრად იდგა სისუფთავის პრობლემა. დაავადებათა საშიშროებაც კარგად ჰქონდათ შეგნებული: კეთროვნებსა და ავადმყოფებს საზოგადოებრივ აბანოებში არ უშვებდნენ; ლეპროზორიუმებსა და საავადმყოფოებს, ეადამღები სენით შეპყრობილთათვის, გალავანს გარეთ აშენებდნენ. მაგრამ ამგვარი ღონისძიებანი საქმეს ვერ შველოდა, თანაც, ყოველთვის როდი ექცეოდათ ჯეროვანი ყურადღება. სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ დროდადრო გაჩენილი ეპიდემიები, პირველ რიგში, სწორედ ჭუჭყისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის გამო აჩანაგებდნენ ქალაქებს და მრავალთა სიცოცხლეს შეიწირავდა ხოლმე. განსაკუთრებით დამანგრეველი აღმოჩნდა შავი ჭირის, „შავი სიკვდილის" ეპიდემია, რომელიც 1348 წელს მთელ ევროპას მოედო. იმ წლების სტატისტიკა, რაღა თქმა უნდა, ზუსტი არაა, ქრონიკებში სრულიად წარმოუდგენელი ციფრებია დასახელებული, მაგრამ თვით ყველაზე ფრთხილი მკვლევარებიც კი (მაგალითად, დ. მ. პეტრუშევსკი) შესაძლებლად თვლიან, „შავ სიკვდილს" ინგლისში ნახევარი მოსახლეობა რომ გაეწყვიტა; თანაც, ალბათ, თავადაზნაურობა შედარებით ნაკლებად დაზარალდებოდა, ვიდრე უფრო მჭიდროდ მცხოვრები საზოგადოების სხვა ფენები.

შავი ჭირი მართლაც რომ ღვთის წყრომაა შუა საუკუნეებისათვის. ექიმებს ფაქტიურად არ შეეძლოთ ამ სენის ამოცნობა, ანდა, მაშინღა დაადგენდნენ ხოლმე, როცა უკვე ძალზე გვიან იყო და აღარაფერს შეეძლო მისი შეჩერება. მკურნალობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ისიც კი არ იცოდნენ, რა იწვევდა ამ სენს; სნეულთა სიკვდილიანობა, არაიშვიათად, შედარებით უფრო მოგვიანებითაც კი, სამოცდაჩვიდმეტ-ოთხმოცდაჩვიდმეტ პროცენტს შეადგენდა. ერთად-

ერთ ყველაზე ნაცად „წამალს“, რომელსაც ხალხი შავი ჭირისაგან დასაცავად თითქმის მეჩვიდმეტე საუკუნემდე იყენებდა, cito, longe, tarde წარმოადგენდა, ანუ — რაც შეიძლება სწრაფად გაქცევა სახიფათო ადგილიდან, რაც შეიძლება შორს გადახვეწა და რაც შეიძლება გვიან დაბრუნება უკან.

სამედიცინო დახმარება შუა საუკუნეებში ძალიან სუსტად იყო განვითარებული. ზოგიერთ ქალაქში საკუთარი ექიმიც არ ჰყავდათ და იძულებულნი იყვნენ მეზობელი ქალაქის ექიმებისათვის მიემართათ. ეს კი ყველას არ შეეძლო. საავადმყოფოები ბერებსა და მონაზვნებს ებარათ, რომლებსაც ბევრი არაფერი გაეგებოდათ ექიმობისა.

შუა საუკუნეების საზოგადოების ცხოვრებაში საავადმყოფოებს თავისებური ადგილი ეკავათ. მათი დანიშნულება სცილდებოდა უბრალო სამკურნალო დაწესებულების ფარგლებს. ადრეულ შუა საუკუნეებში საავადმყოფოებს, ჩვეულებრივ, საეკლესიო დაწესებულებანი აარსებდნენ — მონასტრები, ტაძრები, საეპისკოპოსოები, და არა მხოლოდ სნეულთათვის იყენენ განკუთვნილნი, არამედ, უმთავრესად, მწირთათვის და მოგზაურთათვის; აქვე პოულობდნენ თავშესაფარს გლახებიც. საავადმყოფო (locus religiosus) ეკლესიის მფარველობის ქვეშ შედიოდა, როგორც წესი, ეკლესიის შენობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და საკურთხევლის ახლოს იყო მოთავსებული. მეთორმეტე საუკუნის დასასრულიდან საავადმყოფოებს საერო პირებიც აარსებენ — ქალაქელი სენიორები, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით — შეძლებული მოქალაქეებიც. ახალი საავადმყოფო და ეკლესია საამშენებლო თვალსაზრისითაც გათიშულია ერთმანეთისაგან და ორ დამოუკიდებელ შენობას წარმოადგენს, თუმცა საავადმყოფო, როგორც დაწესებულება, კელავ ეკლესიის მფარველობის ქვეშ იმყოფება. მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება საავადმყოფოების კომუნალიზაციის პროცესი, რაც მომდევნო საუკუნეში კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა: ქალაქის მესვეურები ცდილობენ ჩაერიონ საავადმყოფოთა მართვა-გამგეობის საქმეში, ანდა სულაც, თვითონ ჩაიგდონ ხელში ეს საქმე. პარალელურად იცვლება საავადმყოფოების დანიშნულებაც: ახლა ისინი საქველმოქმედო დაწესებულებებია, სადაც მხოლოდ ბიურგერებს — სრულუფლებიან მოქალაქეებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუძლიათ შესვლა, ისიც სპეციალური გადასახადის შეტანის შემდეგ. იცვლება საავადმყოფოების ადგილმდებარეობაც: თუ ადრე მათ, ჩვეულებრივ, ქალაქის განაპირას, გალავანთან ან კარიბჭესთან აშენებდნენ, მეთოთხმეტე საუკუნიდან საავადმყოფოებს სულ უფრო და უფრო ხშირად ეთმობათ ადგილი ქალაქის ცენტრში და თვით ბაზრის მოედანზეც კი. საავადმყოფო უკვე აღარ იყო საეკლესიო დაწესებულება, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, თუმცა ჯერ კიდევ სარგებლობდა ეკლესიის

მფარველობით და ამიტომ მისი ქონება ხელშეუხებლად ითვლებოდა, რამაც, სამეურნეო და პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელოვანი შედეგები მოიყოლა: შეძლებული მოქალაქეები სიხარულით აბანდებდნენ თავიანთ სიმდიდრეს საავადმყოფოებში, როგორც ყველაზე საიმედო ადგილას; ქალაქის მაგისტრატი კი საავადმყოფოებს თავისი ტერიტორიული პოლიტიკის იარაღად იყენებდა, განსაკუთრებით, გერმანიის სამხრეთ-დასავლეთის ქალაქებში. 1295 წელს ქალაქ ესლინგენის საავადმყოფომ გრაფ გოტფრიდ ფონ ტიუბინგენისაგან უფლებანი და მამულები შეიძინა სოფელ მერინგენში, ორი წლის შემდეგ სოფელ ვაიხინგენში, ხოლო რაინდ კონრად ფონ ბერნჰაუზენისაგან იმავე წელს — კატცენბახის ტყე. 1304 წლის საადგილმამულო წიგნი ნათელი დადასტურებაა იმ გეგმაზომიერი პოლიტიკისა, რომელსაც საავადმყოფოები მისდევდნენ მიწების შეძენისას. ამ პოლიტიკის წყალობით, 1331 წლისათვის ქალაქი ესლინგენი უკვე მნიშვნელოვან ტერიტორიას ფლობდა ნეკარის გასწვრივ. ისეთი საიმპერიო ქალაქების, როგორებიც იყვნენ ბიბერახი, მემინგენი, კაუფბაირენი, ნორდლინგენი, აუგსბურგი, როიტლინგენი, ტერიტორიების უდიდეს ნაწილს სწორედ საავადმყოფოთა მიერ შეძენილი მიწები შეადგენდნენ. ჰქონდათ რა საკუთარი ქონებაცა და მეურნეობაც, საავადმყოფოები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ შუა საუკუნეების ქალაქის ფინანსურ და სამეურნეო ცხოვრებაში; მეთოთხმეტე საუკუნიდან კი მათი როლი კიდევ უფრო გაიზარდა. ისინი აძლევდნენ სესხსა თუ მუდმივ რენტას ბიურგერებს, ზოგჯერ — მაგისტრატსაც, ხან მცირე პროცენტებით, ხანაც საერთოდ უპროცენტებოდ; მარცვლეულის იმდენ მარაგს ფლობდნენ, მოუსავლიანობის ჟამს მოსახლეობის უზრუნველყოფაც შეეძლოთ და ფასების რეგულირებაც.

შუა საუკუნეებში სამეცნიერო მედიცინა საკმაოდ მოიკოჭლებდა; სამედიცინო გამოცდილება კი მაგიასთან, ასტროლოგიურ დაკვირვებებთან და რელიგიასთან იყო გადახლართული. სისხლის გამოშვება და კუჭის ამორეცხვა ისევ მთავარ და ლამის ერთადერთ სამკურნალო საშუალებად რჩებოდა. ავადმყოფს კოჭასა და დარიჩინის ფხვნილს „მამაო ჩვენოს“ გალობით აყლაპებდნენ, რაც მოტეხილობის უებარ საშუალებად ითვლებოდა; ხოლო საღათას ძილით შეპყრობილის საწოლთან ღორს აბამდნენ. სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ ძვირფას ქვებსა თუ ათასნაირ რარიტეტებს, მაგალითად, გომბეშოს ღვიძლს. მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებშიც კი, საუკეთესო სპეციალისტების რჩევით, ავადმყოფს ფეხით კიდებდნენ ხოლმე, ვითომ შხამი რომ გამოსვლოდა ყურებიდან, ცხვირიდან, პირიდან და თვალებიდან. ქირურგია, გარდა პრაქტიკული ქირურგიისა, რომელიც დალაქების ხელში იყო და არა ექიმებისა, იკრძალებოდა. დაახლოებით 1300 წელს პარიზის სამედიცინო ფაკულტეტმა დაუფარა-



ღეპროზორიუმი. მინიატურა. XIV ს-ის დასაწყისი.

ვად „გამოსატა ქირურგიისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება. თუმცა, უკვე ჩნდებოდა ინტერესი ადამიანის შიგნეულობის შესწავლისა, ოღონდ, ისიც პირქუში შუა საუკუნეების სამოსელში გახვეული ეელინებოდა ქვეყანას. როგორც ქრონისტი სალიმბენე მოგვითხრობს, იმპერატორ ფრიდრიხ მეორეს (1212—1250), სამედიცინო ექსპერიმენტის მიზნით, მაგრად გაუძღია ორი მსახური, რის შემდეგაც, ერთისთვის უბრძანებია, მეორისათვის კი აუკრძალია დაძინება; გარკვეული დროის შემდეგ, ორივე მსახური მოუკვლევინებია, რათა გაეკვეთათ და დაედგინათ, რომელს უკეთესად შეერგო საჭმელი. ფრიდრიხ მეორის სხვა ცდა უფრო „თეორიულ“ ხასიათს ატარებდა: მან მჭიდროდ დაგმანულ ყუთში კაცი ჩაკეტა, და როცა ყუთი გახსნეს, იქ მხოლოდ სხეული იპოვნეს, სული კი აღარსად იყო; ამ გარემოებამ კიდევ უფრო საეჭვო გახადა ფრიდრიხისათვის საიქიო ცხოვრების არსებობა; ადამიანის ორგანიზმის აგებულებისა და ფუნქციონირების შესახებ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. ღვიძლი — კერიად, კუჭი კი ამ კერიის ცეცხლზე შედგმულ ქვაბად წარმოედგინათ, რომელშიაც საჭმელი იხარშებოდა.

შუა საუკუნეების ლიტერატურა, მოლიერამდე დიდი ხნით აღრეც, მატყუა-

რა ექიმებისა და უვიცი მკურნალების განქიქებითაა სავსე. და მაინც, შუა საუკუნეების დროინდელი ექიმების რჩევები ყოველთვის უაზრო როდი იყო. მეტად საინტერესოა მეცამეტე საუკუნეში, „სალერნოს (სამედიცინო) სკოლის პრინციპების მიხედვით" შედგენილი სახელმძღვანელო, სადაც მრავალი რჩევა-დარიგებაა დიეტასა და ჰიგიენასთან დაკავშირებით. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით ჯანმრთელობისათვის მეტად სასარგებლო ყოფილა დილაობით ციცი წყლით ხელ-პირის დაბანა, კუნთების გასაშლელად გავლა, თმის დავარცხნა და კბილის გახეხვაც კი. მავნებელია ცხელი აბაზანის ხშირად მიღება. ძილის წინ ჯერ მარცხენა გვერდზე დაწოლა სჯობს, მერე — მარჯვენაზე. მავნებელია ღორმუცელობაც, თუმცა არც მეტისმეტი სიგამხდრე ვარგა. ამ სახელმძღვანელოს ავტორი იმასაც გვასწავლის, თუ რომელი ღვინოა მაწყინარი კუჭისა და ღვიძლისათვის, გვირჩევს ვსვათ წვიმის წყალი (ის უფრო რბილია და ხელს უწყობს საჭმლის უკეთესად მონელებასო); ასევე უპირატესობას აძლევს აღმოსავლეთისკენ მიმართულ წყაროებს, რამდენადაც, სამხრეთისაკენ მიმავალი წყალი ნაწლავების მტერი ყოფილა. კურდღლის ხორცს ღორისას ამჯობინებს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, ძუძუს გოჭი და ძუძუს ბატკანი ღვიძლისათვის სახიფათოაო. ჯანმრთელობის სალერნული კოდექსი, ალბათ, ვერ იქნებოდა ქცევისა და დიეტის წესების პრაქტიკული წარმმართველი მეცამეტე საუკუნის ევროპის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის. შუა საუკუნეების საკვები ძალზე ერთფერიოვანი იყო და ყველას როდი შეეძლო გამიზეზებულიყო, აქაოდა ძუძუს გოჭს ვერ შევჭამ, არ მაწყინოსო. მართალია, ქალაქის ბაზრები, განსაკუთრებით ისეთი დიდი ქალაქებისა, როგორიც პარიზია, სავსე იყო ყველანაირი სანოვაგით, ნანადირევი იქნებოდა ეს, ხიდი თუ შორიდან ჩამოტანილი ღვინოები, მაგრამ მრავალფეროვნებითა და სიუხვით იმ დროისათვის მხოლოდ დიდებულთა და შეძლებულ ვაჭართა სუფრა გამოირჩეოდა, ხოლო რიგითი მოქალაქეები და გლეხები სულ სხვანაირად იკვებებოდნენ. ერთ ინგლისელ მწერალს საკმაოდ ირონიულად აქვს აღწერილი პარიზული ტრაპეზი: რამდენიმე კაცი შეჭამანდს იმზადებს, ყველას ჭვავის პურის ნაჭერი უჭირაეს ხელში — პურის გულისთვის ქერქი აუძვრია, ძაფი შეუბამს და წყლით სავსე ქვაბში ჩაუშვია. ვინმეს თავისი წილი პურის ქერქი რომ დაეკარგოს, ანდა ქვაბში ჩაეხარშოს, მუშტებით დაამტვრევენ ერთმანეთს ცხვირ-პირს. როცა პარიზელები ბულიონს ხარშავენო, განაგრძობს დაცინვას ინგლისელი მწერალი, ქვაბთან დარაჯს აყენებენ, წვენი რომ არ გადმოვიდეს და ხორცი არ გადმოიყოლოსო; ხორცი კი იმხელაა — კატა მოერევაო. და, აი, ბულიონიც მზადაა, მეინახენი ჯერ წვენს ხვრეპენ, მერე კი ხორცს ინაწილებენ. თითოეულს კამაილის ოდენა ხორცის ნაციცქნი თუ შეხვდა, ისიც დიდი ამბავია. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დაცინვაა, მაგრამ გარკვეულ საფუძველს მაინც არაა მოკლებული.

შუა საუკუნეების დროინდელი რაციონი თანამედროვესაგან, უპირველეს ყოვლისა, ცილების ნაკლებობით განსხვავდებოდა (ყოველ შემთხვევაში, უბრალო ხალხის რაციონი — გლეხებისა და ხელოსნებისა, რომლებიც იშვიათად, მხოლოდ დღესასწაულზე თუ ჭამდნენ ხორცს); აგრეთვე, შაქრის ნაკლებობითაც, რამდენადაც შაქარი თითქმის უცნობი იყო დასავლეთ ევროპისათვის, თაფლს კი არ შეეძლო მისი შეცვლა. ალპების ჩრდილოეთით წარმოდგენაც არ ჰქონდათ ზეთისხილის ზეთზე, აგრერიგად რომ იყო გავრცელებული საბერძნეთსა თუ ახლო აღმოსავლეთში. საკვების არასაკმარისი ნოყიერების ანაზღაურებას შუა საუკუნეების ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებნი რაოდენობის ხარჯზე ცდილობდნენ: სიმაძღრის შეგრძნება კუჭის სიმძიმესთან იყო გაიგივებული და მხოლოდ მაშინ ძღებოდნენ, როცა ბოლომდე ამოივსებდნენ ხოლმე კუჭს. განსაკუთრებით ბევრ პურს ჭამდნენ. მ. რუშმა (რომელიც კვების რაციონებს იკვლევდა საფრანგეთის მთელ რიგ მონასტრებსა და ფეოდალურ მამულებში) დაადგინა, რომ ადრეული შუა საუკუნეების დასასრულისათვის პურის დღიური ულუფა, როგორც ბერისათვის, ისე დიდებულისთვის, დაახლოებით 1,6—1,7 კგ შეადგენდა. ე. ეშტორის გამოთვლით, უფრო გვიანდელ პერიოდში შეძლებული მოქალაქე ყოველდღიურად კილოგრამამდე პურს ჭამდა, ჯარისკაცს და მეზღვაურს დღეში 700—750 გრამი პური ეძლეოდა.

პური, ძირითადად, ჭვავისა იყო, დაბალხარისხიანი. პურის გარდა ასევე ბევრს ჭამდნენ ფაფასაც, ცერცვისა თუ ლობიოს შეჭამანდს (ნივრის საკმაზით), იშვიათად, ყველსაც და თევზსაც (ცოცხალს, გამხმარს თუ დამარილებულს). ბოსტნეულსა და ხილს რაციონში უმნიშვნელო ადგილი ეკავა. რაკი ახალ ბოსტნეულს მაინცდამაინც არ ეტანებოდნენ, საკვებში თითქმის არ იყო ვიტამინი A, Д, E, K და, განსაკუთრებით, C; შემთსვევითი არ არის, რომ განდეგილები, რომლებიც ველური ნაყოფებით იკვებებოდნენ, დღეგრძელობით გამოირჩეოდნენ.

საკვებს სიმწვავეც აკლია: სურნელი — სანელებლები ძვირი ღირდა და ყოველდღიურად მათ მაგივრობას ნივრის, ხახვისა თუ სხვადასხვაგვარი მწვანილის საწებლები უწევდათ. ხმარობდნენ აგრეთვე ძმარსაც და მდოგვსაც. მსუყე და ცხიმიან საჭმელს ბევრ წყალს აყოლებდნენ. მაშინდელი, ძნელად გადასახარში საკვებიდან, შედარებით ადვილი მოსანელებელი ღორის ხორცი იყო. სწორედ ამიტომ გავრცელდა იმხანად მსუქანი, ღიპიანი ადამიანის ტიპი, გარეგნულად ბრგე და ახოვანი, რომელიც, სინამდვილეში, ცუდად იკვებებოდა და არაჯანსაღი სიმსუქნით იტანჯებოდა. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ თავადაზნაურობა შეადგენდა, რადგან ბევრ ნანადირევს ჭამდა. შეძლებული ხალხის რაციონი უფრო მდიდრული და მრავალფეროვანი იყო. 1279 წელს საფრანგეთის პარლამენტმა

(სასამართლო პალატამ) დადგენილებაც კი მიიღო, თუ რამდენი თაეი კერძისაგან უნდა შემდგარიყო სადილი (წენიანი, ორგვარი მეორე და ღესერტი), მაგრამ ამ დადგენილებას ყოველთვის როდი იცავდნენ. ერთ-ერთ ფაბლიოში აღწერილია რომელიღაც მღვდლის მიერ მეგობარი რაინდის პატივსაცემად გამართული სადილი. სუფრაზე ჯერ ღვინო და პური შემოუტანიათ, შემდეგ ღორის ხორცი და კურდღელი, ამას შემწვარი ბატი, ყვერულები, წიწაკის საკმაზიანი თევზი და, ბოლოს, პაშტეტი მოჰყოლია. დესერტად ხილი ჰქონიათ, ღვინო, კაკალი, დარიჩინი და კოჭა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დიდგვაროვანთა ყოველდღიური სადილი სრულებითაც არ ჰგავდა მათ სანადიმო სუფრას.

სმითაც ბევრს სვამდნენ. მ. რუშის ცნობით, ერთ კაცზე ყოველდღიურად ლიტრი — ლიტრ-ნახევარი ღვინო ან ლუდი მოდიოდა. ყველას თავისი საყვარელი სასმელი ჰქონდა: ფრანგს — ღვინო, ნორმანდიელს — ვაშლის ნაყენი, ინგლისელს — ქერის ლუდი. ბარბაროსთა შემოსევებს ალპების ჩრდილოეთით ვენახების გაჩანაგება მოჰყვა: სამხრეთ ინგლისში, ჩრდილოეთ საფრანგეთში, ბავარიასა და შვაბიაში (სადაც რომაელებმა გააშენეს ვენახები) ყურძნის მოყვანა, ფაქტიურად, შეწყდა. მაგრამ თანდათანობით მეღვინეობამ თავისი პოზიციები დაიბრუნა და 1200 წლისათვის მდინარე ელბის გაღმაც გადააბიჯა. ღვინო არა მარტო სუფრისთვის სჭირდებოდათ, არამედ წამლების დასამზადებლადაც (ღვინო, ზეთისხილის ზეთთან ერთად, იმ დროისათვის საუკეთესო გამხსნელად ითვლებოდა) და საეკლესიო რიტუალებისთვისაც: ლიტურგიის ჩატარება უღვინოდ წარმოუდგენელი იყო. ბადაგი ტკბილის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებდა — აღმოსავლეთიდან შემოტანილი ნუგბარი ჯერ კიდევ ფუფუნებად ითვლებოდა. ქერის ლუდი (ბრაგა) ძველადაც იყო ცნობილი, მაგრამ სვიის გამოყენება ლუდის მოსახარშად შუა საუკუნეების აღმოჩენაა. პირველი ცნობა ამის შესახებ მეთორმეტე საუკუნით თარიღდება. მეთორმეტე საუკუნიდან ლუდს უკვე ხშირად იხსენიებენ. ინგლისში სვიისაგან ლუდის მოხარშვის წესმა კონტინენტიდან საკმაოდ გვიან შეაღწია, დაახლოებით 1400 წელს.

სპირტის გამოხდა დაახლოებით 1100 წლიდან დაიწყეს, მაგრამ ეს საქმე კარგა ხნის განმავლობაში მხოლოდ აფთიაქების ხელში იყო, რომლებიც სპირტს „სითბოსა და სითამამის მიმნიჭებელ წამლად“ თვლიდნენ. ღვინოსა და ლუდს მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში მოევლინა სერიოზულ მეტოქედ ყურძნისა და „მზის ნამისაგან“ (როგორც მაშინ ამბობდნენ) დამზადებული იტალიური ლიქიორი. იმავე საუკუნეში გაფუებული მარცვლეულისაგანაც ისწავლეს სპირტის გამოხდა და მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე იძულებულნი იყვნენ მიეღოთ სერიოზული, მაგრამ მაინც ფუჭი ზომები სპირტთან, ანუ „არყის ეშმაკთან“ (Schnapsteufel) საბრძოლველად.

შუა საუკუნეების დროინდელი რაციონი თანამედროვესაგან, როგორც უკვე ვნახეთ, უმთავრესად მოცულობითა და, ამასთანავე ერთფეროვნებითაც განსხვავდებოდა; ის თავისი შედგენილობით, განსაკუთრებით ადრეულ პერიოდში, რომაული ტიპის ტრადიციულ რაციონს უახლოვდებოდა, რომლის ძირითად საკვებსაც პური და ღვინო წარმოადგენდა.

მდიდარ სახლში ნადიმის დაწყების ნიშანს მსახური იძლეოდა, რომელიც საყვირით უხმობდა სტუმრებს ხელის დასაბანად; „წყლისა ჩაბერაო", — ამბობდნენ საყვირის ხმის გაგონებაზე.

მსახურები ხელსაბან წყალსა და თეთრ ხელსახოცებს მიართმევდნენ ხოლმე სტუმრებს; წყალი ტაშტში ესხა; ტაშტი ხშირად ვერცხლისაც იყო, მოვარაყებული, წყალზე კი ვარდის ფურცლები და სურნელოვანი ბალახი დაცურავდა. მასპინძლის ოჯახი მხოლოდ სტუმრების დასხდომის შემდეგ ჯდებოდა სუფრასთან.

გრძელ მაგიდასთან თანამეინახენი სოციალური სტატუსის შესაბამისად იკავებდნენ ადგილებს: მაგიდის ამაღლებულ ბოლოში ყველაზე წარჩინებულ სტუმრებს სვამდნენ. ზოგჯერ საპატიო პირთათვის ცალკეც დგამდნენ განსაკუთრებულ, შაღალ მაგიდას, რომელსაც თავსა და ბოლოში ჰერპენდიკულარულად კიდევ ორ მაგიდას მიადგამდნენ ხოლმე, რუსული П ასოს მსგავსად. თანაც სტუმრები მაგიდის მხოლოდ ერთ მხარეს სხდებოდნენ, რათა შუაში თავისუფალი სივრცე დაეტოვებინათ მსახურებისათვის. მაგიდებზე თეთრ სუფრებს აფარებდნენ და ათასნაირად რთავდნენ. მასპინძელი დაბალ კარადას მოიდგამდა ხოლმე გვერდით, სადაც მაგიური, კერძების ავ-კარგიანობის შესამოწმებელი ნივთები ინახებოდა: რქოსანი ცხენის მოოქროვილი რქა (ალბათ, ნარეალისა) და ე. წ. ლანგიე (languier) — ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული სადგამი, რომელზედაც გველის (ალბათ, ზვიგენის) კბილები ეწყო. იმდროინდელი რწმენით, საკმარისი იყო, ოდნავ შეხებოდა შხამი რქოსანი ცხენის რქასა თუ გველის კბილს, მაშინვე ორივეს სისხლისდენა აუტყდებოდა. ამიტომ, ვიდრე პურს გატეხდნენ, მასპინძელი მაგიური ნივთებით ამოწმებდა სუფრაზე მორთმეულ კერძებს. ჭამის წინ სასულიერო პირი, ანდა ბავშვი, ლოცვას კითხულობდა (Benedicite), რის შემდეგაც ყველანი სხდებოდნენ. კერძი დახურული ჭურჭლით შემოჰქონდათ: ჯერ ერთი, ასეთ ჭურჭელში საჭმელი ცხლად ინახებოდა, მეორეც — უკეთესად იყო დაცული ჭუჭყისაგან — საჭმელში შეიძლებოდა მწერი, ან რომელიმე პატარა ცხოველიც ჩავარდნილიყო — და აგრეთვე, შხამისგანაც (ესეც მტრული ძალებისადმი იმ გაუნელებელი შიშის დადასტურებაა, საკუთარ ოჯახშიც რომ არ ანებებდათ თავს).

წვნიანს ხის ან ვერცხლის ყურიან ჯამებში ასხამდნენ; ორ კაცზე თითო

ასეთი ჯამი იყო გათვალისწინებული და მეზობლად მსხდომნი, ჩვეულებრივ ქალი და კაცი, ერთი ჯამიდან ჭამდნენ. ხორცს ყოველ სტუმარს პურის სქელ ნაჭერზე დადებულს მიართმევდნენ ხოლმე; ხორცი შეეძლოთ პირდაპირ ჩაეკბიჩათ, ან დანით დაეჭრათ — ჩანგლებს ჭამისას ჯერ არ ხმარობდნენ (გარდა იტალიისა და ბიზანტიისა), მათ მხოლოდ სამზარეულოში იყენებდნენ, ანდა ხორცის დანაწილებისას. „თეფში" (წვენით გაჟღენთილი პურის ნაჭერი) ნასადილევს მათხოვრებისათვის, ან მაგიდის ქვეშ დადარაჯებული ძაღლებისათვის უნდა მიეგდოთ. კოვზებითაც იშვიათად სარგებლობდნენ; ძირითად სამაგიდო ნიეთად ისევ დანა რჩებოდა. შეძლებულ ოჯახებში განსაკუთრებული დანებიც კი ჰქონდათ: აღდგომას სპილოს ძვლის ტარიანი დანები უნდა ყოფილიყო სუფრაზე. მარხვისას — აბანოზის ხის ტარიანი.

ჩვეულებრივ, დღეში ორჯერ ჭამდნენ. იმდროინდელი ანდაზაცაა შემორჩენილი: ანგელოზი დღეში ერთხელ ჭამს, ადამიანი — ორჯერ, ხოლო მხეცი — სამჯერო. ამასთანავე, საკმაოდ არარეგულარულად იკვებებოდნენ: საზეიმო სუფრებს მარხვა მოსდევდა, როცა საჭმლის რაოდენობაცა და ბუნებაც მკაცრად იზღუდებოდა ეკლესიის მიერ. ხშირი შიმშილობა უბედურებად სდევდა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპას, განსაკუთრებით ქალაქებს, რომლებიც შემოტანილი სურსათის ხარჯზე არსებობდნენ. თუმცა კლასიკური შუა საუკუნეების პერიოდში, ასე თუ ისე, იკლო შიმშილობამ, მაგრამ ეს საფრთხე მაინც განუწყვეტლივ ბატონობდა ადამიანთა შეგნებაზე. ქრონიკებში აღწერილია მოუსაღლიანობის წლები, არანაკლებ საშინელი, ვიდრე ეპიდემიებია. ბურგუნდიელი ბერის, ისტორიკოს რაულ გლაბერის (985—1047) ნაამბობით, 1033 წლის მიჯნაზე ნორმანდია ისეთ შიმშილობას მოუცავს, ხალხი თურმე ხის ფესვებს ღრღნიდა და ბალახს ძოვდა; შიმშილობით გაწამებული ხალხი ბავშვებს იტაცებდა, ანდა მგზავრებს ესხმოდა თავს, რათა დაეხოცათ და შეეჭამათ. იქამდეც კი მისულან, გვამების ამოთხრა დაუწყიათ და ბაზრებშიც გაჩენილა მოხარშული კაცის ხორცი.

შიმშილობაზე განუწყვეტლივ მოგვითხრობენ შუა საუკუნეების მწერლები და ეს მარტო გლეხობასა და ღარიბობას როდი შეეხება. მელა-რენარის ავტორისათვის მშიერი კუჭი მარადიული თემაა. ის ნეტარებით აღწერს ლორს, ქაშაყს, ყველს, ქათმებსა თუ გველთევზებს, რომელთა მოსაპოვებლად გმირებს დაძაბული და განუწყვეტელი ბრძოლები უხდებათ. გასაკვირი არაა, რომ ხალხურმა ფანტაზიამ შექმნა მითი ათასსაირი სანოვაგით სავსე კოკანის ქვეყანაზე, ჰაგიოგრაფიამ კი სასწაულმოქმედ წმინდანებს შიმშილის დაძლევის საოცარი უნარი მიაწერა.

საფიქრებელია, რომ შიმშილი და შიმშილობის მარადიული საფრთხე, სა-

ღღესასწაულო სუფრისა და იძულებითი რიტუალური მარხვების მონაცვლეობა, ცუდი და არათანაბარი კვება კიდევ უფრო უწყობდა ხელს შუა საუკუნეების ადამიანის ფსიქიკის მერყეობას, მის ლტოლვას სასწაულისაკენ და მის „მიდრეკილებას“ ხილვებისაკენ.

შუა საუკუნეების დროინდელი ევროპა საკმაოდ მკვეთრად იყოფოდა ორ აგრარულ ზონად: ხმელთაშუაზღვისპირა, სადაც ანტიკური მიწათმოქმედების მნიშვნელოვანი ტრადიციები შემორჩა, და მისგან დიდად განსხვავებულ, ზომიერი ჰავის, ანუ ალპებსგადაღმა ზონად. სამხრეთში მთავარი მარცვლეული კულტურა ხორბალი იყო, თუმცა საკმაოდ ბევრ ქერსაც თესდნენ. გარდა ამისა, მოჰყავდათ პარკოსანი კულტურები, აშენებდნენ ვენახსა და ხეხილს, აქა-იქ ზეთისხილსაც. პურს შემოდგომაზე თესავდნენ: შემოდგომისა და ზამთრის წვიმები უზრუნველყოფდნენ საშემოდგომო კულტურების ზრდას, მაშინ, როცა ზაფხულის პაპანაქება საგაზაფხულო ნათესების მტერი იყო. გუთანი ისეთივე დარჩა, როგორსაც ანტიკურ ეპოქაში ხმარობდნენ: მსუბუქი, უბორბლებო; არც ფრთები ჰქონდა. მისი სწორი ტარი ძირს უერთდებოდა, რკინის საკვეთელიც ძირზე იყო ჩამოცმული. ხელნას გუთნის ძირზე ან ტარზე აბამდნენ. გუთანს უღელი ხარი ეწეოდა, თუმცა, თუ ხარები არ ჰყავდათ, გუთნებში სახედრებსა და ძროხებსაც შეაბამდნენ ხოლმე. მსუბუქი გუთანი მიწის ბელტებს ვერ აბრუნებდა, მხოლოდ კვლები გაჰყავდა: ხვნის ამგვარი წესი იძულებულს ხდიდათ, გუთანი გარდიგარდმო რამდენჯერმე გაეტარებინათ მინდორზე. მინდვრის სხვა სამუშაოები ხელით სრულდებოდა: დათესვის შემდეგ მინდორს თოხნიდნენ და ხშირად მარგლავდნენ კიდეც, მკიდნენ პატარა ნამგლებით; მხოლოდ თავთავს ჭრიდნენ და ამიტომ ნაყანარზე მაღალი ნაწვერალები რჩებოდა. პურს კალოზე ლეწავდნენ, ზედ კვერში შებმულ ხარებს ან სახედრებს გადაატარებდნენ ხოლმე. მოსავალს იქ, საშუალოდ, სამგზის ან ოთხგზის იღებდნენ.

ზომიერ ზონაში სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენდა სამმინდვრიან სისტემაზე გადასვლა (მეთერთმეტე საუკუნიდან), საშემოდგომო, საგაზაფხულო და ანეულის მონაცვლეობით. ჩრდილოეთშივე გავრცელდა მძიმე გუთანი, ბორბლებიანი და ფრთებიანი, რომელშიაც ზოგჯერ ოთხ უღელ საქონელსაც კი აბამდნენ. მეთორმეტე საუკუნეში, ხარების ასაჩქარებლად, პირველ უღელში ცხენები შეაბეს. ჩრდილოეთში, სამხრეთისაგან განსხვავებით, მოსავალსაც სხვანაირად იღებდნენ: ნამგალთან ერთად ცელსაც ხმარობდნენ; მარცვლეულს ჯაჭვებით ლეწავდნენ. თუმცა მოსავალი აქ იტალიაზე მეტი არ მოდიოდა, ხოლო რაკი არც ზეთისხილი ჰქონდათ და არც მაინცდამაინც მსხმოიარე ბაღები, ჩრდილოეთის სისტემის ტექნიკური უპირატესობა დიდი ვერაფერი შეღავათი გახლდათ. ამასთანავე, მძიმე გუთნის გამოყენებაც ყო-

ველთვის როდი ხერხდებოდა; ძალიან ხშირად მინდვრებს ხელითაც ამუშავებდნენ — ბარებითა და თოხებით. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სრულყოფას რკინის ნაკლებობაც აფერხებდა: იარაღი, ძირითადად, ხისგან მზადდებოდა და მხოლოდ მუშა ნაწილები ჰქონდა რკინისა.

ხორბალსა და ქერს ზომიერ ზონაშიც იცნობდნენ, მაგრამ აქ სხვა კულტურებიც გავრცელდა. გერმანიის ბევრ რაიონში უმთავრესად ჭვავი მოჰყავდათ, ხოლო მთიან ადგილებში ყველაზე კარგად შვრია ხარობდა. თესავდნენ ფეტვსაც, რომელიც სამხრეთში მავნებლად ითვლებოდა და მხოლოდ საქონელს აჭმევდნენ. საფრანგეთში ფართოდ გავრცელდა ე. წ. farrago — პურის ნარევი ჯიშები: ერთად ნათესი ქერი და შვრია, ანდა, შვრია და ჭვავი.

ბევრი მკვლევარი აღნიშნავს შუა საუკუნეების კლასიკურ პერიოდში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას. ჟ. დიუ-ბის მონაცემების თანახმად, მეცხრე — მეთორმეტე საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში მოსავლიანობა დაახლოებით ორმაგად გაზრდილა (ორჯერადიდან ოთხჯერადამდე); მეცამეტე საუკუნეში მოსავლიანობის ზრდა რამდენადმე შეფერხდა, საუკუნის ბოლოსათვის კი საგრძნობლად დაეცა კიდეც, თუმცა მეთოთხმეტე საუკუნეში ახალი აღმავლობა აღინიშნა, რომელსაც დიდად შეუწყო ხელი (თესლბრუნვის გაუმჯობესებასა და ნიადაგის განოყიერებასთან ერთად) მიწათმოქმედებაში ქალაქის კაპიტალდაბანდებებმაც.

შუა საუკუნეობრივი სოფლის მეურნეობა უბრალო კვლავწარმოებისათვის და მხოლოდ ყველაზე საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იყო გამიზნული. წარმოების გაფართოება იმხანად, ძირითადად, ექსტენსიური ფორმებით ხორციელდებოდა, ტყეების გაკაფვისა და სათესი მინდვრების გაზრდის გზით. და მაინც, ტექნიკური პროგრესი, მართალია ნელა, მაგრამ ხორციელდებოდა. შუა საუკუნეების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოგონებაზე — საქონლის შებმის ახალ სისტემაზე — უკვე გვქონდა საუბარი. ამ სისტემამ საქონლის გამწევი ძალა გაზარდა, თესვის ტემპებიც მნიშვნელოვნად დააჩქარა, განსაკუთრებით მას შემდეგ (მეთერთმეტე საუკუნიდან), რაც გუთანში ცხენების შებმა დაიწყეს. ცხენების გუთანში შებმა ფართოდ გავრცელდა გერმანიასა და ესპანეთში, იტალიაში კი გლები ჯიუტად ვერ ელეოდა ხარს. ხარების უპრიანობა არა ერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად შუა საუკუნეების აგრონომიულ ლიტერატურაში. ძველი სისტემის მომხრენი ხარს უფრო თვინიერად და უფრო ღონიერად თვლიდნენ; საჭმელზეც ნაკლებად მიზეზიანი იყო და ძნელად თუ შეეყრებოდა რაიმე სენი; ბოლოს და ბოლოს, ბებერი ხარი შეეძლოთ ყასბისთვის მიეყიდათ, როცა ბებერი ცხენის მხოლოდ ტყავიღა ვარგოდა. რაც შეეხება სისწრაფეს, აქ ცხენის უპირატესობას ადვილად აქარწყლებდა ყმათა ეშმაკობა

და გაიძვერობა, რომლებიც, თურმე, შეგნებულად არ აძლევდნენ ცხენებს ხარზე სწრაფად სიარულის ნებას, რის შედეგადაც იძულებითი შრომა ტექნიკური სრულყოფის შემაფერხებელი ხდებოდა.

შუა საუკუნეობრივი მემინდვრეობის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას ნიადაგის განოყიერება წარმოადგენდა: საქონელი, როგორც წესი, ტყეში ძოვდა და ნაკელის სასუქად გამოყენება შეუძლებელი ხდებოდა. საქონლის ბაკებში დამწყვდევა მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნიდან დაიწყეს, მაგრამ ნაკელის მინდვრამდე მიტანა მაინც იმდენად ძნელი იყო, პარიზელები მეთხუთმეტე საუკუნეშიც კი ამჯობინებდნენ ისევ სენაში ვადაეყარათ იგი. სწორედ სასუქის ნაკლებობა აიძულებდათ, მიწაშივე ჩაეხნათ მარცვლოვანი კულტურების ნაწვერალები თუ ჩალა და თავიანთვის მხოლოდ იმდენი წაეღოთ, რამდენიც სახურავის შესაკეთებლად ან სხვა სამეურნეო საქმისათვის იყო აუცილებელი. ნიადაგის მერგელით განოყიერების პირველი ცნობაც შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

შუა საუკუნეების სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან წარმატებად ითვლება იქამდე უცნობი ციტრუსების (იტალიასა და ესპანეთში ისინი არაბებმა შემოიტანეს) და, აგრეთვე, ბამბისა და შაქრის ლერწმის გავრცელება. სამაგიეროდ, ბოსტნეული კულტურები თალგამით, პრასით, გოგრითა და ნიკრით ამოიწურებოდა; მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნიდან ინერგება კომბოსტო, შემდეგ — ღორის ქადა, ისპანახიცა და ჭარხალიც. ჩრდილოეთში, თანდათანობით, მებაღეობაც ვითარდება: თუ აღრეულ შუა საუკუნეებში თხილნარი და მსხმოიარე ხეები ველურად იზრდებოდა, არავინ აქცევდა მათ ყურადღებას და გამოყენებითაც მხოლოდ კარ-მიდამოს შემოსაღობად იყენებდნენ, მეცამეტე საუკუნიდან ნაყოფის მომცემი ხეებას ბაღები მრავლადაა ცენტრალურ ევროპაში, განსაკუთრებით კი ნორმანდიაში.

გლეხობა ფართოდ იყენებდა მარცვლეულის ხელსაფქვავებს, მაგრამ წყლის წისქვილი — შექმნილი ანტიკურ პერიოდში — უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში იკიდებს ფეხს და მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში მთელ ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპას იპყრობს. ინგლისური „განკითხვის წიგნი", ანუ აღწერა, შედგენილი მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს, ხუთი ათას ექვსას ოცდაოთხ წყლის წისქვილს ითვლიდა ინგლისში. წყლის წისქვლის პრინციპით დაიწყეს წყლის ძალის გამოყენება „მექანიკური" ჩაქუჩებისა თუ ხერხების ასამუშავებლადაც, ხოლო მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან წყლის წისქვილებს უკვე ქაღალდის მასის დასამზადებლადაც იყენებენ.

ძნელი სათქმელია, როდის გაჩნდა ევროპაში ქარის წისქვილი. ის პირველად პაპ ცელესტინ მესამის დეკრეტშია მოხსენიებული მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებში, ხოლო უკვე მეცამეტე საუკუნეში მთელი საფრანგეთი ქარის წისქვილებით მოფენილა.

ბორბლიანი გუთნის პირველი ვამოსახელება. XI ს-ის დასასრული.
წმ. ზენონის ბაზილიკის კარების ბრინჯაოს რელიეფი. ვერონა.

მესაქონლეობა შუა საუკუნეებმა უძველესი დროისაგან მიიღო მემკვიდრეობად და, ალბათ, ერთადერთი ცხოველი, რომელიც შუა საუკუნეებში მოაშინაურეს — კურდღელია. მაშინაც იგივე ცხოველები და ფრინველები დაუდიოდათ ეზოში, რაც ახალ დროში, ეგაა, რომ ისინი კიდევ უფრო მეტად ვავდნენ თავიანთ ველურ წინაპრებს: შუა საუკუნეებში დახატულ ღორს გრძელი ფეხები და წვეტიანი დინგი აქვს. მესაქონლეობის განვითარებას ძალიან უშლიდა ხელს ზამთრის საკვების უქონლობა: ზაფხულობით საქონელი ტყეებში და ჭანჭრობებში ძოვდა ბალახს. მდელოები თითქმის არ იყო (გარდა ფლანდრიისა, ნორმანდიისა და ინგლისის ზოგიერთი ოლქისა), ხოლო ბოსლებისა და ბაკების შენება მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნიდან დაიწყეს. დიდ მამულებში დასაკლავად (ღორებს გარდა) ორ-სამ ხარს თუ ასუქებდნენ. საკვების უკმარისობა გლეხობისათვის საქონლის რაოდენობის შეზღუდვასაც აიძულებდათ. კარაქის დამზადება კი იცოდნენ, მაგრამ კარაქი მაშინ ჯერ კიდევ ფუფუნების საგნად ითვლებოდა და ამიტომ შუა საუკუნეების მოსახლეობის ფართო ფენები, როგორც წესი, სა-

ქონლისა თუ ღორის ქონით გადიოდნენ იოლას. გაცილებით მეტად იყო გავრცელებული ყველი. ძირითად შინაურ ფრინველად ქათამი და ბატი ითელებოდა; მტრედების მოშენება ფეოდალთა პრივილეგიად რჩებოდა. იშვიათად, მხოლოდ დღესასწაულებზე, იხვს, გედს ან ფარშავანგსაც მიირთმევდნენ ხოლმე.

შეიძლება შთამბეჭდავად მოგვეჩვენოს ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ცხოველთა და ფრინველთა სია, მაგრამ, როგორ ხელგაშლილადაც არ უნდა შეგვედგინა იგი, მაინც გასცდებოდა იმდროინდელი ადამიანის ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოთხოვნილებების ფარგლებს. მარცვლეულის საერთოდ მცირე მოსავლიანობა, მებოსტნეობისა და მებაღეობის დაბალი დონე (გარდა ხმელთაშუა ზღვისპირა რაიონებისა), ბაგა-ბოსლების სიმცირე, კარაქისა და ზეითუნის ზეთის უმნიშვნელო რაოდენობით გამოყენება, პროდუქტის დაკონსერვებისა და შენახვის უცოდინარობა — ყველაფერი ეს შუა საუკუნეებს განუწყვეტლივ შიმშილობის საფრთხის წინაშე აყენებდა, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა სატრანსპორტო საშუალებების განუვითარებლობა. თანაც, როგორც ჩანს, მოსახლეობის მატება წინ უსწრებდა ტექნიკურ პროგრესს. ინგლისში მეთერთმეტე საუკუნის დასასრულიდან მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისამდე მოსახლეობამ მილიონ-ნახევრიდან ოთხ-ხუთ მილიონამდე მოიმატა, საფრანგეთში — ექვსიდან ოცდაორ მილიონამდე.

თუკი საცხოვრებელი სახლი საკმაოდ განსხვავებულ იერს იძენდა დასავლეთ ევროპის ამა თუ იმ ოლქში (არა მარტო ინგლისური სახლი განსხვავდებოდა იტალიურისაგან, არამედ პროვანსსა თუ თავად პარიზის უბნებშიც სხვადასხვაგვარი სახლები შენდებოდა, ადგილობრივი ტრადიციებისა და ბუნებრივი პირობების შესაბამისად), შუა საუკუნეების დროინდელი ევროპის ჩაცმულობა — რამდენადაც შემორჩენილი გამოსახულებების მიხედვით შეიძლება მსჯელობა — ყოველ შემთხვევაში, გაბატონებული კლასის ჩაცმულობა მაინც, რაც მკაფიოდ აღიბეჭდა ხელნაწერთა მინიატურებსა თუ ქანდაკებებში, საკმაოდ ერთფეროვანია და ჩვენც, კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ შუა საუკუნეების სათავადოები სრულებითაც არ ყოფილან აბსოლუტურად გათიშულნი. ინფორმაცია, მართალია, ძალიან ნელა, მაგრამ მაინც სძლევდა მანძილს და მოდაც ადვილად ვრცელდებოდა ყველგან, სადაც კი ლათინურ ენაზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ.

ანტიკური ჩაცმულობა (ისევე, როგორც ანტიკური საცხოვრებელი სახლი) ღიაა, რასაც, გარკვეული თვალსაზრისით, ხმელთაშუა ზღვისპირა ჰაეის სირბილეც განაპირობებდა, მაგრამ არა ნაკლებ ეთიკური და ესთეტიკური პრინციპები, უპირველეს ყოვლისა კი, ადამიანის სხეულის სილამაზისადმი პატივისცემა. ანტიკური ტანსაცმელი ორი ელემენტისაგან შედგებოდა: პერანგისა და მოსასხა-

მისაგან: ერთიცა და მეორეც, როგორც წესი, ტანზე ჰქონდათ შემოხვეული და მხარზე საკინძით დამაგრებული (იშვიათად, გაკერილიც). დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ როგორ ჰქონდა ტანსაცმელს ნაოჭი ასხმული: გარკვეული წესიც კი არსებობდა რომაული ტოგის (6×1,8 მ ზომის თეთრი, ქათქათა შალის მოსასხამი) დრაპირებისა. რომაელი პოლიტიკური მოღვაწენი ხშირად საათობით უნდებოდნენ ხოლმე მორთვასა და მოკაზმვას. დაუფარავი მხოლოდ მარჯვენა ხელი და სანდლებიანი ფეხები რჩებოდა. კაცები თაეშიშველნი დადიოდნენ. ხელთათმანი ჯერ არ იყო გამოგონილი.

თავზე გადასაცმელი პერანგი და შარვალი რომის იმპერიის ეპოქაში, როგორც ჩანს, ბარბაროსთა გავლენით გავრცელდა და ეს სიახლენი დაედო კიდეც საფუძვლად შუა საუკუნეების კოსტიუმს, გაცილებით უფრო დახურულს რომაულთან შედარებით. ახლებური ჩაცმულობა უფრო ესადაგებოდა როგორც კლიმატურ პირობებს (ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში რომაული ტანსაცმელი ცივი და მოუხერხებელი იქნებოდა), ისე ეთიკური იდეალის შეცვლასაც: ეკლესია ხორცს ცოდვილად აცხადებდა და სიშიშვლის დაფარვას მოითხოვდა. ძირითადად, შუა საუკუნეების ტანსაცმელი სელის პერანგისა — კამიზასა და შენსისაგან (chainse), შარვლისა, ზედა პერანგისა, მოსასხამისა და რბილი საცეთებისაგან შედგებოდა. ქალის ტანსაცმელი მამაკაცის ტანსაცმლისაგან მხოლოდ გარკვეული მოდიფიკაციებით განსხვავდებოდა.

მოკლე შარვალი, ე. წ. ბრე (braie), თავდაპირველად ტილოს უბრალო ნაჭერს წარმოადგენდა, რომელსაც ბარძაყებზე იხვევდნენ და წელზე იმაგრებდნენ. მოგვიანებით ბრე შედარებით დაგრძელდა — სპეციალური ზონარებით შეკრული მისი ტოტები მუხლებამდე, ზოგჯერ კი კოჭებამდეც სწვდებოდათ. დროთა ვითარებაში ბრეზე ზემოდან სხვა შარვლის — შოსის (chausses) ჩაცმაც დაიწყეს. კაცმა რომ თქვას, ეს იყო ვიწრო, მაღალყელიანი წინდები, რომელთაც ორივე ფეხზე ცალ-ცალკე იცვამდნენ და თასმით იმაგრებდნენ ბრეს სარტყელზე. შოსის ორივე ნახევარი მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნიდან გაერთიანდა და თანამედროვე შარვლის სახე მიიღო. შოსი სხეულზე მჭიდროდ იყო შემოტმასნილი, ტრიკოს მსგავსად, მაგრამ ის შედარებით ფართეც შეიძლებოდა ყოფილიყო. შოსს ქალებიც ატარებდნენ. კამიზა ადრეულ შუა საუკუნეებში არ წარმოადგენდა ქვედა პერანგს, ამ ცნების ღღეანდელი გაგებით, და საერთოდ, შუა საუკუნეებს დიდხანს არ ჰქონდა წარმოდგენა „საცვალზე". გლეხს, ჩვეულებრივ, ბრე და კამიზა ეცვა; ზოგიერთ მინიატურაზე კამიზის-ამარა მომუშავე გლეხიც გვხვდება (ანდა, თეძოებზე ნაჭერშემოხვეული). კამიზა (ჩვეულებრივ ტილისი) მუხლებამდე სწვდებოდათ. მასზე ქამარს შემოიჭერდნენ ხოლმე. კამიზის ზემოდან კიდევ ერთ პერანგს — ბლიოს (bliaud) იცვამდნენ; ამავე სიტყვი-

დან წარმოდგება ჩვენებური ბლუზაც. ბლიოს, ისევე, როგორც კამიზას, სახელოები ჰქონდა; მამაკაცის ბლიოს სახელოები, ჩვეულებრივ უფრო გრძელი და განიერი იყო. მიუნხენის მუზეუმში ინახება ბლიო, ამოქარგული საკინძით, სახელოებითა და კალთით, რომელსაც იმპერატორ ჰენრიხ მეორეს (1002—1024) აკუთვნებენ. ბლიო შედარებით მოკლე იყო, მუხლებამდე ძლივს სწვდებოდათ, და მას ქამარზე ვადმოშვებულს ატარებდნენ.

მოსასხამი ქსოვილის უბრალო სწორკუთხა ნაჭერს წარმოადგენდა, რომელსაც მარჯვენა მხარზე ან მკერდზე იკრავდნენ. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეებში ის იმდენად მოკლე იყო, სხეულის ზედა ნაწილს ძლივს ფარავდა. ხანდახან კაპიშონიან მოსასხამებსაც კერავდნენ. ქალები თავსა და მხრებზე შალს იხვევდნენ. ზამთრობით ბლიოზე ბეწვის ტანსაცმელს იცვამდნენ — ჩვეულებრივ, ცხვრის უხეშ ტყავუჭს. ხელთათმნისა და ხელჯაგის გაჩენა გლეხურმა საქმიანობამ განაპირობა — ისინი აუცილებელნი იყვნენ მარგვლისა თუ მკის დროს; მაგრამ თანდათან ხელთათმანი ფუფუნების საგნად იქცა და მრავალგვარი სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძინა: ეკლესიაში ხელთათმნით შესვლა უხამსობად ითვლებოდა, ნაცნობისათვის ხელთათმნიანი ხელის ჩამორთმევა—შეურაცხყოფად. ხელთათმნის გადაცემა ვასალური დამოკიდებულების დამყარებას, ანუ ომაჟს ნიშნავდა და, პირიქით, როცა ხელთათმანს ვინმეს ესროდნენ, ამით თაკიანთ სიძულვილს გამოხატავდნენ. უხელთათმნოდ შევარდნით ნადირობაც შეუძლებელი იყო, რადგან შევარდენს ხელზე ისვამდნენ ხოლმე. ხელთათმანს ირმის, ხბოსა თუ ცხვრის ტყავისაგან კერავდნენ. შუა საუკუნეების დროინდელ ხელთათმანს ღილი არ ჰქონდა, ხელზე მჭიდროდ შემოტმასნილი ბოლოებში ფართოვდებოდა და სახელოებს ფარავდა.

რომაული სანდლებისაგან განსხვავებით, ფეხსაცმელსაც უფრო დახურულს კერავდნენ — რბილი, ფერადი ტყავისაგან; ფეხსაცმელი ულანჩო იყო და წაგრძელებული, წვეტიანი ცხვირი ჰქონდა. ასეთი ფეხსაცმელი მხოლოდ შინ ან ცხენზე ჯდომისას თუ გამოდგებოდა. ტალახიან ქუჩებში ფეხშიშველნი დადიოდნენ, ანდა ხის ქოშებს იცვამდნენ.

შუა საუკუნეებში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მნიშვნელოვანი ნაწილი შინ მზადდებოდა: არა მარტო გლეხური პერანგები და ლაბადები, რომლებსაც შინნაქსოვი ტილოსა და შალისაგან კერავდნენ, არამედ ფეოდალის ტანსაცმელიც, რომლის დიდი ნაწილიც ყმებისაგან რენტის სახით შემოსდიოდათ. მხოლოდ ქალაქებისა და ვაჭრობის განვითარების შემდეგ დაიწყეს დიდებულებმაცა და მოქალაქეებმაც ნაყიდი ტანსაცმლის ტარება.

შუა საუკუნეების დროინდელი ქსოვილები ცხოველის ბეწვისაგან (ძირითადად ცხვრის) და მცენარეული ბოჭკოებისაგან (უწინარეს ყოვლისა, სელისაგან).

მზადდებოდა. Ჭოგვიანებით აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილების დამზადებაც დაიწყეს. ცხვარს რომაული ყაიდის, შუაში ლურსმნით დაუმაგრებელი მაკრატლით კრეჭდნენ. მატყლს გულდაგულ ახარისხებდნენ, ცხიმის მოსაშორებლად ტუტიან ხსნარში რეცხავდნენ, მზეზე აშრობდნენ და განსაკუთრებული პატარა მაშებით ასუფთავებდნენ (ბირკავისა თუ ქვიშისაგან). მერე ლითონის საჩეჩლითა თუ ხის საკარცხლით ჩეჩავდნენ. საამისოდ შუა საუკუნეებში ერთგვარ მშვილდსაც იყენებდნენ — ხის გრძელ ჩარჩოს, რომელზედაც ლარი იყო გადაჭიმული: ლარის სწრაფი ვიბრაცია მატყლს პენტავდა და იგივე შედეგს იძლეოდა, რასაც ჩეჩვა.

ჩეჩვას რთვა მოსდევდა. რთვა მხოლოდ ქალების საქმედ ითვლებოდა. თითისტარი კი—ქალის თავისებურ სიმბოლოდ. შემთხვევითი არ არის, რომ ინგლისურ ენაში სიტყვა distaff — ᲯᲐᲠᲐ — ამავე დროს ქალსაც აღნიშნავს. მატყლს, ჩვეულებრივ, შინ ართავდნენ და ამ საქმეს არა მარტო გლეხის ქალები მისდევნენ, არამედ დიდგვაროვანი ქალიშვილებიცა და ქალბატონებიც. ფთილის წვერს თითისტარზე აბამდნენ; ძაფზე დაკიდულ თითისტარს ხელით აბზრიალებდნენ და ამგვარად მიღებული ნართი ზედ ეხვეოდა. ქალები მატყლის ფთილას კალთაში იკროვებდნენ, კალთის ბოლოს კი სარტყელში გამოიკვანძავდნენ ხოლმე და ასე ითავისუფლებდნენ ხელს. თითისტარზე სართავს ამაგრებდნენ, რომლის წონაც ძაფის სიმტკიცეს შეესაბამებოდა.

მეცამეტე საუკუნიდან ევროპაში ჩნდება ᲯᲐᲠᲐ, რომელიც თითისტარს ბორბლის საშუალებით აბზრიალებდა. მრთველს, მუშაობისას, მარცხენა ხელით ძველებურად ფთილის წვერი ეჭირა, მარჯვენათი კი ბორბალს ატრიალებდა. ᲯᲐᲠᲐ, მართალია, დროს ზოგავდა, მაგრამ მის მიმართ მაინც საკმაოდ დიდხანს უარყოფითად იყვნენ განწყობილნი. ფლორენციაშიც კი, ევროპული ფეიქრობის ამ მოწინავე ცენტრში, მეთხუთმეტე საუკუნემდე ᲯᲐᲠᲐᲡ საშუალებით მიღებული ნართი მხოლოდ ქსელის საზედაო ძაფად იხმარებოდა და არა საქსოვად.

სელს, მას შემდეგ, რაც თავებს მოაგლეჯდნენ, ალბობდნენ, რათა ლაფანის ბოჭკოები და ბიწვები მოეშორებინათ. შემდეგ აშრობდნენ და ჟეჟავდნენ — თავდაპირველად, ხის ჩაქუჩებით. მეთოთხმეტე საუკუნეში (როგორც ჩანს, ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ) მოიგონეს სპეციალური საბეჟი — სახელურიანი ხის ჩარჩო. გაჩეჩის შემდეგ სელისაგანაც დაახლოებით ისეთსავე ნართს ღებულობდნენ, როგორც მატყლისაგან, იმ განსხვავებით, რომ ტილოს რთვისას თითისტარზე უფრო მძიმე (ჩვეულებრივ, ქვის) სართავს ამაგრებდნენ.

ქსოვის პროცესი რამდენიმე საფეხურად იყოფოდა: ᲯᲔᲠ თითისტარებიდან ძაფს გორგლებად გამოახვევდნენ; მერე ამ გორგლებიდან რამდენიმე წვერ ძაფს საქსელურზე ახვევდნენ, რის შედეგადაც იქმნებოდა ქსოვილის ქსელი (ე. წ.

საფუძველი). ბოლოს ქსელში მაქოს გაატარებდნენ ხოლმე და ქსოვილიც საბოლოო სახეს იღებდა. რომაელთათვის მხოლოდ ვერტიკალური საფეიქრო დაზგა იყო ცნობილი, რომლის საქსელურიც, თავის ქსელიანად, ვერტიკალურად დადგმულ ჩარჩოს წარმოადგენდა. არა უგვიანეს მეცამეტე საუკუნისა, ევროპაში გაჩნდა ჰორიზონტალური საფეიქრო დაზგა, რომლის ჩარჩოც, რომაულისაგან განსხვავებით, ჰორიზონტალურად იდგა. ამან შესაძლებელი გახადა სატერფულიანი მექანიზმის გამოყენება; ეს მექანიზმი საქსელურისა და ქსელის მონაცვლეობით აწევ-დაწევას აადვილებდა, რაც მაქოს ქსელში გავლას აჩქარებდა და, აქედან გამომდინარე, საერთოდ მქსოველის საქმიანობასაც. საფეიქრო დაზგა ჩვეულებრივ საოჯახო ნივთს წარმოადგენდა და დიასახლისს არა მარტო ნართის დამზადება შეეძლო, არამედ ქსოვილისაც.

ქსოვილის დამზადება მისი დამუშავებით მთავრდებოდა. უცხო ნაწილაკებისაგან გაწმენდის შემდეგ შალის ქსოვილებს თელავდნენ, რათა ძაფები უფრო მჭიდროდ გადახლართულიყვნენ ერთმანეთში და ქსოვილიც უფრო მტკიცე გამოსულიყო. თავიდან ქსოვილს ნაცრიანსა და შარდგარეულ თბილ წყალში ალბობდნენ და ფეხით ტკეპნიდნენ; შემდეგ გაავლებდნენ, ჯოხით გაბერტყავდნენ და გააშრობდნენ. მოსათელად (მეცამეტე საუკუნიდან ან შეიძლება უფრო ადრეც) სპეციალურ მექანიზმს იყენებდნენ — მოსათელ წისქვილს, რომელსაც წყალი ამოძრავებდა და თავის ორ უზარმაზარ ეროს რიგრიგობით სცემდა ქსოვილს. მოთელვის შედეგად ბეწვი ქეჩის მაგვარ მთლიან მასად იქცეოდა ხოლმე, ხოლო მაუდი შედგებოდა, მოკლდებოდა და ვიწროვდებოდა. სინათლეზე გახედვისას კარგად მოთელილ ქსოვილს ლანდი არ უნდა გაეტარებინა. მაუდს ხაოს აძლევდნენ, რის შედეგადაც ფაფუკი და სასიამოვნო რბილი ხდებოდა. საამისოდ ე. წ. ხაოს მომცემ გირჩებს იყენებდნენ — ბურძგალას მკვრივ ქერცლიან ყვავილს. ბურძგალას საგანგებოდაც კი აშენებდნენ ევროპის ზოგიერთ ოლქში. ვინაიდან ხაო ყოველთვის ერთი ზომისა არ იყო, მაუდს დიდი მაკრატლით კრეჭდნენ. სულ ბოლოს ქსოვილს ღებავდნენ და ამით მთავრდებოდა კიდეც მისი დამუშავება.

ტანსაცმლის ნაწილს თვითონ კერავდნენ, მაგრამ უკვე მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში თერძთა ამქრებიც არსებობდა, რომლებიც ტანსაცმელს დაკვეთით ანდა ბაზრისათვის ამზადებდნენ. მამაკაცისა თუ ქალის, წარჩინებულთა თუ მდაბიოთა, სამღვდელოებისა თუ ერისკაცთა კოსტიუმის კონსტრუქციის პრინციპები ადრეულ შუა საუკუნეებში ერთნაირი იყო და ერთმანეთისაგან უფრო ქსოვილის ხარისხი ანდა სამკაული თუ განასხვავებდა, ვიდრე თარგის ნაირფერობა. მინდორში მომუშავე ფეხშიშველა გლეხი, მოკლე ბრეთი და კამიზათი, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა მღვდლისგანაც და საომრად აღჭურვილი რაინდისაგანაც, მაგრამ ოჯახურ გარემოში, შინ ნაქსოვ ტანსაცმელში გამოწყობილი

რაინდი უკვე ძნელად თუ გამოირჩეოდა თავისივე ყმებისაგან. დრო უნდა გასულიყო, რათა სქესობრივსა და სოციალურ გრადაციებს ჩაცმულობისათვისაც დაემჩნია თავიანთი კვალი. მეშვიდე საუკუნის დასასრულს რომის პაპს ჯერ ისევ სათაკილოდ მიაჩნდა სასულიერო პირთა მიერ განსაკუთრებული სამოსის ტარება, როცა ცოტა ადრე მეორე პაპი იმ უხერხულობებზე წუხდა, ქალისა და მამაკაცის სამოსელის მსგავსება რომ იწვევდა.

გამიჯვნა, უწინარეს ყოვლისა, ფერით დაიწყო. უბრალო ხალხს მხოლოდ ლეგა, შავი ან ყავისფერი ტანსაცმლის ტარების ნება ჰქონდა, ხოლო დიდებულები მწვანედ, ცისფრად და წითლად იყვნენ გამოწყობილნი. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ასევე ქსოვილის ხარისხსა და დიდებულთა ტანსაცმლის მოსირმეა-მოვარაყებასაც. თანდათანობით მკვიდრდება ე. წ. ლიტურგიული სამოსი: სამღვდელოება განსაკუთრებულ, განსხვავებულ ტანსაცმელს ატარებდა, რომელიც, როგორც ჩანს, ბიზანტიური გავლენით იყო შექმნილი. ამგვარი ცვლილებები მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებისათვის უკვე თვალშისაცემი გახდა. ნორმანდიელი ქრონისტი ორდერიკ ვიტალიუსი აღშფოთებულია ფეოდალთა ტუალეტის სიახლეებით: მოკლე, მოსახერხებელი ტანსაცმელი გრძელი კაბა-ჯუბებით შეიცვალა. დაგრძელდა ფეხსაცმლის ჭვინტიც, პერანგიცა და მოსასხამიც; მოსასხამი ახლა ლამის მიწაზე დასთრევდათ. სახელოებსაც უფრო გრძელსა და სრულს ატარებდნენ; ის კი არა, თმასაც უშვებდნენ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ერთბაშად არ მომხდარა, როგორც ორდერიკ ვიტალიუსს ეჩვენება — ამგვარ ცვლილებებს, უპირველეს ყოვლისა, ფეოდალთა კლასის მიერ საზოგადოებრივ სისტემაში თავისი, განსაკუთრებული ადგილის დამკვიდრება განაპირობებდა.

გრძელი ტანსაცმელი, რომელიც გაბატონებული კლასის უზრუნველყოფასაც გამოხატავდა და, იმავე დროს, მკვეთრადაც გამოარჩევდა მას მუშა კაცისაგან, მხოლოდ ერთ-ერთი გამოვლენაა „ჩაცმულობის რევოლუციისა". ამავე „რევოლუციის" გამოვლენაა ქსოვილის ახალი სახეობების — აბრეშუმისა და ბამბის — დანერგვა. მეთორმეტე საუკუნემდე აბრეშუმი იშვიათად შემოჰქონდათ ევროპაში და ძალიან ძვირადაც ფასობდა. მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებიდან აბრეშუმის წარმოებას ჯერ პალერმოში, შემდეგ კი ლუკაშიც ეყრება საფუძველი. მეცამეტე საუკუნეში მეაბრეშუმეობა საფრანგეთშიც ვრცელდება, უფრო მოგვიანებით კი — გერმანიაშიც. ბამბას იყენებდნენ როგორც უბრალო (ხანდახან სელთან ერთად), ისე ძვირფასი ქსოვილების (მოლეკინი) დასამზადებლადაც. ბამბეულ ქსოვილებს საფრანგეთში მეთორმეტე საუკუნიდან აწარმოებდნენ. ამასთანავე, ძველთაგანვე ცნობილი სხვა სახეობებისაგან — სელისა და შალისაგან — ახალი, მაღალხარისხოვანი ქსოვილების დამზადებაც ისწავლეს (სელნარევი დამასკი და სხვ.). მეთორმეტე საუკუნიდან შინნაქსოვი ტანსაცმელი

მხოლოდ გლეხობაშიღაა შემორჩენილი — ფეოდალები და ქალაქის დიდკაცობა პროფესიონალი ხელოსნების მიერ დამზადებულ ქსოვილებს ანიჭებენ უპირატესობას.

ახალი მოდის მესამე თავისებურებას ორნამენტური მოტივების გაძლიერება წარმოადგენდა: ბლიოს არა მარტო ქარგავდნენ, არამედ ისე გამოჭრიდნენ ხოლმე, ღია საყელო ჰქონოდა და ქვედა პერანგის, შენსის ორნამენტიც გამოჩენილიყო. შედარებით მოკლე ბლიოს ქვეშ კარგად მოჩანდა შენსის ნაქარგი კალთაც. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქამარს: თუკი ადრე ბლიოს ქამარზე გადმოშვებულს ატარებდნენ, ახლა (ნაწილობრივ აბრეშუმის ქსოვილების გავრცელებასთან დაკავშირებითაც) ბლიო ტანზე ჰქონდათ მორგებული (ქალებს მკერდზე მჭიდროდ შემოტმასნილი), რის შედეგად იქამდე დამალული ქამარიც ფსიშვნელოვან დეკორატიულ ელემენტად იქცა; ქამარს ისე განასკავდნენ ხოლმე, მისი ორივე ბოლო ერთნაირად ეშვებოდა ძირს. ვენის განძთსაცავში ინახება ბლიო, რომელსაც არაბულ-ლათინურად ზედვე აწერია „დაბადების" წელი და ადგილი; ის 1181 წელს მოუქსოვიათ პალერმოში, მოცისფრო-ფირუზისფრო აბრეშუმისაგან; მისი განიერი სახელოები ვიწრო მაჯებით ბოლოვდება, მჭიდრო საყელო — თავის გასაყოფი ჭრილით. მასთან ერთად შემონახულია იისფერივე აბრეშუმით შემოქობილი ტილოს შენსიც.

მეთორმეტე საუკუნის მოდის „არისტოკრატიზმი" განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატა ქალთა ჩაცმულობაში: შენსი და ბლიო ქალებს კოჭებამდე სწვდებოდათ და ფერადი ტყავის რბილ ფეხსაცმელებსაც ჭვინტებამდე უფარავდათ. სხეულზე მჭიდროდ შემოჭერილ ბლიოს თეძოებს ქვემოთ სხვა ქსოვილის ნაჭერი ჰქონდა მოკერებული, რაც, ფაქტიურად, თანამედროვე ქვედაკაბის ჩანასახს წარმოადგენდა. ვიწრო სახელოები იდაყვებიდან დაწყებული თანდათან ფართოვდებოდა და თითქმის მიწამდე დასთრევდათ. საყელოსა და მაჯისპირებს ნაქარგით ალამაზებდნენ; „ქვედაკაბასა" და სახელოების განიერ ნაწილს წვრილ ნაოჭს აასხამდნენ ხოლმე. ბლიოზე აბრეშუმის, ტილოს, შალის ან ტყავის ქამარი ერტყათ. ტანსაცმელი სხეულის ნაკვთებსაც აჩენდა და იმავე დროს, სახმარადაც მოსახერხებელი იყო.

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მიჯნაზე „არისტოკრატიულ" მოდას ჩაცმულობის ახალი ტიპი ცვლის. არისტოკრატია აბრეშუმის ფარჩას ახლა განსაკუთრებულად საზეიმო დღეებში თუ იცვამს (სამეფო კარზე ხავერდი მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნიდან ჩნდება); როგორც შეძლებული მოქალაქე, ისე რაინდიც, მაუდის ტანსაცმელს ატარებს, ხშირად ბეწვით გაწყობილსაც. მეცამეტე საუკუნის ჩაცმულობაც, ჯ. ივენსის თქმით, „მაუდის უხეში ტანსაცმლის სკულპტურული უბრალოებით" გამოირჩევა. ამ დროის კოსტიუმი უფრო „ქალა-



მოკლე ტუნიკები, ფეხებზე შემოტმასნილი და რბილ საცვეთებში ჩატანებული შოსი, მხარზე შეკრული მოკლე ლაბადები. მინიატურა. XI ს. შუა ხანები.

ქურია", როგორც მასალით, ისე ფუნქციითაც: მაუდი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების ყველაზე უფრო განვითარებული საქალაქო ცენტრების (ფლანდრიასა და ჩრდილოეთ იტალიაში) საფეიქრო წარმოების პროდუქტია; მაუდის ტანსაცმელი უფრო პრაქტიკულია, ვიდრე მეთორმეტე საუკუნის „არისტოკრატიული" სამოსი. ის საშინაოდ კი არ არის განკუთვნილი, არამედ ქუჩაში ყოველდღიური საქმიანობისა და შორეული მოგზაურობისათვის. წინა პერიოდისათვის ესოდენ დამახასიათებელი სიხალვათე და სიმსუბუქე ქრება; პირიქით, აბლა ტანსაცმელში ფულსაც ჩაიკერებდნენ ხოლმე, რათა მისთვის სიმძიმისა და სიმტკიცის იერი მიეცათ; პერანგი მოკლდება, სახელო — ვიწროდება. მეცამეტე საუკუნის ჩაცმულობაში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა კოტა (cotte), ბლიო კი მხოლოდ საშინაო სამოსად იქცა. გზაზე დამდგარი კაცი მჭიდროდ მორგებულ, ვიწრო სახელოებიან შალის კოტას იცვამდა. კოტას ზემოდან ძვირფასი ქსოვილის უმკლავებო სიურკოს (surcoti) ატარებდნენ, რომელიც გვერდებში (ხან წინ და უკან) იყო ჩაჭრილი, რათა უფრო თავისუფლად ემოძრავათ. ვეხვდება კაპიშონიანი სიურკოს გამოსახულებანიც. მამაკაცის კოტა და სიურკო შედარებით მოკლე იყო, წვივებამდე სწვდებოდათ; ქვეშ კი ბრე (იმ ხანად, ხშირად, ტყავისა) და ფეხებზე შემოჭერილი შოსი ეცვათ. გასაღებსა თუ საფულეს ბრეზე იძაგრებდნენ; მეთოთხმეტე საუკუნიდან კი წვრილი ქამარიც შემოირტყეს. სილუეტის სიმკაცრეს რამდენადმე აქარწყლებდა ჩაცმულობის ფერადოვნება: კოტა

კამიზა. XI ს-ის პირველი ნახევრის მინიატურა.

იყო ლურჯიც, წითელიც, მწვანეც; შოსი — მწვანე, თეთრი, ცისფერი, ვარდისფერი. მეთოთხმეტე საუკუნიდან მოდაში შემოდის ფერით ვერტიკალურად გამიჯნული ქსოვილი; შესაბამისად შოსიც ორფერი გახდა: მისი ერთი ნახევარი სხვა ფერისა იყო, მეორე კიდევ — სხვა.

მეცამეტე საუკუნეში ქალებმა ნაოჭის ასხმას, მკედსა თუ ნაქარგს მაქმანი ამჯობინეს. მაქმანი ისე გავრცელდა, მეცამეტე საუკუნის ბოლოს ნარბონაში ბრძოლაც კი გამოუცხადეს: აიკრძალა მაქმანიანი ტანსაცმელი, რომელიც ქვედა პერანგს, შენსს, წესიერად ვერც კი ფარავდა. ქალები გრძელ, კოჭებამდე კოტასა და სიურკოს ატარებდნენ; ეგრეთწოდებულ ღია სიურკოს, რომელსაც შეძლებული ქალბატონები სადილისთვის იცვამდნენ და შემდეგ მთელი საღამოს განმავლობაში აღარ იცვლიდნენ, სილამაზისათვის გრძელ, მიწაზე მოთრეულ შლეიფს უკეთებდნენ და იღლიებში ბეწვმემოვლებულ ჭრილებს ატანდნენ. სპეციალურად ქალთათვის განკუთვნილ კოტას სახეობას, რომელიც მჭიდროდ ეტმასნებოდა მკერდს, სორკენი (sorquenie) ერქვა.

ამ პერიოდში ორი ტიპის ლაბადებს ხმარობდნენ: წინიდან ან გვერდიდან გახსნილს, ზონარით შესაკვრელს და, ეგრეთწოდებულ გარნაშს (garnache), პონჩოს ტიპისას.

ტყავის, ძვლისა თუ ლითონის ღილი მხოლოდ მეთორმეტე საუკუნიდან შემოდის ხმარებაში. იქამდე შუა საუკუნეების ტანსაცმლის სხვადასხვა ნაწილები ზონარებითა და ბალთებით მაგრდებოდა, რომლებსაც, ფუნქციონალურის გარდა, დეკორატიული დანიშნულებაც გააჩნდათ. მეცამეტე საუკუნის დახურული კოსტიუმისათვის ღილი სწორედ რომ ზედგამოჭრილი აღმოჩნდა: სიურკოს ვიწრო საყელოს რამდენიმე ღილზე იბნევდნენ, ანდა, ბალთა-აბზინდით იკრავდნენ.

ძველი რომაელები თმას მოკლედ იკრეჭდნენ, პირს კი იპარსავდნენ. შუა საუკუნეებში რომაულ მოდასაც მისდევდნენ და ძველ გერმანულ ჩვეულებასაც, რომლის თანახმადაც, გრძელი თმა წარჩინებულობის ნიშნად ითვლებოდა. მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებამდე მამაკაცები ნიკაპსა და ლოყებს იპარსავდნენ, ულვაშს ზოგჯერ იტოვებდნენ, თმას კი მოკლედ იკრეჭდნენ. მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებიდან თმაც მოუშვეს და წვერიც, რაც, გარკვეულად, ამ საუკუნეში

კოტა, ვიწრო შოსი, ფეხსაცმელი. რელიეფი. 1096 წ. კლიუნის საბატო.

გავრცელებულ გრძელ ტანსაცმელს ესადაგებოდა. მაგრამ ამ მოდას დიდი ხანი არ ეწერა: მასიური, ქოთნისებური მუზარადის გავრცელებამ რაინდები აიძულა, გრძელ წვერს შელეოდნენ. ტანსაცმლის დამოკლებასა და გაუბრალოებასთან ერთად თმის დამოკლებაც დაიწყეს; თმას კეფაზე იხვევდნენ, წინ კი ქოჩორს იკვეცდნენ.

ქალები გრძელ თმას ატარებდნენ, შუაზე იყოფდნენ და წყვილ ნაწნავად იწნავდნენ. მეცამეტე საუკუნიდან გრძელი ნაწნავი უკვე იშვიათობად იქცა: ახლა

ქალიშვილებს თმა მხრებზე ტალღებად აფენიათ, გათხოვილი მანდილოსნები კი, პირიქით, თმას თავსაფრის ან თავსაბურავის ქვეშ მალავენ.

მეთორმეტე საუკუნემდე კაციცა და ქალიც თმას თასმით იმაგრებდა. მეცამეტე საუკუნიდან სხვადასხვაგვარი თავსაბურავი ჩნდება: ხილაბანდი, რომელსაც ხანდახან ქუდქვეშაც იხვევდნენ, ფარფლებიანი შლაპა, მსუბუქი ბერეტი თუ ნახევარსფეროსებრი კალოტი. კაპიშონი, მეთორმეტე საუკუნის დასასრულამდე გლეხური ლაბადის შემადგენელ ნაწილს რომ წარმოადგენდა, ახლა, მეცამეტე საუკუნეში, ქუდის განსაკუთრებულ სახეობად იქცა და ძალიან გავრცელდა კიდეც, რადგან კარგად შეეფერებოდა ამ ეპოქის „მოძრავი" კოსტიუმის საერთო ხასიათს. ჩვეულად იქცა ძვირფასი ქეების ტარებაც: მაღალი წრის ბანოვანთა თმაცა და სარტყელიც თვალმარგალიტით იყო მოოჭვილი. სამკაულად ითვლებოდა აბრეშუმის ნაქარგი ქისებიც, ქამარზე რომ ჰქონდათ ჩამოკონწიალებული.

მეცამეტე საუკუნის ჩაცმულობა მკაცრი და უნიფიცირებული ალბათ უფრო მეტად ნახატზე ჩანს, ვიდრე სინამდვილეში იყო. იმ დროის მწერლებმა კარგად იცოდნენ, გარეგნობასა და ჩაცმა-დახურვაზე ზრუნვა დიდ დროს რომ მოითხოვს, როგორც ქალისაგან, ისე კაცისგანაც. „ვარდის რომანში" ამური კურტუაზულ მიჯნურებს ურჩევდა, მეტი ყურადღება მიექციათ თავიანთი გარეგნობისათვის: ხელები ყოველთვის სუფთა ჰქონოდათ, ფრჩხილები — დაწმენდილი, თმა — დაევარცხნილი; სახელოები — დაეიწროებინათ და არც ფული დაეზოგათ აბრეშუმის ქისისა, ნაქარგი სარტყლისა თუ შლაპის შესაძენად; ცხენოსნობის, სიმღერისა და ცეკვის ცოდნა, რაღა თქმა უნდა, თავისთავად იგულისხმებოდა. პარიზელი კობტაპრუწები იპუდრებოდნენ და წარბებს იქნიდნენ, ნელსაცხებლებს ისვამდნენ და ხელები, მეტი სითეთრისათვის, საათობით რძეში ეწყოთ. ქალები აბრეშუმის ხელოვნურ თმას ატარებდნენ, ათასნაირად იღებებოდნენ, გულამოღებული კაბები ეცვათ; ხელის რაიმე ნაკლს ხელთათმანით მალავდნენ, დიდ მკერდს მჭიდროდ შემოჭერილი და ზურგზე გაკრული ბაფთით იპატარავებდნენ.

მაგრამ უნიფიკაცია სხვა მიზეზთა გამოც იყო მოჩვენებითი. შუა საუკუნეების ადამიანი ალბათ კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩაცმას, ვიდრე მისი შთამომავლობა. ჩაცმის საკითხი მის წარმოდგენაში მორალისა და სოციალური სტატუსის პრობლემებთანაა გაღახლართული. ყოველ ადამიანს ისე უნდა ჩაეცვა, როგორც მის მდგომარეობას შეეფერებოდა და არავითარ შემთხვევაში არ შეურაცხყოფდა საზოგადოებრივ ზნეობას. ჩაცმულობა შუა საუკუნეების მორალისტთა და მოძღვართა ერთ-ერთი მარადიული თემაა.

ჟუანვილი, მეცამეტე საუკუნის ფრანგი ისტორიკოსი და ლუდოვიკო მეცხ-

კამიზიანი გლეხი მუშაობის დროს. ქანდაკება (ივლისის ალეგორიული გამოსახულება). 1196 წ. ბალტისტერიუმი. პარმა.

რეს სენეშალი, ამ თვალსაზრისით მეტად შთამბეჭდავ ეპიზოდს გადმოგვცემს, რომლის მომსწრეცა და მონაწილეც თავად ყოფილა. ერთხელ, ნასადილევს, სუფრიდან ამდგარი მეფე გრაფ ბრეტანის გამოლაპარაკებია; ჟუანვილიც, თურმე, იქვე, შორიახლოს დასეირნობდა. მასთან მეფის ერთ-ერთი მრჩეველთაგანი, მეტრი რობერტი მისულა, ჩაუვლია მოსასხამში ხელი და ხელმწიფესთან მიუყვანია. ცნობისმოყვარე რაინდებს მაშინვე თავი მოუყრიათ, ერთი ვნახოთ, რა მოხდებაო. რობერტს ჟუანვილისათვის უკითხავს: „მეფის თანდასწრებით მეფეზე მაღლა

´დაჯდომა რომ მოინდომოთ, განა ეს მეფის შეურაცხყოფა არ იქნებაო?“ — „რასაკვირველიაო“, — უპასუხია სენეშალს. „ჰოდა, თუკი ასეაო, — გაუგრძელებია მეტრ რობერტს, — თქვენც შეურაცხყოფთ ხელმწიფეს, რადგან მეფეზე უკეთესად გაცვიათო; მეფესაც კი არა აქვს ასეთი ბეწვით გაწყობილი ჯუბა და ასეთი ხასხასა მაუდიო“. „ბოდიშს ვიხდი, მაგრამ თუ ვინმე შეურაცხყოფს ჩვენს ხელმწიფეს, ისევ თქვენ შეურაცხყოფთო, — უპასუხია სენეშალს. — მე ჩემი მშობლებივით მაცვია, თქვენ კი, ყმათა ნაშიერმა, მშობლიურ ძონძებზე უარი თქვით და ხელმწიფეზე უკეთ გამოგვეპრანჭეთო“.

ამ მოთხრობაში ყველაფერი ნიშანდობლივია: სოციალური სტატუსით განპირობებული ჩაცმულობაც, ტანსაცმლის ტრადიციულობაც (როგორც მშობლებს ეცვათ) და, საერთოდ, სამოსისათვის ზნეობრივი ღირებულების მინიჭებაც, რაც ეგზომ დამახასიათებელი გახლდათ ლუდოვიკო მეცხრესათვის. სამოსი არა მარტო ათბობდა ან ამშვენებდა შუა საუკუნეების ადამიანს, არამედ სოციალურ კიბეზე მის ადგილსაც განსაზღვრავდა. სწორედ ეს განაპირობებდა ჩაცმა-დახურვის მეშვეობით საკუთარი თავის გამოხატვისადმი მისწრაფებასაც, საკუთარი თავის წარმოჩენის დაუოკებელ სურვილს, რაც თავის მხრივ, ნებისმიერი ხარჯის გაწევას ავალდებულებდათ. მდიდარი მოქალაქენი ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ სენიორებს ჩაცმა-დახურვით, ხოლო ამგვარი სახიფათო შეჯიბრით შეშფოთებული ფეოდალური ძალაუფლება მეცამეტე საუკუნის დასასრულიდან ყოველნაირად იბრძოდა თავისი კლასის პრივილეგიების შესანარჩუნებლად. ასე მაგალითად, საფრანგეთის მეფემ ფილიპე ლამაზმა (1285—1314) 1294 წელს მოქალაქეებს როგორც ყარყუმის, ციყვისა და ზოგიერთი სხვა ძვირფასი ბეწვის ტარება, ისევე ოქროთი და ძვირფასი თვლებით ტანსაცმლის მორთვა-მოკაზმვაც აუკრძალა (ასევე აუკრძალა ცვილის სანთლის ხმარება და საკუთარ ოჯახში სუფრაზე მისართმევი კერძების რაოდენობაც კი განუსაზღვრა).

ტანსაცმელი სოციალური სტატუსის უმნიშვნელოვანეს სიმბოლოდ რჩებოდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ტანსაცმელი განსაზღვრავდა, თუ რომელ კლასს, რომელ წოდებას და რომელ სოციალურ ჯგუფს ეკუთვნოდა ადამიანი. თავისი განსაკუთრებული ნიშან-თვისებებით ხასიათდებოდა როგორც საუნივერსიტეტო და საამქრო კორპორაციების, ისე ქალაქის პატრიციატისა თუ თავისუფალი პროფესიების წარმომადგენელთა ჩაცმულობაც (მაგალითად, ექიმები ნატის ხელთათმანებსა და ბერეტს ატარებდნენ).

სტატუსით დადგენილი ტანსაცმლის ტარების უფლების ჩამორთმევა, გვიანდელ შუა საუკუნეებშიც კი, უმძიმეს სასჯელად ითვლებოდა. 1462 წელს აუგსბურგის ქალაქის საბჭომ ულრიხ დენდრიხს, პატრიცსა და ვაჭარს, ქალაქის ფულის გამფლანგველს, აუკრძალა სიასამურისა და კვერნის ბეწვის, ხავერდისა

მთიბავი და თივამოკიდებული გლეხი ქამრიან კამიზებში. ბორელიეფი. XII ს. ნოტრ-დამი, პარიზი.

მწყემსური კამიზა, შოსი და კაპიშონიანი მოსასხამი. ბორელიეფი. XII ს. შარტრის ტაძარი.

და ძვირფასი ქვების, ოქროსა თუ ვერცხლის სამკაულების — ქალაქის ზედაფენის ამ ყველაზე უფრო მკვეთრად გამოხატული სიმბოლოების — ტარება. მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჩრდილო გერმანიის ქალაქთა საბჭოები მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს, რათა ბიურგერთა ცოლებს თავიანთი ქმრების შეძლებისდამიხედვით ჩაეცვათ და დაეხურათ, იმ ქონების შესაბამისად, რაც საბეგრო სიებში იყო აღნუსხული. ამასთანავე, იმ ხელოსანთა ცოლებს, რომლებიც ეგრეთ წოდებულ არაკეთილშობილურ ხელობას მისდევდნენ (ასეთ ხელობად სხვადასხვა ქალაქში ითვლებოდა, მაგალითად, სელის მრთველობა, დაბაღობა, დალაქობა და სხვ.), ეკრძალებოდათ მარჯნის მძივების და „სხვა იმ სამკაულთა ტარება, რასაც, ჩვეულებრივ, პატივცემული მანდილოსნები ატარებდნენ". რეინის ოლქის თოთხმეტ ქალაქში თერძის ქარგალი ვერც ვერცხლის ძეწკვს დაიკიდებდა კისერზე და ვერც სხვა რაიმე სამკაულით დაიმშვენებდა ტანსაცმელს. მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების ქალაქთა საკანონმდებლო წიგნები სავსეა ამგვარი შეზღუდვებითა და აკრძალვებით.

თავისი ჩაცმულობით, როგორც შემდეგ დავინახავთ, ბერთა ორდენებიც განსხვავდებოდნენ: ღატაკ ბერებს ჯვალოს ნაცრისფერი ფლასი ეცვათ, ცისტერციელებს თეთრი ანაფორებით მოჰქონდათ თავი, ბენედიქტელებს კი — შაეით. დეზი მხოლოდ და მხოლოდ რაინდთა კუთვნილება იყო.

პიროვნების სოციალურ სტატუსს, ჩაცმულობაზე მეტად, იმ დროისათვის უკვე საკმაოდ ვავრცელებული ღერბები განსაზღვრავდნენ. თავიდან, როგორც ჩანს, ღერბის გაჩენა წმინდა სამსედრო მოთხოვნილებებმა განაპირობა — უფრო ადვილად რომ გამოერჩიათ თავისიანები ბრძოლის დროს — მაგრამ შემდეგ გაცილებით ფართო მნიშვნელობა შეიძინა, რამდენადაც ადამიანის უმნიშვნელოვანეს დეტერმინატივად იქცა, საზოგადოებაში მისი ადგილის განმსაზღვრელად და მის განმასხვავებელ ნიშნად.

შუა საუკუნეების დროინდელ ყოფა-ცხოვრებას თუ დავუკვირდებით, ასეთი სურათი წარმოვვიდგება თვალწინ: ყრუ, მჭიდროდ დაგმანული, მზის სხივისთვისაც ძნელად შესაღწევი სახლი; საშინაოდ განკუთვნილი ტანსაცმელი (ყოველ შემთხვევაში, მეთორმეტე საუკუნეში მაინც); განკერძოებული, ვიწრო წრეში მომწყვდეული ცხოვრება და მთელი არსებით არა გარე სამყაროსკენ, არა საზოგადოებრივი ცხოვრებისკენ (როგორც ანტიკური მუნიციპუმის მოქალაქე), არამედ საკუთარი კერიისკენ მიმართული ადამიანი. ბუნებრივია, რომ ამგვარ პირობებში ოჯახური ურთიერთობანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. თუკი რომაელი (იდეალური), უპირველეს ყოვლისა, მოქალაქე იყო და მერე მეოჯახე, შუა საუკუნეების ადამიანს საკუთარი ოჯახისა და ჯალაბის ინტერესები და მოთხოვნილებები ამოძრავებდა. ამიტომაც რომაული ქორწინება, არამყარი და არაფორმალური, ადვილად ირღვეოდა, მაშინ როცა ქრისტიანობას ქორწინების ინსტიტუტი წმინდათაწმინდად მიაჩნდა, ხოლო განქორწინებას განსაკუთრებულ მოვლენად თვლიდა. შუა საუკუნეობრივი ცხოვრება სახლში დუღდა და არა ფორუმზე, ოჯახი კი ამ ცხოვრების ძირითად საზოგადოებრივ უჯრედს წარმოადგენდა.

ქორწინება საეკლესიო საიდუმლოებად იქცა და ეკლესია აკურთხებდა ხოლმე მის ყოველ საფეხურს: გარიგებასაც, ნიშნობასაც და საკუთრივ ჯვარისწერის ცერემონიალსაც. მღვდელი ესწრებოდა გარიგებას და საზეიმო სიტყვით ამტკიცებდა ნიშნობას, ჯვარისწერისას ეკლესიის კარიბჭესთან ეგებებოდა ნეფე-პატარძალს და საკურთხევლისაკენ მიუძღოდა მათ, სადაც კვლავ საზეიმო სიტყვითა და რიტუალით ამთავრებდა ცერემონიალს და ნეფე-პატარძლის წინაშე ცხოვრების ახალ ფურცელს შლიდა. ეკლესიამ დაადგინა, როდის შეიძლებოდა და როდის არ შეიძლებოდა ჯვარისწერა; განსაზღვრა და დააკანონა პიროვნებისა თუ მთელი ოჯახის ცხოვრების წესი, ინტიმურიც კი, და თავის მოვალე-

ჰენრიხ მეორისეულად მიჩნეული ბლიო (გარდაიცვალა 1024 წ.).

ობად ჩათვალა, მეთვალყურეობა გაეწია ოჯახური ცხოვრების ზნეობრივი სიწმინდისათვის.

ამასთანავე, ქორწინება საერო ცერემონიაც იყო. ტანსაცმლის სოციალური სიმბოლიკის მსგავსად, საქორწინო ცერემონიაცა და, კერძოდ, საქორწინო სუფრაც, ნეფე-პატარძლისა და მათი ნათესაობის საზოგადოებრივ მდგომარეობას გამოხატავდა. ბევრი გერმანული ქალაქის კანონმდებლობა მტკიცედ განსაზღვრავდა საქორწინო სუფრის სიმდიდრესაც, ხანგრძლივობასაც და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოზეიმეთა სოციალურ შემადგენლობასაც. ეისმარში, მაგალითად, მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდნენ მექორწილეებს დილიდან საღა-

მომდე ქეიფის ნებას, თანაც ცეკვითა და სიმღერით, თუკი პატარძლის მზითვი ას ლუბეკურ მარკაზე ნაკლები არ იქნებოდა; თუ არა და, სადღესასწაულო ვახშმიდ უნდა გასულიყვნენ იოლას. მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მიჯნაზე, აუგსბურგსა და მიუნხენში, შეძლებულ ბიურგერთა საქორწინო სუფრასთან დაჯდომა საერთოდ ეკრძალებოდათ მსახურებს — კნეხტებს, მოახლეებს, ქარგლებსა და სხვებს.

ეკლესია ქორწინებას საიდუმლოებად აცხადებდა და ოჯახს მარადიულ ურღვევ უჯრედად თვლიდა. მაგრამ, ამასთანავე, უმანკოებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ოჯახურ ცხოვრებას. ცელიბატი (უცოლობა) დასავლეთში ბერებისთვის და უზენაესი სამღვდელოებისათვის აუცილებელიც კი იყო, ხოლო თანდათანობით, მეთერთმეტე საუკუნისათვის, ცელიბატის პრინციპი მღვდლებზეც გავრცელდა — მათაც აეკრძალათ ოჯახის შექმნა (ბიზანტიელი კლირიკოსებისაგან განსხვავებით, რომელთაც ჯვარისწერის უფლება შენარჩუნებული ჰქონდათ).

ეკლესია ქორწინების აზრსაც და არსსაც, უპირველეს ყოვლისა, კაცთა მოდგმის გაგრძელებაში ხედავდა. სქესობრივი ლტოლვა მეცამეტე საუკუნის უდიდეს ღვთისმეტყველს თომა აქვინელს, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ მიაჩნდა ცოდვად, ადამიანს ჭეშმარიტი სიყვარულის გზიდან რომ აცდენდა, ღვთის სიყვარულს ავიწყებდა; ამდენად, ქორწინება მხოლოდ ახალი თაობის შექმნით თუღა შეიძლებოდა ყოფილიყო გამართლებული. სწორედ ამიტომ მუცლის მოსაშლელი ნებისმიერი საშუალების გამოყენება ჯადოქრობად ითვლებოდა და ხანდახან კაცის კვლის მომაკვდინებელ ცოდვასაც კი უთანაბრდებოდა.

უარყოფდა რა ვნებას, ბუნებრივია, ეკლესია არც განქორწინებას სცნობდა, თუმცა განქორწინება არც ისე იშვიათი მოვლენა იყო. განქორწინების ნებას იმ შემთხვევაში რთავდნენ, თუკი შეუღლება თავიდანვე კანონიკური წესის დარღვევის საფუძველზე მომხდარიყო. მაგალითად, თუკი გაირკვეოდა, რომ ცოლ-ქმარი ნათესავებად ერგებოდნენ ერთმანეთს, რაც თავისთავად უკვე შეუძლებელს ხდიდა მათ ცოლქმრობას. ანსელმ კენტერბერიელი წერდა, ირლანდიაში განქორწინება ჩვეულებრივი ამბავია და კაცები ისე „თავისუფლად და საჯაროდ" უცვლიან ერთმანეთს ცოლებს, როგორც სხვაგან — ცხენებსო.

მცირე ოჯახი, კანონისა და ეკლესიის მიერ ნაკურთხი, შუა საუკუნეების საზოგადოების ძირითად ბირთვად ითვლებოდა. თუმცა შუა საუკუნეობრივი მცირე ოჯახი არ იყო ერთგვაროვანი და უნიფიცირებული სოციალური ჯგუფი. შუა საუკუნეების საფრანგეთში ასეთი ოჯახების სამნაირი ტიპი შეინიშნებოდა. სამხრეთში, სადაც რომაული ტრადიციები შედარებით მტკიცედ იყო შემორჩენილი, ოჯახსა და საოჯახო ქონებასაც მხოლოდ მამა განაგებდა, რომელსაც სა-

კუთარი ნება-სურვილისდა მიხედვით შეეძლო ეს ქონება მემკვიდრეებისათვის გაენაწილებინა, ანდა რომელიმე საყვარელი შვილისათვის ეანდერძა მთლიანად. პარიზის რაიონში საოჯახო ქონებას განუყოფლად მიიჩნევდნენ და (დედ-მამის ნება-სურვილის თანახმად) ერთ-ერთ შვილს (ჩვეულებრივ, ვაჟს) უტოვებდნენ ხოლმე. ქალიშვილს კი დროულად ათხოვებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლები მზითვი გაეტანებინათ; გათხოვების შემდეგ ქალი სხვა ოჯახში შედიოდა და არავითარი წილი აღარ ეკუთვნოდა მშობლების დანატოვარიდან. ოჯახის ქონებრივი ერთიანობა ყველაზე ნათლად სწორედ აქ, ცენტრალურ საფრანგეთში ჩანდა. ნორმანდიაში, პირიქით, ოჯახის ინტერესებს გვარის ინტერესები ჩრდილავდა: მამა არ იყო ქონების ერთადერთი ბატონ-პატრონი და მისი სიკვდილის შემდეგ მთელი ქონება თანაბრად ნაწილდებოდა მემკვიდრე მამაკაცებს შორის.

საოჯახო ქონების სტაბილურობისა და განუყოფლობის მაგალითი საფრანგეთის ფარგლებს გარეთაც გვხვდებოდა — პოლონეთსა, შვეიცარიასა თუ გერმანიაში. კერძოდ, ამის თვალნათელი მაგალითია გერმანული ჩვეულება, რომლის თანახმად საოჯახო ავეჯი არ იყოფოდა და თანაც, ამგვარი გაუყოფლობა „გაყოფის დაძლევად" მიიჩნეოდა: ავეჯის ერთი მესამედი სახლში მცხოვრებ შვილებს რჩებოდა, მეორე მესამედი — ქვრივს, მესამე კი — გარდაცვლილის სულის საკუთრებად ითვლებოდა და ამიტომ ისიც სახლში უნდა დარჩენილიყო.

მცირე ოჯახი, მართალია, საზოგადოების ძირითად უჯრედს წარმოადგენდა, მაგრამ, ამავე დროს, თითქოს სხვა სოციალური ჯგუფებშიც ითქვიფებოდა. ჯერ ერთი, შუა საუკუნეებში არც ისე მკვეთრად იყო გამოცალკეევებული თავისთავად ოჯახი (მამა, დედა და შვილები) საოჯახო თემისაგან, ანუ იმ სამეურნეო კოლექტივისაგან, მიწის საერთო ნაკვეთზე რომ ცხოვრობდა და საერთო საქმიანობას ეწეოდა. მსახურები, რომელნიც შუა საუკუნეების ტექსტებში ზოგჯერ famuli-ად იხსენიებიან (familia-ს მონათესავე სიტყვით), საოჯახო თემის შემადგენლობაში შედიოდნენ და, გარკვეული თვალსაზრისით, ოჯახსაც ეკუთვნოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ქალაქზეც, სადაც ქარგლები ჩვეულებრივ თავიანთი ოსტატის სახლში ცხოვრობდნენ და ბოლოს ჩაესიძებოდნენ ხოლმე კიდევაც. საერთო საქმე, საერთო ტრაპეზი, ინტერესთა ერთიანობა (კლასობრივი შეგნების წინააღმდეგობათა მიუხედავად) და საერთო გარეშე მტერიც — ყოველივე ეს ხელს უწყობდა საოჯახო თემში კვაზიფამილური კავშირ-ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

მეორეც, მცირე ოჯახი დიდ ნათესაურ კოლექტივებში ე. წ. ლინიაჟებში ითქვიფებოდა. ამგვარი ლინიაჟები არისტოკრატიული გარემოსათვის უფრო იყვნენ დამახასიათებელნი და, როგორც ჩანს, იქ გაცილებით მყარად გრძნობ-

ღნენ თავს. ლინიაჟში სისხლისმიერი, ერთი საერთო წინაპრისაგან წამოსული, მიწის განუყოფელად მფლობელი ნათესავების გარდა, გვაცთან ძმად გაფიცულნიც შედიოდნენ. ლინიაჟის წევრები ნათესაური ერთსულოვნებით იყვნენ შედუღაბებულნი, რაც ერთმანეთის მხარდაჭერას ავალდებულებდათ, როგორც ომში, ისე მოსისხლე ლინიაჟებთან თანამიმდევრული და ჯიუტი ანგარიშსწორების დროს. მაგრამ მეთორმეტე საუკუნის დასასრულიდან არისტოკრატთა დიდი საოჯახო დაჯგუფებები თანდათანობით სუსტდებიან და უფრო და უფრო ქუცმაცდებიან მცირე ოჯახებად. ლინიაჟისათვის ბიძა-დიშვილობა ნათესაური კავშირის ყველაზე დამახასიათებელი ფორმაა, რომელსაც გერმანელები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან უფრო მტკიცე კავშირად მიიჩნევდნენ, ვიდრე მამა-შვილობას.

რა თქმა უნდა, არც საოჯახო თემში სუფევდა იდილიური ურთიერთობანი და არც ლინიაჟის წევრები უგორებდნენ განუწყვეტლივ ერთმანეთს კვერცხს. ძმათა და ბიძაშვილთა, მამათა და შვილთა შუღლს არაერთგზის დაუღვრია ნათესაური სისხლი. „ფეოდალური ლინიაჟი თავის კაენებს ზრდიდაო“, — მოსწრებულად შენიშნავს ფრანგი ისტორიკოსი ჟ. ლე გოფი. გარდა ამისა, ლინიაჟი მრავალი ბუშის გამჩენიც გახლდათ; ეს ის აღიარებული, მაგრამ უუფლებო ვაჟიშვილები იყვნენ, რომელთაც კანონიერი მემკვიდრეებისაგან განსხვავებით, არაფერში ედოთ წილი.

დიდი, ფეოდალური ლინიაჟის ტიპის ოჯახების შექმნისაკენ მიდრეკილება პატრიციატსაც, ქალაქის მოსახლეობის ზედაფენასაც ახასიათებდა, რამაც ყველაზე მკვეთრად მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების გენუაში იჩინა თავი. რამდენიმე თაობისაგან შემდგარი დიდი ოჯახები აქ მთელ უბნებად ცხოვრობდნენ, საკუთარი კოშკებით დაცულნი და საკუთარ ეკლესიებში მლოცველნი. ხშირად ისინი კავშირებადაც ერთიანდებოდნენ, რომელთაც მეცამეტე საუკუნიდან არა მარტო საერთო წარმოშობა, საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებიც ედოთ საფუძვლად. პატრიციატის ლინიაჟები იერარქიულ პრინციპს მიჰყვებოდნენ. დაქორწინება მხოლოდ ნათესავთა თანხმობით ხდებოდა, ახალი ოჯახის ქონებრივ უფლებებს კი გვარის უხუცესნი განსაზღვრავდნენ. ქალაქის ხელოსანთა და წვრილ ვაჭართა წრეში, პირიქით, მცირე ოჯახები ჭარბობდა; ახალი ოჯახები ეკონომიურად სუსტად იყვნენ დაკავშირებულნი მშობლებთან.

ოჯახს ადრე-ეკიდებოდნენ. საეკლესიო წესების თანახმად, სასიძო თოთხმეტისა მაინც უნდა ყოფილიყო, საპატარძლო — თორმეტისა. ქალაქებში კიდევ უფრო პატარებსაც ნიშნავდნენ, ასე რომ, არჩევანი, ძირითადად, ეკონომიური ან პატივმოყვარული თვალსაზრისით განპირობებული, უფრო მშობლების საქმე იყო, ვიდრე ქალ-ვაჟისა. ქალი ოჯახში ნაკლები უფლებებით სარგებლობდა; ამის ნათელი დადასტურებაა კანონიკური სამართალიც. მეცამეტე საუკუნის ბო-

ლოს დომინიკელი ბერი ნიკოლაი ბაიარდი წერდა: „ქმარს უფლება აქვს დასაჯოს და გამოსწორების მიზნით ცემოს კიდეც ცოლი, რამეოუ ცოლი ქმრის საოჯახო კუთვნილებაა“. ბაიარდი ქმრისა და ცოლის ურთიერთობას სკოლის მასწავლებლისა და მოწაფის ურთიერთობას აღარებს, თანაც, ისიც საგულისხმოა, რომ დომინიკელი გრაციანის „დეკრეტს“ იშველიებს, ოუმცა ამ „დეკრეტში“ ცოლის ცემა აკრძალულია (იშეიათი გამონაკლისის გარდა) და ეს მოტივი, ეტყობა, თავად ბაიარდის მიერაა ჩამატებული. ამ თვალსაზრისით, ჩვეულებრივი სამართალიც მცირედად თუ განსხვავდებოდა კანონიკერისაგან. მეცამეტე საუკუნის ფრანგი იურისტი ბომანური პირდაპირ ამბობს: ცოლის ცემა შეიძლება, ოღონდ — ზომიერადო.

შეზღუდული იყო ქალის ეკონომიური და სოციალური უფლებებიც. ქალი არ შეიძლებოდა მღვდელი ყოფილიყო. მემკვიდრეობით წოდების მიღება ქალსაც შეეძლო, მაგრამ ინგლისელი ბარონესები და აბატისები არასოდეს დასწრებიან პარლამენტის სხდომას. თუ მამას ვაჟებიც ჰყავდა, გათხოვილი ქალიშვილი, მზითვის გარდა, ვერაფერს მიიღებდა, სოლო მის გაუთხოვარ, ჯერ ისევ მამის სახლში მცხოვრებ დებს, უმნიშვნელო თანხა ეძლეოდათ —



შეძლებული ვაჭრის ბეწვით გაწყობილი მაუდის კოსტიუმი. XVI ს-ის მინიატურა.

დასამარხად თუ მონასტერში აღსაკვეცად. მართალია, მეთორმეტე საუკუნეში ქვრივებმა და დედისერთა ქალიშვილებმაც მოიპოვეს უფლება, თავიანთი ქმრებისა თუ მამების მემკვიდრეები გამხდარიყვნენ, მაგრამ იქამდე გერმანულ კანონმდებლობას დაუშვებლად მიაჩნდა ქალისათვის მემკვიდრეობით მიწის გადაცემა. მაშინაც და მერეც ქალები იშვიათად სარგებლობდნენ ანდერძის დატოვების უფლებით: მეთოთხმეტე საუკუნის შუა ხანებში ინგლისურ პარლამენტს ამ თვალსაზრისით ქალი ყმასთან ჰყავდა გაიგივებული. ქალი იმ დროისათვის ფეოდის მოსაპოვებელი პასიური იარაღი იყო და მეტი არაფერი: როცა ადრე შუასაუკუნეების დროინდელი ლიტერატურის გმირი ქალისათვის იბრძვის და ამ ბრძოლაში ათასგვარ გმირობას იჩენს, მის მიზანს თავად ქალი კი არ წარმოადგენს, არამედ ის მიწები და სიმდიდრე, რომელთა ხელში ჩაგდებაც მას ამ ქალის მეშვეობით შეუძლია.

ობოლი ქალიშვილის გათხოვება (თუკი ახლო ნათესავი მამაკაცი არავინ ჰყავდა) სენიორის უფლებად და მოვალეობად ითვლებოდა და, ამგვარ შემთხვევებში, ქალი ადვილად შეიძლებოდა ქცეულიყო პოლიტიკური თუ ფისკალური მისწრაფებების მსხვერპლად. ფეოდალური კანონმდებლობა ანგარიშს არ უწევდა ობოლი მემკვიდრის აზრს (როგორც მამა — გასათხოვარი ქალიშვილისას) და თუმცა მღვდელი ჯვარისწერისას ყოველთვის ეკითხებოდა პატარძალს, თანახმა იყო თუ არა გათხოვებისა, ცოტას თუ აღმოაჩნდებოდა ხოლმე ძალა ტრადიციისა და საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგობათა გადასალახავად.

ინგლისის მეფემ იოანე უმიწაწყლომ (1199—1216) თომას სეილბის მემკვიდრე, ვინმე გრეისი, მთავარი მეტყევის ძმაზე, ადამ ნევილზე დანიშნა. შესრულდა თუ არა გრეისი ოთხი წლისა, ადამმა დაქორწინება განიზრახა. ეპისკოპოსმა აკრძალა ეს ქორწინება, მაგრამ მისი არყოფნის დროს მღვდელმა მაინც დასწერა ჯვარი ახალგაზრდებს. როცა გრეისი დაქვრივდა, მეფემ ის თავის კარისკაცს, ნორმანს მიათხოვა (ნორმანმა ამისათვის ორასი მარკა გადაუხადა მეფეს). ნორმანის სიკვდილის შემდეგ მეფემ უბედური ქალიშვილი მესამე და ყველაზე უარეს ქმარს, ბრიან დე ლილს მიჰყიდა და ამჯერად სამასი მარკა მიიღო.

განსაკუთრებით მკაცრად ეპყრობოდა კანონი რაიმე დანაშაულში მხილებულ ქალებს. მეთოთხმეტე საუკუნის ინგლისში ქმრის მოკვლისათვის ქალს კოცონზე სწვავდნენ, საფრანგეთსა და გერმანიაში კი ცოცხლად მარხავდნენ. ქალთა არასრულუფლებიანობა იმდროინდელი ევროპის მთელი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური სიტუაციით აიხსნებოდა. შუა საუკუნეების საზოგადოება განუწყვეტლივ ომის საფრთხის ქვეშ ცხოვრობდა და მეომრული შემართება უმაღლეს ღირსებად ითვლებოდა. თანაც შიმშილისა და ქონების



კოტა და ღილებიანი სიურკო. ქანდაკება (ანა ბეულონელი). 1360 წ. იუსტიციის სასახლე. პუატიე.

(უპირველეს ყოვლისა, კი მიწისა) დაყოფის შიში აიძულებდათ, ბავშვის გაჩენის უნარი ქალისათვის ბოროტებად ჩაეთვალათ და არა მადლად. ქრისტიანობა, რაკი ქმარს შეუფარავად აცხადებდა ოჯახის უფროსად, ხოლო პირველყოფილ ცოდვას მთლიანად ქალს აბრალებდა, ამით კიდევ უფრო უწყობდა ხელს ამგვარი შეხედულების გავრცელებას, რაც, რასაკვირველია, ნაკლებად შეესაბამებოდა სინამდვილეს: გლეხი ქალი ქმრის მხარდამხარ ეწეოდა ოჯახის ჭაპანს; ცოტა საქმე როდი კეთდებოდა ქალის ხელით, როგორც მინდვრად, ისევე შინ: ქალი ართაედა სელს, ქალი ჩეჩავდა ქერელს, ქსოვდა, კერავდა, რეცხავდა, უვლიდა ბოსტანსა და საქონელს; დიახაც რომ ჭეშმარიტი დიასახლისი გახლდათ თავისი ეზო-კარისა, თუმცა მრავალი დამცირებისა და ცემა-ტყეპის ატანა უხდებოდა.

გაბატონებული კლასის ცხოვრებაში განსხვავება უფრო თვალშისაცემი იყო: მამაკაცი სამხედრო საქმეს მისდევდა და სივრცითაც და დროითაც ემიჯნებოდა საქალებო შრომასა და საზრუნავს, ძირითადად სახლის გარშემო რომ ტრიალებდა. თუმცა ამ წრის ქალთა მდგომარეობაც სხვადასხვაგვარი იყო, რასაც კონკრეტული სოციალური და ეკონომიური პირობები განსაზღვრავდა. რა თქმა უნდა, მდიდარი და წარჩინებული ოჯახიდან გამოსული ქალი, რომელსაც გავლენიანი ნათესაობის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, ქორწინების შემდეგაც ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და ქმრის გამგზავრების შემდეგ შეეძლო ხელში აეღო მთელი მეურნეობის მართვა-გამგეობა. როცა ევროპის ფეოდალური სენიორები ჯვაროსნულ ლაშქრობაში გაემართნენ, მათი ციხე-დარბაზები და ფეოდები მათი ცოლების ხელში აღმოჩნდა. ჩვენამდე იმ მამაცი ქალბატონების

სასულიერო-ც მოიაღწია, სამხედრო რაზმებს რომ მეთაურობდნენ: ეგანა დ'არკს ირა-ელი წინამორბედი ჰყავდა მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში.

მეთორმეტე ასწლეულმა შუა საუკუნეების ცხოვრებაში სრულიად ახალ მოვლენას ნაუყარა საფუძველი — ქალის კულტსა და კურტუაზულ სიყვარულს. ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, მსოლოდ ფეოდალთა წრეში გავრცელდა და ყველაზე ნიშანდობლივად ფრანგულ და გერმანულ სარაინდო პოეზიაში გამოიხატა. ლირიკული სარაინდო პოეზია, რომელიც სეფექალებისა და გათხოვილი მანდილოსნებისადმი რაინდის სიყვარულს განადიდებდა, საფრანგეთში აღმოცენდა დაახლოებით 1100 წელს და ყველაზე დიდხანს პოლიტიკურად დაქუცმაცებულ სამხრეთში — აქვიტანიასა და ტულუზის მიდამოებში იარსება. ტრუბადურობას როგორც თავად ხელისუფალნი, ისე თავადაზნაურობის ღარიბი წარმომადგენლებიც მისდევდნენ. გერმანული სარაინდო პოეზიის — მინეზანგის — ბაფურნქვნის ხანა მეთორმეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებია. ამ პოეზიის ცენტრები თავიდან ბაბენბერგებისა და ტიურინგიელი ლანდგრაფების სასახლეები იყო ვენასა და ვარტბურგში, შემდეგ კი ცენტრმა ჰოჰენშტაუფენების კარზე გადაინაცვლა. მინეზინგერთა უმრავლესობა მინისტერიალთა წრიდან იყო გამოსული.

ისევე, როგორც ბერ-მონაზონობა, კურტუაზული სიყვარულიც შუა საუკუნეობრივი ქორწინების ანტითეზაა. ეს სიყვარული — ტრუბადურთა და მინეზინგერთა მიერ იმ ფეოდალური კანონმდებლობის ტერმინებით შექებული, სადაც მთავარი ადგილი ერთგულებს უკავია — ალბათ სენიორსა და ვასალს შორის არსებული იდეალური ურთიერთობების სექსუალურ სფეროში გადატანის შედეგად აღმოცენდა. შეყვარებული ისევე ემსახურება თავის გულისწორს, როგორც სენიორს — ვასალი, რომლის იდეალიც პატრონისათვის თავის განწირვაა. კურტუაზული სიყვარულის საგანს არც სქესობრივი სიახლოვე შეადგენს, არც მატერიალური გამორჩენა და არც სოციალური პრესტიჟი — ის თავად გრძნობას ასპეტაკებს, გრძნობას, რომლის ძირითადი ელემენტიც უანგაროობაა. ტრუბადური ბერნარ ვენტადურელი (დაახლ. 1140—1195) ხოტბას ასხამს გათხოვილი ქალის სილამაზეს და, თუმცა, ქალი მის სიყვარულს სიყვარულითვე არ პასუხობს, რამდენადაც სხვას ეკუთვნის, რაინდი მარადიული ერთგულებისა და უანგარო სამსახურის ფიცს აძლევს თავის ქალბატონს. ამგვარ სიყვარულში ქალი არ არის განსხეულებული, ის მხოლოდ იმდენადაა საჭირო, რამდენადაც საბაბს აძლევს რაინდს, თავისი გრძნობები გამოამჟღავნოს. ალემან ჰარტმან ფონ აუეს (დაახლ. 1170—1210) პოეზიაში ქალისადმი სამსახური ღვთისმსახურებაშია გადაზრდილი, ხოლო სწრაფვა წარმავლისადმი — მარადიული-

ფერადზოლიანი ლივრეები. მინიატურა ტანა ბურგენდელის დაკრძალვა). 1330 წ.

საკენ სწრაფვაში. სიყვარულის მეხოტბე, ტიურინგიელი ჰერნიხ ფონ მორუნგენი (1150—1222) ქალს სრულყოფილების მარადიული იდეალის სიმბოლოდ მიიჩნევს. ამგვარ ამაღლებულ სიყვარულს არაფერი ჰქონდა საერთო მიწიერი ქალის ჩვეულებრივ სიყვარულთან, რომელსაც ისეთი პოეტები ჰყავდა, როგორებიც იყვნენ ვოლფრამ ფონ ეშენბახი (დაახლ. 1170—1220), ვალტერ ფონ დერ ფოგელვეიდე (დაახლ. 1170—1230), თუ ნაიდჰარდ ფონ როიენტალი (დაახლ. 1180—1237).

ქალის კულტი განსაკუთრებული ძალით ღვთისმშობელი მარიამისადმი, ქრისტიანული მითოლოგიის „პირველი ქალბატონისადმი" თაყვანისცემაში გამოიხატა. მარიამის, „ახალი ევას" პატივისცემა განსაკუთრებით მეთერთმეტე საუკუნიდან ძლიერდება. 1140 წელს დაწესებული იქნა უმანკო ჩასახვის დღესასწაული. ამგვარი მარიოლატრიის (მარიამის კულტის) წინააღმდეგ ბევრი ღვთისმეტყველი ილაშქრებდა, მათ შორის ბერნარ კლერვოსელიც (1090—1153), მაგრამ ღვთისმშობლისადმი ხალხის მოწიწება შეუნელებლად იზრდებოდა. მარიამს, უპირველეს ყოვლისა, ხალხი თავის მოსარჩლედ თელიდა და გვიბერ ნოჟანელი იმასაც კი განმარტავდა, თუ რა დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო მას შემქმნელზე, როგორც შექმნილი სამყაროს ნაწილს: ის ხომ ღმერთის დედაა, ამბობს გვიბერი, დედა კი არ თხოულობს — ბრძანებსო; ამიტომაც უსმენს

ქრისტე და, არა მარტო უსმენს, ყურადაც იღებს ხოლმე დედის სიტყვასო. ყაჩაღი რომ ყაჩაღია, არც იმის ლოცვა-ვედრებას სტოვებს თურმე მარიამი განუკითხავს, როგორც ერთ ფაბლიოშია მოთხრობილი. მარიამს სახრჩობელაზე აყვანილი ყაჩაღისათვის ხელი შეუშველებია და დახრჩობას გადაურჩენია; ხოლო როცა ჯალათს ხმალი შეუმართავს, ხმალიც აურიდებია იმისთვის. ქომაგის კულტთან, იმ კულტთან, რომელშიც ნათლად გამოჭვივის წარმართული ხალხური მოტივები, მარადიული ქალური საწყისისადმი თაყვანისცემაა შერწყმული — ტრუბადურთა ლექსით განდიდებული და ქვაში გაცოცხლებული მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მოქანდაკეთა საჭრეთლით.

შუა საუკუნეების ქალები, შედარებით თავისუფლები, ალბათ, მაინც საზოგადოების ორივე უკიდურეს პოლუსზე იყვნენ: გლეხურ და არისტოკრატულ გარემოში. რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, სწორედ ქალაქელები ექცეოდნენ ყველაზე მკაცრად საკუთარ ცოლებს. მსხვილ სავაჭრო და ხელოსნურ წარმოებაში ქალმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი და ამიტომ ქალაქელი ქალი კიდევ უფრო მიჯაჭვული აღმოჩნდა კერასთან, ვიდრე სოფლელი ანდა დიდგვაროვანი. ქალაქებში ქალებს ქცევის მკაცრი ნორმებიც კი დაუდგინეს: ქუჩაში აქეთ-იქით არ უნდა ეცქირათ, თავდახრილებს უნდა გაევლოთ, არ უნდა გაეცინათ და არავის არ უნდა გამოლაპარაკებოდნენ; ქალიშვილები კი მუცელზე ხელებდაკრეფილნი უნდა მსხდარიყვნენ შინ. ქალაქების აღზევებას ქალთა სტატუსის გაუმჯობესება არ მოჰყოლია, პირიქით, მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში კიდევ უფრო დამამცირებელი გახდა, ვიდრე წინა საუკუნეებში იყო.

როგორც ჩანს, სწორედ ქალაქის წრიდან გამოდიოდნენ ის ინტელექტუალები, ანტიფემინისტური თხზულებებით რომ წალეკეს შუა საუკუნეების ლიტერატურა. ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნის პოეტმა მარბოდ რენელმა, ბიბლიური ტრადიციისა და ანტიკური მაგალითების მოშველიებით, ქალი „ყველაზე საშიშ მახედ“ გამოაცხადა და შურიან, ქარაფშუტა, ხარბ, გაუმაძღარ არსებად მონათლა, რომელსაც სული მისდის ღვინოზე და, ყველა სიკეთესთან ერთად, ავხორცი და ყბედია. ქალი „ტკბილი ბოროტებაა“, რომელიც მართავს სამყაროსო, — ასკვნის პოეტი.

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების მწერლები, ტრუბადურთა თანამედროვენი, ყოველნაირად დასცინოდნენ ქალთა მანკიერებებს, განსაკუთრებით იმ ბრიყვებს აქილიკებდნენ, ცოლ-ქმრობის უღელში რომ ჰყოფდნენ თავს. მეცამეტე საუკუნის ფრანგი პოეტი რიუტბეფი არც საკუთარ თავს ინდობს და მწარედ დასცინის: ან ჭკუა სად მქონდა, ან თვალები, რამ შემართვევინა ეს უშნო და ჩემსავით გუდაფშუტა ქალი, თავისი ხანდაზმულობის მეტი არაფერი რომ მოჰყოლია მზითვადო.

ოჯახური ცხოვრება განუწყვეტელი დაცინვის საგანია. ერთი ფრანგული ფაბლიოს გმირს, პარიზელ თერძს, თავისი ცოლი, ქალბატონი ანეზი, სულ კრიჭაში ედგა თურმე; ქმარი პრასას თუ ინატრებდა, ის მუხუდოს უმზადებდა, ხოლო როცა მუხუდო მოუნდებოდა — პრასა ხვდებოდა მაგიდაზე. ცოლს ზღვის თევზისათვის აგზავნიდა ბაზარში, იმას კი მდინარისა მოჰქონდა. იმდროინდელ მწერლებს პირდაპირ ყბად ჰქონდათ აღებული ქალთა ორფერი კაბები, ღრმა დეკოლტეები, გრძელი შლეიფები, მდიდრული ქამრები, ტანზე შემოტმასნილი, ბეწვით, აბრეშუმითა და ვერცხლით გაწყობილი ჟაკეტები, ჭვინტიანი ფეხსაცმელები, ათასგვარი თავსაბურავები თუ კოშკივით დაკოსებული ხელოვნური „რქიანი“ თმა პარიზული მოდის მიხედვით, პირბადე რომ ჰქონდა ზედ მიმაგრებული. მორალისტები ამასთან დაკავშირებით ათასნაირ შედარებას იგონებდნენ, მედუზას თავი იქნებოდა ეს, რქიანი ეშმაკი თუ კუდიანი სატანა. ბევრი გესლი ინთხეოდა კოსმეტიკაზეც: პუდრსა, საღებავსა თუ ნელსაცხებელზე და სხვა ამგვარ სისაძაგლეზე, მორალისტთა თქმით, ცხვრის ნაღვლისა და ძაღლის ქონისაგან რომ მზადდებოდა. იგივე დღე ადგა ქალთა გასალამაზებელ იარაღებსაც: თმის სამაგრი იყო, მაკრატელი თუ წარბის ამოსაქნელი. მორალისტები გამძვინვარებულნი ამათრახებდნენ ქალთა სივერაგეს, სიეშმაკეს, მათ დაუდგრომელ, ჭორიკანა და მოღალატე ბუნებას; არანაკლებ აღაშფოთებდათ ქალთა განათლებულობაც: „შვილო ჩემო, — ქადაგებდა მეცამეტე საუკუნეში იურბენ კურტუა, — არც ლამაზი ქალი შეირთო, არც წიგნის მცოდნე, რამეთუ ერთიცა და მეორეც თვალთმაქციაო“.

საქორწინო ცერემონია. XIV ს. მინიატურიდან.

შუა საუკუნოვანი წარმოდგენის მიხედვით, ადამიანის ცხოვრება ექვს პერიოდად იყოფოდა: ყრმობად, ბავშვობად, სიყმაწვილედ, სიჭაბუკედ, სიჭარმაგედ და სიბერედ, რომელთაც ექვსი ისტორიული ეპოქა შეესაბამებოდა — დასაბამიდან წარღვნამდე, წარღვნიდან აბრაამამდე, აბრაამიდან მეფე დავითამდე, დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე, ბაბილონის ტყვეობიდან ქრისტეს დაბადებამდე და, ბოლოს, ქრისტეს დაბადებიდან სამყაროს აღსასრულამდე. ადამიანის ასაკს (და, აგრეთვე, ისტორიულ ეპოქებსაც) შუა საუკუნეების სიმბოლური აზროვნება დღე-ღამის საათებსაც უსადაგებდა: განთიადი ღირსი აბელის დრო იყო, მესამე საათი — ნოესი და კიდობნის აგებისა, მეცხრე — მოსეს კანონმდებლობისა, საღამო კი — ქრისტეს გამოცხადებისა. ადამიანის ცხოვრების პერიოდები, იმ სახით, როგორითაც მათ შუა საუკუნეებში ითვლიდნენ, დღეს, შეიძლება, ცოტა არ იყოს, შეზღუდულად მოგვეჩვენოს; მაშინდელი თვალსაზრისით, სიჭაბუკე ოცდახუთ წლამდე გრძელდებოდა, სიჭარმაგე ორმოცდახუთამდე, რასაც სიბერე მოსდევდა. მართალია, საიმედო სტატისტიკა არ მოგვეპოვება, მაგრამ, ეტყობა, ადამიანები ადრე იხოცებოდნენ: შიმშილობები, ეპიდემიები, ომები და ფეოდალური განხეთქილებები მაინც აკეთებდნენ თავიანთ საქმეს.

შუა საუკუნეების ყრმათა შესახებ ჩვენ ცოტა რამ ვიცით. ქალები შინ მშობიარობდნენ, უკეთეს შემთხვევაში — ბებიაქალის დახმარებით. ყრმას ლამის გაჩენისთანავე ნათლავდნენ, რის შემდეგაც ის „ხილული“ ქრისტიანული თემის, საზოგადოების წევრი ხდებოდა. ნათლობა მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის აუცილებელი იყო; თავის არიდება ღალატად ითვლებოდა (შუა საუკუნეობრივ ტერმინოლოგიაში „ერთგულებასა“ და „ღალატს“ ძალიან ფართო მნიშვნელობით ხმარობდნენ) და ნათლობის უგულვებელმყოფელი მკაცრადაც ისჯებოდა. ეკლესიის მოძღვრების მიხედვით, ნათლისღება ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოა, „ახალი წინდაცვეთა“, რომელიც სხეულს რაიმე ნაწილს კი არ აშორებს, არამედ — საერთოდ „ხორციელს“, რათა ადამიანი სულიერ სამყაროს აზიაროს. მონათვლა უნიკალური მოვლენაა, რომელიც ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ ხდება და მისი განმეორება შეუძლებელია. თავდაპირველად მონათვლის ძირითად ფორმას წყალში ჩაყენება წარმოადგენდა, ჯერ მდინარეებსა და ნაკადულებში, მოგვიანებით კი, ამ მიზნისათვის სპეციალურად აგებულ ბაპტისტერიუმებში — ეკლესიასა თუ განსაკუთრებულ შენობაში მოთავსებულ წყლით სავსე აუზებში (ემბაზებში). წყლის სხურება კათოლიკურ ეკლესიაში მხოლოდ მეთხუთმეტე საუკუნიდან დამკვიდრდა. ნათლობისას ყრმას სახელს არქმევდნენ და დემონთა განსადევნად განსაკუთრებულ ფორმულებს წარმოთქვამდნენ ხოლმე.

როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში ყრმათა აღზრდას განსაკუთრებული ყურად-

ღება არ ექცეოდა. არისტოკრატები თავიანთ შვილებს აღსაზრდელად ძიძებს აძლევდნენ, გლეხთა და ხელოსანთა ბავშვები კი, აკვნიდან ამოსვლისთანავე, სამზარეულოში დაცოცავდნენ, ვიდრე ფეხზე დგომას შესძლებდნენ და მშობლები რაიმე საქმეს გამოუნახავდნენ. სიყმაწვილე ადრე მთავრდებოდა: გოგოებისთვის თორმეტი, ბიჭებისთვის კი თოთხმეტი წლის ასაკში. ამ ასაკში მათ უკვე მომწიფებულად თელიდნენ ცოლ-ქმრობისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

შუა საუკუნეების ოჯახის ცხოვრებაში ბავშვი მეტად პასიურ და უმნიშვნელო როლს ასრულებდა. ნიშანდობლივია, რომ შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნებისათვის თითქმის უცნობია ბავშვის თემა. ანგელოზსაც და ეროტსაც მოზრდილ ადამიანებად გამოსახავდნენ; იმ ქანდაკებებსა და მინიატურებზე, სადაც ღვთისმშობელი ჩვილთან ერთადაა გამოსახული, უშნო, თითქმის მახინჯი ქრისტე, ჩია მოხუცს უფრო ჰგავს, ვიდრე ყრმას. შუა საუკუნეების ლიტერატურისათვის უცხო არ არის მშობლიური სიყვარულის მოტივი, მაგრამ ბავშვი პრაქტიკულად უგულვებელყოფილია დაბადებიდან იმ მომენტამდე, როცა გმირი ასაკისათვის შეუფერებლად დიდობს და მონადირისა თუ მეომრის არაბავშვურ სიბრძნესა და სიმამაცეს ავლენს.

ბავშვობა გარდამავალ ხანად ითვლება, რომელიც თავისი არსით რაღაც არასრულფასოვანსა და დაუმთავრებელს მოიცავს. ის უფრო ეთიკური (თანაც ნეგატიური) ცნებაა, ვიდრე დროისა, რის გამოც სიტყვა „ბავშვი" შუა საუკუნეების გერმანიაში „ბრიყვის" ანდა „ურცხვის" (უზრდელის) სინონიმად იქცა. მხოლოდ მეცამეტე საუკუნიდან გეხვდება არტახებით გაკოჭილი ჩვილის გამოსახულებანი.

მაგრამ ქალაქების განვითარებამ, თუკი ერთი მხრივ, როგორც უკვე ვთქვით, გააუარესა ქალთა მდგომარეობა, მეორე მხრივ, არსებითი ცვლილებები შეიტანა შუა საუკუნეების ბავშვთა ცხოვრებაში; სწორედ ქალაქში, შედარებით უკეთესი პირობების გამო, ბავშვმა თანდათანობით შეძლო გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვება და, იქამდე ეპიდემიათა პოტენციურმა მსხვერპლმა, „უასაკო" მოზრდილმა, თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა სახლშიც, ქუჩაშიც და, რაც მთავარია, სკოლაშიც. თუმცა სკოლაში სიარული ყველასთვის არ იყო სავალდებულო. გლეხის შვილი მისთვის აუცილებელ გამოცდილებას ოჯახშივე იძენდა; ხელოსნები, ჩვეულებრივ, თავიანთ შვილებს შეგირდებად აბარებდნენ: გერმანიის ქალაქებში ხელობის სწავლა ფული ღირდა. სწავლა ორი-სამი წელი გრძელდებოდა, რის შემდეგაც ყმაწვილი ქარგალი ხდებოდა.

შუა საუკუნეები სკოლების სიმრავლით არ გამოირჩეოდა. ანტიკური საერო სკოლის ტრადიციები აქა-იქღა იყო შემორჩენილი, ისიც სამხრეთში, ძირითადად, იტალიაში. ალპების ჩრდილოეთით უმთავრესად სამონასტრო და საეკ-

ლესიო სკოლები არსებობდა. შუა საუკუნეების დროინდელ სკოლაში უგულებელყოფილი იყო ასაკობრივი ცენზი: ცხვირმოუხოცავი ბავშვი და შეღერებული ჭაბუკი ერთად სწავლობდნენ ანბანს. საერთოდაც, არავინ იტკიებდა თავს ბავშვთა სპეციფიური ინტერესების გათვალისწინებით. სამონასტრო სკოლებში ბავშვებიც ისეთივე მკაცრ დისციპლინას ექვემდებარებოდნენ, როგორსაც ბერები (შუა საუკუნეებში ბავშვი ხომ მხოლოდ და მხოლოდ უასაკო მოზრდილად ითვლებოდა); სამლოცველოში, სატრაპეზოსა და დორმიტორიუმში (საძინებელში) ბავშვები წინამძღვრის განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ და ლაპარაკიც ეკრძალებოდათ, სიმღერაცა და თამაშიც. ერთ-ერთ ყველაზე ძლევამოსილ პედაგოგიურ საშუალებას როზგი წარმოადგენდა. საეკლესიო სკოლაში რვა წლის ბავშვი ოცი წლის ჭაბუკებთან ერთად სწავლობდა, ერთი და იმავე პროგრამით და ძალიან მალე ხვდებოდა ამათი ინტერესების სფეროში. დიდი ხნით სახლს მოწყვეტილი მოწაფე, რომელიც პანსიონში მასწავლებელთან ერთად ცხოვრობდა ანდა მდგმურად დადგებოდა ხოლმე, თავფეხიანად ჩაფლული იყო ყოველდღიურ საზრუნავში. თვითონვე უნდა მოეპოვებინა პური არსობისა, რათა, როგორც მაშინ ამბობდნენ, „რაღაცა მაინც მოხვედროდა კბილს“, გარდა საეკლესიო ზარების რეკვისა. მოწაფე, ჩვეულებრივ, წყალსა და ხმელა პურზე გადადიოდა; იმას ემსახურებოდა, ვისთანაც მდგმურად იდგა (როგორც შეგირდი ოსტატს) — ბაზარშიც ეგზავნებოდა, თუმცა თავად ქვაბს თუ მიუგდებდნენ ხოლმე მოსაფხეკად. ცემა-ტყეპა არც შინ აკლდა და არც სკოლაში.

სასწავლო პროგრამა (გვიანდელი ანტიკურობის ტრადიციის შესაბამისად) შვიდი თავისუფალი ხელოვნებისაგან შედგებოდა, რომლებიც, თავის მხრივ, ორ ჯგუფად იყოფოდნენ — ტრივიუმად და კვადრიუმად. ტრივიუმი სწავლების საწყისი სტადია იყო — აქედან ჩვენეული სიტყვა „ტრივიალურიც“, ანუ ყოველდღიური, ჩვეულებრივი. ტრივიუმი გრამატიკას, რიტორიკასა და ლოგიკას მოიცავდა, ხოლო კვადრიუმი — არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიასა და მუსიკას. შუა საუკუნეების ადრეულ ეტაპზე ტრივიუმი ბატონობდა, კვადრიუმმა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მეცამეტე საუკუნიდან მოიკიდა ფეხი. კითხვას ლოცვანის, ფსალმუნთა და სახარების დაზუთხვით სწავლობდნენ; განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გალობას. შემდეგ გადადიოდნენ გრამატიკაზე, რომელიც შუა საუკუნეების განათლების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. გრამატიკას (რაღა თქმა უნდა, ლათინურს), ვირგილიუსის კომენტატორისა და გადმოცემის თანახმად, წმინდა იერონიმის მასწავლებლის, მეოთხე საუკუნის გრამატიკოსის, ელიუს დონატის მიხედვით სწავლობდნენ. სკოლაში სხვა ენები არ ისწავლებოდა (მეთოთხმეტე საუკუნემდე), თუმცა რაინდსა და ვაჭარს ცხოვრე-

კურტუაზული სიყვარული. გრავიურა. XIV ს-ის მინიატურიდან.

ბაში ხშირად რამდენიმე ენასა თუ კილოზე უხდებოდა ლაპარაკი. ლათინურ გრამატიკას რომელიმე ძველი ავტორის კითხვითა და კომენტირებით სწავლობდნენ. მასწავლებლის შემდეგ მოწაფესაც ტექსტის იგივე მონაკვეთი უნდა წაეკითხა და განემარტა.

სასკოლო ოთახი საკმაოდ უღიმღამოდ გამოიყურებოდა. მოწაფეთათვის იატაკზე ჩალა ეყარა, რაც მეტნაკლებად სიცივისაგანაც იცავდათ. მასწავლებელი სავარძელში იჯდა, ხოლო მის წინ, პიუპიტრზე, შესასწავლი წიგნი იდო. მასწავლებლები განუწყვეტლივ ჩიოდნენ მოწაფეებზე: სწავლას თამაში ურჩევნიათ და ერთი სული აქვთ, დუქანში ან სხვა გასართობ ადგილას ამოჰყონ თავიო. ამდენ ბრიყვს და დამთხვეულს ან რა სიტყვა მოარჯულებს, ან რა როზგი მოერევაო.

შუა საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე დამოუკიდებელი მოაზროვნე პეტრე აბელარი ასე აღწერს თავის ცხოვრებას: რაკი სწავლისაკენ ჰქონდა მიდრეკილება, სამხედრო სამსახურზე უარი უთქვამს („განეუდექ მარსის საკრებულოსო") და მთელი არსებით მოჰკიდებია ლოგიკის, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ, დიალექტიკის შესწავლას და, სანამ თვითონაც არ ჩაებმებოდა დისპუტებში,

არც დროს ზოგავდა თურმე და არც გზას ერიდებოდა, იმხანად სახელგანთქმული მასწავლებლებისათვის რომ მოესმინა.

დისპუტი („სამეცნიერო-სასწავლო" შერკინება რაინდთა ტურნირის მსგავსად) შუა საუკუნეების სკოლის დამახასიათებელი ფენომენია. დისპუტი ერთ-ერთი ყველაზე მიღებული ფორმა იყო იმ საკამათო პრობლემების გასარჩევად, მაშინდელი მეცნიერების წინაშე რომ წამოიჭრებოდა ხოლმე; მოწაფე მასწავლებელს ეკამათებოდა, მასწავლებელი — მასწავლებელს, ერთი მასწავლებლის მოწაფეები — მეორე მასწავლებლის მოწაფეებს, სკოლა — სკოლას და ა. შ. აბელარი იმდენად მგზნებარე და დახელოვნებული მოკამათე ყოფილა, ხშირად ამარცხებდა თურმე მასზე გაცილებით უფროსსა და გამოცდილ მოკამათეებსაც.

სწორედ ეს იყო მიზეზი ჩემი უბედურებისაო, — ამბობს აბელარი. — რაც უფრო მემატებოდა სახელი, მით უფრო ივსებოდნენ შურით ჩემი მოწინააღმდეგენიო.

თანდათანობით მასწავლებლები თავს ანებებდნენ სამონასტრო და საეკლესიო სკოლებს და საკუთარ კორპორაციებს — უნივერსიტეტებს — აარსებდნენ. თავად ტერმინი „უნივერსიტეტი" (universitas) თავდაპირველად იმ ადამიანთა ნებისმიერ გაერთიანებას აღნიშნავდა, რომელთაც საერთო ინტერესები და განსაკუთრებული უფლებრივი სტატუსი გააჩნდათ. მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულიდან დაიწყეს ამ ტერმინის გამოყენება აკადემიური კორპორაციის გამოსახატავად. Studium generale, როგორც შუა საუკუნეების უმაღლეს სასწავლებელს უწოდებდნენ (და რომელიც პირველად 1237 წელსაა მოხსენიებული), — შეესაბამებოდა იმ სკოლას, ფართოდ რომ იყო ცნობილი, შორეული კუთხეებიდანაც რომ იზიდავდა მოწაფეებს და არა მარტო „შვიდი თავისუფალი ხელოვნების" სწავლება შეეძლო, არამედ, სულ ცოტა, ერთი სპეციალური დისციპლინისაც, სამოქალაქო თუ კანონიკური სამართლისა, ღვთისმეტყველებისა ან მედიცინისა. ამგვარი სკოლების ერთ ნაწილს უნივერსიტეტად ჩვეულების გამო (ex consuetudine) თვლიდნენ, როგორც თანდათანობით ჩამოყალიბებულსა და სახელგანთქმულ სასწავლებლებს; სხვებს კი, პაპის, იმპერატორის და, იშვიათად, მეფის მიერ მინიჭებული პრივილეგიების წყალობით. მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული, თანამედროვეთა თვალსაზრისით, უნივერსიტეტს ორი უპირატესობა გააჩნდა: ჯერ ერთი, ღვთისმეტყველების შემსწავლელ კლირიკოსებს ხუთი წლის განმავლობაში ენახებოდათ თავიანთი საეკლესიო შემოსავალი (ბენეფიციუმები); მეორეც — უნივერსიტეტდამთავრებულებს ნებისმიერ სკოლაში შეეძლოთ ემასწავლებლათ (jus ubigue docendi).

შუა საუკუნეების უნივერსიტეტთა წარმოქმნა (მეთორმეტე საუკუნიდან) უშუალოდაა დაკავშირებული დასავლეთ ევროპის საზოგადოების ურბანიზაცი-

ასთან. ეს პრინციპულად ახალი მოვლენაა ევროპის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში და არც ანტიკურ უმაღლეს სასწავლებლებთან ანათესავებს რაიმე, არც კონსტანტინოპოლის უმაღლეს სკოლასთან (ხანგამოშვებით რომ არსებობდა 425 წლიდან 1453 წლამდე).

სალერნოს სამედიცინო სკოლა, რომელსაც მეათე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩაეყარა საფუძველი, უნივერსიტეტი არ ყოფილა, რამდენადაც არ შეუქმნია კორპორაციული ორგანიზაცია.

უძველესი უნივერსიტეტებია, ამ სიტყვის სრული შუა საუკუნეებრივი გაგებით, პარიზისა (რომელიც გამოირჩეოდა ღვთისმეტყველების განხრით) და ბოლონიისა (სამართლის სწავლებით რომ გაითქვა სახელი). ეს ორი უნივერსიტეტი, თუმცა ერთდროულად ჩამოყალიბდა, შინაგანი ბუნებით არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და შუა საუკუნეების უნივერსიტეტის ორ ძირითად ტიპს განასახიერებდა. ბოლონიის უნივერსიტეტი (აგრეთვე პადუისა) სტუდენტურ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც სამართლის შესასწავლად ჩამოსული სტუდენტების ინტერესთა დასაცავად იყო გამიზნული. მეცამეტე საუკუნის შუა ხანებიდან ბოლონიაში ორი კონფედერაცია არსებობდა: universitas citramontanorum — იტალიელი სტუდენტების გილდია, და universitas ultramontanorum, ანუ გილდია, რომელშიც არაიტალიელი სტუდენტობა ერთიანდებოდა. თავად ბოლონიელი სტუდენტები ამ გილდიებში არ შედიოდნენ. მასწავლებელთა და ქალაქის მესვეურთა პროტესტების მიუხედავად, სტუდენტურმა გილდიებმა თანდათანობით ხელთ იგდეს მთელი საუნივერსიტეტო ცხოვრების ხელმძღვანელობა. მასწავლებლებს არა მარტო ხმის უფლება ჰქონდათ ჩამორთმეული საუნივერსიტეტო კრებებზე, არამედ თვით სასწავლო პროცესიც სტუდენტთა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა და რაიმე დარღვევისათვის პროფესორებს აჯარიმებდნენ კიდეც. ასეთი სისტემა სრულებითაც არ წარმოადგენდა დემოკრატიულ ორგანიზაციას, რადგანაც ძალაუფლება გრძელვადიანი თანამდებობის პირთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელში იყო თავმოყრილი (რექტორებისა და consiliarii-სა).

პარიზის უნიეერსიტეტი, პირიქით, თავიდანვე მასწავლებელთა ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ა. კობნის აზრით, ამის მთავარი მიზეზი ხელოვნებათა მოსამზადებელი ფაკულტეტის სტუდენტთა სიმრავლე ყოფილა, რომლებიც უფრო ახალგაზრდები და ნაკლებად მოწიფულნი იყვნენ, ვიდრე ბოლონიის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები — ხშირად ოცდაათ წელს მიღწეულნი და ცხოვრებაში დიდად გამოცდილნი. ბოლონიური კონფედერაციებისაგან განსხვავებით, პარიზის ხელოვნების ფაკულტეტის „ნაციებში" (ფრანგულსა, პიკარდიულსა, ნორმანდიულსა და ანგლო-გერმანულში) მხოლოდ მასწაელებლები

და მაგისტრები ერთიანდებოდნენ, როცა სტუდენტებს არც ხმის უფლება ჰქონდათ და არც საუნივერსიტეტო დისკუსიებში მონაწილეობის უფლება. „უფროსი“ ფაკულტეტები (ღვთისმეტყველებისა, სამართლისა და მედიცინისა) „ნაციებად“ არ იყოფოდნენ, მაგრამ ხელოვნების მაგისტრები, რომლებიც ამ ფაკულტეტებზე სწავლობდნენ, თავთავიანთ „ნაციებთან“ იყვნენ დაკავშირებულნი, ვიდრე დოქტორის ხარისხს მიიღებდნენ, რის შემდეგაც უფროსი ფაკულტეტის წევრები ხდებოდნენ. ბოლონიისაგან განსხვავებით, პარიზული „ნაციები“ არა მარტო ჩამოსულ მასწავლებლებს აერთიანებდნენ, არამედ ადგილობრივსაც. პროექტორები — პარიზული „ნაციების“ ხელმძღვანელები — დიდი უფლებებით სარგებლობდნენ, მაგრამ, იმის გამო, ხშირად რომ იცვლებოდნენ და თანაც პასუხისმგებელნი იყვნენ „ნაციის“ კრების წინაშე, პარიზის მასწავლებელთა გილდიებს დემოკრატიული ელფერი დაჰკრავდა.

ზოგიერთი იტალიური უნივერსიტეტი (პიზისა, ფლორენციისა, პავიისა და სხვ.) ვარდამავალ ფორმას წარმოადგენდა: აქ ძალაუფლება სტუდენტებს, მასწავლებლებსა და მუნიციპალურ ხელისუფალთა შორის იყო გაყოფილი. მმართველობაში სტუდენტების მონაწილეობას ბევრი ესპანური უნივერსიტეტის წესდებაც ითვალისწინებდა. სამხრეთ საფრანგეთის რამდენიმე უნივერსიტეტში (მონპელიეში, ანჟერში, ორლეანში) — სტუდენტები და პროფესორები მხარდამხარ გამოდიოდნენ საეკლესიო ხელისუფალთა წინააღმდეგ.

პარიზული ქარგის მიხედვით ყალიბდებოდნენ ჩრდილოური უნივერსიტეტებიც, კერძოდ, ოქსფორდმა თითქმის უცვლელად გადაიღო ორგანიზაციის პარიზული სისტემა. მთავარი განსხვავება ის იყო, რომ ოქსფორდი, ისევე როგორც კემბრიჯი, არასაეპისკოპოსო ქალაქში აღმოცენდა და ამდენად მას ნაკლებად ემუქრებოდა საეპისკოპოსო მმართველობის გავლენის ქვეშ მოქცევა, ვიდრე ფრანგულ უნივერსიტეტებს. პარიზის უნივერსიტეტის მთელი ისტორია, არსებითად, ეპისკოპოსის ძალაუფლებისაგან გასათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაა, კანცლერის უფლებათა შეზღუდვის განუწყვეტელი ცდაა, რამდენადაც სწორედ კანცლერი აკონტროლებდა უნივერსიტეტის საქმიანობას და, რაც მთავარია, დიპლომების გაცემას; ხოლო ოქსფორდელ კანცლერს დიდხანს არ უსარგებლია ეპისკოპოსის წარმომადგენლის უფლებებით — მას მასწავლებლები ირჩევდნენ, ეპისკოპოსი კი მხოლოდ ამტკიცებდა ამ არჩევანს. მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოსათვის ოქსფორდი მთლიანად გათავისუფლდა ეპისკოპოსის იურისდიქციისაგან. უნივერსიტეტის მასწავლებელთა მიერ არჩეული კანცლერი ოქსფორდში დიდი უფლებებით სარგებლობდა და მის ხელში იყო როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო და სისხლის იურისდიქცია.

ინგლისის ადრეული უნივერსიტეტების თავისებურებას წარმოადგენს აგ-

რეთვე „ნაციების“ სისტემის სუსტი განვითარება, რასაც ინგლისის უმაღლესი სკოლის კუნძულებრივი, ჩაკეტილი ხასიათი განაპირობებდა; შედარებით მაღალი დონე მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისა (მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან) და შედარებით ნაკლები დაინტერესება საღვთისმეტყველო და პოლიტიკური დისკუსიებით, რომლებიც პარიზის უნივერსიტეტს, ინგლისელი ისტორიკოსის, ა. კობნის თქმით, „ევროპის აკადემიურ მიკროკოსმად“ აქცევდნენ.

კოლეჯების სისტემა, რასაც მეთორმეტე საუკუნის ბოლოს საფრანგეთში ჩაეყარა საფუძველი, განსაკუთრებით სწორედ ინგლისურ უნივერსიტეტებში განვითარდა. პირველი პარიზული კოლეჯები, ჩვეულებრივ, ჰოსპიტლებთან არსებულ საქველმოქმედო დაწესებულებებს წარმოადგენენ, რაც იგივე საერთო საცხოვრებლები იყო იმ ხელმოკლე კლირიკოსებისათვის, პარიზში რომ ჩამოდიოდნენ სასწავლებლად. 1257—1258 წლებში ლუდოვიკო მეცხრეს კაპელანმა რობერ დე სორბონმა ახალი ტიპის კოლეჯი დააარსა (რომელსაც შემდგომ მისი სახელი ეწოდა) — საერთო საცხოვრებელი ღვთისმეტყველების შემსწავლელი მაგისტრებისათვის. სორბონის კოლეჯის მიბაძვით შეიქმნა მაგისტრთა კოლეჯები ოქსფორდსა და კემბრიჯშიც, თუმცა ინგლისური კოლეჯების მიერ წამოწყებული საუნივერსიტეტო ცხოვრების დეცენტრალიზაცია უფრო თანმიმდევრული აღმოჩნდა: ინგლისური კოლეჯები თვითმმართველ დემოკრატიულ უჯრედებს წარმოადგენდნენ, რომელთაც ახალი წევრების მიღების უფლებაც ჰქონდათ და ხელმძღვანელობის არჩევისაც, მაშინ, როცა პარიზში კოლეჯები გარეშე, საეკლესიო თუ საუნივერსიტეტო, ხელისუფალთა გაელენის ქვეშ იყო მოქცეული. ამასთან, ინგლისურმა კოლეჯებმა თანდათანობით მთელი ყურადღება თვით სწავლების პროცესზე გაამახვილეს, პარიზის კოლეჯებში კი სწავლება ელემენტარულ ხასიათს ატარებდა.

შუა საუკუნეების სტუდენტობის წრეში ჭეშმარიტი თანასწორობა, რა თქმა უნდა, არ არსებობდა: სტუდენტთა ერთი ნაწილი მდიდარი იყო, მეორეს კი საკუთარი შრომით უსდებოდა ლუკმა-პურის მოპოვება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით (მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში), სტუდენტთა ძირითად მასას მაინც საშუალო ქონებრივი სტატუსის ხალხი შეადგენდა. მეთხუთმეტე საუკუნის ბოლომდე სტუდენტობაში შედარებით მცირე იყო არისტოკრატთა რიცხვი, ამასთანავე, სამხრეთის უნივერსიტეტებში ისინი უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ჩრდილოეთში. მაგრამ უკვე მეთოთხმეტე საუკუნიდან თვალნათლივ შეიმჩნევა უნივერსიტეტების არისტოკრატიულ-სოციალურ სტრუქტურაში ჩართვის ტენდენცია, საუნივერსიტეტო ცხოვრების გააზრება რაინდული სამყაროსათვის დამახასიათებელი ცნებების მეშვეობით და სამართლისმცოდნისა და რაინდის

დამსგავსების სურვილი. უნივერსიტეტების მასწავლებელთა ქონებრივი მდგომარეობა, თავდაპირველად, საკმაოდ მერყევი გახლდათ, რადგან სტუდენტთა მიერ შემოტანილ ქირაზე იყო დამოკიდებული. გამორიცხული არ არის, რომ ბოლონიის პროფესურა იმიტომაც შერიგებოდა თავის უუფლებო მდგომარეობას, ბოლონიის დიდ უნივერსიტეტს მატერიალურად უკეთ რომ შეეძლო მათი უზრუნველყოფა. პროფესორთათვის ხელფასის დანიშვნამ (პირველად მეცამეტე საუკუნის დასაწყისში, კასტილიის უნივერსიტეტში, პალენჩიაში) დოქტორებს გარკვეული დამოუკიდებლობა მიანიჭა. მაგრამ ხელფასთა თვალშისაცემი სხვაობა სოციალურ უფსკრულს აჩენდა მასწავლებელთა წრეში, რომელთა ერთი ნაწილიც ქალაქის ბიურგერობას ერწყმოდა, და — განსაკუთრებით გერმანულ უნივერსიტეტებში — პროფესორთა გათიშვასა და საუნივერსიტეტო ორგანიზაციის დასუსტებას იწვევდა.

თუკი შუა საუკუნეობრივი შეგნება ფაქტიურად უგულვებელყოფს ბავშეობას, სიჭაბუკეს განსაკუთრებულ „ასაკობრივ კლასად" აღიქვამს და თან, ძალიან ნათლადაც. სიჭაბუკე სიჭარმაგისაგან, როგორც წესი, გამოცდით (ინიციაციით) ან საზეიმო ცერემონიითაა გამიჯნული: ქარგალი, მას შემდეგ, რაც „შედეევრს" შექმნიდა, ოსტატი ხდებოდა, დამუაზოს რაინდად აკურთხებდნენ, მოწაფე მაგისტრად იქცეოდა, მორჩილი კი — ბერად. სიჭაბუკეს უკავშირებდნენ გარკვეულ მაგიურ ძალასაც: სოფლის საგაზაფხულო დღესასწაულებში, რწმენის მიხედვით სოფლის კეთილდღეობა რომ უნდა უზრუნველყოთ, ახალგაზრდათა თამაშობებს (ჯირითს, კოცონზე გადახტომას) განსაკუთრებული ადგილი ეკავა. სიჭაბუკეს, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხთონურ კულტებთან, ბუნების ძალებთან, უფლება ჰქონდა (შეიძლება ევალებოდა კიდეც), თავისი საქციელით შეგნებულად დაპირისპირებოდა ჭარმაგი ადამიანის ეთიკას. ჭაბუკურ თავაშეებულობას, ნახევრად მშიერ, ჩვეულებად ქცეულ მაწანწალობას (სამყაროში, სადაც უბიწოება, საღი აზრი და stabilitas რელიგიურ-ეთიკურ ფასეულობად ითვლებოდა) თავისი დამცველი და დამამკვიდრებელი ლიტერატურაც კი გააჩნდა: ქარგალთა სიმღერები, მოწაფური პოეზია თუ მოხეტიალე ვაგანტების ლირიკა. ხოლო ეს ლიტერატურა თავდაყირა აყენებდა და ამასხარავებდა ყველაფერ იმას, რითაც ჭკუადამჯდარი და ჩამოყალიბებული საზოგადოება ცხოვრობდა. ინიციაციები (თავიანთი დამაგვირგვინებელი ქეიფებით) იმ ზღვარს წარმოადგენდნენ, როცა ადამიანი ხთონურ სამყაროსთან, ბუნების ძალებთან კავშირს წყვეტდა და კანონთა მორჩილი ხდებოდა. ამ თვალსაზრისით, შექსპირისეული პრინცი ჰარის ამბავი, ღიპიან ფალსტაფთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ ჭკუადამჯდარ მეფე ჰენრი მეხუთედ რომ იქცა, ერთი მოქეიფის ბედზე კი არ მოგვითხრობს, არამედ საზოგადო სიმბოლოა საერთოდ სიჭაბუკიდან სიჭარმაგეში გადასვლისა.

არტახებში გახვეული ჩვილის ერთ-ერთი პირველი გამოსახულება. ქანდაკება.
XII ს.პირველი ნახევარი. შარტრის ტაძარი.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეებში სიჭარმაგეს უფრო საზოგადოებრივი და უფლებრივი გაგება ჰქონდა, ვიდრე ასაკობრივი. ადამიანი მაშინ ითვლებოდა ჭარმაგად, როცა საკუთრებასა და მემკვიდრეობის უფლებას მოიპოვებდა. ბავშვები არ იყვნენ სრულუფლებიანი მესაკუთრენი მკვდარი მშობლების ქონებისა; ქონება მეურვის ხელში გადადიოდა ხოლმე, ისევე, როგორც თავად ობლების ბედიც. მეურვეობა ფეოდალური სენიორის უფლება იყო და საკმაოდ ხელსაყრელიც, როგორც მატერიალური, ისე პრესტიჟის თვალსაზრისით.

უფროსობას, ჭაბუკობისაგან განსხვავებით, ნაკლებად აინტერესებდა თავიანთი განსაკუთრებული ორგანიზაციების შექმნა. გამონაკლისს, ალბათ, მხოლოდ ქვრივი ქალები შეადგენდნენ, რომლებმაც შუა საუკუნეებში გარკვეული პრესტიჟიც კი მოიპოვეს, რამდენადაც, მაშინდელი წარმოდგენით, ქვრივის დამსახურება ღვთის წინაშე ორმაგად მეტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ქალისა (თუმ-

ცა, უფრო ნაკლები, ვიდრე ქალწულისა). მაგრამ არც ქვრივი ქალები წარმოადგენდნენ ცალკე სოციალურ ჯგუფს და ღატაკთა ფენასთან იყვნენ გათანაბრებულნი.

სიჭარმაგეს სიბერე მოსდევედა, ხოლო სიბერე, ბიბლიური ნორმების მიხედვით, ღირსებად და ღვთის წყალობად ითვლებოდა.

შუა საუკუნეებში იშვიათად ვხვდებით მიხრწნილი მოხუცის სახეს, რომელიც, საქმეთაგან განმდგარი, მშვიდად ელოდება აღსასრულს. შუა საუკუნეების მოხუცები, ჩვეულებრივ, ორმოცი, ორმოცდაათი წლის ხალხია, ჯერ ისევ გაუტეხავი, დიდად გამოცდილი და საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევი, რამდენადაც მათ ხელშია მემკვიდრეობითი ტიტულებიცა და სიმდიდრეც, თუმცა ჭეშმარიტი გერონტოკრატია შუა საუკუნეებისათვის უცნობია.

სიკვდილი ადრე მოდიოდა, მაგრამ შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი შიში სიკვდილისა მარტო იმით როდი აიხსნებოდა, განუწყვეტლივ თან რომ სდევდა ადამიანს ომი, ეპიდემია თუ შიმშილი. სიკვდილზე ბევრს ფიქრობდნენ, რადგან ქრისტიანული მოძღვრებით ის ახალი სიცოცხლის დასაწყისად ითვლებოდა, „მარადისობაში დაბადებად" და არავის შეეძლო სცოდნოდა, რა ელოდა სიკვდილის შემდეგ — ხსნა თუ ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამება. ამიტომაც იყო ალბათ, სიკვდილის სახე (ჩონჩხი, რომელსაც ხანდახან ცელიც ეჭირა ხელში) ასე შეუპოვრად რომ მკვიდრდებოდა შუა საუკუნეების თქმულებებსა თუ მხატვრობაში; სიკვდილს ხან გუთნისდედა განასახიერებდა, სისხლით რომ რწყავდა მინდორს, ხან კი უმოწყალო ომის წარმმართველი მეფე. უფრო მოგვიანებით (შესაძლოა ქალაქური კულტურის გავლენითაც) ამ ლეგენდებში იუმორის ელემენტებიც იჭრება: ახლა სიკვდილი ხან ბანქოს გაქნილი მოთამაშეა, ხან ვერაგი მუსიკოსი, რომელიც თავისი სტვირის ჰანგებით იზიდავს მსმენელებს.

სიკვდილის როკვა დრამატულ წარმოდგენებშიც მკვიდრდება: სიკვდილი ერთდროულად ოცდაოთხ კაცს ესაუბრება, კიდევ უკეთ რომ წარმოაჩინოს მიწიერი არსებობის ამაოება.

სიკვდილის შიში აიძულებდა ადამიანს, თავისი აღსასრულის წინ დახმარებისათვის ეკლესიისათვის ან მონასტრისთვის მიემართა: ერთნი რელიგიურ დაწესებულებებს მდიდრულ ლეგატებს უტოვებდნენ (ამ დროს, ხშირად, უშუალო მემკვიდრეებსაც კი ივიწყებდნენ), სხვები ბერად აღკვეცას ჩქარობდნენ. მონასტრები სიხარულით ეგებებოდნენ ამგვარ მისწრაფებებს, განსაკუთრებით, როცა საქმე მდიდარ ხალხს ეხებოდა. პაპი ალექსანდრე მეოთხე იძულებული გამხდარა, თავად გაერჩია რეიმსში მომხდარი ერთი მეტად სკანდალური ამბავი: ვილაც მძიმედ დასნეულებული მოქალაქე ბერებს, ავადმყოფის ცოლის თანხმობის გა-

რეშე, დაურწმუნებიათ, ბერად აღკვეცილიყო და მონასტრისთვის გადაეცა ოცი ლიბრი (ოქროს ფული), რის შემდეგაც ავადმყოფი მონასტერში გადაუყვანიათ, სადაც, ყველასათვის მოულოდნელად, განკურნებულა; გაუხდია ბერის სამოსი და თავისი ფულიც უკან მოუთხოვია. ეს რომ ბერებს გაუგიათ, გუშინდელი მომაკვდავი ჯაჭვით დაუბამთ და ძალით უთქმევინებიათ უარი საკუთარ ფულზე.

მიცვალებულს განბანის შემდეგ აცმევდნენ, არაფერს დააკლებდნენ ხოლმე, რაც იმდროინდელ ტანსაცმელში შედიოდა — შოსი იყო, ფეხსაცმელი, ხელთათმანი თუ ქუდი; მერე სუდარაში ახვევდნენ — ჩვეულებრივ, ცვილით გაპოხილ ტილოს ნაჭერში, თუმცა, ზოგჯერ სუდარას ტყავისაგანაც კერავდნენ. მიცვალებულს საკუთარ სახლში გლოვობდნენ, შემდეგ კი საკაცით მიჰქონდათ სასაფლაოზე და მიწას აბარებდნენ. ძაძის ტარება ესპანეთში უკვე მეთორმეტე საუკუნიდანაა დადასტურებული. საფრანგეთში ეს ჩვეულება მომდევნო საუკუნეში გავრცელდა. გრაფინია არტუამ, რომელმაც 1303 წელს მიაბარა მეუღლე მიწას, არა მარტო თვითონ ჩაიცვა შავები, არამედ საწოლიც და მთელი ოთახიც შავი ქსოვილებით მოფინა. გლოვის ნიშნად, მამაკაცებიც შავ ტანსაცმელს იცვამდნენ და ხანდახან თმასაც იპარსავდნენ. დროთა ვითარებაში ეკლესიამ დაკრძალვის წეს-ჩვეულებათა რთული ლიტურგია დაადგინა; ამასთანავე, წარჩინებულ და გავლენიან პირებს ახლა ჩვეულებრივ სასაფლაოებზე კი არ მარხავდნენ, არამედ ტაძრებსა და მონასტრებში, სადაც მიცვალებულები, სხვას რომ თავი დავანებოთ, საიმედოდ იქნებოდნენ დაცულნი, რადგან შუა საუკუნეებში სასაფლაოების ძარცვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. მეცამეტე საუკუნიდან მდიდარ მიცვალებულებს საფლავებზე ძეგლებსაც უდგამდნენ და აკლდამებსაც უშენებდნენ. დაკრძალვებიდან ეკლესია დიდ გამორჩენას ნახულობდა: დაკრძალვისას აუცილებელი იყო შესაწირავთა გაღება როგორც ღატაკთათვის, ისევე ეკლესიისთვისაც, თავდაპირველად ნატურალური ფორმით (მდიდრული ტრაპეზი), შემდეგ კი ფულად. ამ გარემოებამ მეთორმეტე საუკუნეში სასტიკი ბრძოლა გამოიწვია მონასტრებსა და ეპისკოპოსს შორის დაკრძალვის უფლების მოსაპოვებლად. ეპისკოპოსი და სამღვდელო დასი ცდილობდნენ შეეზღუდათ მონასტრებისათვის ის პრივილეგია, რომლის საფუძველზეც მონასტრები თავიანთ კედლებში არა მარტო ძმობის წევრებს, არამედ საერო (წარჩინებულ) პირებსაც მარხავდნენ. ამ პრივილეგიის წინააღმდეგ ხანდახან გარდაცვლილის მემკვიდრენიც ილაშქრებდნენ. ადამიანთა გარკვეული კატეგორიის — მოურჯულებელი ერეტიკოსების, განდგომილებისა თუ თვითმკელელების — საეკლესიო წესით დამარხვა საერთოდ აკრძალული იყო, მაგრამ მონასტრები ხშირად თვალს უხუჭავდნენ ამგვარ აკრ-

ძალვებს და, მატერიალური გამორჩენის მიზნით, თავიანთ კედლებში განკიცხულთა და შერისხულთა დამარხვასაც არ ერიდებოდნენ.

ეკლესია ჩვილის აკვანთანაც იდგა და უკანასკნელ გზაზეც მიაცილებდა მიცვალებულს. ის ღებულობდა ადამიანს საზოგადოებაში და ის განსაზღვრავდა მის საიქიო ცხოვრებასაც, მის ხსნას, თუ წარწყმედას; ასე რომ, თავის კარჩაკეტილ სახლში, ყრუ კედლებში მომწყვდეული შუა საუკუნეების ადამიანი სრულებითაც არ ყოფილა ასოციალური. მართალია, მეტად თავისებურად, მაგრამ მაინც დაკავშირებული იყო ცხოვრებასთან, სადაც მტერიც ჰყავდა და მოყვარეც.

თავი მესამე

მტრები და მოყვრები

ბოროტი და ტლანქი გლეხი,
ბატონებს რომ უკრეჭს კბილსა,
მაშინ მიყვარს, როცა ვხედავ
მშიერსა და დაკონკილსა;
მაშინ მიყვარს, როცა ეხედავ
ქედწახრილს და გათოშილსა;
"'უ ეტყუოდე, ჩემი ტურფა
გადაბარგდეს დღესვე სხეისას"-ო,

წერდა მეთორმეტე საუკუნის ფრანგი ტრუბადური. მაგრამ, საზოგადოებრივ კლასთა დაპირისპირება, რასაკვირველია, მხოლოდ შუა საუკუნეებისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი, თუმცა, იშვიათად თუ გამოხატულა ისეთი სწორხაზოვანი, უმოწყალო პირდაპირობით, როგორც ამ სიმღერაში. ეს არცაა შემთხვევითი: მიუხედავად ქრისტიანობის დემოკრატიული ფრაზეოლოგიისა, მარადისობისა და ქრისტეს გადამრჩენელი მისიის წინაშე ყოველგვარი ეთნიკური და სოციალური განსხვავების მოსპობას რომ ქადაგებდა, კლასიკური შუა საუკუნეების საზოგადოება უკიდურესად იერარქიზირებული, მთელ რიგ სოციალურ და ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულ ფენებად იყო დაყოფილი. ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სოციალური ფენები იმდენად სტაბილურნი იყვნენ, რომ ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა წარმოუდგენელი რამ გახლდათ — სინამდვილეში ასეთი გადასვლები განუწყვეტლივ ხდებოდა (სხვადასხვა ქვეყანაში მეტნაკლები აქტიურობით), მაგრამ შუა საუკუნეობრივი სოციოლოგიის იდეალს მაინც საზოგადოებრივი უძრაობა, უცვლელობა, სტატუსის მემკვიდრეობა წარმოადგენდა. ფეოდალური წეს-წყობილების იდეოლოგები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ გამდიდრებასა და განათლებას, რამდენადაც სწორედ სიმდიდრე და განათლება აძლევდა ადამიანს სოციალურ ფენათა შორის აღმართული მიჯნებისა და ჯებირების გადალახვის საშუალებას. რაც უფრო მეტ გავლენას იხვეჭდნენ შეძლებული მოქალაქეები და გლეხები, მით უფრო სახიფათონი ხდებოდნენ ფეოდალთათვის, რომლებიც, მით უფრო ენერგიულად იცავდნენ თავს ამ ახალი ძალებისაგან. 1391 წელს ინგლისის თემთა პალატამ პეტიციით მიმართა მეფე რიჩარდ მეორეს (1377—

1399), აეკრძალა ვლეხთა შვილების სკოლაში მიბარება. გაბატონებული კლასის მისწრაფება სოციალური და იურიდიული კარჩაკეტილობისაკენ კიდევ უფრო ძლიერი იყო კონტინენტზე, მაგრამ ვერც ამან შეუშალა ხელი მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში თავად კლასის შიგნით მომხდარ საკმაოდ სწრაფ და მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ეკლესიის იდეოლოგთა მიერ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში შემუშავებული მოძღვრების თანახმად, „ღვთის მიერ დადგენილი" საზოგადოება, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, „ერთიან სხეულს" — ქრისტიანულ ეკლესიას წარმოადგენდა, სინამდვილეში სამ წოდებად იყოფოდა: ერთნი — ვინც ლოცულობდნენ, ანუ სასულიერო პირნი (oratores), მეორენი — ვინც იცავდნენ ეკლესიას, ანუ მეომრები (bellatores), მესამენი კი — „მშრომელები", ანუ ვისაც პური მოჰყავდათ (laboratores). ეს მოძღვრება აშუქებდა და ამტკიცებდა ფეოდალური ევროპის რეალურ საზოგადოებრივ წეს-წყობილებას.

გლეხობა, შუა საუკუნეების, სამეურნეო არსით აგრარული, საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი კლასია, რომელიც მხოლოდ წარმოების სისტემაში თავისი ადგილის გამოა ერთიანი და არა უფლებრივი და ეკონომიური სტატუსით. შუა საუკუნეებისათვის სწორედ მრავალი კატეგორიის არსებობაა დამახასიათებელი, კატეგორიებისა, რომლებიც არა მარტო გეოგრაფიულად, ამა თუ იმ ქვეყნის შესაბამისად, ბუნებრივი თუ პოლიტიკური პირობებით განსხვავდებოდნენ, არამედ, ასე ვთქვათ, ისტორიულადაც, იმ გზებითაც, გლეხთა ოჯახები ფეოდალური სენიორის მორჩილებამდე რომ მიჰყავდათ. ფეოდალური ურთიერთობების მიღმა მყოფი თავისუფალი გლეხობა, მეთორმეტე საუკუნის ევროპაში, რამდენიმე განაპირა რაიონის გარდა, მაგალითად, აღმოსავლეთ ინგლისისა და სკანდინავიისა, პრაქტიკულად უკვე აღარ არსებობდა, ან ჯერ არ არსებობდა.

ეკონომიური თვალსაზრისით გლეხობა ორ ჯგუფად იყოფოდა: საკუთარი სახლის მქონე სანადელო გლეხებად (რაც არ უნდა მცირე ყოფილიყო მათი ნადელი) და ბატონის კარზე მცხოვრებ მსახურებად. ეს უკანასკნელნი სენიორალურ მეურნეობაში იყვნენ ჩაბმულნი, ფეოდალს ემსახურებოდნენ და, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, ნებისმიერ საქმეს ასრულებდნენ; საერთო მაგიდასთან ჭამდნენ და ბატონის ციხე-დარბაზის კუთხე-კუნჭულში აფარებდნენ თავს. როგორც ჩანს, მათი წრიდან გამოდიოდნენ შინაური ხელოსნებიცა და სავაჭრო ქარავანთა ჩალვადრებიც. სწორედ ამიტომ, შინამოსამსახურეთა ერთმა ნაწილმა მაინც საკმაოდ ადრე დაიწყო შედარებით მოძრავი ცხოვრება.

სანადელო გლეხები კი, პირიქით, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მიწასთან, რომელზეც სახლი ედგათ და ჭირნახული მოჰყავდათ; ამას ფეოდალუ-

რი სიმტკიცე და ფეოდალური კანონმდებლობაც ემატებოდა, რამდენადაც გლეხთა ერთ ადგილზე დაფუძნება მებატონეს მუშახელით უზრუნველყოფდა. სამაგიეროდ, სამეურნეო საქმიანობაში გლეხი მსახურზე დამოუკიდებელი იყო, რადგან საკუთარ ნაველზე შრომობდა და სენიორს თავისი დროის მხოლოდ ნაწილს უთმობდა ბეგარის, ან ნატურალური თუ ფულადი რენტის სახით. საგლეხო რენტის ზომას ადათ-წესები განსაზღვრავდა: დღეების რაოდენობასაც, საბეგარო სამუშაოების დროსა და ხასიათსაც, ბატონისათვის მისართმევი პროდუქტის სახეობასაც და რაოდენობასაც. ამასთანავე, ეს ადათ-წესები ერთნაირი და საყოველთაო როდი იყო; მაგალითად, რამზის საბატონოს (ინგლისი) ერთ-ერთ მამულში. გლეხს, სხვა ყველაფერთან ერთად, ბატონისათვის გარჩეული ნიგვზით სავსე საშუალო ზომის შოსიც უნდა მიერთმია. სხვა ადათის მიხედვით, მკის შემდეგ გლეხს იმდენი პურის წაღება შეეძლო, რამდენსაც ცელით ასწევდა, მაგრამ თუ დახარბდებოდა, მეტს მოინდომებდა და ცელი გადაუტყდებოდა, ველარაფერს მიიღებდა. გადასახადთა ტრადიციულობას მათი გაზომვის თავისებურებანიც ადასტურებენ — გლეხი ქალის მოტანილი პური „მისი უკანალის სისქე" უნდა ყოფილიყო, ყველი კი ისეთი მაგარი, რომ ცულითაც ვერ დაეჩეხათ.

გლეხობას უფლებრივი პრინციპითაც ყოფდნენ. მისი უფლებაუნარიანობის ხარისხი ძალზე მერყეობდა — გლეხი ან პირადად დამოკიდებული იყო, ანდა სიმბოლური გადასახადების შეტანა (სადღესასწაულო წყვილი ყვერული თუ გირვანქა წიწაკა) და სენიორალური სასამართლოს მორჩილება ევალებოდა.

პირადად დამოკიდებულ გლეხს (რომელსაც საფრანგეთში სერვი, ინგლისში კი ვილანი ერქვა) ბატონის უნებართვოდ თავისი ნაველის გაყიდვა არ შეეძლო. სენიორი მის მიმართ მკვდარი ხელის უფლებით სარგებლობდა, ანუ, გარდაცვლილი გლეხის საუკეთესო საქონელსა თუ საუკეთესო ტანსაცმელს მიითვისებდა ხოლმე და მხოლოდ ამის შემდეგ აძლევდა ნამდვილ მემკვიდრეებს მემკვიდრეობის უფლებას. პირადად დამოკიდებული ქალიშვილიც გათხოვებისას ასევე ვალდებული იყო გადაეხადა, ეგრეთ წოდებული, პირველი ღამის უფლების გამოსასყიდი, თუმცა, ამ უფლების ადრინდელი შინაარსისაგან მხოლოდ რიტუალიღა იყო შემორჩენილი: სენიორი ფეხით შედგებოდა ანდა გადააბიჯებდა ხოლმე პატარძლის საწოლს.

გლეხობის დამოკიდებულება სენიორალური სასამართლოსადმი მორჩილებასა და ბანალიტეტებშიც მჟღავნდება. ბატონი არა მარტო რენტას იღებდა გლეხებისაგან, არამედ ასამართლებდა კიდეც მათ. მთელ რიგ ქვეყნებში სამეფო სასამართლოები არც უსმენდნენ საკუთარ ბატონებზე მომჩივან გლეხებს. სასამართლო უფლებამოსილება ფეოდალის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით იცვლებოდა — დაჯარიმებიდან (ქურდობისა თუ ბეგარის

უგულვებელყოფისათვის) სიკვდილით დასჯამდე. კერძო სასამართლოებს, სასჯელთა შორის, ყოველი შემთხვევისათვის, მუშტით ცემა და გაჯოხვაც ჰქონდათ გათვალისწინებული. ბანალიტეტი გლეხს ავალდებულებდა გამოეყენებინა ბატონის ინვენტარი, რის საფასურადაც პროდუქტის ნაწილს იხდიდა. გლეხი ვალდებული იყო ხორბალი ბატონის წისქვილში დაეფქვა, პური მის თონეში გამოეცხოთ, ყურძენი მის საწნახელში დაეწურა. ვინაიდან ბატონის თონეში (four banal) მხოლოდ პურს აცხობდნენ (ღვეზელი შინაც შეეძლოთ გამოეცხოთ), სიტყვა „ბანალურმა" დროთა ვითარებაში ახალი მნიშვნელობა შეიძინა — რიგითის, ჩვეულებრივის აღმნიშვნელად იქცა.

დასავლეთ ევროპის გლეხთა დასახლების ძირითად ფორმას მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში სოფელი წარმოადგენდა, სადაც, საშუალოდ, ორასიდან ოთხას კაცამდე ცხოვრობდა. სოფლის ტერიტორია სამ ნაწილად იყოფოდა: შიდა, ანუ საცხოვრებელ ადგილად, სახნავ-სათესად და, ეგრეთ წოდებულ ალმენდად — გაუყოფელ მიწად, რომლითაც ყველას ერთნაირად შეეძლო სარგებლობა (ტყე, წყალი, იალაღი). სოფლის საცხოვრებელი ნაწილი ეზოებისაგან, სოფლის მოედნისა და ჭისგან შედგებოდა. შუა საუკუნეების დროინდელი გლეხის ეზო რთულ კომპლექსს წარმოადგენდა, რომელშიც, სახლსა და სხვა სათავსოებთან ერთად, ბაღიც შედიოდა, ვენახიც, ბოსტანიც და პატარ-პატარა, სელისა თუ კანაფის ნათესებიც. ეზოს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა; როგორც კ. ბადერი აღნიშნავს, სწორედ ეზო განაპირობებდა სახნავ-სათესი მიწით სარგებლობის უფლებას და მაშინაც არ კარგავდა თავის უფლებრივ მნიშვნელობას, როცა ეზოში სახლი აღარ იდგა, დაიწვებოდა ანდა დაინგრეოდა. ეზოს სამეურნეო ცხოვრების ფარგლებში გლეხი თავისი ნება-სურვილისდა მიხედვით ირჯებოდა და მისი საქმიანობა არავისაგან იზღუდებოდა.

სოფლის შიდა ტერიტორია შემოზღუდული იყო, ზოგჯერ, ქალაქური ტიპის სიმაგრეების მსგავსად, მიწაყრილითა და თხრილებითაც. ზღუდის გაღმა დასახლება არ შეიძლებოდა. მოსახლეობის მატებასთან ერთად ზღუდეც ფართოვდებოდა. სოფლის ზღუდე, დასახლების ფარგლებს რომ აღნიშნავდა, უძველეს მაგიურ წარმოდგენებთანაც იყო დაკავშირებული და, ამავე დროს, მოულოდნელი თავდასხმებისაგანაც იცავდა ხალხს. გარდა ამისა, ზღუდეშემოვლებული შუა საუკუნეების დროინდელ სოფლურ დასახლებას თავისი განსაკუთრებული კანონმდებლობაც ჰქონდა — სოფლის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაული მეტი სიმკაცრით ისჯებოდა. სოფლური კანონმდებლობა გაჭირვებული კაცის შეფარების უფლებასაც გულისხმობდა, მაგრამ ამ უფლების საფუძვლიანი დამკვიდრება მაინც ვერ მოხერხდა: ფეოდალური მართლმსაჯულება განუწყვეტლივ ავიწროებდა მას, ხოლო ზოგჯერ — საერთოდ უარყოფდა. შუა საუკუნეების

სოფელმა, ქალაქისაგან განსხვავებით, ვერ მოახერხა განსაკუთრებული კანონმდებლობის სფეროში გამოკეტვა.

სოფლის სახნავ-სათესი მიწა სამ მინდვრად იყო განაწილებული, თავის მხრივ ცალკეულ ზოლებად რომ იყოფოდნენ. წესით ყველა სრულუფლებიან გლეხს — ეზოს პატრონს — სამივე მინდორზე თავისი ზოლები უნდა ჰქონოდა, მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარად იყო. შუა საუკუნეობრივ სოფელში ძალიან ადრე იჩინა თავი ქონებრივმა დიფერენციაციამ: ყველა გლეხს როდი გააჩნდა გუთანი (ანდა კავი), მუშა საქონელი... იყვნენ ისეთებიც, ხელით რომ ამუშავებდნენ საკუთარ ნაკვეთს.

ალმენდაში, უპირველეს ყოვლისა, ტყის სავარგულები იგულისხმებოდა, ტყე კი გლეხებს არა მარტო შეშასა და საშენ მასალას აძლევდა, არამედ საუკეთესო საძოვარიც იყო, განსაკუთრებით — ღორებისათვის. ალმენდათი სარგებლობა, თავდაპირველად, სრულუფლებიანი გლეხების პრივილეგიას წარმოადგენდა და როცა სოფელი უფლებრივი თვალსაზრისით ერთგვაროვანი მეურნეობებისაგან შედგებოდა, ალმენდათიც ერთნაირად სარგებლობდნენ. მაგრამ მეცამეტე საუკუნიდან მდგომარეობა იცვლება: მოსახლეობის ზრდასთან, ყამირი მიწების ინტენსიურ ათვისებასა და ტყის სავარგულების შემცირებასთან ერთად მძაფრდება ალმენდასთვის ბრძოლაც ჯერ შეძლებულ, სრულუფლებიან გლეხებსა და სოფლის ღატაკობას, შემდეგ კი სოფლის მთელ მოსახლეობასა და მომხვდურებს შორის, რომლებიც, პირველ რიგში, ტყეებს ამოძირკავდნენ ხოლმე.

სოფელი ისეთი ეკონომიკური ერთეული იყო, რომელიც თვითონ იმზადებდა ყველაფერს ან თითქმის ყველაფერს, რაც არსებობისათვის სჭირდებოდა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქცია თავად სოფელსა და ფეოდალურ გადასახადებს ხმარდებოდა. უკვე მეცხრე-მეათე საუკუნეებში პატარა სოფლებშიც კი საკვირაო ბაზრობები იმართებოდა და გლეხიც ჩაბმული იყო ვაჭრობაში, თავისი ჭირნახული გამოჰქონდა გასაყიდად. გლეხური სარეწაოები ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული, მაგრამ მეთოთხმეტე საუკუნიდან მაუდის მწარმოებელი ქალაქის მომიჯნავე სოფლები უკვე შემსყიდველთათვის მუშაობდნენ წინასწარი გარიგებით.

და მაინც, ცოტა რამ აკავშირებდა სოფელს გარე სამყაროსთან, ცხოვრებაც აქ უფრო მეტად ემორჩილებოდა ბუნებრივ რიტმსა და ადათებს, ვიდრე სხვაგან. ადათები გლეხურ ყოფას პატრიარქალურობის გარკვეულ ელფერსაც აძლევდნენ. მართალია, ექსპლუატაცია სასტიკი იყო, მაგრამ კარგადაც ინიღბებოდა იმ მოჩვენებითი სამსახურით, რომელსაც, ვითომ, ორივე მხარე უწევდა ერთმანეთს. როცა მოსავლის აღების დრო მოაწევდა და ბატონს განსაკუთრებით დას-

ჭირდებოდა ხოლმე მუშახელი, ადათის თანახმად, გლეხს თავისი, ასევე გადაუდებელი საქმე უნდა მიეტოვებინა და, პირველ რიგში, ბატონს მიხმარებოდა; მაგრამ იგივე ადათი ბატონს გლეხების გულუხვად გამასპინძლებასაც ავალდებულებდა, რაც ზოგჯერ აღებულ მოსავალზეც მეტი უჯდებოდა. გლეხისა და ფეოდალის ურთიერთობისას უცნაურად ერწყმოდა ერთმანეთს სისასტიკე და პატრიარქალურობა: სისასტიკეს ზნე-ჩვეულებათა სპეციფიკა და ადამიანის პიროვნების იმდროინდელი შეფასება უფრო განაპირობებდა, ვიდრე გამორჩენის, მოგების სურვილი: სენიორები თავიანთ სერვებს არასრულყოფილ ადამიანებად თვლიდნენ; ხოლო პატრიარქალურობას აუცილებელს ხდიდა, როგორც შუა საუკუნეობრივი ყოფის ტრადიციულობა, ისევე მეურნეობის შენარჩუნებასა და კვლავწარმოებაზე ზრუნვა. გამდიდრებული გლეხი მტრად იკიდებდა ბატონს, როცა გაღატაკების გზაზე დამდგარს ბატონის იმედითღა ედგა სული. ნაღდ ფულზე დამყარებულმა ურთიერთობებმა სოფელშიც შეაღწია და მეთოთხმეტე საუკუნიდან დაიწყო კიდეც იმდროინდელი სოფლისათვის ტიპიური, ცვალებად წონასწორობაზე დამყარებული სისტემის მსხვრევა; ორივე მხარე უკმაყოფილოა ერთმანეთით, მაგრამ უერთმანეთოდ მაინც არ შეუძლიათ და ამიტომაც, მთელი მონდომებით ცდილობენ აღადგინონ, შეინარჩუნონ დადგენილი სამეურნეო ფორმები და სოციალური ურთიერთობანი.

შუა საუკუნეობრივი წეს-ჩვეულების ერთ-ერთი არსებითი ელემენტი და, ამასთან ერთად, მისი არსებითი დასაყრდენიც სასოფლო თემი გახლდათ, გლეხთა კოლექტივი, ცალკეული ოჯახების გამაერთიანებელი და შემდულაბებელი. სასოფლო თემს მრავალგვარი ფუნქცია გააჩნდა: სამეურნეო, ადმინისტრაციული თუ სოციალურ-კულტურული. თემივე განაგებდა განუყოფელ მიწებს — ალმენდას. თემს, როგორც ერთ მთლიან ორგანიზმს, შეეძლო გაეყიდა ანდა გაეჩუქებინა ეს საერთო მიწები და, ამავე დროს, თემის თითოეულ წევრსაც ის აძლევდა ალმენდათი სარგებლობის ნებას. სამაგიეროდ, აკრძალული იყო სათემო სამფლობელოების ექსპლუატაცია გამორჩენის მიზნით: თავისთვის გლეხს თევზის დაჭერაც შეეძლო და ფრინველისაც, გაყიდვით კი ვერ გაყიდდა; ასევე არ შეიძლებოდა საერთო ტყეში მოჭრილი ხის გაყიდვა, ან სხვისი ღორების მწყემსვა. გლეხთა მიწების დაქსაქსულობა აუცილებელს ხდიდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე სათემო კონტროლის გაძლიერებას: მინდვრის ყოველი ზოლი ერთი ჯიშის მარცვლეულით უნდა ყოფილიყო დათესილი, ერთსა და იმავე დროს უნდა დაეთესათ და აეღოთ მოსავალი, რათა ნაყანარზეც ერთდროულად გაეშვათ საქონელი.

თემის ადმინისტრაციულ უფლებებს სასამართლო და ფისკალური ფუნქციები შეადგენდნენ. ეს უფლებები სხვადასხვაგვარად გამოიხატებოდა: ხმელთა-

შუა ზღვისპირა ზოგიერთ რაიონში სოფელი თვითმმართველი კომუნის სახეს ღებულობდა, რომლის პრივილეგიებიც სპეციალური ქარტიით იყო ფიქსირებული; სხვაგან კი სოფელი სენიორის ნება-სურვილს ემორჩილებოდა და სოფლის თავკაცობას (მამასახლისსა და მსაჯულებს) ან თვითონ ბატონი ნიშნავდა, ან თავისი მეთვალყურეობის ქვეშ აარჩევინებდა ხოლმე. ამის შესაბამისად თემი ურთიერთთავდებობის განხორციელებას კისრულობდა — თავისი წევრებისაგან ფეოდალური ვალდებულებების კეთილსინდისიერად აღსრულებას მოითხოვდა, ხოლო ადათის დამრღვევებს აჯარიმებდა. თემს ფეოდალისათვის წინააღმდეგობის გაწევა და საკუთარი ტყე-ველის დაცვაც შეეძლო, ისევე, როგორც რენტის ტრადიციული ზომისა.

დიდ სირთულეს იწვევდა თემისა და საბატონო მამულის შეუფარდებლობა. სოფლისა და მამულის საზღვრები იშვიათად ემთხვეოდა ერთმანეთს. ჩვეულებრივ, სოფელი რამდენიმე ფეოდალის საკუთრებად იყოფოდა. რის გამოც, თემიც რამდენიმე სამფლობელოდ ქუცმაცდებოდა და ამის შესაბამისად. ერთი და იგივე სენიორის სამფლობელოც სხვადასხვა სოფლებში იყო გაფანტული, ერთიან ტერიტორიულ კომპლექსს არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, თემის სტრუქტურას ისიც ართულებდა, რომ მის შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, არამარტო სხვადასხვა სენიორის გლეხები შედიოდნენ, არამედ სხვადასხვა პირადი თუ საადგილმამულო სტატუსის მქონენიც, სხვადასხვაგვარად ვალდებულნი თავიანთი ბატონების წინაშე. შუა საუკუნეების დროინდელი თემის გაიდეალება, რასაკვირველია, სწორი არ იქნებოდა, რამდენადაც (ყოველ შემთხვევაში, მეცამეტე საუკუნეში მაინც) ეგალიტარულ დაწესებულებას არ წარმოადგენდა. თავად თემში ისეთი შეძლებული და, ამის გამო, გავლენიანი ოჯახები გაჩნდნენ, რომლებისგანაც თემი, თავისი საჭიროებისათვის, ფულს სესხულობდა ხოლმე და, ძალაუნებურად, მათი გავლენის ქვეშაც ექცეოდა. უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ამ ოჯახებიდან ირჩევდნენ მამასახლისებსა და მსაჯულებს. თემის მოვალეობა იყო საკუთარ ტერიტორიაზე მშვიდობის დაცვაც და მომხვდურთათვის წინააღმდეგობის გაწევაც, საქველმოქმედო საქმიანობაცა და ეკლესიისა თუ სამრეკლოს მეთვალყურეობაც.

სასოფლო თემი არა მარტო აგრარულ ტრადიციებს იცავდა, არამედ გლეხურ ადათ-წესებსაც, დღესასწაულებსა და თამაშობებსაც, რომელთა უმრავლესობა წარმართული, ქრისტიანობაზე ძველი იყო და, შეიძლება, უკვე ამატომაც, ეკლესიისა და ფეოდალური ხელისუფლების გულისწყრომას იწვევდა. ღვთიბმსახურთ განსაკუთრებით გლეხთა ცეკვები აღშფოთებდათ, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, იძულებულნი იყვნენ ისიც გაეთვალისწინებინათ, თუ რაოდენ სულგრძელი მიმტევებლობით უყურებდა ძველი ალთქმა დავითისა თუ სხვა

ბიბლიური გმირების ცეკვას. იგივე მიზეზის გამო თომა აქვინელი იმის აღიარებასაც არ ერიდებოდა, ცეკვა ჯანსაღი ფიზიკური ვარჯიშიაო, თუმცა, გლეხური დღესასწაულების სულიერი მხარე, რასაკვირველია, მასაც აკრთობდა, მსგავსად სხვა მორალისტებისა. ჟაკ დე ვიტრი (1180—1244), ფრანგი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი, განრისხებული აღწერს გლეხთა ცეკვას: მოცეკვავე ქალის ეჟვნის წკრიალი ეშმაკის ხმად ეჩვენებოდა. ხოლო მისი უმცროსი თანამედროვე, ეტიენ ბურბონი, ხის ცხენებზე ამხედრებულ მოზეიმე გლეხებს აგვიწერს და დასძენს, როცა ერთ-ერთმა მათგანმა „ცხენდაცხენ“ ეკლესიაში შესვლა განიზრახაო, „ეშმაკის სათამაშო“ უცებ აბრიალდა და უკეთური მხედარი ცეცხლის ალში გაეხვიაო.

ეკლესია არა მარტო წარმართული წარმოშობის ცეკვებს გმობდა, არამედ სხვა გლეხურ გართობებსაც. მეთხუთმეტე საუკუნის ინგლისელ ბერს განკიცხვისა და დაგმობის საგნად ეგრეთ წოდებული „ფეხბურთი“ აურჩევია; „ახალგაზრდები ერთმანეთს კი არ ესვრიან დიდ ბურთს, არამედ მიწაზე დააგორებენ ფეხებითო“, — განმარტავს ამ უმსგავსო და უღირსი თამაშის წესს, რომელსაც, თურმე, ჩხუბისა და აყალმაყალის მეტი არაფერი მოსდევს. სწორედ გლეხურმა ყოფამ შემოინახა ყველაზე მტკიცედ არქაული, ქრისტიანობამდელი რწმენა და ჩვეულებანი, საკუთრივ ქრისტიანული წარმოდგენებიცა და მითებიც ახლებურად გაიაზრა, არქაულ ქარგას მიუსადაგა და ახალი შინაარსით დატვირთა ფოლკლორის, ხალხური რწმენისა და სოციალურ-ეთიკური წარმოდგენების ხარჯზე. სოფლის მღვდლები ქარიშხალის თავიდან ასაცილებლად ეკლესიის ზარებს რეკდნენ და ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, კარგი ამინდი რომ გამოვიდოდა, თუკი მიწაზე ნაკურთხ წყალს მოასხურებდნენ. ეკლესიის მიერ ცხოველთა და ქვეწარმავალთა მოკვეთაც ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა. წარმართული წესჩვეულებები ხშირად საეკლესიო ცერემონიებს ერწყმოდნენ. გლეხთა ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა ჯადოქრობასაც, რომელსაც განსაკუთრებით ქალები მისდევდნენ. მეცამეტე საუკუნის შუა ხანებში ბერტოლდ რეგენსბურგელი წერდა: „ბევრი გლეხი მოხვდებოდა ზეცაში, ჯადოქრობას რომ არ მისდევდესო“. მის სიტყვას თუ ვირწმუნებთ, გლეხის ქალს გათხოვების წამალიც ჰქონია, მშობიარობის გასაადვილებელიცა და, საერთოდ, ყველანაირი, რაც კი შეიძლებოდა დასჭირვებოდა. „საცოდაო კაცებო, — თანაგრძნობით ამბობს ბერტოლდ რეგენსბურგელი, — კიდევ კარგად უძლებთ თქვენი ქალების ჯადოებსო“.

შუა საუკუნეების საზოგადოების მეორე პოლუსზე ფეოდალთა კლასი იდგა. ეს საკმაოდ რთული სოციალური კატეგორია გახლდათ, მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ფენების მომცველი, მეფითა და თავადებით დაწყებული და არაფრისმქონე ნობილებით დამთავრებული, გლეხებივით რომ ცხოვრობდნენ და



ჭიშკრის იერიში. მინიატურა. XII ს.

თვითონ ედგნენ კვალში გუთანს. ფეოდალთა კლასის განმასხვავებელ ნიშანს (ყოველ შემთხვევაში, მეთორმეტე საუკუნეში) კეთილშობილი წარმოშობა, დამოკიდებულ პირთა მიმართ სენიორალური უფლებამოსილება და სპეციფიური საზოგადოებრივი ფუნქცია — სამხედრო სამსახური წარმოადგენდა. თუკი გლეხობას სოფლური თემი აერთიანებდა და ადულებდა, ფეოდალთა კლასის წარმომადგენელი საზოგადოებას სხვაგვარად, ფეოდალური იერარქიის მეშვეობით უკავშირდებოდა. გლეხური კავშირები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჰორიზონტალური იყო: მიუხედავად უთანასწორობისა, თემის ფარგლებში გლეხები მაინც თანაბარუფლებიანად ითვლებოდნენ; ფეოდალური იერარქია კი, პირიქით, ვერტიკალურად ლაგდებოდა და ამ იერარქიაში ჩართული ყოველი ფეოდალი (პრინციპში) ერთდროულად ვიღაცისათვის ვასალიც იყო და ვიღაცისთვის სენიორიც.

მეთორმეტე საუკუნიდან ევროპაში სამხედრო საქმის მონოპოლია ძირითადად გაბატონებული კლასის ხელში გადადის. გლეხთა ლაშქარი ადგილს უთმობს არმიას, რომელიც ცხენოსან, მძიმედ აღჭურვილ პროფესიონალ რაინდთა რაზმებისაგან შედგებოდა. რაინდები, თავდაცვის მიზნით, ჯავშანს ატარებდნენ—ორფად

ან სამფად ნაქსოვ ჯაჭვის პერანგს. ჯაჭვის პერანგი (ცხენზე ჯდომისას უფრო მოსახერხებელი რომ ყოფილიყო) წინ და უკან ჩაჭრილი იყო და მუხლებამდე სწვდებოდათ. უფრო მოგვიანებით დაიწყეს ჯაჭვის საბარკლურებისა და ხელთათმანების ხმარებაც. ასე რომ, რაინდს სახის გარდა მთელი სხეული დაფარული ჰქონდა. ჯაჭვისქვეშ დალიანდაგებულ პერანგებს იცვამდნენ. ამგვარი ჯავშნის მთავარ ღირსებად სიმტკიცე და სიმსუბუქე ითვლებოდა, მაგრამ, თანდათანობით, მაინც სიმტკიცემ გადასძლია და სხეულის ყველაზე მოწყლვად ადგილებს ლითონის ფირფიტებითაც იფარავდნენ. მეთოთხმეტე საუკუნიდან ჯავშნად, ჯაჭვის პერანგების ნაცვლად, ლითონის მთლიან ბეგთარს ხმარობდნენ. ეს გამოწვეული იყო როგორც მესაჭურვლეთა ოსტატობის სრულყოფით, ისე ცეცხლმსროლელი იარაღის გაჩენითაც, რამდენადაც ჯაჭვის პერანგი ტყვიისაგან თავის დასაცავად მაინცდამაინც საიმედო ვერ გამოდგა.

მეომარს რბილსარჩულიან კაპიშონზე ჩაფხუტი ეხურა. თავდაპირველად ჩაფხუტი რკინის გუმბათისებურ თავსაბურავს წარმოადგენდა, რომელსაც ცხვირისა და ყვრიმალების დასაცავი ზარადიც ჰქონდა. მეთორმეტე საუკუნის დასასრულიდან უფრო მასიური, ქოთნისებური ჩაფხუტი გავრცელდა, მთლიანად რომ უფარავდა თავს მეომარს და მხრებზე ებჯინებოდა. ასეთი ჩაფხუტი ძალიან მძიმე იყო, ამიტომ ლაშქრობისას უნაგირზე იმაგრებდნენ ხოლმე და უფრო მსუბუქ, წვეტიან მუზარადს იხურავდნენ. მეთოთხმეტე საუკუნეში ჩაფხუტს ხშირად ხის სარქველსაც უკეთებდნენ, რომელსაც ჰერალდიკური ფიგურებით რთავდნენ. ამგვარი „სარქველები" სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ფორმას იღებდნენ; სრულყოფილ ფორმად წვერწამახული ითვლებოდა, რადგან ხმალს ისხლეტდა და დარტყმის ძალასაც ასუსტებდა.

რაინდის ფარი თავდაპირველად დიდი ზომისა იყო და მთელ ტანს ფარავდა, მაგრამ აბჯრის განვითარებასთან ერთად ისიც თანდათან დაპატარავდა: ახლა უფრო მოსახერხებელ, სამკუთხა, მსუბუქ ფარებს აკეთებდნენ. ფარზე (ზოგჯერ კი სიურკოზე, აბჯრის ზემოდან რომ ეცვათ) რაინდის ღერბი იყო გამოსახული; ღერბის მთავარ ნაწილს ეგრეთ წოდებული ვეშაკი წარმოადგენდა, რომელიც შეიძლებოდა ნებისმიერი ფორმისა ყოფილიყო: სამკუთხაც, ოვალურიცა და ა. შ. ღერბის ვეშაკს ნაირფრად (წითლად, მწვანედ) ღებავდნენ და სიმბოლოებითა (ყარყუმის ან ციყვის ბეწვით) თუ ჰერალდიკური ფიგურებით (ლომი, ავაზა, მგელი, არწივი) ამკობდნენ. სამხედრო დანიშნულების ღერბებმა ყოველდღიურ სამოქალაქო ცხოვრებაშიც მალე გადმოინაცვლეს და ავეჯზეც დაიმკვიდრეს ადგილი. ტანსაცმელს ღერბის ფერს უხამებდნენ, გარდა ამისა, თავიანთ ღერბს ტანსაცმელზეც გამოისახავდნენ ხოლმე, აპლიკაციითა თუ ნაქარგით. თუ ღერბის ვეშაკი ორი ან ოთხი სხვადასხვა ფერის ნაწილისაგან შედგებოდა, წარჩი-

ნებული კაცის სიურკოც ორი ან ოთხი სხვადასხვა ქსოვილის ნაჭრისაგან იკერებოდა.

რაინდის ძირითად საბრძოლო იარაღს შუბი წარმოადგენდა (მეთოთხმეტე საუკუნეში შუბის სიგრძე 4,5 მეტრსაც აღწევდა). შუბი იფნის ტარისა და რკინის ბუნიკისაგან შედგებოდა; ბუნიკთან პატარა დროშასაც ამაგრებდნენ, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნდა — ხელს უშლიდა შუბს, ღრმად შეჭრილიყო შეუჭურველი კაცის სხეულში. ასეთი შუბის გამოყენება მხოლოდ უზანგის გავრცელების შემდეგ გახდა შესაძლებელი: უზანგებზე დაუყრდნობლად მხედარს გაუჭირდებოდა ამსიგრძე შუბის ხმარება. შუბი თითქმის ყოველთვის პირველსავე ბრძოლაში ილეწებოდა; ლაშქრობისას მარჯვენა მხარეზე ჰქონდათ გადებული, ბრძოლის დაწყების წინ, მარჯვენა დეზზე დაბჯენილი, ვერტიკალურად ეჭირათ, ბრძოლის დროს კი — ჰორიზონტალურად. ცხენდაცხენ შეტაკებისას რაინდის მთავარი ამოცანა მოწინააღმდეგის უნაგირიდან ჩამოგდება იყო, რადგან მძიმედ აღჭურვილი მეომარი სხვის დაუხმარებლად მაინც ველარ ადგებოდა.

დღემოკლე შუბის გარდა რაინდი რკინის მახვილითაც იყო აღჭურვილი. ადრე შუასაუკუნეობრივი მახვილი შედარებით მოკლეა, მეცხრე-მეათე საუკუნეებში მრგვალთავიანი, სწორვადიანი, მძიმე და გრძელი (ერთ მეტრამდე სიგრძისა) მახვილები ვრცელდება. მახვილს (მახვილის ტარს) ძვირფასი ქვებით ამკობდნენ, სახელს არქმევდნენ და ლეგენდებით გარემოცული, მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაში. ამ საშიში იარაღის კულტს ქრისტიანული წარმოდგენებიც შეერწყა: ვადიანი მახვილი (მეცხრე საუკუნიდან სულ უფრო და უფრო რომ გრძელდებოდა და ვიწროვდებოდა) თავისი უბრალოებით ქრისტეს სიმბოლოს, ჯვარს ჰგავდა და როცა რაინდი მახვილზე იფიცებდა, გაურკვეველი იყო, რა სჭარბობდა ამ რიტუალში — წარმართულ-ბარბაროსული თუ ქრისტიანული.

მძიმედ აღჭურვილი კავალერიის რიგებში სამხედრო სამსახური თანდაყოლილ თვისებებს, ხანგრძლივ მომზადებასა და განუწყვეტელ წვრთნას მოითხოვდა. ასეთ სამსახურს დიდი ფიზიკური ძალა სჭირდებოდა და ამიტომაც იყო, მძლავრი კუნთები რაინდის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებას რომ შეადგენდა. რაინდის მეორე აუცილებელ თვისებას სიმამაცე წარმოადგენდა. გერმანელი პოეტის ჰარტმან ფონ აუეს (გარდაიცვალა 1210—1220 წლებს შორის) თქმით, რომელიც, თავის მხრივ, კაროლინგურ გამოთქმას იშველიებს, „ვინც თორმეტ წლამდე სკოლაში ჩარჩებოდა და ერთხელაც არ შეჯდებოდა ცხენზე, მხოლოდ მღვდლობისათვის თუღა გამოდგებოდა“. რაინდის ცხოვრება მართლაც გან-

შევარდნით ნადირობა. მინიატურა. XIII ს.

სხვავდებოდა მოწაფის ცხოვრებისაგან: მისი დრო მთლიანად ტურნირებსა და ნადირობას მიჰქონდა.

შუა საუკუნეების არისტოკრატია ნადირობას, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ აფასებდა და ადიდებდა, ნადირობასაც იმ სარბიელად რომ თელიდა, სადაც რაინდს თავისი ძალ-ღონისა და სიმამაცის გამოჩენა შეეძლო, რამეთუ დაჭრილ ტახთან თუ დათვთან შებმაც ისეთივე სახიფათო იყო, როგორც შეიარაღებულ მტერთან შერკინება. გარეული ირმის დევნა ცხენოსნის ოსტატობას ავითარებდა, აგრერიგად აუცილებელს მეომრისათვის, მაგრამ ფრინველზე ნადირობა არავითარ რაინდობას არ მოითხოვდა, არც ერთი არისტოკრატი არ დაიტრაბახებდა, მარჯვედ ვტყორცნე ისარიო, რადგან მშვილდს უმდაბლეს, გლეხისა და მოქალაქის იარაღად თვლიდნენ და ამიტომაც თავად ქორ-შევარდნით ნადირობდნენ ფრინველზე.

შუა საუკუნეებში ტურნირების დაბადების დროდ მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარს მიიჩნევდნენ. სინამდვილეში ბრძოლის ეს იმიტაცია, ეტყობა, გაცილებით უფრო ადრეც არსებობდა და შესაძლებელია, წარმართული ჩვეულებიდანაც იღებდეს სათავეს. ტურნირებს მეფეები და ბარონები მართავდნენ და ამ შეჯიბრებებზე ევროპის სხვადასხვა კუთხიდან იყრიდნენ თავს რაინდები, რომელთა შორისაც უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლებიც ერიენენ.

ოთხკუთხა სარბიელს ხის ორმაგი ბარიერი ჰქონდა შემოვლებული: შიდა კედელი შედარებით დაბალი იყო, გარეთა კი — საკმაოდ მაღალი. განსაკუთრებულ ფიცარნაგზე მსაჯები და სისხლიან გასართობებს შეჩვეული მანდილოსნები ისხდნენ. ჰერალდები ტურნირში მონაწილე რაინდების სახელებს აცხადებდნენ და ხოტბას ასხამდნენ ამ რაინდთა მიერ ადრე ჩადენილ გმირობებს.

ტურნირის პირობები სხვადასხვაგვარი იყო. ტურნირი, ჩვეულებრივ, რაინდთა ორთაბრძოლით, ეგრეთწოდებული joute-ით იწყებოდა. მოასპარეზეთა მიზანი შეიძლებოდა მეტოქისათვის (მკერდსა ან ფარის შუაგულში) შუბის მარჯვედ ძგერებაც ყოფილიყო, ხოლო სხვა შემთხვევაში მეტოქის ცხენიდან გადმოგდებაც ევალებოდათ. თავდახრილი, ფარაფარებული რაინდები მთელი ძალით მიაგელვებდნენ ცხენებს და ცდილობდნენ, ზუსტი დარტყმით ერთბაშად მოეპოვებინათ გამარჯვება. ზოგჯერ ასი ან ორასი ასეთი ორთაბრძოლა იმართებოდა და ტურნირი რამდენიმე დღე გრძელდებოდა. ბოლოს მთავარი შეჯიბრი იწყებოდა — „ეროვნების", ან ოლქების მიხედვით შედგენილი ორი რაზმის ბრძოლის იმიტაცია. ასეთი შერკინება გაცილებით სახიფათო იყო, რამდენადაც ცხენიდან ჩამოგდებულ რაინდს ფლოქვებით გადათელვა ემუქრებოდა. გამარჯვებულნი მოწინააღმდეგეებს ატყვევებდნენ, ცხენებსა და იარაღს ართმევდნენ და გამოსასყიდს ახდევინებდნენ. ტურნირის დამთავრების შემდეგ მანდილოსნები ჯილდოებს არიგებდნენ. ზოგიერთმა რაინდმა ტურნირები საკმაოდ დიდი შემოსავლის წყაროდაც კი გაიხადა, თუმცა, დროთა ვითარებაში, სატურნირო ხმლებსა და შუბებს შეგნებულად აბლაგვებდნენ ხოლმე, რადგან ტურნირებს დიდი მსხვერპლი მოსდევდა და ხანდახან დაჭრილებს ურმებით ეზიდებოდნენ.

ცენტრალიზებულ სახელმწიფოებში, მაგალითად, ინგლისში მრავალგზის სცადეს, ბოლო მოეღოთ ადამიანის სიცოცხლის ამ უაზრო ფლანგვისათვის, ხოლო ეკლესია არა მარტო გმობდა ტურნირებს, ტურნირზე დაღუპული რაინდის დამარხვასაც კრძალავდა, მაგრამ ჩვეულება მაინც რჯულზე უმტკიცესი აღმოჩნდა.

ომი რაინდების პროფესია იყო და მშვიდობას ვერ ეგუებოდნენ. ომი არა მარტო გართობად, არამედ შემოსავლის წყაროდაც მიაჩნდათ, რადგან შუასაუკუნეობრივი ომი დაუფარავი ძარცვა-გლეჯა იყო, რომელიც ხშირად ფეოდალურ განხეთქილებაშიც გადაიზრდებოდა ხოლმე, როცა მთელი ლინიაჟი ერთი კაციცით აღსდგებოდა შურის საძიებლად. მეთერთმეტე საუკუნის დასასრულისათვის ევროპაში მოხეტიალე რაინდების მთელი დასი შეიქმნა, რომლებიც მზად იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი ღარიბი სახლ-კარი და დიდებისა და ქონების მოსაპოვებლად ოიკუმენის დასალიერზე — ესპანეთსა თუ მცირე აზიაში გადაკარგულიყვნენ.

ფეოდალური ჩამომავლობის პროფესიონალმა მეომრებმა სოციალური ფსიქოლოგიის განსაკუთრებული ფორმა, გარე სამყაროსთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოიმუშავეს, სადაც ქრისტიანული თანაგრძნობისათვის ადგილი აღარ რჩებოდა. შუა საუკუნეები არა მარტო უმოწყალობით გამოირჩეოდა, უმოწყალობას ღირსებადაც კი თვლიდა. „არ არსებობს ომი უსისხლოდ და

უცეცხლოდო", — ამბობს მეთორმეტე საუკუნის პროვანსიელი ტრუბადური რაინდი ბერტრან დე ბორნი.

სიკვდილის უგულებელყოფა სხვისი სიცოცხლის უგულებელყოფას განაპირობებდა, სხვისი სიკვდილის უპატივცემულობას. სიცილიელი ნორმანები, 1185 წელს სოლუნი რომ აიღეს, თავშესაქცევად, დახოცილთა გვამებს მკვდარ ვირებთან და ძაღლებთან ჩახუტებულებს ყრიდნენ ქუჩებში. რაინდი დაუფიქრებლად სწირავდა თავის თავს სენიორისათვის, მაგრამ, ამავე დროს, სრულებითაც არ ქენჯნიდა სინდისი, სხვის ქონებას რომ იტაცებდა და სხვის სიცოცხლეს ხელყოფდა. ცეცხლსა და სისხლში გამობრძმედილი რაინდის ხასიათი უფრო იმპულსური იყო, ვიდრე ყაირათიანი; გეგმაზომიერი ცხოვრება არ იზიდავდა და, ყოველდღიურ შრომაზე გულაცრუებული, ქარის მოტანილს ქარსვე ატანდა. ტრუბადური ალბერ დე მალასპინა ამაყად აცხადებდა: დასაგროვებლად კი არ ვიტაცებ, დასარიგებლადო.

ევროპელი ფეოდალები (იტალიისა და სამხრეთ საფრანგეთის გარდა) ქალაქგარეთ ცხოვრებას ამჯობინებდნენ. ვისაც შეძლება ჰქონდა, კარგად გამაგრებულ სახლებს, ციხე-დარბაზებს იშენებდა. დროთა ვითარებაში, ციხე-დარბაზიც შუა საუკუნეების ისეთსავე სიმბოლოდ იქცა, როგორც ქარის წისქვილი. მუდმივი ომები, ნორმანთა თავდასხმები და დაჩაგრული გლეხობის შიში კიდევ უფრო აუცილებელს ხდიდა ციხე-დარბაზების მშენებლობას, რომლებიც ქვის მძლავრი ფორტიფიკაციების სახეს იღებდნენ.

მეათე საუკუნეში ციხე-დარბაზი ხის სწორკუთხა გოდოლია (დონჟონი) ბუნებრივ ან ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე აღმართული, მიწაყრილით, თხრილითა და მესერით შემოზღუდული. დონჟონი ფიცრით გადატიხრული რამდენიმე სართულ-იარუსისაგან შედგებოდა, რომლებიც მისადგმელი კიბით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს; საფრთხის დროს კიბე ტიხარში დატანებული ჭრილიდან აჰქონდათ. ქვედა სართული შეიძლებოდა ბალასტით ყოფილიყო ამოვსებული და ამიტომ შესასვლელიდან (ასევე მისადგმელი კიბით) პირდაპირ მეორე სართულზე ადიოდნენ. მეორე სართული სანახევროდ ბნელი იყო და საწყობის დანიშნულებას ასრულებდა. ფეოდალსა და მის ოჯახს მესამე სართული ეკავა, კერიაც იქვე იყო გამართული. მსახურები უფრო ზემოთ ცხოვრობდნენ. ქვედა სართულში ხანდახან ჭასაც გაჭრიდნენ ხოლმე.

თანდათანობით ციხე-დარბაზების მშენებლობა რთულდება. ციხე-დარბაზს ახლა ქვისაგან აგებენ, თუმცა სართულებს კიდევ დიდხანს ტიხრავდნენ ფიცრით (მაგალითად, ნორმანდიაში), რაც ალყის დროს ხანძრის საშიშროებას იწვევდა. ქვის კამარების მშენებლობა სამხრეთში დაიწყეს. მესერი გალავანმა შეცვალა, რომელიც ხშირად სამმაგიც იყო, კუთხოვანი კოშკებით გამაგრებული და სათო-



ფლანდრელ გრაფთა ციხესიმაგრე. უკანა პლანზეა გრაფთა სასახლე და დონჟონი. მშენებლობა დაწყებულია 1180 წ. გენტი.

ფურიანი ქონგურებით დაგვირგვინებული. შუა საუკუნეობრივი ფორტიფიკაციის პრინციპი თანმიმდევრულ დაბრკოლებათა სისტემის შექმნას გულისხმობდა. მოალყეებს, უპირველეს ყოვლისა, თხრილი უნდა გადაელახათ, მშრალი ან ახლომდებარე მდინარის წყლით ამოვსებული. თხრილზე ასაწევი ხიდი იყო გადებული, ორ კოშკს შორის მოქცეული, რის გამოც თავადაც პატარა სიმაგრეს წარმოადგენდა. ხიდის წინ, თხრილამდე, ხის ჯებირებს დგამდნენ. თხრილს გადაღმა ღია სივრცე იშლებოდა და ამ სივრცეში შემოჭრილ მოალყეებს ქონგურებიდან და კოშკებიდან ცეცხლს უშენდნენ. მთავარი გალავანი ამ ღია სივრცეს გადმოჰყურებდა და თავისი სიმაღლის წყალობით მოიერიშეთა მისაყუდებელი კიბეებისთვისაც მიუდგომელი იყო. ჭიშკარიც კოშკებს შორის იყო ჩატანებული. გალავანსა და კოშკებს ბურჯებითაც ამაგრებდნენ, მთავარ გალავანს მეორე მოსდევდა, რომლის იქითაც დონჟონი იდგა.

ციხე-დარბაზი რთულდებოდა არა მხოლოდ როგორც ფორტიფიკაციული ნაგებობა. ახლა, დონჟონის გარდა, ის ეზოსაც მოიცავდა, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრება დუღდა. ეზოში (ჩვეულებრივ, ორ კედელს შორის) იდგა

პატრონის სახლიც, ციხე-დარბაზის კაპელაც, ჭაც, „ბანალური“ საცხობიც (როგორც ფეოდალური ბატონობის სიმბოლო) და ხელოსანთა სახლებიც — ემბრიონი მომავალი ქალაქისა. ციხე-დარბაზი ფეოდალური დამოუკიდებლობის სიმბოლოსაც წარმოადგენდა და ახლომდებარე რაიონებზე ბატონობის საშუალებასაც. ამიტომ სრულებითაც არ არის შემთხვევითი, ცამდე ატყორცნილი დონჟონის მსგავსად, ბნელი დილეგიც ციხე-დარბაზის არქიტექტურისათვის აუცილებელ ელემენტად რომ იქცა.

ციხე-დარბაზების კლასიკური ქვეყანა საფრანგეთია. გერმანიაში, თუ სამეფო სასახლეებს (პფალცებს) არ მივიღებთ მხედველობაში, ციხე-დარბაზები არქიტექტურული და სტრატეგიული ხარისხით ფრანგულ ციხე-დარბაზებს ჩამორჩებიან. გერმანული ციხე-დარბაზი, ჩვეულებრივ, მიუვალ კლდეზე აგებული დონჟონია, უფრო ბუნებრივი პირობებით დაცული, ვიდრე საინჟინრო ხელოვნებით.

ციხეთა სისტემამ საალყო იარაღის სისტემაც განაპირობა, რომლის ნაწილიც ანტიკური სამხედრო ტექნიკიდან იყო ნასესხები, მაგალითად, ურნალი და ბორბლებიანი სახლი, რომელსაც ალყაშემორტყმული ციხის კედლამდე მიაგორებდნენ ხოლმე. მეცამეტე საუკუნის დასაწყისისათვის საალყო ტექნიკაში ორი მნიშვნელოვანი სიახლე ჩნდება, აღმოსავლეთიდან გადმონერგილი: ერთი, კედლის სანგრევი მანქანა, ანუ პეტრარია, რომელიც გადაწონვის პრინციპზე მუშაობდა და ღერძზე გადებულ გრძელ მორს წარმოადგენდა; მორის შედარებით მოკლე და მსხვილ ბოლოზე რაიმე სიმძიმეს ამაგრებდნენ და როცა ღვედს მოუშვებდნენ, პეტრარიის გრძელ მხარეს რომ აკავებდა, სიმძიმე კედელს ეხეთქებოდა და ქვებს ამსხვრევდა. მეორე, ბერძნული ცეცხლი იყო, ნავთის, გოგირდისა და კუპრისაგან მიღებული საწვავი ნივთიერება, რომელსაც სპეციალური სიფონებით მიუშვებდნენ ხოლმე ციხისაკენ.

ციხე-დარბაზს ყველა ფეოდალი როდი ფლობდა. გაბატონებული კლასის უმდაბლეს ფენას უციხო, უბრალო, გაღატაკებული რაინდობა შეადგენდა; ამ რაინდთა ნაწილი, წარმოშობით მინისტერიალი — მეფეთა თუ ბარონთა შინამოსამსახურე იყო, ხშირად არათავისუფალიც, მაგრამ მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, მაინც ფეოდალთა რიგებში მიღებული. დიდგვაროვანთა უმაღლეს ფენას შატლენები (ციხოსნები), ბარონები (მსხვილი სენიორები) და ტერიტორიალური თავადები ქმნიდნენ, მეფის ჩათვლით. მაგრამ, განსხვავებათა მიუხედავად, ყველა ისინი (მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებიდან) რაინდთა ერთ კატეგორიად ითვლებოდნენ, განსაკუთრებული სიმბოლური რიტუალის — კურთხევის შემდეგ. კურთხევა სიმწიფისა და დამოუკიდებლობის მოპოვებას ნიშნავდა და, მსგავსად ხელოსნური შედეგრისა, ისიც ხანგრძლივ (შვიდწლიან) გამოცდას აგვირგვი-

ნებდა, გამოცდას, რომელიც ჭაბუკ დამუაზოს (damoiseau), როგორც მსახურსა და საჭურველმტვირთველს, გამობრძმედილ რაინდთან უნდა გაეკლო; სუფრის გამშლელიც ის უნდა ყოფილიყო და ცხენის მომვლელიც და, საერთოდ, შინაყმებთან ერთად, მასაც უნდა გაეზიარებინა მასწავლებლის ყველა საქმე და საზრუნავი. ამასთანავე, კურთხევა კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს, არა ყოველთვის გადაულახავი, მაგრამ ყოველთვის თვალნათელი საზღვრის არსებობას პროფესიონალ მეომარ-ფეოდალებსა და მოსახლეობის სხვა ფენებს შორის. თვით კურთხევის ცერემონია რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა. უპირველეს ყოვლისა, დამუაზოს დეზებს უკეთებდნენ და ერთ-ერთი უხუცეს რაინდთაგანი წელზე ყველაზე საპატიო იარაღს, მახვილს შეაბამდა. შემდეგ ხელდამსხმელი ჭაბუკს სილას შემოკრავდა, იმ ერთადერთ სილას, რომელიც რაინდს, ქრონისტ ლამბერტ არდრელის სიტყვით, შეეძლო უპასუხოდ დაეტოვებინა. რიტუალის დასასრულს ახალ რაინდს თავისი სიმარჯვე უნდა ეჩვენებინა: ცხენზე ამხედრებულს ზუსტად უნდა ეტყორცნა შუბი მიზანში.

კურთხევის ცერემონია თავდაპირველად საკვანძო საერო და, კიდევ უფრო მეტიც, წარმართულ ხასიათს ატარებდა; მაგრამ დროთა განმავლობაში, ეკლესიამ ისიც რელიგიურ საზღვრებში მოაქცია: კურთხევის წინ ახალგაზრდას მთელი ღამე სამრეკლოში უნდა გაეთია, გამთენიისას თავისი იარაღი საკურთხეველზე უნდა დაეწყო, ღვთისთვის მიეძღვნა, და მესის მოსმენის შემდეგ, ზიარებულიყო. ზოგიერთ შემთხვევაში კურთხევის ძირითად ელემენტს — ხმლის წელზე შემორტყმას, რაინდი კი აღარ ასრულებდა, არამედ ეპისკოპოსი. კურთხევის რიტუალში უდიდეს როლს თამაშობდა ფერისა და საგნების სიმბოლიკა. ჭაბუკს ტილოს ან აბრეშუმის თეთრ პერანგს აცმევდნენ — მისი უმწიკვლოების სიმბოლოდ, ზემოდან კი ალისფერ სიურკოს — ნიშანს სისხლისას, რომელიც ეკლესიის სახელით უნდა დაეღვარა. შოსი ყავისფერი ეცვა, რამეთუ კაცი მიწას უნდა დაბრუნებოდა; ქამარი თეთრი ეკეთა, „წელის სიწმინდის" დასტურად; ხმლის ტარი ჯვრით იყო დამშვენებული, ორლესული პირი კი იმ სიმტკიცისა და ერთგულების სიმბოლოდ ითვლებოდა, რომელიც რაინდს სუსტის ძლიერისაგან და ღარიბის მდიდრისაგან დაცვისას უნდა გამოემჟღავნებინა.

რაინდი ფეოდალთა კლასს ეკუთვნის და, ამასთანავე, ამ კლასის შიგნით გაცილებით უფრო კონკრეტულ-პირადულ თუ ქონებრივ კავშირებსაც ამყარებს, უპირველეს ყოვლისა, ვასალი ხდება. ვასალისა და სენიორის შეთანხმებას ომაჟი ერქვა: რაინდი სენიორს მფარველობას სთხოვდა და თავს მის „კაცად" (homo) აღიარებდა, აქედან წარმოდგება ტერმინი „ომაჟიც — homagium". ამგვარი ინსტიტუტი ბარსელონის საგრაფოში მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისიდანაა ცნობილი. მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში ის ჯერ სამხრეთ საფრან-

ვეთში გავრცელდა, შემდეგ კი ჩრდილოეთის ოლქებიც მოიცვა; გერმანიაში ომაჟის არსებობა პირველად 1077 წელს დასტურდება. როგორც კურთხევა, ისევე ომაჟიც სიმბოლური ცერემონია იყო: ვასალს ორივე ხელი სენიორის ნებში უნდა ჩაედო და ეთქვა: „სირ, დღეიდან თქვენს კაცად მიგულეთო". ამას ერთგულების ფიცი და ამბორი მოსდევდა, ასე რომ, ვასალს „პირისა და ხელის კაცსაც" ეძახდნენ, რამეთუ სწორედ ტუჩებითა და ხელებით ასრულებდა ომაჟის რიტუალს. თავის მხრივ, სენიორს ვასალისათვის იარაღი უნდა გადაეცა, ან იარაღის სიმბოლო ჰატარა ჯოხი (festuca), რაც ვასალისათვის ახალ ოჯახში შესვლას ნიშნავდა. იარაღის ან ფესტუკის გადაცემა წარმართული ჩვეულებაა, ძაგრამ ეკლესია ამ შემთხვევაშიც ცდილობს მის მოქცევას". იგი ომაჟის ცერემონიას ახალი ფიცით ამდიდრებს, რომელიც ვასალს წმინდანთა ნაწილებთან უნდა წარმოეთქვა.

ვასალური ურთიერთობების საფუძველს სენიორისადმი ერთგულება და სიყვარული წარმოადგენდა. იდეალური ვასალი არა ფულის, არამედ სიყვარულის გამო ემსახურება თავის სენიორს; სიყვარულისა და ერთგულების ფიცის გამტეხი კანონგარეშე ცხადდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ვასალური ურთიერთობების ტერმინოლოგიაც იგივეა, რაც რაინდისა და იდეალური მანდილოსნის, ანდა მისტიკოსისა და ღმერთის ურთიერთობებს ახასიათებს. და თუმცა იდეალური ვასალური ურთიერთობანი გრძნობას უნდა წარემართა და არა გამორჩენის სურვილს, ფეოდალური სამართალი მაინც მკვეთრად განსაზღვრავდა ვასალის ვალდებულებას, რომელიც ორ ლათინურ ტერმინში იყო თავმოყრილი: consilium (რჩევა) და auxilium (დახმარება). რჩევა სენიორის კურიაში — თავისებურ სასამართლო-ადმინისტრაციულ სათათბიროში — ვასალის მონაწილეობას გულისხმობდა. კურიის გარეშე სენიორს არ შეეძლო სასამართლო საქმეების წარმოება, ვერც ქონებრივ საკითხებს გადაწყვეტდა და ვერც საკუთარი შვილების ბედს. კურიის გადაწყვეტილება ერთსულოვანი უნდა ყოფილიყო.

დახმარება ორი სახისა იყო — სამხედრო და ფინანსური. ვასალი, უპირველეს ყოვლისა, ვალდებული იყო იარაღით ემსახურა სენიორისათვის: მონაწილეობა მიეღო მის ლაშქრობებში, დაეცვა მისი ციხე-დარბაზი. ამ სამსახურის ვადა ხანდახან წელიწადში ორმოცი დღით განიზომებოდა. ასევე ვალდებული იყო ვასალი, ფინანსური დახმარება გაეწია თავისი სენიორისათვის ყველაზე მძიმე, ან ყველაზე საზეიმო დღეებში: თუკი გამოსასყიდი იყო ტყვეობიდან, ქალიშვილს ათხოვებდა, ანდა ვაჟიშვილს აკურთხებდა რაინდად. თავის მხრივ, სენიორიც კისრულობდა ვალდებულებას, დაეცვა და დახმარებოდა ვასალს. რა თქმა უნდა, ცხოვრებაში ყოველთვის ისე არ ხდებოდა, როგორც სისტემა მოითხოვდა: ვასალები ღალატობდნენ კიდეც თავიანთ სენიორებს და შუა საუკუნეობ-

ჰერცოგი ფილიამი თავის ვასალს რაინდ ჰაროლდს გადასცემს საჭურველს. XII ს. გობელენიდან.

რივ წარმოდგენაში მოღალატე ვასალი მითოლოგიური ეშმაკისა და იუდას სახეს იღებდა. მეორე მხრივ, ხშირად სენიორებიც სარგებლობდნენ ბოროტად თავიანთი უფლებებით — მეტს მოითხოვდნენ ვასალისაგან და ლაშქარშიც ვალზე დიდხანს ამსახურებდნენ ხოლმე. უთანხმოებანი სენიორებსა და ვასალებს შორის ხშირად შეტაკებითაც მთავრდებოდა და მაინც ვასალური სისტემა, რომელიც სოციალურ სოლიდარობას ოჯახურ იერს აძლევდა, გაბატონებული კლასის ერთიანობას ამყარებდა

ერთ-ერთი არსებითი ელემენტი, ვასალური კავშირის სიმტკიცესა და ეფექტიანობას რომ განაპირობებდა, ვასალისათვის ფიეფის, ანუ ფეოდის ჩუქება იყო. ფეოდი, როგორც წესი, მიწის ნაკვეთს წარმოადგენდა, თუმცა დროთა განმავლობაში, განვითარდნენ ეგრეთ წოდებული უნივთო ფეოდებიც — ფეოდალური შემოსავალი ბაჟიდან, ბანალიტეტებიდან და სხვ. ფეოდის ვადაცემას სიმბოლური აქტის სახე ჰქონდა, ეგრეთ წოდებული ინვესტიტურა, და ვასალისათვის რაიმე ნივთის (ბეჭდის, კვერთხის, ხელთათმნის, თივის ბღუჯასაც კი) გადაცემით ხორციელდებოდა, რაც უძრავი ქონების ან უფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. ფეოდით დაჯილდოება, ინფეოდაცია, მეცამეტე საუკუნემდე იშვიათად მტკიცდებოდა შესაბამისი დოკუმენტით: შუა საუკუნეები რიტუალური ენესტის ეპოქაა და არა წერილობითი აქტისა; სიტყვა და ენესტი არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სიგელი. ფეოდის თავისებურება იმაში ვლინდებოდა, რომ ის, ასე ვთქვათ, გახლეჩილ საკუთრებას წარმოადგენდა, რომელზეც ორივე კონტრაგენტი ინარჩუნებდა უფლებას. მართალია, ტერმინი „საკუთრება“ (dominium), ჩვეულებრივ, სენიორის უფლებასთან დაკავშირებით იხმარებოდა, ხოლო ვასალის უფლებებს „ფლობა“ ანდა „პყრობა“ აღნიშნავდა, ხანმდვილეში, სწორედ პყრობა შეესაბამებოდა საკუთრებას, ამ სიტყვის რომული



ინგლისის მეფის ედუარდ III-ის და ფილიპე აქვიტანიელის ვასალური შეფიანსმების განმამტკიცებელი რიტუალური ამბორი. მინიატურა. XIV ს.

გაგებით, მაშინ, როცა სენიორის უმაღლესი საკუთრება მხოლოდ სიმბოლური რენტით (მაგალითად, წყვილი დეზი) გამოიხატებოდა. მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ღალატის შემთხვევაში ვასალს ფეოდი ჩამოერთმეოდა ხოლმე. თავდაპირველად ფეოდის (მას ბენეფიციუმსაც უწოდებდნენ) მფლობელობა პირადული ხასიათისა იყო და ნებისმიერი კონტრაგენტის სიკვდილისთანავე მთავრდებოდა. თანდათანობით ეს ჩვეულება გაქრა და ფეოდი მემკვიდრეობით გადადიოდა. ომაჟი და ფეოდის ჩუქება რაინდის ვასალურ-ლენურ სისტემაში ჩართვას აღნიშნავდა. ყოველ სამეფოში ჰყავდათ მეფეებს თავისი მფლობელები, როგორც ბარონები (რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე რანგად იყოფოდნენ: ეიკონტებად, გრაფებად, ჰერცოგებად და ა. შ.), ისე რიგითი რაინდებიც. ბარონების ნაწყალობევ ფეოდებს მათი ვასალები — შატლენები ფლობდნენ, შატლენთა ვასალები კი რაინდები იყვნენ.

ვასალურ-ლენური სისტემით შედუღაბებული პროფესიონალი მეომრების კლასის წევრობა ადამიანს განსაკუთრებულ (იდეალურ) ვალდებულებებს აკისრებდა და ცხოვრების მისეულ წესსაც მნიშვნელოვან დაღს ასვამდა. ფეოდალის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ხელგაშლილობაა. სენიორი ციხე-დარბაზში ცხოვრობდა მსახურებით, რაინდებით, საჭურველმტვირთველებით გარშემორტყმული და მათ ახარჯავდა გლეხური რენტით შეძენილ სიმდიდრეს. თუ ვერ გაწვდებოდა, შეეძლო წესი დაერღვია და უფრო მეტი პური, გოჭი თუ ფრინველი მოე-

თხოვა გლეხებისგან, ანდა, ნაძარცვითა და სამხედრო ნაალაფარით ეცადა დანაკლისის შევსება. რაინდულ ცხოვრებაში სიმდიდრე თვითმიზანი არაა. სიმდიდრეს იძენენ, რათა დაარიგონ, დახარჯონ, მაგრამ აუცილებლად სახალხოდ. ქონების სახალხოდ განიავება ნადიმების, დღესასწაულებისა თუ ტურნირების დროს, რაც ზოგჯერ, ეგზოტიკურ ხასიათსაც კი ღებულობდა (მაგალითად, მინდვრის ვერცხლით დათესვა), ფეოდალური თვითდამკვიდრების გარკვეულ სოციალურ მიზანსაც ისახავდა; ღირსებისა და წარმატების გარეგნულ გამოხატულებად ითვლებოდა. ტრუბადურები ყოველნაირად ასხამდნენ ხოტბას სენიორთა ხელგაშლილობას; სარაინდო რომანებში გულუხვობა ჭეშმარიტ მეფურ თვისებად წარმოგვიდგება. და პირიქით, სიძუნწე, ანგარება, ანგარიშიანობა მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების რაინდულ საზოგადოებაში ყველაზე სამარცხვინო ნაკლად მიაჩნდათ.

მაგრამ ხელგაშლილობის კულტთან ერთად რაინდობა (როგორც სოციალური კატეგორია) განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდება თავისი მიწის, არსებობის ძირითად წყაროს, შენარჩუნებისა და მოელის საქმეს. მეთერთმეტე საუკუნის დასასრულიდან ფეოდალურ პრაქტიკაში გაბატონებული სისტემა უპირატესობას უფროს ვაჟს ანიჭებს და ლომის წილსაც ის ღებულობს მამის ფეოდიდან. უფრო მეტიც, ბევრი რაინდული გვარი ზღუდავდა კიდეც უმცროსი ვაჟების ქორწინებას, რომლებიც ან სასულიერო პირები ხდებოდნენ, ანდა მთელ ცხოვრებას ბერწად ატარებდნენ უფროსი ძმის ციხე-დარბაზში და არავითარი იმედი არ გააჩნდათ (გარდა ბედნიერი შემთხვევისა), როდისმე მაინც რომ მოიპოვებდნენ ეკონომიურ დამოუკიდებლობას. სწორედ ამ ეგრეთ წოდებულმა ახალგაზრდებმა (Les jeunes) — კეთილშობილმა, მაგრამ ღარიბმა, ფეოდალურ იერარქიაში უმიწოდ და უადგილოდ დარჩენილმა რაინდებმა, ფრანგი ისტორიკოსის, ჟ. დიუბის სიტყვით, საფუძველი ჩაუყარეს „მოძრაობას, მშფოთვარებასა და აგრესიულობას", აგრერიგად დამახასიათებელ თვისებებს შუა საუკუნეების რაინდული არისტოკრატიისათვის.

რაინდული მორალის მეორე მნიშვნელოვანი ცნებაა სამსახური. რასაც არ უნდა მიეცა ბიძგი რაინდული სამსახურის იდეისათვის — ბელადისადმი ბარბაროსულ ერთგულებასა თუ ციური იერარქიის ქრისტიანულ მოძღვრებას (რომელიც ჯერ კიდევ დაახლოებით 500 წელს განაეითარა ფსევდო-დიონისემ და რომელიც დასავლეთში ირლანდიელი ბერის, ერიგენის ლათინური გადამუშავების წყალობით გახდა ცნობილი); მეთორმეტე საუკუნისათვის ამ იდეამ არა მარტო ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა, არამედ კოსმიური წარმოდგენებიც. ღმერთთან ურთიერთობა ადამიანის სამსახურადაა გააზრებული, რისთვისაც ადამიანს (თუნდაც საიქიოში) უხვად მიეგება. ერთგულება — ვასალური ურთიერთობების



მუსიკოსი და მოცეკვავე ქალი. მინიატურა. XII ს. ქ. ვანის ეკლესიის განძთსაცავი.

ყველაზე დამახასიათებელი .პრედიკატი — ადამიანისა და ღმერთის კავშირსაც განაპირობებს, თანაც ერთგულება არა მარტო ადამიანს მოეთხოვება, არამედ ღმერთსაც (როგორც სენიორსაც), რამეთუ ის არა მარტო ერთგულთა ღმერთად გაიაზრება, არამედ ერთგულ ღმერთადაც. ლოცვაშიც სენიორისადმი მიმართვა ოგულისხმება, რის შედეგადაც ადამიანის დაცვას ღმერთი კისრულობს და „სამართლიან“ იმედს აძლევს მას, ცაში მაინც რომ მიუზომავს ფეოდს. ამასთან ერთად, იერარქიულობისაკენ მიღრეკილმა შუა საუკუნეების შეგნებამ, უმაღლესი დამცველის, ღმერთის გარდა, ღმერთზე დაბლა მდგომი სპეციალური ქომაგიც შექმნა წმინდანის სახით. განკითხვის დღეც ფეოდალური ყოფის შესაბამისად ჰქონდათ წარმოდგენილი — თითქოს ღმერთი, „რჩეულებთან“ ერთად, მთელ თავის კარს, თავის კურიას შეჰყრიდა და ფეოდალური სენიორის მსგავსად მართალთა და მტყუანთა გასამართლებას მოჰყვებოდა. ასევე რაინდული სახეებით წარმოედგინათ „სამართლიანი მეფისა“ (ანუ ღმერთისა) და ეშმაკის, დამხობილი ტირანის კოსმიური ბრძოლაც. ორიეეს, ღმერთსაც და ეშმაკსაც, თავიანთი ამა-

ლა ახლდა, თავიანთი რაინდები და მსახური მინისტერიალები. მეთორმეტე საუკუნის ფსალმუნთა მინიატურებში ქრისტე მხედართმთავრადაა წარმოდგენილი: ხელთ ფარ-შუბი უპყრია, ჯაჭვის პერანგი აცვია და თავზე მუზარადი ხურავს. და ბოლოს, როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, მეთორმეტე საუკუნის პოეტებიც რაინდულ სახეებსა და ტერმინებში აყალიბებდნენ ქალისადმი სამსახურის იდეას.

ხელგაშლილობისა და სამსახურის ამაღლებული პრინციპები ხანდახან ხრულიად საწინააღმდეგო სახეს იღებდნენ ცხოვრებაში. მეთორმეტე საუკუნეში, რაინდობის გაფურჩქვნის ხანაში, ეტიენ დე ფუჟერი საყვედურს გამოთქვამდა ფრანგი თავადაზნაურობის გაუთავებელი მხიარულობის, ნადირობებისა და ტურნირების გამო. ისინი ფიცს კი სდებდნენ, სუსტთა დამცველები ვიქნებითო, არავის დავაჩაგვრინებთ ქერიე-ოხერსო, მაგრამ სინამდვილეში, გლეხობას სენიორთა ეგოისტური სიბრძნის იმედიღა ჰქონდა, რომლის მიხედვითაც, შუა საუკუნეების ფრანგული ანდაზისა არ იყოს, „ერთხელ გატყავებულს მეორეჯერ ველარავინ გაკრეჭდა". საგულისხმოა, რომ რაინდობის კრიტიკა მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში რაინდული პოზიციებიდანვე ხორციელდებოდა: რაინდებს ბრალად სდებდნენ რაინდული იდეალიდან გადახვევას, სიმამაცისა და ერთგულების ნაკლებობას, საფრთხისათვის თავის არიდებას და ჭეშმარიტი რაინდობის ისეთი მაგალითების უგულვებელყოფას და მივიწყებას, როგორებიც ალექსანდრე მაკედონელი და მეფე არტური იყვნენ.

მშვიდობიანობის ჟამს რაინდი ან ნადირობდა, ან ქეიფობდა, ან ეძინა, სამეურნეო საქმეებში არ ერეოდა, რამდენადაც ეს წოდებრივ ეთიკას ეწინააღმდეგებოდა. თავისი მამულის მართვასა და გლეხობის გასამართლებასაც კი სენიორი, როგორც წესი, მამასახლისსა და მოხელეებს გადააბარებდა ხოლმე, თუმცა, ვასალიტეტის პრინციპების შესაბამისად, მაინც მონაწილეობდა სასამართლო კურიის სხდომებში, როცა მისი „თანასწორის" საქმე ირჩეოდა და ხელმძღვანელობდა კურიას, როცა მის ვასალს ასამართლებდნენ. საღამოობით ციხედარბაზის მკვიდრნი კერიის გარშემო იყრიდნენ თავს და კამათლით, ან ჭადრაკით ერთობოდნენ. ვანსაკუთრებით მოსაწყენი იყო ზამთრის გრძელი საღამოები, როცა თითქმის შეუძლებელი ხდებოდა რაინდების დაშოშმინება — უცოლო, სანახევროდ მშიერი (ზამთრის რაციონი შეზღუდული გახლდათ), უფრო ხშირად კი, მთვრალი ახალგაზრდობისა, რომელსაც სულ კინკლსა და ჩხუბზე ეჭირა თვალი. მოსაბეზრებელ ერთფეროვნებას მხოლოდ სტუმრიანობა (ისიც, ძალზე იშვიათი შუა საუკუნეობრივი კარჩაკეტილობის გამო), ტურნირები, ანდა ჟონგლიორების გამოჩენა თუ არღვევდა. „ჟონგლიორს" სხვადასხვა სპეციალობის ხალხს ეძახდნენ, რომლებსაც საერთო ფუნქცია ჰქონდათ — სხვათა გარ-

ფლეიტის დამკვრელი და ჟონგლიორი. მინიატურა. XII ს.; რებეკზე (ვიოლინოს ეიფაპარ'ზე) დამკვრელი. XIV ს-ის ლათინური მანუსკრიპტიდან; მესტვირე. XIV ს-ის დასაწყისის მინიატურის დეტალი.

თობა. ესენი იყენენ დათვებისა თუ მაიმუნების გამწვრთნელები, მუშაითები, აკრობატები, მუსიკოსები, მომღერლები, ფაბლიოთა და რომანების მთხრობელნი და, რა თქმა უნდა, ტრუბადურებიც. ციხე-დარბაზებში ისინი, ჩვეულებრივ, ტურნირების, ქორწილების ან რაინდად კურთხევის დღეებში გამოჩნდებოდნენ ხოლმე და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სიმღერასა თუ აკრობატობაში. ჟონგლიორთა ცხოვრება რთული და წინააღმდეგობრივი იყო. ჩვეულებრივ, ქალაქის დაბალი ფენის წარმომადგენლები, ისინი თავიანთ ბედს ციხე-დარბაზებს უკავშირებდნენ, სადაც მხოლოდ და მხოლოდ სასიამოვნო გასართობად ითვლებოდნენ. აქედან იღებდა სათავეს მათი მისწრაფებაც, ყოფილიყვნენ უფრო რაინდულნი (თავიანთ შემოქმედებაში), ვიდრე რაინდები; მაგრამ, ამასთანავე განუწყვეტელი ბრძოლა არსებობისათვის, განუწყვეტელი „ინტელიგენტური“ სიღატაკე და განუწყვეტელი მათხოვრობა მოწყალებისა, იძულებულს ხდიდათ, თავი დაეკნინებინათ. ისინი ციხე-დარბაზების უხეშ სამყაროს ეკუთვნოდნენ, უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ ერთმანეთს, რადგან მათი ბუფონადა იმ გემოვნებას პასუხობდა, რომლისთვისაც მოსწრებული სიტყვა ყიამყრალობას უთანაბრდებოდა, ხუმრობა — სიმახინჯეს. ამიტომაც იყო, ჯუჯები და კუზიანები განსაკუთრებით რომ ფასობდნენ სენიორთა მსახურებს შორის; მაგრამ, ისიც უნდა ითქვას,

რომ სწორედ ჟონგლიორებს ყოფნიდათ ძალაცა და გამბედაობაც, გაემასხარავებინათ თავიანთ ლექსებში ფეოდალური საზოგადოების მანკიერი მხარეები.

ყოველგვარი რუტინის ტყვეობიდან რაინდს მხოლოდ ომი ათავისუფლებდა. მაგრამ ომი იყო თუ მშვიდობა, ფეოდალი ყოველთვის მტკიცედ შედუღაბებული სოციალური ჯგუფის, ანდა ჯგუფების — სისხლისმიერ კავშირზე დაფუძნებული ლინიაჟის, ერთ ციხე-დარბაზში მცხოვრები რაინდებისა და დამუაზოების ოჯახის, ერთი და იგივე სენიორის ვასალთა, „თანასწორთა“ (პერების) თანამეგობრობის — წევრად რჩებოდა. როგორც მეცამეტე საუკუნის ინელისური ანდაზა ამბობს, სენიორი პურს მარტო არ ჭამდა და გრძელი მაგიდა და გრძელი სკამები, ალბათ, ამიტომაც იქცა ფეოდალური ციხე-დარბაზისათვის დამახასიათებელ ავეჯად. ფეოდალური ყოფის კორპორატიულობა ფეოდალთა წოდების კორპორატიულ ორგანიზაციას პასუხობდა.

შუა საუკუნეების საზოგადოების მესამე წოდებას სასულიერო პირები შეადგენდნენ; თეორიულად ეს წოდება ერთიან სოციალურ კატეგორიას წარმოადგენდა, რომელსაც საერთო მეთაური ჰყავდა — რომის პაპი — უმაღლესი გვირგვინი იერარქიისა, რაინდობის გამაერთიანებელ ვასალურ იერარქიას რომ ჩამოგავდა. საეკლესიო იერარქია რამდენიმე საფეხურისაგან შედგებოდა: ეპისკოპოსების, მღვდლებისა და დიაკვნებისაგან, რომელთაც უმდაბლესი კლირიკოსები მოსდევდნენ. სასულიერო წოდების ერთიანობას, უპირველეს ყოვლისა, ფუნქცია განაპირობებდა — ღვთისმსახურება, რაც ერთნაირად, ერთ ენაზე (ლათინურად), ერთსა და იმავე დროს და ერთი და იგივე კალენდრის შესაბამისად უნდა აღსრულებულიყო ევროპის ყველა ეკლესიაში. მაგრამ ეკლესიის იდეალური უნივერსალისტური მთლიანობა, რომლის დანერგვასაც, მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, მრავალი პაპი უწყობდა ხელს, ეწინააღმდეგებოდა პარტიკულარიზმის ტენდენციას, რაც უფრო ბუნებრივი იყო შუა საუკუნეების პირობებში. ზოგი ქვეყნის ეკლესია „სამეფო“ ეკლესიად აცხადებდა თავს და მხარს უჭერდა მეფეს პაპის წინააღმდეგ ბრძოლაში, ზოგან კი ეპისკოპოსები ტერიტორიულ თავადებად იქცეოდნენ ხოლმე და თავიანთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერებას და განმტკიცებას ესწრაფვოდნენ. ლოკალური ტრადიციები ღვთისმსახურების განსხვავებულ ფორმებს ბადებდა, რაც „ნაციონალური ეკლესიების“ განუწყვეტელი კონფლიქტების საფუძველს ქმნიდა; და ბოლოს, ეკლესიის მთლიანობას ბერობაც არღვევდა, რომელსაც (იდეალში) პაპის გავლენა უნდა გაევრცელებინა და განემტკიცებინა მთელს ევროპაში, მაგრამ სინამდვილეში, მთელ რიგ ორდენებად დაყოფილი ბერები თავიანთი წესდებებით ხელმძღვანელობდნენ და ორდენის კეთილდღეობაზე უფრო ფიქრობდნენ, ვიდრე საერთოდ ეკლესიაზე. სასულიერო წოდება სხვა, სოციალური მიზეზის გამოც

არ იყო ერთიანი: სოციალური თვალსაზრისით, ის სხვადასხვა წარმოშობის ელემენტებს აერთიანებდა, დაწყებული ეკლესიის თავადებით (პრელატებით), რომლებიც ბარონთა, ანდა სულაც სამეფო ოჯახებიდან გამოდიოდნენ, და ვლეხობიდან გამოსული სამრევლო მღვდლებით დამთავრებული, თავიანთი ყოფით ნაკლებად რომ განსხვავდებოდნენ მეზობელი გლეხებისაგან.

სასულიერო წოდების ძირითადი ფუნქცია ღვთისმსახურება იყო. ეკლესია სულ ღია უნდა ყოფილიყო, სასანთლე — სულ გაჩაღებული. მღვდლები ეწეოდნენ როგორც ჩვეულებრივს, ისე — უფრო საზეიმო-სადღესასწაულო ღვთისმსახურებასაც, რომლის უმნიშვნელოვანეს ელემენტს მესა წარმოადგენდა, მაგიური განხორციელება პურისა და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაქმნისა, რასაც მორწმუნეთა ზიარება მოსდევდა, ერისკაცებისა — პურით, კლირიკოსებისა კი — პურითაც და ღვინითაც, სოციალურ იერარქიაში თავიანთი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო. გარდა ამისა, მღვდლის მოვალეობას შეადგენდა ყრმათა მონათვლაც, მომაკვდავთა ზიარებაც, მწირთა კურთხევაც, მონანიეთა აღსარების მიღებაცა და წმინდა წყლის დარიგებაც. მაგრამ მღვდლები ღვთაებრივის საზღვრებიდანაც გამოდიოდნენ და მრევლის საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზატორები ხდებოდნენ: საფრთხის მაუწყებლად ეკლესიის ზარებს არისხებდნენ, გვალვისას — წვიმას, ხოლო ეპიდემიის დროს სენის აღკვეთას ევედრებოდნენ უფალს. მღვდელი იყო ყველაზე თვალნათელი შუაკაცი მიწიერ და ციურ სამყაროს შორის. შუა საუკუნეების ეკლესიის ამ ტენდენციას — გამოეტანა თავისი საქმიანობა მოედანზე, გამოსულიყო ტაძრის სივრციდან და, შესაბამისად, განთავისუფლებულიყო უნიფორმიზმისაგან, ღვთისმსახურების ტრადიციულობა რომ აკისრებდა — ბევრად შეუწყო ხელი რელიგიურმა დრამამ. თავისი არსით მეტად წინააღმდეგობრივმა, რამდენადაც ეკლესია, ერთი მხრივ, მტრულად თუ ეკიდებოდა ყოველგვარ ცეკვა-თამაშს, ჟონგლიორთა წარმოდგენებს, წარმართულ თეატრს — მეორე მხრივ, თავად ღვთისმსახურება შეიცავდა თეატრალურ ელემენტს და ეკლესიასაც კარგად ესმოდა პროცესიების და წარმოდგენების თვალსაჩინო ზემოქმედების ძალა. აი, რატომ დაიწყო სასულიერო წოდებამ დრამატული ეფექტების გამოყენება ბიბლიის პროპაგანდის მიზნით: ჯერ ცალკეულ ბიბლიურ ეპიზოდთა ინსცენირებას მიჰყვეს ხელი — ეკლესიაში ცხენზე ამხედრებული მოგვები შემოდიოდნენ, ანგელოსი და წმინდა დედანი ქრისტეს აკლდამას დაეძებდნენ, მერე კი უფრო რთულ სცენებსაც ანსახიერებდნენ, ადამისა და ევას შეცოდების ამბავი იქნებოდა ეს თუ ქრისტეს ჯვარცმისა. ევროპული რელიგიური დრამა სამი ძირითადი სახეობითაა წარმოდგენილი: ლიტურგიული დრამა, ნახევრადლიტურგიული დრამა და მისტერია. ლიტურგიული დრამა, არსებითად, სადღესასწაულო (სა-

შობაო ანდა სააღდგომო) ლიტურგიის ნაწილია, ღვთისმსახურების ენაზე, ანუ, ლათინურად გათამამებული საკურთხევლის წინ; მონაწილე მსახიობები სასულიერო პირები არიან, შესაფერის ტანსაცმელში — ალბასა და ანაფორაში გამოწყობილნი. ნახევრადლიტურგიულმა დრამამ საკურთხეველიდან ეკლესიის ნავში და ტაძრის ბჭესთანაც კი გადაინაცელა. ტექსტი აქაც ძირითადად ლათინური დარჩა, მაგრამ შიგადაშიგ ხალხურ კილოებზე ამეტყველებული პარტიებიც გამოერია. კოსტუმი რამდენადმე დაუახლოვდა ეპოქის ჩაცმულობას. მსახიობები ისევ მღვდლები და კლირიკოსები არიან, მაგრამ ზოგჯერ საერო პირებსაც იწვევენ. ქალთა როლებს ძველებურად კაცები ასრულებენ, მაგრამ მსახიობები ახლა სპეციალურად აგებულ ფიცარნაგზე დგანან, ყველანი ერთად, და მოლაპარაკე მსახიობი გამოდის ხოლმე ოდნავ წინ, რათა რეპლიკის მერე ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდეს. ხოლო, რაც შეეხება მისტერიას, ის, უპირველეს ყოვლისა, უარს ამბობს როგორც ტაძრის შენობაზე, ისევე ლათინურ ენაზე. მისტერია ტაძრის მოედანზე იმკვიდრებს ადგილს, მისი მსახიობები კი რიგითი მოქალაქეები არიან — ხელოსნები და ვაჭრები, თავადაზნაურობის უმდაბლეს ფენასა და კლირიკოსებთან ერთად. მისი ენა სალაპარაკოა, ხოლო კოსტუმი — იმდროინდელი მდიდრული ჩაცმულობა. მისტერია სიუჟეტებს ქრისტიანული მითოლოგიიდან სესხულობდა, მაგრამ შედარებით თავისუფლად ეკიდებოდა ამ სიუჟეტების ახლებურად გააზრებასა და წარმოსახვას, რაც ყოველად შეუძლებელი იქნებოდა საეკლესიო ღვთისმსახურების დროს. მისტერიამ, ლათინურ ენასთან ერთად, უნივერსალისტური თვისებებიც დაკარგა და ეროვნული ელფერი შეიძინა.

თავისი არსით, სასულიერო წოდება ღია წოდება იყო. მართალია, მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებამდე ბევრი სამრევლო მღვდელი ირთავდა ცოლს, მაგრამ, ცელიბატის შემოღების შემდეგ, სამღვდელო დასი მხოლოდ სხვა წოდების ხალხით შეიძლებოდა შევსებულიყო. აქეთ მოისწრაფვოდნენ სენიორთა უმცროსი ვაჟებიც, რომელთაც, სამფლობელოს განუყოფლად შენახვის სისტემა რაინდთა სამყაროდან აძევებდა. სამღვდელო დასის რიგებში შესვლა არც სხვა საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენელთათვის ყოფილა შეუძლებელი, თუმცა პირადად დამოკიდებულ გლეხს გამოსასყიდი უნდა გადაეხადა, თუკი მისი ვაჟი კლირიკოსი გახდებოდა; მაგრამ პრინციპში, შესაძლებელი იყო ამგვარი კარიერა. სასულიერო წოდების უმდაბლეს საფუხურზე კლირიკოსები და სამრევლო ეკლესიის დიაკვნები იდგნენ, რომლებიც მღვდლებს ღვთისმსახურების აღსრულებისას ეხმარებოდნენ და მღვდლის მაგივრად დილისა თუ მწუხრის ლოცვების წაკითხვაც შეეძლოთ. ინგლისელი ისტორიკოსი გ. კაულტონი ამ საფეხურს „მოწაფეობის ბუნებრივ ფორმას“ უწოდებს და, მართლაც, ამგვარ კლირიკოსს, რამდენიმე წლის პრაქტიკის შემდეგ, შეეძლო დაუფლებოდა

მღვდლის პროფესიის ყველა საიდუმლოს, ისევე, როგორც შეგირდი ეუფლებოდა ხარაზობას, ანდა დამუაზო — სამხედრო ხელოვნებას. უმდაბლეს კლირიკოსებს (გამონაკლისის სახით) ცოლის შერთვის უფლებაც ჰქონდათ და რაკი მცოდნენიც იყვნენ, თავიანთი საეკლესიო მოვალეობის გარდა სხვა მოვალეობებსაც ასრულებდნენ: ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიდნენ, წყალობისა თუ ნასყიდობის თამასუქებს ადგენდნენ და მსხვილი მეურნეობების (საეკლესიო თუ სამონასტრო) ანგარიშს აწარმოებდნენ. მოწაფეობა მღვდლად კურთხევით მთავრდებოდა. რიტუალს ეპისკოპოსი ასრულებდა, რომლის უპირველეს ვალდებულებას მომავალი მღვდლის ცოდნისა და მორალური დონის შემოწმება შეადგენდა, თუმცა ეს უკანასკნელი ძალზე ფორმალურად ესმოდათ. ასე, მაგალითად, უკანონო შვილებს არ შეეძლოთ სამღვდელოების რიგებში მოხვედრა. შემოწმება ძალზე ნაჩქარევად და უგულისყუროდ ტარდებოდა; ეპისკოპოსებს უფრო მეტად მომავალი მღვდლის ქონებრივი მდგომარეობა აინტერესებდათ, ჯერ ის უნდა გაერკვიათ, ჰქონდა თუ არა „ტიტული“ ანუ გარანტირებული შემოსავალი, რამდენადაც ეპისკოპოსი ვალდებულებასაც კისრულობდა, „შიმშილისგან დაეცვა“ ის, ვისაც მღვდლად აკურთხებდა. თუ კლირიკოსს „ტიტული“ არ გააჩნდა, რომელიმე კერძო პირისაგან ან მონასტრისაგან შეეძლო მისი მიღება. მღვდლად კურთხევა დიდად იყო დამოკიდებული ადგილობრივ სენიორზე. ისე გამოდიოდა, თითქოს მღვდელი სენიორის ნაწყალობევ მიწას ფლობდა და, გარკვეული თვალსაზრისით, მისი ვასალიც, მისი კაცი ხდებოდა. მეთერთმეტე საუკუნიდან კლირიკოსის საერთო ძალაუფლებებისაგან განთავისუფლებისა და მისი სასულიერო დაწესებულებისათვის დაქვემდებარების ტენდენცია ძლიერდება.

სამრევლო მღვდლები, მღვდელმსახურების ეს უმდაბლესი ფენა, ორ ჯგუფად იყოფოდა, რომლებსაც ინგლისში რექტორებსა და ვიკარებს უწოდებდნენ. რექტორები დამოუკიდებელნი იყვნენ, საეკლესიო ბენეფიციებსაც (მიწის ნაკვეთს) ფლობდნენ და ეკლესიის მთელი შემოსავალიც მათ ხელში იყო. ვიკარი კი რომელიმე დაწესებულებას (ჩვეულებრივ მონასტერს) ექვემდებარებოდა, რომელიც მისი ეკლესიის შემოსავლის ორ-მესამედს ითვისებდა. მაშინდელ პირობებში დამოუკიდებელ რექტორად ყოფნა მხოლოდ ადგილობრივი თავადაზნაურობის წარმომადგენელს შეეძლო; ხოლო სამღვდელოების რიგებში მოხვედრილი გლეხი, გაელენიანი ლინიაჟის მხარდაჭერას მოკლებული, ვიკარობასა და უმნიშვნელო შემოსავალს უნდა დასჯერებოდა; მიუხედავად საეკლესიო ხარისხისა, ის არსებითად, ისევ გლეხურ ცხოვრებას ეწეოდა.

შუა საუკუნეების საზოგადოებაში, განსაკუთრებულ მიდრეკილებას რომ იჩენდა ჟუსტისადმი, კურთხევა (ordinatio ანუ ჩართვა ordo-ში, როგორც სამღვ-

დელოებას უწოდებდნენ) განსაზღვრული რიტუალებით ხდებოდა, რომლებიც მთელი შუა საუკუნეების ისტორიის მანძილზე სულ უფრო და უფრო რთულდებოდა. მღვდლად კურთხევა ეპისკოპოსის მიერ კურთხეულისათვის ხელთდასხმას, მირონცხებას და სიმბოლოების — პურისა და ღვინის გადაცემას გულისხმობდა, რამეთუ მესის დროს ღვინისა და პურის ქრისტეს სისხლადა და ხორცად გადაქცევა ღვთისმსახურების უმთავრეს მომენტს წარმოადგენდა, რასაც ერთგულების დამადასტურებელი ამბორი მოსდევდა (გაიხსენეთ, რა დიდ როლს თამაშობდა კოცნა რაინდულ რიტუალშიც). კიდევ უფრო საზეიმო იყო ეპისკოპოსად კურთხევა (consecratio), თავზე მირონის ცხება და კვერთხისა და ბეჭდის გადაცემა.

როგორც ჩანს, მეექვსე საუკუნემდე სპეციალური ლიტურგიული ტანსაცმელი, რომელსაც მღვდლები ღვთისმსახურების აღსრულებისას იცვამდნენ, არ არსებობდა. კლირიკოსები ერისკაცებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, თეთრი ფერის სამოსელს რომ ანიჭებდნენ უპირატესობას და თავზე ტონზურას იპარსავდნენ. ყოველდღიურად კლირიკოსებსაც ისევე ეცვათ, როგორც ჩვეულებრივი ხალხი იცვამდა, ხოლო ლიტურგიულ ტანსაცმელს საზეიმო დანიშნულება ჰქონდა და სელის, შალისა თუ აბრეშუმის საუკეთესო ქსოვილებისაგან მზადდებოდა, ხშირად ღია ფერისა იყო და ნაქარგით გაწყობილი. ამასთანავე ეკლესიამ უფრო თვალსაჩინოდ შემოინახა ანტიკური (ე. ი. წარმართული) ჩაცმულობის ტრადიციები, ვიდრე საერთო მოდამ. კლირიკოსს ქვედა პერანგსა და ბრეზე თეთრი ტილოს სტიხარი ეცვა (აქედანაა მისი ლათინური სახელწოდება „alba" — „თეთრი") — ვიწრო სახელოიანი გრძელი და წელში გამოყვანილი, თავისებური ტუნიკა. სტიხარის კალთას ხანდახან ფერადი აბრეშუმის აპლიკაცია ან ნაქარგი ამშვენებდა. სტიხარს ზემოდან უფრო მოკლესა და უფრო სწორ ტუნიკას იცვამდნენ, ე. წ. დალმატიკას, რომელიც დიაკვნის ტიპიური სამოსელი იყო, თუმცა ეპისკოპოსებიც ხმარობდნენ. დალმატიკას ფართო სახელოები ჰქონდა, გვერდებში კი ხანდახან ჭრილებს უკეთებდნენ, უკეთესად რომ გამოჩენილიყო ამოქარგული სტიხარი. ადრეული დალმატიკები თეთრია, ხშირად მეწამული აპლიკაციით, ხოლო მეათე საუკუნიდან ყვითელ, ცისფერ, იისფერ, წითელ და მწვანე დალმატიკებსაც ვხედებით. კლირიკოსებს კისერზე სელის სწორკუთხა ამიქტი (სამხრე) ჰქონდათ ჩამოცმული, რომლის ზონრები იღლიებში ინასკვებოდა. როგორც ჩანს, ამიქტს თავდაპირველად მორწმუნეები ლოცვის დროს თავისა და მხრების დასაფარავად ხმარობდნენ, მაგრამ მეთერთმეტე საუკუნეში უკვე სტიხარის ქვეშ ატარებდნენ, ხოლო მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებიდან ამიქტის ბოლოებს, რომლებიც ტუნიკის ჭრილში ჩანდა, არშიასა და გვირისტს უკეთებდნენ. დალმატიკის ზემოდან სტოლას (ეპიტრაქილს) იცვამდნენ. სტო-

ლა — აბრეშუმითა და ოქრომკედით ნაქარგი სელის გრძელი ბაფთა მკერდს დიაგონალურად გასდევდა; მღვდლებს სტოლას ბოლოები მკერდზე ჰქონდათ ჯადაჯვარედინებული; ეპისკოპოსები კი ისე იხვევდნენ კისერზე, ბოლოები სწორად რომ დაშვებულიყო ძირს. (ამასთანავე, ეპისკოპოსები სტოლას დალმატკის ქვეშაც ატარებდნენ). მღვდლის ლაბადა casula (ფელონი ან კუნკულა) ერთიან მრგვალ სამოსელს წარმოადგენდა, რომელსაც შუაში თავის გასაყოფი ჭრილი ჰქონდა და, თავზე გადაცმული, ირიბად ეშვებოდა მუხლებამდე (თუმცა ლაბადა შეიძლებოდა უფრო გრძელი, ანდა უფრო მოკლე ყოფილიყო); ამგვარ ლაბადაში ხელები თავისუფალი ჰქონდათ და სტიქარისა და დალმატიკის კალთებიც კარგად მოუჩანდათ. შემორჩენილია მეთორმეტე საუკუნის ფელონები — მუქი ლურჯი და წითელი აბრეშუმისა, ორნამენტიანი ზოლებით; ფელონებს ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებებითაც ამკობდნენ. პალიუმის (ომფორის) ტარება არქიეპისკოპოსებისა და ზოგიერთი ეპისკოპოსის (აგრეთვე მსხვილი მონასტრების აბატების) პრივილეგია იყო; პალიუმი თეთრი შალის წრეს წარმოადგენდა, რომელსაც ორი ვერტიკალური ბაფთა ჰქონდა მიკერებული და ხუთ ადგილას შავად ან წითლად ნაქარგი ჯვარი ამშვენებდა. პალიუმს რომში კერავდნენ და სპეციალურად აკურთხებდნენ ხოლმე: საფლავზე აფენდნენ, რომელიც გადმოცემით პეტრე მოციქულის საფლავად ითვლებოდა. პრელატები პალიუმს პაპის ხელიდან ღებულობდნენ, ნიშნად მისი უმაღლესობისა. პალიუმის, კვერთხისა და ბეჭდის გარდა, პრელატთა ინსიგნიას მიტრაც წარმოადგენდა. მიტრა თავდაპირველად დაბალი, ნაქარგი ქუდი იყო, მაგრამ მეთორმეტე საუკუნიდან სულ უფრო მაღალი და წოწოლა გახდა.

ეპისკოპოსები — ეკლესიის ჭეშმარიტი თავადები — წარმოშობით ფეოდალურ არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ. საეკლესიო სამართლის შესაბამისად, ეპისკოპოსი მისი ოლქის სამღვდელოებას უნდა აერჩია, მაგრამ, ფაქტიურად, ეპისკოპოსს მსხვილი ფეოდალური სენიორი, ანდა მეფე ნიშნავდა და ინვესტიტურასაც, ანუ ეპისკოპოსის ძალაუფლების სიმბოლოების — კვერთხისა და ბეჭდის გადაცემასაც თავად ანხორციელებდა. ამის შესაბამისად, ფეოდალური საზოგადოების შეგნებაში ეპისკოპოსი მეფის ან ტერიტორიული თავადის (ჰერცოგის გრაფის) ვასალად ითვლებოდა და მის წინაშე იყო ვალდებული. ინვესტიტურის საკითხი განსაკუთრებით მეთერთმეტე საუკუნეში გამწვავდა და ცხარე კამათი გამოიწვია რომის პაპსა და „რომის" იმპერატორს (გერმანიის მეფეს) შორის: პაპები გერმანიის მეფის ვასალი ეპისკოპოსების პაპის კურიის ვასალებად გადაქცევას ესწრაფოდნენ, რაც ქრისტიანული ეკლესიის შედუღაბების უძლიერეს საშუალებად მიაჩნდათ, მაგრამ მიუხედავად პაპობის მრავალი წარმატებისა, ამ ტენდენციამ საყოველთაო ხასიათი მაინც ვერ მიიღო და მეთერთმეტე

საუკუნიდან ინგლისსა და საფრანგეთში ეკლესია ეროვნული სამეფო ძალაუფლების დასაყრდენი ხდება.

ეპისკოპოსები ეკლესიას კაპიტულის დახმარებით მართავდნენ, რომლის წევრებიც (მათ კანონიკებს უწოდებდნენ), უმრავლეს შემთხვევაში, რაინდული ოჯახებიდან იყვნენ გამოსულნი. თავად კაპიტულის ორგანიზაცია (თავდაპირველად კანონიკებს ერთად უნდა ეცხოვრათ საეკლესიო შენობებში) ბარონის ციხედარბაზს მოგვაგონებდა, თავისი რაინდებიანად. კანონიკები მონაწილეობას ღებულობდნენ ეკლესიის მმართველობაში, ეპისკოპოსის არყოფნისას თვითონვე მართავდნენ ეკლესიას და ირჩევდნენ კიდეც ეპისკოპოსს (რის შემდეგაც უნდა მიეღო მას პაპის ან იმპერატორის ინვესტიტურა). დიოცეზის (საეპისკოპოს) მმართველობაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არქიდიაკვანი, რომელსაც ხანდახან „ეპისკოპოსის თვალსაც“ უწოდებდნენ და რომელიც მეთვალყურეობას უწევდა როგორც სამრევლო ეკლესიების საქმიანობას, ისე დიოცეზის მორალურ მდგომარეობას.

საარქიეპისკოპოსოებიც — უფრო დიდი ტერიტორიული გაერთიანებანი, სადაც რამდენიმე ეკლესია იყრიდა თავს — საეპისკოპოსოების პრინციპზე იყვნენ აგებულნი. ეპისკოპოსებიცა და არქიეპისკოპოსებიც სენიორალურ პრინციპს ატარებდნენ შუა საუკუნეების ეკლესიაში.

რომის პაპს უფრო რთული და წინააღმდეგობრივი პოზიცია ეკავა. ერთი მხრივ, უმთავრესად მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებამდე, ის იყო რომისა და უშუალოდ მისი ოლქის ტერიტორიული თავადი; მეორე მხრივ, პაპობა შუასაუკუნეობრივი უნივერსალიზმის იდეას განასახიერებდა, განსაკუთრებული ძალით — მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა სათავეში ჩაუდგა ეკლესიის რეფორმისაკენ მიმართულ მოძრაობას, რომელსაც სასულიერო წოდება ერთ განკერძოებულ და შედუღაბებულ ორგანიზაციად უნდა გადაექცია. ამავე დროს, ისეთ „საერთო ევროპულ“ ღონისძიებებშიც მონაწილეობდა, როგორიც ჯვაროსნული ლაშქრობები გახლდათ. პაპს თავისი კაპიტული ჰყავდა — კურია, რომლის წევრებსაც კარდინალები ერქვათ. ისინი ირჩევდნენ რომის ახალ ეპისკოპოსს, ასრულებდნენ ადმინისტრაციულ ფუნქციებსაც და, კერძოდ, როგორც ლეგატები — მოციქულები — პაპის სახელით აკონტროლებდნენ ცალკეულ ეპისკოპოსებსა და არქიეპისკოპოსებს.

ცელიბატის პრინციპით შეზღუდული სასულიერო წოდება მაინც ერობაში ცხოვრობდა და ქცევის საერო ნორმებსაც იცავდა. ეპისკოპოსები ხშირად სამხედრო ლაშქრობებს სარდლობდნენ, ხოლო კანონიკები მწვერებითა და მიმინოებით ნადირობდნენ. შუა საუკუნეების მორალისტები განუწყვეტლივ კიცხავენ კანონიკების უხამს საქციელს ღვთისმსახურობის დროს — ხმაურს, ხითხითს,

ანდა ისეთ ვითომ უწყინარ გართობებს, როგორიცაა, მაგალითად, გალერეიღან სანთლის ნამწვავების სროლა, თუმცა მორალისტებს უფრო სერიოზული მანკიერებანიც ადარდებთ: პრელატთა უსინდისობა, რომლებიც არცკი ცდილობენ თავიანთი სიმდიდრის დამალვას; აბრეშუმში გამოწყობილ კანონიკთა უგულობა, არაფერი რომ არ სცხიათ სიქველისა; სამრევლო მღვდლების უწიგნურობა და სიხარბე, დუქან-დუქან რომ დაქეიფობენ და მსახურებად ქალებს იყვანენ და არა კაცებს. მიუხედავად ეარეგნული განკერძოებულობისა (ამ განკერძოებულობაში უმთავრეს როლს ჩაცმულობა და ცელიბატის პრინციპი ასრულებდა), სამღვდელოება შუა საუკუნეების საზოგადოებაში ვერ ჩამოყალიბდა მტკიცედ გამიჯნულ ფენად, ყოველ შემთხვევაში, მეთექვსმეტე საუკუნის კონტრრეფორმაციამდე მაინც. სულ სხვა საქმეა ბერობა, რომელიც თავისი სტატუსის მიხედვით, სწორედ საერო ცხოვრებას უნდა დაპირისპირებოდა, მის უარყოფის ცოცხალი მაგალითი უნდა ყოფილიყო და ღვთაებრივი თანაცხოვრების (რა თქმა უნდა, იდეალში) ასლი უნდა წარმოეჩინა მიწაზე.

ბერი უკვე თავისი ცხოვრების ყაიდით უპირისპირდებოდა ქვეყანას. განსხვავებით ბიზანტიისაგან — თავისი განდეგილებით, მეუდაბნოებითა და საგვარეულო ლავრებით — დასავლეთ ევროპაში საერთო საცხოვრებლის მსგავსი მონასტრის ტიპი დამკვიდრდა, სადაც ბერები, სენაკების ნაცვლად, საერთო საძინებელ ოთახებში ცხოვრობდნენ, ისევე, როგორც შინამოსამსახურეები ბარონის ციხე-დარბაზში. მონასტერი გარე სამყაროს კედლით ემიჯნებოდა; ერისკაცთაგან ვერავინ შეაღწევდა შიგნით და თავად ბერებსაც მხოლოდ განსაზღვრული დროით შეეძლოთ მონასტრიდან გამოსვლა, ისიც მონასტრისათვის საჭირო საქმეზე. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში მონასტერი — სოფლის მიდამოებში განლაგებული, მტკიცე და კარგად ორგანიზებული არქიტექტურული კომპლექსია, რომლის ცენტრსაც ე. წ. კლუატრი წარმოადგენს — ოთხივე მხრიდან კოლონადიანი გალერეებით შემოფარგლული სწორკუთხა ღია ეზო, შუაში აღმართული ჯვრით, ანდა შადრევნით. კლუატრი ეკლესიას უერთდებოდა; აქედან შეიძლებოდა ასევე სატრაპეზოში (რეფექტორიუმში), დორმიტორიუმში (მეორე სართულზე) თუ მონასტრის ადმინისტრაციის სათათბირო დარბაზში მოხვედრაც. კლუატრს ემიჯნებოდა სკრიპტორიუმიცა და ხელნაწერთა საცავიც. შიდა ზღუდის გადაღმა მონასტრის ეზო იყო, გარეთა კედლით გარშემორტყმული. ეს ეზო სამეურნეო ნაგებობებს ეთმობოდა: სახელოსნოებს, საწყობებს, საჯინიბოებს, წისქვილებს. ახლო ჰქონდათ საავადმყოფოც, მწირთა მისაღები სახლიცა და მოწყალებათა გასაცემი ფარდულიც.

მონასტრის კედლები თვალნათელ ხორცშესხმას წარმოადგენდნენ იმ პრინციპისას, მეთორმეტე საუკუნეში „ბერულ სარკედ" რომ მონათლეს: იდეალური

ბერი, შუა საუკუნეების ლეგენდის უთვისტომო გმირის მელქისედექის მსგავსად, მამასაც უნდა განდგომოდა, დედასაც და ნათესავსაც; როგორც ფიცის შემდეგ რაინდი შედიოდა სხვა ოჯახში, რომელსაც ის (თეორიულად) სისხლისმიერ ნათესაობაზე მაღლა აყენებდა, ბერიც ასევე და კიდევ უფრო მეტადაც, წყვეტდა ყოველგვარ მიწიერ კავშირს და ბერულ თემს უერთდებოდა — ნათესავთა და მეზობელთა მაგიერს. ბერად აღკვეცას (როგორც რაინდად კურთხევას) წინ უძღოდა შედარებით სანმოკლე (ნახევარწლიანი) გამოცდის პერიოდი, მოწაფეობის ხანა, ანუ ნოვიციატი. ნოვიციუმი (მორჩილი) საეკლესიო სამართლის თანახმად, უფლებამოსილი იყო, ნებისმიერ წუთს დაეტოვებინა სავანე და ერობას დაბრუნებოდა, მაგრამ სოციალური მორალი ამგვარ საქციელს ღალატად თვლიდა და მოღალატე-ნოვიციუმებს „აპოსტატებსა" და „დაღუპულ სულებს" უწოდებდნენ, იმ ბიბლიურ ძაღლებს ადარებდნენ, საკუთარ ამონარწყევს რომ თქვლეფდნენ. ნოვიციუმი განსაკუთრებულ, განსხვავებულ ტანსაცმელს ატარებდა, მაგრამ სრულუფლებიანი ბერი მხოლოდ ბერული სამოსის გადაცემისა და გაკრეჭის საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ხდებოდა, თანაც სამუდამოდ, რადგან ბერობაზე უარის თქმა სავსებით იკრძალებოდა. ბერად აღკვეცის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენდა ე. წ. ad succurendum. ამ ფორმას ძირითადად მძიმე სნეულნი და მომაკვდავნი მიმართავდნენ იმ მოსაზრებით, გაკრეჭილებს სულის ხსნის მეტი შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ.

ბერი განსაზღვრულ ეთიკურ ვალდებულებას კისრულობდა, რომელთა საფუძველსაც მორჩილების, უანგარობისა და უოჯახობის პრინციპი შეადგენდა. ეს სამი პრინციპი განაპირობებდა მიწიერ — ოჯახურ და ქონებრივ — ინტერესთა უგულვებელყოფას და მკაცრი დისციპლინით გამსჭვალულ ახალ ორგანიზაციაში ჩართვას... სამი ბერული პრინციპის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენდა მეექვსე საუკუნეში ბენედიქტე ნურიელის მიერ ჩამოყალიბებული წესდების „ოთხი სვეტი": კერძო საკუთრებაზე უარის თქმა, შრომა, ერისგან განდგომა და საკვების შეზღუდვა. ბენედიქტე ნურიელის წესდების მიხედვით, ბერებს საკუთარი საჭიროებების დამაკმაყოფილებელი, განკერძოებული შრომითი თემი უნდა შეექმნათ, სადაც ყველაფერი კოლექტივის საკუთრება იქნებოდა და სადაც მცირედითაც დაკმაყოფილდებოდნენ (ბერებს ვეგეტარიანელთა დიეტის დაცვა ევალებოდათ, ხორცის ჭამა მხოლოდ ავადმყოფთათვის იყო ნებადართული). მაგრამ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ბენედიქტისეული „ოთხი სვეტი" თითქმის სავსებით დაიკარგა: ფიზიკური შრომა მინდორსა და სამზარეულოში, კლუატრის დასუფთავებაც კი დამოკიდებულ გლეხებსა და დაქირავებულ მსახურებს დააწვათ მხრებზე. ბერებს საკუთარი ფულიც გაუჩნდათ და იმ ფულს ხშირად სარფიანად აბანდებდნენ კიდეც. ბერობა თანდათანობით ისეთი

მოძრავი გახდა, რომ მონასტრის ზღუდის შიგნით ყოფნა, რაც ადრე წესად ითვლებოდა, უწმაწური სიტყვისა თუ ჩხუბისათვის განკუთვნილ სასჯელად გადაიქცა. რაინდთა გაკრეჭილ შთამომავლებს, რა თქმა უნდა, მარხვის შენახვაც უჭირდათ და ხორციანი კერძის გულისთვის საავადმყოფოებში გარბოდნენ; ხოლო როცა პაპმა ეს ჩვეულება აკრძალა, მონასტრებში სპეციალური ოთახებიც კი გაჩნდა, სადაც ძმობის წევრები მშვიდათ ნთქავდნენ ხორცეულს, ისე რომ, არც სატრაპეზო წაებილწათ და არც საავადმყოფო. ასე და ამგვარად, ბერობის იდეალი — ისევე, როგორც შუა საუკუნეების ყველა სხვა იდეალიც — მხოლოდ ადამიანთა შეგნებაში არსებობდა და პრაქტიკულ ცხოვრებაში განუხორციელებელი რჩებოდა; უფრო მეტიც, შუა საუკუნეებში არა მარტო ბერების გაერისკაცებას უჩიოდნენ განუწყვეტლივ, არამედ იმასაც, მათი საქციელი ყოველგვარ ნორმებს რომ არღვევდა, როგორც „ანგელოსური", ისევე ადამიანური მორალისა.

და მაინც, შუა საუკუნეების ბერობა სერიოზულ ძალას წარმოადგენდა და, გარკვეული თვალსაზრისით, ფეოდალთა კლასის თანამზრახველსა და განმამტკიცებელს. მონასტრებს ძირითადად მეფეები და ბარონები აარსებდნენ, ხოლო მათი წინამძღვრები (აბატები), რომელთაც ეკლესიის თავადებს, პრელატთა რიცხვს განაკუთვნებდნენ, არისტოკრატიული ოჯახების შვილები იყვნენ. მონასტრებს ყველაზე უფრო ხელგაშლილად მეფეები, ბარონები და რაინდები წყალობდნენ, მაგრამ, ამავე დროს, აბატებს ფაქტიურად ისინი ნიშნავდნენ და თავიანთ ვასალებად თვლიდნენ. მონასტრები მიწების მსხვილი მესაკუთრეები ხდებოდნენ, ექსპლუატაციას უწევდნენ გლეხობას და, ეპისკოპოსთა და ბარონთა მსგავსად, მათ სიმულვილს იმსახურებდნენ.

თუმცა ბერობა თუ ფეოდალური წეს-წყობილებისა არა, ყოველ შემთხვევაში, ცხოვრების რაინდული წესის თავისებურ უარყოფას მაინც წარმოადგენდა. მონასტრებმა თავიდანვე უარყვეს ის კეთილშობილი დაუდევრობა, გაუაზრებელი ხელგაშლილობა, რასაც რაინდობის იდეოლოგები აიდეალებდნენ. „უანგაროებმა" ფულის ფასი იცოდნენ და, საეკლესიო სამართლის საწინააღმდეგოდ, არც პროცენტიანი სესხის გაცემას ერიდებოდნენ; კარგი მეურნეები იყვნენ, არც ტყეთა გაკაფვა უჭირდათ და შუა საუკუნეების აგროტექნიკის მოწინავე მეთოდებსაც ყაირათიანად იყენებდნენ. მათი შედგენილია გლეხთა მართვის ინსტრუქცია და მათივე შემოღებულია მიწების აღწერა თუ მოურავთა წერილობითი ანგარიშებიც. თავიანთი მამულების „დასამრგვალებლად" ბერები მოხერხებულად იყენებდნენ იმდროინდელი ადამიანის პანიკურ შიშსაც საიქიოს სასჯელისადმი და გლეხებს მონასტრებისთვის მიწის ჩუქებას აიძულებდნენ. სამონასტრო ურბარიუმები (წყალობათა და ნასყიდობის სიგელთა კრებული) გლეხთა ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტებია, სადაც ნათლად ჩანს, თუ თანდათანობით რო-

გორ იქცეოდა გლეხი საabატოს გავლენის ქვეშ, როგორ გადადიოდა მისი ნადელი ბერების ხელში, როგორ აღატაკებდნენ მის შვილებს „ღვთისმოსავი მამები“ ტყუილითა და მუქარით. თუ რაინდობა მხედრულად უწიგნური იყო, მონასტრები განათლების თითქმის ერთადერთ კერებად რჩებოდნენ დიდი ხნის მანძილზე, რამდენადაც სკოლები, სკრიპტორიუმები და ბიბლიოთეკები მარტოდენ მონასტრებთან არსებობდნენ. რაინდობა ომითა და ომისათვის ცხოვრობდა, მონასტრები, პირიქით, ადრეული სამეურნეო რაციონალიზმის მატარებელნი — შინა („ღვთაებრივი“) მშვიდობის პრინციპს ქადაგებდნენ, ეკლესიის მიერ წამოყენებულს მეთორმეტე საუკუნის ბოლოს, როცა მეფის შელახულ ძალაუფლებას აღარ შეეძლო წინ აღსდგომოდა ფეოდალურ ძარცვა-გლეჯასა და ანარქიას, ასე რომ უშლიდნენ ხელს ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას; დადგინდა პერიოდები, როცა სამხედრო მოქმედებანი იკრძალებოდა, ხოლო მოსახლეობის გარკვეული კატეგორია (ქალები ბავშვები, ვაჭრები, უპირველეს ყოვლისა კი — კლირიკოსები) და ასევე მუშა საქონელიც, ეკლესიის მფარველობის ქვეშ მოექცა.

მონასტრები დიდ სამეურნეო ძალას ფლობდნენ და, მიუხედავად ბენედიქტისეული წესდების ყოველნაირი დარღვევისა, მაღალი მორალური ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ. ისინი ეხმარებოდნენ პაპობას საეკლესიო რეფორმისა და უნივერსალისტური პრინციპების განხორციელებაში. და მაინც, მიუხედავად დისციპლინისა, ანგარიანობისა და უნივერსალიზმისაკენ მიდრეკილებისა, ბერობა, როგორც უკვე აღინიშნა, ვერ იქცა ერთიან ორგანიზაციად. ის მთელ რიგ ორდენებად იყოფოდა. თავდაპირველად ევროპაში ბენედიქტეს წესდება დომინირებდა, ბენედიქტე ანიანელის მიერ საბეცელილი და 817 წლიდან ყველა მონასტრისთვის საეალდებულოდ გამოცხადებული. სწორედ ბენედიქტე ანიანელმა უარყო ფიზიკური შრომის ძველი პრინციპი და ბერი მხოლოდ და მხოლოდ ღვთის რაინდად გამოაცხადა, თავისი აბატის მორჩილად და თავისი განსაკუთრებული მოვალეობის — ლოცვისა და ღვთისმსახურების — აღმსრულებლად. ბენედიქტელთა გაერისკაცებამ და, როგორც მაშინ უწოდებდნენ, „შავი ბერების“ ავტორიტეტის დაცემამ, ბერობის რეფორმის მრავალი ცდა გამოიწვია. ერთი ასეთი ცდა ბენედიქტელთა კლიუნის საabატოშიც (ბურგუნდია) ჩატარდა მეთერთმეტე საუკუნეში. გარეგნულად ეს ცდა წესდების უფრო მეტად გამკაცრებასა (მარხვა, დუმილი) და ღვთისმსახურების უფრო მეტად საზეიმო ხასიათში გამოიხატა, არსებითად კი, კლიუნიელებმა ბერობის შემდგომი არისტოკრატიზაცია მოახდინეს. კლიუნის მონასტრები (მონასტრები, რომლებიც კლიუნის მეთაურობით შექმნილ მძლავრ კონგრეგაციაში შედიოდნენ) მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მსხვილ სენიორებთან, თავადაც დიდ სიმდიდრეს ფლობდნენ და, მიუხედავად აბატთა მტკიცებისა, არა ბენედიქტეს თავდაპირველი წესდების



კარმელიტებისა (ზემოთ) და ფრანცისკელების ჩაცმულობა. XV ს-ის მინიატურა.

აღდგენას ესწრაფოდნენ, არამედ ისეთი ბერობის შექმნას, ფეოდალთა კლასის მოთხოვნებს რომ უპასუხებდა. კლიუნიელები, მხარში ედგნენ რა პაპობას, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ და ამიტომაც იყო ალბათ, ადალბერონმა, ლანსის ეპისკოპოსმა, არა მარტო საფრანგეთის, არამედ მთელი მსოფლიოს დასაპყრობად ამხედრებულ რაინდებად რომ გამოსახა ისინი სატირულად.

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში ბერების ახალი ორდენები ჩნდება (კამალდულების, ვალომბროზიელების, კარტეზიანელების, პრემონსტრანტების, კარმელიტების და სხვ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა 1098 წელს დაარსებული ცისტერციანელთა ორდენი. განსხვავებით ბენედიქტელთაგან, „შავი" ბერებისაგან, „თეთრი" ბერები, ცისტერციანელები, ხაზს უსვამდნენ თავიანთი ყოფის ასკეტიზმს, რაც ღვთისმსახურებაშიც კი ჟონავდა. ტილოს სამოსი, რკინისა და ბრინჯაოს სასაკმეველეების, ძვირფასი ნივთების (გარდა „ქრისტეს სისხლის" თასისა), ვიტრაჟისა და საეკლესიო ფერწერის უარყოფა — აშკარად განასხვავებდა მათ კლიუნიელებისაგან. ორდენის მეორე თავისებურებას ბერების დაყოფა შეადგენდა: სრულუფლებიანებად და ე. წ. კონვერსებად, ანუ იმ ძმებად, საზოგადოების მშრომელი ფენებიდან რომ იყვნენ გამოსულნი და ბერულ ტანსაცმელშიც ძველებურად შრომობდნენ. ამ დროს ორ-

დენთა შორის განსაკუთრებული ადგილი სამხედრო-სარაინდო ორდენებს ეჭირათ, რომლებიც თავიანთ დანიშნულებად ცხოვრების ჭვრეტასა და ლოცვას კი არ თვლიდნენ, არამედ აქტიურ მოქმედებას ქრისტიანობის მტრების წინააღმდეგ. ასეთ ორდენებს განეკუთვნებოდა: ჰოსპიტალიერები, ტამპლიერები, ტევტონები და რიგი ესპანური ორდენებისა. თავდაპირველად ეს ორდენები ჯვაროსნებთან ერთად ლაშქრობდნენ სირიაში, მონაწილეობდნენ არაბთაგან ესპანეთის განთავისუფლებაში, მაგრამ თანდათანობით პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგეს, და, კერძოდ ტამპლიერები, კარგად ორგანიზებულ სავაჭრო და საბანკო კომპანიად გადაიქცნენ. და ბოლოს, მეცამეტე საუკუნის დასაწყისში ჩნდება ე. წ. ღატაკი ორდენები — დომინიკელები და ფრანცისკელები (მინორიტები). ფეხშიშველა და წელზე თოკშებმული ბერები, თავიანთი გარეგნობითაც კი, სიღარიბის პრინციპის დამცველებს განასახიერებდნენ; თუმცა კიცხავდნენ რა სიმდიდრესა და მომხვეჭელობას, ეს ღატაკი ორდენები მალე თავად გახდნენ უდიდესი სიმდიდრის მფლობელნი, ქალაქში გადაბარგდნენ და გარეუბნებში დაიწყეს მონასტრების შენება.

დომინიკელთა და ფრანცისკელთა წარმოშობა სხვადასხვაგვარი ხასიათისაა. დომინიკე დე გუსმანმა (1170—1221), წარჩინებულმა ესპანელმა კანონიკმა, ახალი ორდენი აშკარად იმ მიზნით დააარსა, რათა ბრძოლა ვამოეცხადებინა სამხრეთ საფრანგეთში არსებული ერეტიკული მოძრაობისთვის, ხოლო ფრანცისკი (1181—82—1226), ასიზელი მდიდარი ვაჭრის შვილი, თითქმის ერეტიკოსი გახლდათ, საეკლესიო ცხოვრების მამხილებელი და სიღატაკის მქადაგებელი. დომინიკესათვის სიღარიბე ნიღაბი იყო, ფრანცისკისათვის — სოციალური ძიება. მაგრამ მათი სუბიექტური მისწრაფებების მიუხედავად, მეცამეტე საუკუნეში ორივე ორდენი იმ ინსტიტუტებად იქცა, ეკლესიის იდეოლოგიურ ზემოქმედებას რომ ანხორციელებდნენ, უპირველეს ყოლისა, ახალ საზოგადოებრივ ფენომენზე — ქალაქზე, მზარდი სიმდიდრის ცენტრისა და მწვალებლობის კერაზე, თანაც დომინიკელებიცა და მინორიტებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უნივერსიტეტებს უთმობდნენ. შუა საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი ღვთისმეტყველი თომა აქვინელი (1225/26—1474) დომინიკელი გახლდათ. ამგვარად, კლიუნიელმა მეომარმა ბერმა მეცამეტე საუკუნეში ბერ-მქადაგებელს დაუთმო ადგილი.

ბერის ტანსაცმელი (ჩვეულებრივი ქვედა სამოსის გარდა) გრძელი, ვიწრო სახელოებიანი ტუნიკისა, სამხრესა, გვერდებზე გაჭრილი ანაფორისა და კაპიუშონისაგან შედგებოდა. ანაფორა (ბენედიქტისეული წესდების თანახმად) შავი უნდა ყოფილიყო, ადგილობრივი შალისაგან მოქსოვილი. ზამთრობით ბენედიქტელები ცხვრის ტყაპუჭს იცვამდნენ, რათა ხანგრძლივი ღვთისმსახურების

დროს ცივ ეკლესიებში არ გაყინულიყვნენ. ცისტერციანელებს ბენედიქტელთა ჩაცმულობა (განსაკუთრებით ცხვრის ტყაპუჭი) ზედმეტ ფუფუნებად მიაჩნდათ. ბენედიქტელთა შავი ანაფორა მათ ფართო სახელოებიანი და კაპიუშონიანი თეთრი ლაბადით შეცვალეს, მაგრამ სამუშაოდ ცისტერციანელი კონვერსები ულაბადოდ, მხრებზე მოგდებული მოკლე მოსასხამით გადიოდნენ. კომინიკელებმა თავიანთი ჩაცმულობა საერო კოსტუმს დაუახლოვეს: ანაფორის ზემოდან კაპიუშონიანი ლაბადა ჩაიცვეს, ტიპიური მეცამეტე საუკუნის მშრომელი ხალხისთვის.

ქალაქი შუა საუკუნეების საზოგადოებაში გაორებული ხასიათის მოვლენად შეიჭრა: როგორც მისი შემადგენელი ნაწილიცა და, ამავე დროს, როგორც ძისი უარყოფაც. ქალაქის ეკონომიკის ამოცანას (ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში) ისევ შუა საუკუნეობრივად უბრალო წარმოება შეადგენდა; მისი არქიტექტურა სოფლური ნაგებობების მშენებლობისას გამომუშავებულ პრინციპებსა და ციხე-დარბაზების საფორტიფიკაციო ხელოვნებას აღეიებდა (რამაც ქალაქის სახელწოდებაშიც ჰპოვა გამოხატულება: castrum, castellum — ლათინურად, Burg — გერმანულად); ქალაქელთა ყოფა-ცხოვრება და ჩაცმულობა ფეოდალურ მოდას შეესაბამებოდა და სწორედ ქალაქის მოედანზე მიაღწია განვითარების უმაღლეს მწვერვალს შუა საუკუნეობრივმა ტაძრულმა ხუროთმოძღვრებამაც. ქალაქის თავკაცობა, პატრიციატი, ფეოდალურ არისტოკრატიას ბაძავდა, საკუთარი ლინიაჟების შექმნისაკენ ისწრაფვოდა, რომლებშიაც მრავალი წარჩინებული იყრიდა თავს, და ქონებას მიწებში აბანდებდა. და მაინც, არ შეიძლებოდა, ქალაქი ფეოდალიზმის ანტითეზად არ ქცეულიყო. მართალია, ქალაქელებს საქონელიც ჰყავდათ, ვენახებსა და ყანებს ამუშავებდნენ, მაგრამ ქალაქი, უპირველეს ყოელისა, მაინც ვაჭრობის, რეწვის (სამთო საქმე, მეთევზეობა) და სპეციალიზებული ხელოსნობის ცენტრი იყო, რომელიც მოსახლეობის ძირითად ნაწილს ასაქმებდა. ქალაქური მეურნეობა სასოფლო მეურნეობაზე გაცილებით მეტად ახდენდა ორიენტაციას ფულად გაცვლა-გამოცვლაზე და სწორედ სახელოსნოებსა და სავაჭრო დაწესებულებებში დაიწყეს დაქირავებული შრომის გამოყენებაც, უფრო ადრე და სისტემატურადაც, ვიდრე გლეხურ და სენიორალურ მეურნეობებში. მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მანძილზე ქალაქია ეკონომიური და კულტურული მეკვლე შუა საუკუნეობრივი ცხოვრებისა: ეკონომიკის მამოძრავებელი და ახალი ცოდნის გამავრცელებელი. აქ ეყრებოდა საფუძველი ტექნოლოგიურ ძიებებს, სატრანსპორტო საშუალებათა სრულყოფისკენ მისწრაფებასა თუ საიმედო ინფორმაციის მოთხოვნილებას. ეს, რაც სამეურნეო მოქმედების სფეროს განეკუთვნება, ხოლო სოციალურ სფეროში ქალაქი თავისუფლების მედროშედ იქცა. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ე. წ. კომუნალური მოძრაობის შედეგად ქალაქებმა მოახერხეს განთავი-

სუფლებულიყვნენ საერო თუ საეკლესიო სენიორების ძალაუფლებისგან, თავი დააღწიეს ფეოდალურ კანონმდებლობას და ქალაქის კანონმდებლობით სარგებლობის პრივილეგია მოიპოვეს — ქალაქის ტერიტორიასა და მის მომიჯნავე ვიწრო ზოლზე. ქალაქურმა კანონმდებლობამ არა მარტო გამოაცალკევა კომუნა, გამოიყვანა რა სენიორალური იურისდიქციის გავლენის სფეროდან, არამედ, უფრო მეტიც, ფეოდალურ სისტემას დაუპირისპირა იგი. კარგად ცნობილი პრინციპი — „ქალაქის ჰაერი გათავისუფლებს" — საშუალებას აძლევდა ფეოდალურად დამოკიდებულ გლეხს, რომელიც წელიწადსა და ერთ დღეს იცხოვრებდა ქალაქში, გამოთხოვებოდა ადრინდელ დამოკიდებულებას და თავისუფლება მოეპოვებინა. ბევრმა ქალაქმა განდევნა მის კედლებში მცხოვრები ფეოდალი, ანდა შეზღუდა მათი უფლებანი, რითაც ახალი ქალაქური პრივილეგირებულობა შექმნა. და ბოლოს, ქალაქებმა ადმინისტრაციული ორგანიზაციის თავიანთი ფორმები დაამყარეს: ჩვეულებრივ, სამრეველო ეკლესიების გარშემო დაჯგუფებული ტერიტორიული ძმობები; სრულუფლებიანი ოსტატების — სახელოსნოებისა და ფარდულების მესაკუთრეების და ქარგალთა ძმობის გამაერთიანებელი სავაჭრო-ხელოსნური კორპორაციები (ამქრები და გილდიები); და, რაღა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, კომუნალური თვითმართველობის ორგანოები — ქალაქური საბჭოები.

ქალაქმა ახალი ტიპის შეიარაღებაც შექმნა, რაინდულ შუბს მდაბიური მშვილდ-ისარი დაუპირისპირა, მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოს კი, ცეცხლმსროლელი იარაღი — ქვემეხიც გამოიგონა, რაც თავდაპირველად, ძირითადად, ციხესიმაგრეთა დასანგრევად იყო გამიზნული. ქალაქი ახალი, საუნივერსიტეტო მეცნიერების ასპარეზად და რელიგიური თუ სოციალური ძიებების — ერესის ცენტრად იქცა. ამიტომ ბუნებრივია, თავისი სიმდიდრით მიმზიდველი, მაგრამ სიუცხოვით საძულველი ქალაქი მტრად რომ მოეელინა ფეოდალურ სამყაროს: რაინდობას, ეკლესიასა და მონასტრებს.

ქალაქის ანტიკური ტრადიცია ევროპაში გერმანელთა შემოსევებმა, შემდეგ კი არაბების მიერ ხმელთაშუაზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ნაწილის დაპყრობამ შეწყვიტა. ძველი ქალაქებისაგან მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა. თუმცა ქალაქური ცხოვრება მთლიანად მაინც არ გამქრალა. მისი ცალკეული კერები ჯიუტად ღვიოდნენ იტალიასა თუ სამხრეთ საფრანგეთში. ადრეული შუა საუკუნეებისათვის ცნობილია რამდენიმე სუსტი ცდა ქალაქური, უფრო სწორად, წინა-ქალაქური ცხოვრების აღორძინებისა: მეშვიდე-მერვე საუკუნეებში მაასის აუზსა და ლამანშის ბრიტანულ სანაპიროზე, მეცხრე საუკუნეში — უზარმაზარ ტერიტორიაზე — სამხრეთ გალიიდან ცენტრალურ გერმანიამდე და აგრეთვე აქვიტანიაში. აქა-იქ (ბიზანტიასა და იტალიაში) უკვე მეათე საუკუნეში

მინიატურა პარიზელ შანსონიეთა სიმღერების კრებულიდან (XIII ს. დასასრული — XIV ს. დასაწყისი), რომელიც წარმოადგენს რელიგიური (ბარცხნივ, ბერები), კურტუაზული (ფიგურები ცენტრში) და გლეხური სიმღერების ილუსტრაციას.

იწყება ახალი ქალაქების განვითარება. მაგრამ მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნისათვის მოიცვა ურბანიზაციის ახალმა ტალღამ დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ოლქთა უმრავლესობა. მაღალი, ანუ კლასიკური შუა საუკუნეების ქალაქი — ეკონომიკური, უფლებრივი, ტოპოგრაფიული და ყოფითი თვალსაზრისით განკერძოებული მოსაზღვრე ტერიტორიებისაგან, თავისი მყარი სტაბილური მოსახლეობით, სრულიად ახალ ფენომენს წარმოადგენდა და პრინციპულად განსხვავდებოდა როგორც ბერძნული პოლისისა და რომაული მუნიციპიუმისაგან, ისე ადრეული შუა საუკუნეების ქალაქის ემბრიონული ფორმებისაგანაც. გარკვეული დროის მანძილზე ქალაქის კომუნები ფეოდალური სისტემის ჩარჩოებში არსებობდნენ; ისინი თავიანთ განსაკუთრებულობას მხოლოდ მეთოთხმეტე საუკუნეში შეიცნობენ, როცა თავს იჩენს აშკარა კონფლიქტი ბიურგერულ და ფეოდალურ გემოვნებასა და შეხედულებებს შორის. იქამდე კი, წინააღმდეგობანი ლატენტურნი რჩებიან და ღატაკი ორდენები ჯერ კიდევ არ ჰარგავენ იმედს, უმნიშვნელო დათმობათა ფასად, თავიანთ იდეურ უზენაესობას რომ შეინარჩუნებენ ქალაქებში.

მოქალაქე, ისევე როგორც რაინდი, თავდაპირველად დამოუკიდებელ ინდივიდად არ გვევლინება და საზოგადოებაში სხვადასხვანაირი კოოპერატიული კავშირების სისტემის მეშვეობითაა ჩართული: უპირველეს ყოვლისა, ის კომუნის წევრია, ქალაქური მთლიანობის ნაწილი. ქალაქის მოსახლეობა სხვადასხვა სოციალური ფენებისგან შეიქმნა: ვაჭრებისგან, თავდაპირველად განცალკევებულ დასახლებებში რომ ცხოვრობდნენ, რომელთაც გერმანიაში Wik-ს უწოდებდნენ; თავისუფალი თუ დამოკიდებული ხელოსნებისაგან; თავისუფალი მიწათმფლობელებისა თუ სენიორალური მსახური-მინისტერიალებისაგან (უმთავრესად, ეპისკოპოსთა მინისტერიალებისაგან). ყველა ამ ხალხს განსხვავებული უფლებრივი სტატუსი გააჩნდა, მაგრამ ქალაქის ჩამოყალიბების პროცესში უფლებრივი განსხვავებები წაიშალა და ეკონომიურად ჭრელი, მაგრამ თავისებურად ერთიანი მოსახლეობა შეიქმნა, საერთო უფლებებითა და ურთიერთდახმარების ვალდებულებით შეკავშირებული, სოფლური თემის წევრების მსგავსად. თუმცა, სოფლური თემისაგან განსხვავებით, რომელმაც მაინც შეინარჩუნა დამოკიდებულებისა და უფლებრივი სტატუსის განსხვავებული ფორმები, ქალაქური კომუნა უფლებრივი უნიფიკაციისაკენ მიისწრაფვის. მეთერთმეტე საუკუნის საფრანგეთში, ხოლო ასი წლის მერე გერმანიაშიც, უპირველეს ყოვლისა, საეპისკოპოსო ქალაქებში, რაინსა და დუნაიზე, იქმნება ბიურგერობის ცნება — burgenses, რომელიც კომუნის სრულუფლებიან წევრთა ერთობლიობას მოიცავს. და მაინც, ქალაქის ყველა მცხოვრები როდი იყო ბიურგერი. სრულუფლებიანი მოქალაქე თავდაპირველად მიწის ნაგელის მფლობელიც უნდა ყოფილიყო, უფრო მოგვიანებით კი, თუნდაც სახლის ნაწილისა (ფრეიბურგში, მაგალითად, მეცამეტე საუკუნეში, გარკვეული ღირებულების სახლის მერვედის ფლობაც კმარობდა). და ბოლოს, სრულუფლებიან მოქალაქეს სპეციალური ბაჟიც უნდა გადაეხადა. ბიურგერობას არ განეკუთვნებოდნენ „ღარიბები" ანუ სტუმრები, ის პირები, ვინც ბიურგერებს ემსახურებოდნენ; აგრეთვე ქარგლები და დღიური მუშები. ისინი ქალაქისთვის მუშაობდნენ, უძრავი ქონების შეძენაც შეეძლოთ, მაგრამ საკუთარი კერის გაჩენის უფლება არ ჰქონდათ. ასევე არ განეკუთვნებოდნენ ბიურგერობას კლირიკოსები და ებრაელები; ებრაელები ცალკე უბანში ცხოვრობდნენ და ავტონომიურ თემს ქმნიდნენ.

არც თავად ბიურგერობა ყოფილა ერთიანი; ის ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: პატრიციატად და ოსტატებად. პატრიციატს ეპყრა ხელთ ქალაქის საბჭოების მართვა-გამგეობა (მათი წარმოქმნიდან მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულამდე), ის იყო ქალაქისა და მისი უახლოესი ოლქის ხელისუფალიც და დიპლომატიური წარმომადგენელიც სხვა ქალაქებთან, საერო და სასულიერო თავადებსა თუ მეფის კართან ურთიერთობისას. ქალაქის პატრიციებს შორის ძირითადი ადგილი

კარნავალი. XIV ს-ის დასაწყისი. მინიატურა.

ვაჭრებსა და მიწის მფლობელებს ეკავათ. პატრიციატი ღია სოციალურ დაჯგუფებას წარმოადგენდა, რომელიც თავის რიგებს გამდიდრებული ხელოსნების ხარჯზე ავსებდა და ყოფა-ცხოვრებით რაინდობას ბაძავდა. პატრიციები დიდ ლინიაჟებს ქმნიდნენ და საგვარეულო სოლიდარობას იცავდნენ, მდიდრულად ეცვათ, ჰქონდათ ღერბები, ატარებდნენ დეზებს, ცხენზე ამხედრებულნი იბრძოდნენ, ტურნირებს ესწრებოდნენ და ფეოდალურ არისტოკრატიასთან დანათესავებასა და რაინდად კურთხევაზე ოცნებობდნენ.

პატრიცოა ლინიაჟების მისწრაფება — გატოლებოდნენ ფეოდალურ სენიორებს, ინდივიდუალურ დონეზე წარმატებით დაგვირგვინდა, მაგრამ სოციალურ დონეზე უნაყოფო გამოდგა. ძველი პოზიციებიც დაკარგეს და ვერც არისტოკრატიის რიგებში შეაღწიეს, რადგან არისტოკრატიისათვის, მიუხედავად სიმდიდრისა, ისინი მაინც მეორეხარისხოვან ხალხად რჩებოდნენ. ჩვენ უკვე ვნახეთ, საფრანგეთის მეფეებმა, კანონმდებლობის ძალით, როგორ გაავლეს ზღვარი წარჩინებული ადამიანისა და მოქალაქის ჩაცმულობას შორის.

ქალაქის პატრიციატი, თუმცა გაკეთილშობილებისკენ ილტვოდა, მაინც პრინციპულად განსხვავდებოდა ჭეშმარიტი ბარონებისა და შატლენებისაგან; და

არა მხოლოდ ამ სოციალური დაჯგუფების ღია ხასიათის გამო; უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მიწის ექსპლოატაცია არ შეადგენდა ქალაქის ნობილების ძირითად ფუნქციას; ისინი შედარებით მცირე მიწებს ფლობდნენ, უპირველეს ყოვლისა, პრესტიჟისთვის, მაშინ როცა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების პატრიციატის სიმდიდრე სხვა სავაჭრო-სამეურნეო სფეროში ყალიბდებოდა, ქალაქის საშემოსავლო ხელშეკრულების (ბაჟის გამოსყიდვა) ექსპლოატაციისა და ქალაქის ქონების იჯარის გზით. ნობილების საქმიანობას ქალაქის პრივილეგიებისა და ქონების მონოპოლია განაპირობებდა, მაგრამ, ამავე დროს, გარკვეულ ფხასა და ენერგიას მოითხოვდა იმ სფეროში, სრულად უცხო და მიუღებელი რომ იყო ჭეშმარიტი რაინდისთვის. შემთხვევითი არ არის ალბათ, რომ მეცამეტე საუკუნეში სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია სწორედ ისეთი პატრიციული ცენტრების სიახლოვეს შეიმჩნევა, როგორიც იყო კიოლნი და გენტი. იმ ქალაქებში, სადაც მაღალგანვითარებული საექსპორტო ხელოსნობის დარგები (უპ. ყოვლისა, მაუდის წარმოება) არსებობდა, ევროპის ჩრდილო-დასავლეთითა და ჩრდილოეთ იტალიაში რომ წარმოიქმნენ მეთორმეტე საუკუნის შუა ხანებიდან, პატრიციატის ნაწილმა მევახშეობასა და ქალაქის მონოპოლიების შესყიდვას ხელოსნობის ორგანიზაცია ამჯობინა. ამგვარი პატრიციის — ხელოსნობის ორგანიზატორის — დამახასიათებელი მაგალითია დუელი ბოინბროკი, რომელიც ცხრაგზის იყო ეშვეენი (მრჩეველი) მშობლიურ ქალაქში. ბოინბროკი 1285 წელს გარდაიცვალა და დიდი სიმდიდრე დატოვა, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს უძრავი ქონება შეადგენდა. ბოინბროკს ინგლისში შესყიდული მატყლი ტომრებით ჩამოჰქონდა ღუეში და დასართავად სოფელ-სოფელ ურიგებდა გლეხებს; ნართი კი, ნომინალურად თავისუფალი, მაგრამ სამეურნეო თვალსაზრისით ბოინბროკზე დამოკიდებული ფეიქრების ხელში იყრიდა თავს. ბოინბროკს საკუთარი სამღებროც ჰქონდა. სიკვდილის წინ, თავის მოხელეებს ვალების დაფარვა და ძველი ცოდვების გამოსყიდვა რომ დაავალა, ხუთ-ნახევარი მეტრის სიგრძე პერგამენტმა ძლივს დაიტია დუელი ეშვეენის ბოროტმოქმედებანი.

პატრიციატსა და ოსტატ-ხელოსანთა შორის მკვეთრი განსხვავება არსებობდა. თუმცა, მეთოთხმეტე საუკუნემდე ეს განსხვავება, ქონებრივი და პოლიტიკური, არ ქცეულა აშკარა წინააღმდეგობების მიზეზად და ოსტატებიც მხარში ედგნენ ხოლმე პატრიციატს ქალაქთა საერო თუ სასულიერო სენიორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სრული სიმწვავით ანტაგონიზმმა თავი მეთოთხმეტე საუკუნეში იჩინა და მთელი რიგი შეტაკებების სახით გამოვლინდა, რომელთა მიზანსაც ბიურგერთა პოლიტიკური თანაბარუფლებიანობის დამყარება შეადგენდა. ბიურგერობის რთული შეშადგენლობა კომუნალური კავშირების მერყეობას

უწყობდა ხელს და ქალაქებში სხვა ხასიათის გაერთიანებანი ჩნდებოდნენ, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი ამქრებს ეკავათ. ამქარი ერთი პროფესიის ოსტატების გამაერთიანებელი სავაჭრო-სახელოსნო კორპორაციაა. ამქარი, როგორც წესი, არ მისდევდა წარმოების ორგანიზაციას და ამქრის ოსტატიც ინდივიდუალურად მუშაობდა საკუთარ სახელოსნოში, თავის შეგირდებთან და მოწაფეებთან ერთად. ამქრის ამოცანას, უპირველეს ყოვლისა, ოსტატთა პრივილეგიების უზრუნველყოფა შეადგენდა, მათი გამოცალკევება გარეშე ოსტატთაგან და, ამავე დროს, კონტროლის სისტემის მეშვეობით, ამქრის შიგნით ეგალიტარული ტენდენციების შენარჩუნება. საამქრო წესდებები განსაზღვრავდნენ ფასებს, პროდუქციის ხარისხს, სახელოსნოთა ზომებს, ქარგალთა რაოდენობას, სამუშაო დროს. ამქრის ინტერესების დაცვას უხუცესები ადეკნებდნენ თვალყურს. ამასთანავე, ამქარი ოსტატებს არასამეურნეო საქმიანობაშიც აერთიანებდა. ამქარს თავისი საერთო მფარველი-წმინდანი ჰყავდა და ამქრული გაერთიანება ხშირად საქველმოქმედო ფუნქციების განმახორციელებელ რელიგიურ ძმობასაც ემსგავსებოდა. ამქრები ფლობდნენ ან იჯარით იღებდნენ საზიარო შენობებს საწყობებისთვის, ანდა რთული ტექნიკური ოპერაციების შესასრულებლად, მაგრამ უმთავრესად, სწორედ იქ იყრიდა თავს ოსტატთა არასამეურნეო ცხოვრება: იმართებოდა ნადიმები და საცეკვაო საღამოები, ტარდებოდა მოწაფეთა რეგისტრაცია და ოსტატის წოდების მისაღები გამოცდები.

მაგრამ, ისევე როგორც შუა საუკუნეობრივი საზოგადოების ყველა დაწესებულება, ამქარიც გაორებული და წინააღმდეგობრივი ხასიათის ინსტიტუტი იყო. ზღუდავდა რა ამქარსგარეთ დარჩენილ ხელოსნებს და ექსპლუატაციას უწევდა მათ შრომას, მრავალი ამქარი თანდათანობით კარჩაკეტილი და პრივილეგირებული ხდებოდა; უპირველეს ყოვლისა, ოსტატთა შვილებს უღებდა კარს, ხოლო გარეშეთათვის ათასგვარ წინააღმდეგობას იგონებდა, როგორც ქონებრივს (სავალდებულო იყო ოსტატთა მდიდრული გამასპინძლება), ისევე მორალურს (რა თქმა უნდა, შუა საუკუნეობრივი გაგებით: უკანონო ქორწინების შვილი ანდა უკანონოდ გაჩენილი ქალის ქმარი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხვდებოდა ზოგიერთ პრივილეგირებულ ამქარში). ამქრის შიგნით იერარქია დამყარდა, ჩვეულებრივ, სამწევრიანი: ოსტატი — ქარგალი — შეგირდი. თუ შეგირდი ოსტატს ხელობის შესასწავლ ქირას უხდის, ქარგალი უკვე კვალიფიცირებული ხელფასიანი მუშაკია.

მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნის ქარგალთა მდგომარეობას ოჯახური ექსპლოატაციის ნიშნები ახასიათებს: ქარგლის სტატუსი დროებითი იყო, ცხოვრობდა და იკვებებოდა ოსტატის სახლში და ხშირად მისი კარიერა ოსტატის ქალიშვილზე დაქორწინებით მთავრდებოდა. მაგრამ ოჯახურ ნიშან-თვისებებს

მაინც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა; ქარგლისა და ოსტატის ურთიერთობას, ძირითადად, ხელფასი განაპირობებდა და სწორედ ქარგლის სტატუსის ამ მხარემ, ანუ ქარგლის, როგორც დაქირავებული მუშახელის არსებობამ, მრავალი ცვლილება მოიყოლა თან მომავალში. ქარგლის გადასვლა სრულუფლებიან ოსტატთა რიგებში სულ უფრო ძნელი შეიქმნა: შედეგრის შექმნის გარდა, მას მთელი რიგი სოციალური თუ ქონებრივი მოთხოვნები წაუყენეს: ქარგალი ბიურგერი და კანონიერი ქორწინების შვილი უნდა ყოფილიყო, ამქრის სასარგებლოდ გადასახადის შეტანა და ოსტატებისა და მათი ცოლების მდიდრული გამასპინძლება ევალებოდა. მეთოთხმეტე საუკუნიდან დასავლეთ ევროპის ქალაქებში იწყება განსაკუთრებული ფენის — მუდმივი, „მარადიული" ქარგლების ჩამოყალიბება. ამქრული წესდებები იხსენიებენ ცოლშვილიან, ცალკე მცხოვრებ ქარგლებს (უმთავრესად, სამშენებლო სპეციალობათა წარმომადგენლებს), რაც ამქრული წეს-წყობილების პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ იმ დროისათვის აუცილებლობად იქცა. ამქარი განსაზღვრავდა და ზღუდავდა კიდეც ქარგალთა ქცევასა თუ ჩაცმულობას, დუქნებში თუ საცეკვაო საღამოებზე სიარულს; მაგალითად, გერმანიის ქალაქებში ქარგლებს აკრძალული ჰქონდათ საცეკვაოდ წასულიყვნენ იქ, სადაც შეიძლებოდა ბიურგერთა ცოლებიც ყოფილიყვნენ; ასევე ეკრძალებოდათ ბიურგერთა ქორწილებზე დასწრება; ზამთრობით — ცხრა, ზაფხულობით კი ათ საათზე გვიან დაბრუნება შინ; ვერცხლის სამკაულის, ერთნაირი პერანგებისა და ქუდების ტარება და ა. შ. ქარგლების სოციალურ კატეგორიად განცალკევებამ განსაკუთრებული ორგანიზაციების — ქარგალთა ძმობების დაარსება განაპირობა, რომლებიც ფაქტიურად ამქრებს დაუპირისპირდნენ, სადაც დაქირავებული მუშები ადმინისტრაციულად უუფლებონი, ყოველ შემთხვევაში, არასრულუფლებიანნი იყვნენ. ქარგლებს ძმობაში შესასვლელად გადასახადი უნდა შეეტანათ და შემდეგ, განსაზღვრული დროის მანძილზე, საწევრო ეხადათ. ამგვარად შეგროვებული სახსრები დაკრძალვებსა და საქველმოქმედო მიზნებს ხმარდებოდა, ვინაიდან ამქრის ოსტატი ვალდებული არ იყო, ფულადი დახმარება გაეწია ავადმყოფი ან დასახიჩრებული ქარგლისათვის. ურთიერთდახმარების გარდა, ძმობა შუასაუკუნეობრივი სამეურნეო სისტემისთვის დამახასიათებელ კიდევ ერთ ფუნქციას ასრულებდა: მსგავსად ამქრისა, რომელიც ქალაქში მუშაობას უკრძალავდა ამქრის გარეთ დარჩენილ ხელოსნებს, ქარგალთა ძმობაც ეწინააღმდეგებოდა იმ მუშახელის დაქირავებას, ვინც მათ ორგანიზაციას არ უერთდებოდა და მათ მოთხოვნებს არ ემორჩილებოდა.

ქალაქებში განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნობოდა ქონებრივი უთანასწორობა; აქ იყრიდა თავს უდიდესი სიმდიდრე და, ამასთანავე, აქ ისეთი ხალხიც

ცხოვრობდა, ერთი გოჯი მიწა, ერთი მსხმოიარე ხე და საკუთარი ხუხულაც რომ არ გააჩნდა — მოკლედ, ღატაკები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. სიღატაკე. დასავლეთ ევრმანელი ისტორიკოსის ე. მაშკეს სიტყვით რომ ვთქვათ, — „შუა საუკუნეობრივი ქალაქის სოციალური კონსტანტაა". ჯერ კიდევ ევროპული საქალაქო ისტორიის ადრეულ ეტაპზე, მეცხრე საუკუნეში, წყაროების მიხედვით, ფრიზის ქალაქ დურსტედში „ხალხის დიდ მასას საარსებო საშუალებანი არ გააჩნდა". ამ ფენის მრავალრიცხოვნებაზე მიგვითითებს კლასიკური შუა საუკუნეების პერიოდში ქალაქთა ხელისუფლების მიერ უპოვართა დასახმარებლად გატარებული ღონისძიებანიც. ფეოდალთა ძალმომრეობა და სტიქიური უბედურებები უამრავ ადამიანს უმსხვრევდა ჩვეულებრივ სასიცოცხლო პირობებს. განსაკუთრებით იზრდება ღატაკთა რიცხვი (თანაც არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც) მეთოთხმეტე საუკუნიდან, როცა შუა საუკუნეების ეკონომიკა ახალ საყრდენებზე გადადის და როცა ბევრგან ფეოდალები გლეხებს საკუთარი მიწებიდანაც აძევებენ, რადგან დამოკიდებულ მებეგარეს დაქირავებული ბოგანო ურჩევნიათ. საფრანგეთსა და ნიდერლანდების ცალკეულ ოლქებში ღატაკები მოსახლეობის ოცდაათ და მეტ პროცენტსაც შეადგენდნენ, ხოლო იმ პერიოდისთვის განსაკუთრებულად განვითარებულ ქალაქებში საარსებო მინიმუმი, ფრანგი მკვლევარის მ. მოლის მონაცემებით, არ გააჩნდა მცხოვრებთა თითქმის ნახევარს. ამ დროიდან და სწორედ ქალაქებში იწყება სიღატაკის აღქმა, როგორც სოციალური პრობლემისა. საქმე ისაა, რომ საერთოდ შუა საუკუნეებს სიღარიბესა და სიღატაკეზე თავისებური წარმოდგენა ახასიათებდა. ქრისტიანული ტრადიციის შესაბამისად, სიღარიბეს გაიაზრებდნენ, როგორც ღვთისათვის სასურველ მდგომარეობას (აქედანაა გამოთქმა — „ღვთის გლახა"), თავად ღარიბს კი — ღმერთის რჩეულად, ვინაც მიწიერ კეთილდღეობას ზეციერი კეთილდღეობა ამჯობინა. შუა საუკუნეების მორალისტები, როცა სიღარიბეს აქებენ, ჩვეულებრივ სიმდიდრეს კი არ კიცხავენ, არამედ სიხარბეს, როგორც ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვას. სიღარიბესა და სიმდიდრეს ხშირად ურთიერთშემავსებელ ცნებებადაც მიიჩნევენ: მდიდრები — „ღატაკთა ხაზინადარები" — რაკი ზედმეტსა და მონარჩენს ღარიბებს ურიგებდნენ, ამით „თვით ქრისტეს" ემსახურებოდნენ. შესაბამისად, ისეთი მიმდინარეობებიც იქმნებოდა, რომელთა წარმომადგენლები სიმდიდრესა და საკუთრებაზე საერთოდ უარის თქმას ეოითხოვდნენ, როგორც სულის ხსნის ერთადერთ პირობას. ესენი იყვნენ ერეტიკოსები (ვალდენსთა ტიპისა) და ზემოხსენებული დომინიკელთა და ფრანცისკელთა ღარიბი ორდენები. ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც მოწყალების გაღებას (განსაკუთრებით ეკლესიის მეშვეობით) მწყალობლის სულის ხსნად თვლიდა, განსაკუთრებულად უწყობდა ხელს სიღატაკის გავრცელებას; ღატაკები შუა

საუკუნეობრივი სოციალური წყობილებისათვის აუცილებელ კატეგორიად იქცნენ: ისინი მეფეთა და ბარონთა კარზე, ტაძრებსა და მონასტრებში იკვებებოდნენ, სილატაკეს ბუნებრივ და ვარდუვალ ბოროტებად თვლიდნენ, ისევე, როგორც სტიქიურ უბედურებებს, და არავინ ფიქრობდა, მის აღსაკვეთად ეღონა რამე. პირიქით, ღატაკებს თავისებურად ელოლიავებოდნენ კიდეც, მათ განკითხვას, გამასპინძლებას, მკურნალობასა თუ განბანას ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი ეჭირა სამეფო თუ საეკლესიო დღესასწაულების რიტუალში. ამასთანავე, ყურადღების ცენტრში იყვნენ არა თვით უპოვარნი, არამედ მწყალობლები: ღატაკები, მ. მოლის სიტყვით, გულმოწყალების გამოსაჩენად ჭირდებოდათ. შოტლანდიის დედოფლის „წმინდა მარგარიტას ცხოვრებაში" (მეცხრე საუკუნის დასასრული) დაწერილებითაა აღწერილი მსგავსი რიტუალური პროცედურები: როგორ ბანს დედოფალი ფეხებს მისი მსახურების მიერ წინასწარ გამზადებულ ექვს მათხოვარს; როგორ აპურებს ობლებს და როგორ ემსახურება სასახლეში მოწვეულ ღატაკებს. საჭმელს მხოლოდ ღატაკთა მკაცრად განსაზღვრულ ნაწილს აძლევდნენ (ჩვეულებრივ, თორმეტ ან ოცდაოთხ კაცს) და არა ყველა გაჭირვებულს. მაგრამ თუ მეცამეტე საუკუნემდე სილატაკეს უმთავრესად მორალურ და რელიგიურ პრობლემად თვლიდნენ, თანდათანობით მას უკვე სახიფათო ავადმყოფობად აღიქვამენ, რომელიც არსებულ წეს-წყობილებას ემუქრებოდა. მეთოთხმეტე საუკუნისათვის ღატაკები უკვე ფართო მშფოთვარე მასას შეადგენდნენ და „სილატაკის" ცნება აბალ, „უმდაბლესი ფენის" ცნებასთანაა შერწყმული.

ამრიგად, შუა საუკუნეების ადამიანი ნაკლებად აღიქვამდა საკუთარ თავს ინდივიდად და საზოგადოებაში ლინიაჟის, თემის, ამქრის, ბერული ორდენის, სასულიერო თუ რაინდული იერარქიის საშუალებით ერთვებოდა. ყველა ეს ინსტიტუტი მკაცრად იყო განსაზღვრული და მათ რიგებში შეღწევა, როგორც წესი, სპეციფიურ ცერემონიებს გულისხმობდა, რომლებიც განსაკუთრებული ზეიმით მთავრდებოდა. ყველა ამ ინსტიტუტის მიზანს სოციალური სოლიდარობის შენარჩუნება შეადგენდა, თავისი წევრების დარაზმვა გარეშე და მტრულად განწყობილი სამყაროს წინააღმდეგ, და თანაც ყოველ მათგანს ერთნაირად ახასიათებდა შინაგანი წინააღმდეგობა. „მტრები" უსაფრდებოდნენ ადამიანს არა მარტო მისი კოოპერაციის გარეთ, არამედ მის ფარგლებშიც: „ეშმაკეული ძალებით" გამსჭვალულ ბუნების მტრულ სამყაროს საკუთარი ბუნებით შეესაბამებოდა ადამიანისადმი ასევე მტრულად განწყობილი სოციალური სამყაროც და ამ მტრობის დაძლევა ეგალიტარულობის დახმარებით წარუმატებლად მთავრდებოდა. შუა საუკუნეების ადამიანისათვის დამახასიათებელი იყო საკუთარი ოჯახის,

უფრო სწორად, საშინაო თემის ვიწრო სამყაროში ჩაკეტვისკენ მისწრაფება. და მაინც ვერ ახერხებდა ჩაკეტვას — კორპორაციები ახალ (არაოჯახურ) კავშირებს უქმნიდნენ და პრინციპში სენიორისადმი ვასალური ერთგულება მამაშვილურ სიყვარულზე, ხოლო ქალისადმი კურტუაზული სიყვარული — ოჯახურ ერთგულებაზე მაღლა დგებოდა. ოჯახურ კარჩაკეტილობას არაფორმალური ჯგუფების სისტემაც არღვევდა, ანუ ისეთი გაერთიანებები, რომლებიც არც ვამოსაცდელი ვადისა და არც კურთხევის აუცილებლობას არ გულისხმობდნენ.

ვარდა სამრეველო ეკლესიებისა, ქალაქებში ხალხი უმთავრესად სახელოსნოებში იყრიდა თავს. განსაკუთრებით ბევრი ხალხი ირეოდა სადალაქოებსა და სამჭედლოებში. სადალაქოები ადრევე იქცნენ ცხელ-ცხელი ამბების გამავრცელებელ ბუდეებად, ხოლო დალაქი, თავისი ხელობიდან გამომდინარე, ყოველკვარი სიახლის მცოდნედ მიაჩნდათ. სამჭედლო სხვა თვალსაზრისით იზიდავდა ხალხს. ხის სიჭარბის ეპოქაში მჭედლის ხელობა ჯერ კიდევ პირველყოფილი იდუმალებით იყო გარემოცული. შუა საუკუნეობრივ შეგნებაში მჭედელი ბუნების ძალებთან დაკავშირებულ ჯადოქარს განასახიერებდა. ის ამზადებდა იარაღს, ასე ძვირად რომ ფასობდა იმ ეპოქაში; ხოლო ქურაში დანთებული ცეცხლი განუწყვეტლივ იზიდავდა ადამიანს. სოფლად ანალოგიურ როლს წისქვილი ასრულებდა, სადაც გლეხები ერთმანეთს ახალ ამბებს უზიარებდნენ და სადაც ზოგჯერ საიდუმლო თავყრილობებსაც მართავდნენ ხოლმე. ბერთა ორდენებს არ გამორჩენიათ მხედველობიდან „წისქვილთან“ ამგვარი შეხვედრების მნიშვნელობა და უკვე მეთოთხმეტე საუკუნეში მათი წესდებები ბერების ამგვარ ადგილებში ვაგზავნასაც ითვალისწინებდნენ. ბერნარ კლეგორელი (1090—1153), დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, იმდენად იყო აღშფოთებული წისქვილებში გაბატონებული უმსგავსოებით, სულის ხსნის მიზნით, საერთოდ მათ აღგვას მოითხოვდა პირისაგან მიწისა. ასეთივე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი უჯრედი იყო დუქანიც, სადაც არა მარტო ღვინის დალევა, არამედ უცხო მხრიდან ჩამოსული კაცის მოსმენაც (დუქანი ხომ სასტუმროს მოვალეობასაც ასრულებდა) და ფულის სესხება-გასესხებაც შეიძლებოდა. აქედან ვრცელდებოდა ინფორმაცია, ხშირად ლეგენდარულიც, აქ იგონებდნენ და ყვებოდნენ ზღაპრებსაც.

შუა საუკუნეების ადამიანი ერთდროულად ოჯახსაც ეკუთვნოდა და ოჯახგარე სოციალურ დაჯგუფებასაც, და მისი მორალი „პირადსა“ და „კორპორაციულს“ შორის არსებულ წინააღმდეგობათა დაძლევისას ყალიბდებოდა. თავის ნახევრად ბნელ, მძიმე ავეჯით გაწყობილ სახლში, დანარჩენ სამყაროს მოწყვეტილ ადამიანს განუწყვეტლივ აწუხებდა უსასრულო სივრცის — კოსმოსისა და უსასრულო დროის — სიკვდილის შიში. მის სახლში სიცოცხლისათვის ადგი-

ლი აღარ რჩებოდა, იმდენად სერიოზული და იმდენად ღვთაებრივი ჩანდა მარადისობა. ხოლო თავისი სიმარტოვიდან გამოსული „თანასწორთა“ კორპორაციულ სამყაროში ილუზიური სინამდვილის შექმნას ესწრაფვოდა, სადაც ყველაფერი ყირაზე იდგა და თავგანწირული მხიარულება და უტიფრობა სუფევდა. შუა საუკუნეების ადამიანის გარეგნული ქცევები უფრო „თავის მოსაჩვენებლად“ იყო გამიზნული და არა „თავის გამოსაჩენად“. მისი ჩაცმულობაც კი უფრო გარკვეული სოციალური რანგისაკენ მისწრაფებას პასუხობდა, ვიდრე სიცივისგან იცავდა ანდა ესთეტიკურ მოთხოვნილებებს უკმაყოფილებდა. მისი ხაზგასმული უყაირათობა (საარსებო სახსრების საერთო სიმცირის პირობებში) თავისებური ხამაში იყო, მაგრამ ისეთი თამაში, ბევრ ოჯახს მშრალზე რომ სვამდა. ყოველ მის საქციელს უფრო მეტად ჟესტი განაპირობებდა, ვიდრე სიტყვა და, შესაბამისად, უფრო ემოცია, ვიდრე გონიერი, საღი განსჯა. კარნავალი — დიდი მარხვის წინა დღის აღმნიშვნელი ლაღი ზეიმი, სოციალური, ეთიკური, სექსუალური ტაბუს ამხსნელი, თავად ცხოვრების გარდამქნელი ხანგრძლივ ზეიმად — თავისი კოსტუმებით, ნიღბებითა და მაშხალებით, ყველაზე უფრო აშკარა გამოხატულებაა შუასაუკუნეობრივი მისწრაფებისა, თუნდაც თამაშისას, მოჩვენებით მაინც დაეღწია თავი სიღატაკის, შიშისა და სოციალური უთანასწორობის ტყვეობიდან; ასეთივე თავდავიწყებით მისდევდა იგი ჭადრაკისა და კამათლის თამაშსაც. ჭადრაკი იმიტომ იტაცებდა, დაფაზე სოციალური წესრიგისა და მეფეთა ბედის წარმართვის შესაძლებლობა რომ ეძლეოდა (ჭადრაკის ფიგურებს პოლიტიკური სიმბოლიკა ჰქონდათ მიცემულნი), ხოლო კამათელი ადამიანისა და ბრმა ბედისწერის დაპირისპირებას უფრო ნათლად წარმოაჩენდა.

რელიგია და თამაში შუა საუკუნეების ადამიანის შეგნებაში სამყაროს ერთნაირად ილუზორულ ორ დუბლიკატს ქმნიდა, თითქოს ერთიმეორის საწინააღმდეგოს, მაგრამ საოცრად დაკავშირებულს ერთმანეთთან: რელიგია — ტრაგიკულად სერიოზულ, შიშითა და სიკვდილის მოლოდინით გამსჭვალული ზეციური სამყაროსი, თამაში კი — ბრმა ბედისწერისას, უაღრესად მიწიერი მისწრაფებებით სავსესა და განუსჯელს.

ბიურგერთა იდეოლოგიის განვითარებამ, საბოლოო ჯამში, ორივე ილუზია დაარღვია.

Ястребицкая Алла Львовна

ЗАПАДНАЯ ЕВРОПА XI—XIII ВЕКОВ

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1981

Ს. ბ. № 738

რედაქტორი მარინე სოხაძე
მხატვარი გ. ერისთავი
მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი
ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე
კონტრ.-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი ნ. მუსხელიშვილი
ეამოსშვები მ. გერმანაშვილი

გადაეცა ასაწყობად 26.10.80.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 06.05.81
ანაწყ. ზომა 7×9
ქაღალდის ზომა 70×90 1/16
ნაბეჭდი თაბახი 11,70
საბ. ქაღალდი № 1
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 8,5
საღებაეგატარება 12,142
ტირაჟი 20.000
შეკვ. № 3327
ფასი 60 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის 5.
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.